

1522
2009



როტუნა და სეროვნება

N3
3/2009

წიგნის

მაცვალა გონაშვილი

წიგნის

ვასა ოთარაშვილი

წიგნის

ნანა ნითელაშვილი

პუბლიკა

ლიანა ისაკაძე

ქანთაბე

გობი დოლიძე

ხატა

ლიონის ფანტივალი

შეფურთხება

გიორგი ქადაგიშვილი





გიორგი ქადაგიშვილი





ლიტერატურა და სეროენება

N3(39)

3/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

გიორგი ქადაგიშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ნომრის სკონსორია



სასარგებლო ბანკი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქრონოს, ქოროს

- 3. ვაჟა ოთარაშვილი - ნეხილი ედვას
- 6. მაცყალა გონაშვილი - ლექსები
- 9. ნანა წითელაშვილი - ცხემლები ეპიკოსებზე (ხომანი.გაგაძელება).
- 17. ვახილ ბოსტაშვილი - ლექსები
- 20. ანაჟი დაუშვილი - ოჯახური ილია
- 25. ნუჟი ბუხეთელი - ლექსები
- 28. ლესო ოთარაშვილი - ჩანახატები
- 30. ცისანა ჯოხაძე - მინიატურები

თარგმანი

- 32. ნიკოლოზ ისაყოვი - ჯავახიური მოგონებანი

წერილები

- 39. მუხთაზ ჩახავა - ქება და დიდება ... (დასასხელი)
- 47. ეჟა ცხადაძე - ...ხმს თვალს გადავავლებთ...
- 50. თამაზ შახაბიძე - ჯლიცა ხუხაძე - „მოგონებები“

ბელოჯანა რეპორაჟი

- 53. ბუბაზ მუხეიძე - „ღანდებთან დაცვი“

მუსიკა

- 59. ბუბათ კოხაძე - ჩვენი შეუდახებელი დიანა ისაყაძე

ცინობაწიანი

- 63. გოგი დოლიძე - „მივიწყებულ წინაპართა აჩხილები“

ბელოჯი

- 73. სოფო ჟილასონია - დაბუნება მომავალში

მხატვრობა

- 75. სალომე გოგოლაძე - მესამე განზომილება (გიორგი ქადაგიშვილი)

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა“

რადიელ ერისთავი

საქონუდოვასი სხვა:
ქაზუს ამირაზი, ზახუნა ზოგვაძე,
პრას ზოდენიშვილი, მაყადას ვინამილი,
ნათადას ურუშაძე, ჭახუნა ჩაჩუაძე, თათიკა აქაიანი,
თამარ ჩხეიძე, ვაჟი რეზაია.

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ იღებს შეკვეთებს პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (ნიგნები მაგარი და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები; სარეკლამო ბუკლეტები და სხვა).
მისამართი: მხატვრის ქ. 4
ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47
E.male. litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ვსუს
ომარაშვილი

ნახილი დასას ანუ რაც შენ ნახვედი...

ჩემი ლექსების პირველ ნიგნში „ხილვა-დობა“, რომელიც დედაჩემს მივართვი გახარებულმა 1986 წლის მარიამობას წარწერით: „ჩემო დედიკო! შენ მაზიარე ყველაზე წმინდასა და ამაღლებულს ამ ქვეყანაზე. გმადლობთ! შენი ვაჟა“ და რომელსაც სათუთად ვინახავდი ნიგნების კარადაში მალლა თაროზე. დედის სიკვდილის შემდეგ ხელუხლებლად, რამდენიმე ხნის წინ საშრობის უკვე გაცრეცილი ფურცლის ნაგლეჯზე დაწერილი შემდეგი შინაარსის წერილი ვიპოვნე:

...და ვიკვებები მე შენი ლექსით, ისე, როგორც შენ იკვებებოდი ჯერ ჩემი სისხლით, შემდეგ კი სიტყვით.

დედა გენაცვალოს, შვილო, მომშივდება

და მომწყურდება ხოლმე შენი ლექსები და მეც ვკითხულობ ხან ჩუმად, ხანაც ხმამაღლა, ჩემს სიხარულზე მევე მაჟრჟოლებს, ბუსუსს მაყრის.

... და მიხარია, რომ ჩემი შვილი ხარ, ბაბოს შვილი ხარ, ილას შვილი ხარ, დათოს შვილი ხარ, ქეთოს შვილი ხარ... და გულოს ძმა ხარ, პაატას ძმა ხარ, ზურიკოს ძმა ხარ!.. დედა გენაცვალოს, დედა!..“ და კიდევ ფურცლის მეორე მხარეს „მარტო დედა!“ ეს წერილი დედაჩემს საავადმყოფოდან გამოყვანის შემდეგ დაუნერია თბილისში ჩემთან მყოფს.

ფურცელი ფრთხილად დაგვეცე და ისევ ნიგნში ჩავდე. დედაჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. მეც მასწავლიდა სკოლაში მეხუთე-მეათე კლასებში. ყველაზე მკაცრი და მომთხოვნი ჩემს მიმართ იყო გაკვეთილებზე, ვინურებოდი... სახლში კი მისი ნათლისმფრქვეველი ღიმილი და მოფერება მაგინყებდა ყველაფერს. უპატიოსნესი ყოფიერების და უსპეტაკესად ამაღლებული სულის ქალს რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა უყვარდა ძალზედ. ჩემთვისაც მათი ნაწარმოებების გმირების მსგავსად სიკეთისათვის ბრძოლას ქადაგებდა. მახსენდება, მეორე კლასში ვიყავი. სკოლა სახლიდან საკმაოდ შორს იყო. სკოლიდან მე და დედა თითქმის ყოველთვის ხელიხელჩაკიდებულნი ვბრუნდებოდით სახლში. რატომღაც მოხდა, რომ იმ დღეს დედა ჩემზე ადრე დაბრუნდა. მე მარტო მოვდიოდი, ამხანაგები უკვე ჩამომცილდნენ სათითაოდ, რადგან სკოლიდან ყველაზე შორს ვცხოვრობდი. გზაზე მდინარე ლეხურაზე გადებული ლითონის ბაგირებით დაწნული „ბენვის ხიდი“ (როგორც ეძახდნენ) უნდა გადმომევიღო. „ბენვის ხიდის“ შუა წელს რომ მივალნიე ხიდის თავში და ბოლოში ვერავინ დავლანდე და ხიდი ავაქანავე. ქანაობით გული ვიჯერე და გზა გავაგრძელე. ხიდის ჩამოსასვლელი რკინის კიბეები ხტუნვით ჩავათავე, რომ იქვე თვალი მომჭრა რალცა ბრჭყვიალა საგანმა. დავაკვირდი. „ბენვის ხიდის“ დამჭიმავ ჯაგარივით დაწნულ ბაგირს რკინა-ბეტონის სამაგრიდან გველივით დაკლაკნილი კუდი გამოეყო. სწორედ კიბის ბოლო საფეხურის გვერდზე დაგდებულ ბაგირის გველის კუდთან ეგდო „ბრჭყვიალა საგანი“ — ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი...

დავწვიდი. ავიღე და გახარებულმა ნაპოვნით სახლისაკენ მოვკურცხლე. სახლში შევევარდი. ზურგჩანთა მოვისროლე და ნაპოვნით დედასკენ გავექანე... თქვენ მტერს, დედაჩემმა მე რომ დღე დამანია. კარებთან მიყუდებული ნახშირის ღუმელის საჩხრეკმა რკინის ჯოხმა კანჭები დამძღროს.

ვსუს ომარაშვილი
ქართული
ბიბლიოთეკა

26675



ვე გამატანა ნაპოვნი, ცემა-ტყეპით და მორალის კითხვით: „იქნებ ბეჭდის საძებნელად გამოსული პატრონი ხიდთან ეძებსო დაკარგულს...“ ოქროს ბეჭედი იქვე დავდე, სადაც ვიპოვე ცოტა ხნის წინ. ასეთი იყო დედაჩემი. ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობს“ და გურამიშვილის „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“ ყოველთვის თვალზე ცრემლმომდგარი მიკითხავდა.

დედაჩემის წერილის წაკითხვის შემდეგ, რატომღაც სურვილი გამიჩნდა მეც მიმეწერა წერილი გარდაცვლილი დედისათვის. სულის უკვდავების ყოველთვის მჯეროდა. თუ არ ირწმუნე სულის უკვდავება, ბუნების კანონებამდე ვერასდროს აღზევდები, ხომ ფაქტია, წასული თაობების მიერ მოპოვებული სულიერი საუნჯე სიკვდილისთანავე რომ ქრებოდა, მაშინ ქვეყნად მარადიული ღირებულებები აღარ იარსებებდა. მნამს, რომ მომავალ თაობებში გაგრძელებული ხსოვნის ხანგრძლივობა ვერაფრით შეცვლის სულის უკვდავების იდეას. როდესაც გარდაცვლილ ახლობელს ვიგონებთ ან მათი ხსოვნის პატივსაცემად მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში საფლავებზე გავდივართ, ჩვენთვის გარდაცვლილები არამინიერ, მაგრამ უკვდავ ცოცხალ სულებად წარმოგვიდგება. მე ყოველთვის ვგრძნობ, რომ დედაჩემის სული როდესაც მიჭირს ყოველთვის ჩემთან არის. მისი სიტყვები ჩამესმის... სულის უკვდავების რწმენა ღმერთთან მახლოებს. მე მგონია, სიტყვები სულის ასოთი გამოსახულებაა ფურცელზე. იოანეს სახარებაც ხომ გვეუბნება: „პირველთაგან იყო სიტყვა იგი“. სწორედ სიტყვებია ჩვენთვის უკვდავ სულებთან გასაუბრების საშუალება, სიკვდილიც ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილია და მეც წერილს ვწერ:

„დედა, საქართველოს „საყდრული მყუდროება“ კარგა ხანია გაბზარულია! ქართველებმა დაკარგეს წონასწორობა ადამიანის სულის რაციონალურსა და ემოციურ სანყისებს შორის. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავმვინენ. დაივიწყეს ძველბერძენთა მიერ აპოლონის ტაძრის კარიბჭეზე ბრძნული წარწერა: „შეიცან თავი შენი! ნურასოდეს გადააჭარბებ. შუათანა გზაა საუკეთესო“. დაკარგეთ სამაჩაბლო და აფხაზეთი. დავანგრიეთ და დავწვიეთ დედაქალაქის ცენტრი. დავერიეთ და ვბოცეთ ერთმანეთი. ლამის ნახევარი საქართველო ლუკმა-პურის საშოვნელად და თავისიანების გადასარჩენად საზღვარგარეთაა გაქცეული. ჯერ არ ვიცი, სულთა საუფლოდან როგორ მოჩანს საქართველო, მაგრამ ჩვენი ყოფიერება რომ ჯოჯოხეთს უახლოვ-

დება ცხადია... ანდა... იქნებ სულაც, ჯვარცმაა ეს ყოველივე.

დედაჩემო, უფალი ბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ; ეძიებდეთ და ჰპოვოთ; ირეკდით და განგელოთ თქვენ; რამეთუ რომელი ითხოვდეს, მიიღოს და რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს და რომელი ირეკდეს, განელოს“.

საკითხავია რას ვითხოვდით ქართველები? რას ვეძიებდით? საკუთარი თავის განდიდებას, უნამუსოდ და უკანონოდ მოხვეჭილ ქონებას, ფსევდოთავისუფლებას, რათა ჩვენი ავი და მდაბალი ზრახვანი ყოველგვარი კონტროლის გარეშე აღვასრულოთ. განვალეთ საქართველოს ჭიშკარი ოთხივე კუთხივ და გავიტანეთ ეროვნული სიმდიდრე რკინა, სპილენძი, ალუმინი, ხე-ტყე და რაც მთავარია, ჩვენი მომავალი თაობა მიმოვანბნიეთ უცხოეთის ჰარამხანებსა და შავ სამუშაოზე მონური თუ მამელუქური გროშების საკრეფად. საკითხავია მოვიპოვეთ კი თავისუფლება? ანდა როგორ გვესმის თავისუფლება ქართველებს? მივედით კი ჭეშმარიტებასთან, ვართ კი ჭეშმარიტი ქრისტიანები, გვაქვს კი რწმენა ჭეშმარიტი ქრისტიანული, მართლმადიდებლური თუ ხალხს გონება აურიეს „დემოკრატიის ოაზისებში“ შექმნილი და ჩვენთან შემოგზავნილი ათასი ჯურის სექტებით, ანდა „ფსიქო“ სატელევიზიო გადაცემებით. მითხარი დედა, გადმოვიდა ღვთის მადლი ქართველ ერზე, თუ ვართ ისევ ცოდვიანი ერიც და ბერიც? გვიყვარს კი ნამდვილი სიყვარულით მოყვასი, თუ მოჩვენებითი გულწრფელობით ვაქებთ და ვადიდებთ, ან მხარს ვუჭერთ ერთურთს, თუ ბოროტი ქვენა ზრახვები სჭარბობენ სიკეთეს ისევ? სად დაიკარგა სულიერება? რატომ იწერს პირჯვარს მორწმუნეც და სატანაც? ვინ გვინგრევს მართლმადიდებლობის დანგრევით ქართულ სულიერებას?

დედა, მთელი შენი ცხოვრება სკოლას და ბავშვების აღზრდას შეალიე. მახსოვს, წამალაშვილი სკოლიდან რომ გაიყვანეს მშობლებმა, ორი კვირა ეხვეწებოდი უკან დაბრუნებაზე. ყოველდღე მასთან დადიოდი სახლში, ამეცადინებდი...

დღეს პირიქითაა. ხელისუფლების მართონი გრძელდება საქართველოს განათლების სისტემის დასანგრევად. სკოლას და მასწავლებლებს უტყვევენ ყოველი მხრიდან პარლამენტი, სამინისტრო თუ სამმართველო, ყაჩაღი თუ ავაზაკი, ქურდი თუ ჯიბგირი. ისე გარეგნულად განათლების რეფორმა ჰქვია, დედა, ამ ყველაფერს. მახსოვს, მასწავლიდი, გიორგი მთანმინდელმა მოანესრიგა სა-

ეკლესიო ლიტურატიურა და ღვთისმსახურებაო. ბავშვი წაიყვანეს ათონის ივერთა მონასტერში, ბაგრატ IV-მ კი — ჩამოიყვანა. მან პირველმა დაააყენა საეკლესიო რეფორმის საკითხი. მაშინდელი საეკლესიო რეფორმა ქრისტიანობის, როგორც ქართული სახელმწიფოს ეროვნული იდეოლოგიის გაძლიერებისაკენ, ეროვნული ცნობიერების ამაღლებსაკენ, ივერთა ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ იყო მიმართული. დედა, დღევანდელი ქართული განათლების რეფორმით უკმაყოფილოა მასწავლებელიც და მოსწავლეც, მშობელიც და პედაგოგიც, კმაყოფილია მხოლოდ დემოკრატიის ნიღაბფარებული სატანა, რომელმაც შესძლო ათასობით ბავშვისა და მოსწავლის განთესვა-გაძევება სკოლიდან თუ საბავშვო ბაღიდან, მათი გადაქცევა ქუჩის მანანნალებად და მეძავთა ბუნაგებში შერეკვა.

დედა, ხშირად მიმეორებდი: „ცოდნა სიკვდიმდე შენია...“ სატანას სურს ჩანასახშივე ჩაკლას ქართველთა ცოდნა-განათლების წყურვილი. უცოდინარის და უვიცის დამონება-დამორჩილება უფრო იოლია, უფრო ადვილია ხელზე მოსამსახურე ბიჭებად და ოფიციანტ-„პუტანკებად“ მერე მათი გადაქცევა და რაც მთავარია, განათლება ერის ცნობიერების უმთავრესი კრიტერიუმია, ბარომეტრია. გაუნათლებელი ქართველის სულში ამბოხის ნაპერწკალი აღარ გაღვივდება, ნაპერწკალი, რომელმაც ნავთობსადენი შეიძლება ჰაერში ასწიოს.

...და ვყრით სკოლიდან ქუჩაში უფულო მშობლების მოსწავლეებს ე.წ. სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ წელი არ გავა, რომ ამნისტია არ გამოსცეს თავისი შელახული პოლიტიკური რეიტინგის ასამაღლებლად და იმ მიზეზითაც, რომ ციხეებშიც ველარ ინახავს პატიმრებს თუ მათ ყარაულებს. დედა, ვნატრობ, ნეტა სწავლის ქირაგადაუხდელ მოსწავლეებზეც გამოსცეს ამნისტია მთავრობამ და შე-

ინყნაროს მომავალი თაობა, თაობა, რომელიც ხვალ-ზეგ, მჯერა, თენგიზ აბულაძის „მონაწიებაში“ რომ არის, ისე ამოაგდებს საფლავიდან — ერის მეხსიერებიდან მათ ძვლებსა და უსახურ ფიგურებს.

დედა, დღეს ერისკაცობა სკამის კაცობამ შეცვალა. დავით აღმაშენებელი აბელა სეთურმა, ილია ჭავჭავაძე „მამაძაღლმა არქივომ“. ლამის ეროვნულ იდეოლოგიად იქცეს სკამთაყვანისმცემლობა. დედა, მახსოვს, თევდორეს ეკლესიასთან ვიდექით და არაბების მიერ ბაგრატიონთა პირველი მეფის — აშოტ კურაპალატის საკურთხეველთან მოკვდინების ამბავს მიყვებოდი, მერე ქეთევან დედოფლის წამება გაიხსენე და კითხვები დამისვი: რატომ გაძლო ბაგრატიონთა დინასტიამ ათი საუკუნის განმავლობაში? მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები იყვნენ? რა როლს თამაშობდა მესიანისტური იდეა მათი ცნობიერების ფორმირებაში და, საბოლოო ჯამში, როგორ წარმართავდა სახელმწიფოებრივ აზროვნებას და ზოგადად პოლიტიკას? მერე კი ლოგიკურად შენ თვითონ ასკვნიდი, დედა: საქართველო ვერ შერჩებოდა დღემდე მსოფლიო რუკას-თუ არა ერის წინამძღვართა ასეთი თვითშეწირვის მაგალითები.

დღეს კი თვითშეწირვა ერის განირვამ შეცვალა. ებრძვიან მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, როგორც ქართველთა უმთავრეს იდეოლოგიურ მრწამსს, რამეთუ იგია ჩვენი ერის სულიერი არსებობის განმსაზღვრელი. სულიერი დაცემის და ეროვნული ცნობიერების ჩახშობის შედეგია ჩვენი დღევანდელი ყოფა. მაგრამ მწამს ივერიას ღვთიურ-ისტორიული მისია აქვს მსოფლიოს წინაშე და არა გეოპოლიტიკური...

გაზაფხული მოდის დედა. სანთელს ვანთებ შენი სულის მოსახსენიებლად... ვიცი, ამ წერილს შენთან ერთად სხვა დედებიც წაიკითხავენ და შენ თუ ვერა, სხვები მაინც გამომიგზავნიან პასუხს...

2000 წ. მარტი





მაცყვა
გონაძვილი

ქურნალი „ლიტერატურა და
ხელოვნება“ ულოცავს 50 წლის
იუბილეს საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ
მაცყვალ გონაძვილს
და უსურვებს ჯანმრთელობას და
ბედნიერებას.

სიტყვა

შრიანებს სხეული,
ვერხვივით შრიანებს
ნაქცევის შიშით...
იმ ბოლო სიტყვამდე
პირველად, პირველის
ბაგიდან ვიშვით.

ჩემს მკერდთან ეძებთ
ისარი, რომელიც სამიზნეს ასცდა.
რა ჟამი დამდგარა,
ჟამი, უჟამური
უსიტყვო კაცთა.

მე მაინც გავრითმე, ლექსებად ვაქციე
სიტყვების ფეთქვა...

მამო, უსიტყვო წყვილადში
ვით გასძელ? ან რაი გერქვა?

— სიტყვა ვიყავ!

ვიყავ მუდამ!

სიტყვა ვარ და

სიტყვად ვრჩები!

სიტყვა — თქვენი გადარჩენა,

სიტყვა — ჩემი განაჩენი...

ერთი დიდი სიზმარია,

ყოველივე დანარჩენი.

სიტყვების ტყე...

სიტყვების ტყვე...

სიტყვა — სეტყვა,

სიტყვა — ტყვია,

ირგებს სიტყვებს, როგორც გვირგვინს,

ქვემძრომი და თვითმარქვია,

როცა სიტყვა ტლუთა ტყვეა,

იფოთლება ანარქია.

სიტყვა — სული, სიტყვა — სრული...

სიტყვა — სევედა, სიტყვა — დედა.

თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,

დედასავით დამიბერდა.

ერთი სიტყვით, მხოლოდ სიტყვის

მსახურება დამებედა.

სიტყვა — მკვლელი, სიტყვა — მჭრელი...

სიტყვა — ჭრელი, სიტყვა — ხაზი...

სიტყვა — ნება, სიტყვა — ვნება,

ტკბილი — როგორც ალვახაზი,

ლოცვის მტევენებს დაიმშვენებს

უსიერ ველს, უსურვაზი...

— სიტყვა ვიყავ!

ვიყავ მუდამ!

სიტყვა ვარ და

სიტყვად ვრჩები!

სიტყვა — თქვენი გადარჩენა,

სიტყვა — ჩემი განაჩენი!

ქარია და სიზმარია

ყოველივე დანარჩენი.

მოჯადოებულ წიგნი

გათითოკაცდა სამყარო,
ცის ნაცვლად ვუმზეროთ ეკრანს
და მალვიძარა საათი

რეკავს, ამოდ რეკავს.

ეს რა ძილქუში შეგვეყრია,
ველარ ვეფიზლდებით, ვერა,
ძილ-ბურანიდან დამფრთხალებს
საით გაგვექცა მზერა?
სასახლის კართან მისულებს
შეგვაგებებენ ხარხარს,
თუკი ვიძალისძალავეთ,
გადმოგვიგდებენ სახრავს.

სახრავს და სახრეს ჩვეული,
ერთ დროს რჩეული ერი,
სხვის ნასუფრალზე აცეკვდა,
სხვის მუსიკაზე მღერის.

მეც ასე, ხელებგაშლილი,
თურმე სატანას ვეძმე,
ხან მაძლარ მამებს ვაპურებ,
ხან უძღებ შვილებს ვეძებ.

მეც შვილი ვარ და მშობელი,
მეც დამინახეთ, გვედრით,
ვარ ნუთისოფლის წიგნიდან
ამოხეული გვერდი.

არ მინდა მე სხვა სამშობლო,
მე სხვა სამოთხე არ მსურს,
ვზივარ დაბზარულ კედლებთან,
ანმყოს ვანებებ წარსულს.

ნუ დამივინყებ, უფალო,
ნუ მომარიდებ სახეს,
მიფრიალებენ მავანნი
ფულით მოხვეჭილ სახელს.

„რავექნისა“ კოშკთან დაქანცულს
მღვრიე ფიქრები შემშლის,
სანამდის უნდა ვიარო
მოჯადოებულ წრეში?

ქვის კარიბჭე

მზე დაიღვენთა,
ქვის კარიბჭეს ჩრდილი მიადგა.
მე გინვდი ამ გულს,
როგორც ლოცვით ნაქარგ იადგარს.
თითქოს ამ კართან
მე ოდესღაც ვიდექი უკვე
და ხმა უცნობი

მაფრთხილებდა მიწის ბინადარს.

მახსოვს მე ის ხმა

და სიტყვები დამვიწყებია.

მახსოვს თვალები,

მაგრამ სახე დამვიწყებია.

მახსოვს ნუგეში,

მაგრამ სევდა დამვიწყებია,

ავი სენივით დავიწყება გადამდებია.

გამიღე კარი,

გვეედრები,

გამიღე კარი...

ვყვირი და ფრჩხილებს

სიმწრისაგან ძირამდე ვიკვნეტ.

იქნებ ძახილი ჩემი არის

სუსტი და უხმო,

ან კარის იქეთ

უკვე არვინ არ არის, იქნებ?!

ან იქნებ სულაც, ველარა მცნობ,

ვიცვალე სახე?

და აღარ ვგვევარ შენგან სრულქმნილს

ახლა სრულებით?

და სხეულს ჩემსას,

მირიადი წლებით განზბანილს,

აღარ ატყვია

შენი წმინდა ნათითურები?

სხვის გამოფყევი,

სამზეოდან სხივი მეძახდა!

მინდოდა ერთხელ მაინც

შენი სახე მენახა.

დამვიწყებოდა მსურდა

ქვეყნის დავიდარაბა.

აქ კი დახშული დამხვდა

ყველა კარი, დარაბა!

ო, გვეედრები, ოდნავ მაინც

შემიხსენ კარი.

მრუდე სარკვების სამეფო

დამიფლითეს მინა ქრისტეს პერანგივით,
მტერმა კიდევ როგორ უნდა დამამციროს?
ვცხოვრობ მრუდე სარკვების სამეფოში
აღარ ვიცი, ვიტყვი თუ გავიცინო?!

ჟამი ჟამობს უწყმური და ფერწასული,
და იჭვებით დანაღმულა ფიქრის ველი,
მტერთან ასე როგორ დაფრთხა ჩვენი

მეფე,

ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

ემმა მიქრობს ვარსკვლავების

ქორაკანდელს,

მტეხავს მაჯა მთვარის ქიმზე დანასერი.
ამ ჩემს ტკივილს რას გაიგებს ჩვენი მეფე,
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

თუ ლალი ვარ, რად დავკარგე სიამაყე?
თუკი ვმღერი, უპეები რად მაქვს სველი?
გაშლილ ველზე ქარებს დასდევს
ჩვენი მეფე
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

წვეთ-წვეთობით, როგორც წყალი
საცერიდან
ასე ცრემლ-ცრემლ გაიღია ძველი ერი.
უდარდელად ილიმება ჩვენი მეფე,
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

ანასეული ჩანახატი

გიორგობის თვის გიორგობისთვის
ემზადებოდა ანასეული,
ჩუმად კვდებოდა მჭკნარი ფოთოლი,
ებრალეებოდა ანასეული.
რაა ჭკნობისთვის წამთა წანწალი,
ან ათეული, ან ასეული?..
და იდგა ირგვლივ დიდი სიმშვიდე –
პოეტური და ანასეული.

ბამოცდა

ვინა გძერწავდა ასეთი ჟინით,
უფლის ნება თუ ეშმაკის ხელი,
მაინც ვისი ხარ, ცისა თუ მიწის,
ასე თავხედი და მიმზიდველი?
ცის ხარ თუ მიწის, ჩემიანი ხარ,
მაგრამ მე შენი არც როს ვიქნები,
კოშკი ვარ, თეთრი კირით ნაგები
და ზეცას სწვდება ჩემი ფიქრები.
გუმბათებიდან მზის მადლი ჟონავს,
ჩემი სხეული ყველაფერს იტევს,
ძველ ხელნაწერებს, მკერდზე წარწერებს,
დევნილ ღამურებს და უფლის ჩიტებს,
თუ მართლაც მხოლოდ კოშკი ვარ ცივი,
დავმტერებოვარ ქვის ძველ იატაკს,
თუ ვარ პერანგი, შვიდგან შეკრული,
ეს ლექსი მე რად ამეკვიატა?
იქნებ მცდის ეშმა, წვიმების მერე

ხომ არ გამიჩნდა ტანზე ბზარები,
რომ შემხვედროდი დიდი ხნის წინათ,
შენთვის სიკვდილს არ დავიზარებდი.
რალა დროს, შენი ასერიგ ცქერა,
რალა დროს ჩემი ფეხის არევა
და ვხურავ სარკმელს, წმინდა სენაკში
არ იწრიალონ უცხო ქარებმა.

ღვინობისთვე

ვარ ღვინობისთვე. ჩემი სულიდან
წვეთავს სიმშვიდე და დანანება,
გუშინ ყვაოდა მზე და იელი,
დღეს თავდაღმართზე მიექანება –
ჩემი გზანვრილი. მხოლოდდა ქარი
დამიფარლალებს სიმშვიდის კარავს.
დანრეტილს ვნებით,
ჩემს მიმქრალ თვალებს
ფოთლის ნითელი ვუალი ფარავს.


სამი შეკითხვა

რად გაბოროდნენ სარკეები,
რომელნიც ერთ დროს
ჩემს დანახვაზე ლამაზდებოდნენ?

*
გაჩერებული საათიც კი
დღე-ღამეში ორჯერ ამბობს სიმართლეს,
შენ კი ერთხელაც რად არ დაგცდა
მართალი სიტყვა?

*
ღმერთო, რამდენი წელი გასულა,
არ მინახია.
სიზმრებში მხვდება
და ბინდ-ბუნდში თვალებს მარიდებს.
არ ვიცი, როგორ გამოვიხმო
სიზმრიდან ცხადში,
არ ვიცი, რატომ მეკრძალება,
რატომ გამირბის.
იქნებ ველარ მცნობს?
შევიცვალე ჟამთა ტრიალში.
წლები მხოლოდ ჭკნებიან ცხადში.





ნანა

ჭითელაშვილი

სხაპლეზი

ხვიჯაიხოსეზუა

რომანი

ღამის, მიმქრალი კოცონი. მიმოზნეული მანდარინის და ფორთოხლის ნაფცქვენები. ღამენათევი ბიჭების მზემოკიდებული სახეები. ყველაფერი მშობლიურია და ნაცნობი, მაგრამ ყველაფერს მიტოვებული, ფუძემოშლილი კერიის არეულობა და უპატრონობა დაპატრონებია. ჩავდივართ წინა ხაზზე. მდინარე გუმისთა, აქეთ ჩვენი ბიჭები დგანან. იქითაც ჩვენები, ოღონდ ახლა გაუცხოებული, გასხვისებული. აფხაზი-ერთ დროს ქართველი, ერთ დროს ძმა და ღვიძლი, ახლა ორგული. ბიჭები შემოგვეგებნენ. გაიხარეს ჩვენი მისვლით, ოჯახის პატრონი აფხაზია. დაფიქრებული, შენუხებული დადის ეზოში. შევყუ-

რებ, მტრობისას ვერაფერს ვატყობ. ეზოში, თეთრტილოგადაფარებული ტაბლათი მოგვართმევს „მცირედს“. ბოდიშს მოგვიხდის, ამ დროს რა ვუყოთ, თორემ, ამ ოჯახს სტუმრის დახვედრა არ ეშლებო.

— აი, კაცი! — ცერა თითს აპრებს ჯარისკაცი.

— ნეტა ყველა ასეთი იყოს! — მხარზე ხელს მოხვევს მეორე.

— ეეს, შვილო, — ამოიკვნესებს მასპინძელი — განა ისინი ცუდები არიან... ღმერთმა დასწყევლოს ჩვენი ამრევი. ჩვენ რას გვერჩიან? აქ დავბერდი, ეგეთი რამ არ გამიგია. მოყვარე მყავს ქართველი, სირცხვილით ვერ ვუყურებთ ერთმანეთს. დაიქცნენ ჩვენი დამქცევი, ჩვენ რას გვერჩოდნენ?

— ნუ ნუხარ, ბიძია, ყველაფერი კარგად იქნება. — ვამშვიდებ და... თვითონაც არ ვიცი, როდის იქნება ყველაფერი კარგად — ან იქნება კი?

— ეს ბიჭები მეცოდებიან, იქითაც ჩემები არიან, აქეთაც. ამათ ვინლა გააცოცხლებს, ვინ დაიბრუნებს, გული მიკვდება — აგერ, ხედავთ, ჩემს თვალწინ ნააგლიჯა თავი... — ეზოს კუთხეში ჯარისკაცის ფარაჯა გდია, სისხლშია ამოსვრილი, საყელო ნაგლეჯილი.

— ეს, ამ ეზოში მოხდა? — ვეკითხები ბიჭებს და კანკალი მიტანს.

— აი, იქ, — ხელით მაჩვენებს ქუჩის მეორე მხარეს შეკრულ საგუშაგოს წნულს.

— საიდან ისროლეს? — ვათვალიერებ გარემოს.

— იქიდან, — ეზოს გაგრძელებაზე პატარა ჭიშკარია, ლამაზად ჩანსული, ჭიშკრის იქით ციტრუსების ბაღი, რომელიც მდინარე გუმისთას ნაპირთან თავდება. მდინარის იქით ნაპირზე ხელის განვდენაზე კიდევ ერთი პატარა ქოხივით მოწნული ჩანს. — ეგ მაგათი საგუშაგოა. მანდედან სნაიპერი ისვრის, აქეთ ჩვენი საგუშაგოა.

— იქარის ვინმე?

— იქ, სნაიპერია.

— რას ამბობთ, შეიძლება გვესროლონ?

— რა თქმა უნდა... დღეს რაღაც ჩუმად არიან.

— ჩვენს საგუშაგოზე არის ვინმე?

— კი, მორიგია.

— როდის შევცვლით.

— ნახევარ საათში.

— წამიყვანეთ. — თვალდაჭყეტილი შევცქერი მდინარის მეორე მხარეს. ბიჭები ერთმანეთს უყურებენ — აქედან გადაიღეთ, აქედან საშიში არ არის. იქიდან, ბაღში არ ვჩანვართ.

— წამიყვანეთ. — სახეში შევცქერი ბიჭებს და ჩემი სიტყვის გადამწონი არაფერია.

— იცით... — და ლადოს შეხედავენ, იქნებ იმან შემაჩეროს.

— ვიცი, წამიყვანეთ. — ვიმეორებ...

— მაგას ველარ შეაჩერებთ, — ამბობს ლადო და კამერას რთავს.

ბიჭები აქეთ-იქით ამომიდგებიან „სტრა-ხოვკაზე“.

— ნელა არ იაროთ, სირბილით უნდა წახვიდეთ. — ჩამძახიან.

გადავირბენთ ქუჩას. ერმაკოვი კამერამომარჯვებული წინ მიდის. საგუშაგო ბაღში დგას, გარშემო ხეებით შემოტმასნული. გუმისთას მეორე მხარეს ისეთივე საგუშაგოა, ისეთივე ხეებით შემოტმასნული. საგუშაგომდე გაშლილი სივრცეა. სნაიპერს თავისუფლად შეუძლია ჩვენი ნიშანში ამოღება.

არასოდეს ასეთი შორეული და მტკივნეული არ ყოფილა ჩემთვის, ალბათ, სხვისთვისაც, აფხაზეთი, თან ისეთი ლამაზია, როგორც არასდროს. ან იქნებ ჩვენ ყოველდღიურობაში ეს ბედნიერება ჰაერივით იყო და ამიტომაც ვერ ვგრძნობდი მის მაცოცხლებელ ჟანგბადს. ახლა, ახლა შევყურებ და შიშს მგერის მისი თვალისმომჭრელი სილამაზე, როგორც ხავერდოვანი სიმწვანის ფონზე ულამაზესი შხამიანი სოკო, რომელშიც ერთდროულადაა მომაკვდინებელი შხამი და თვალისმომჭრელი სილამაზე... ანდამატივით გიზიდავს და ხელის შეხებას ვერ ბედავ, რადგან მასში თვლემს სიკვდილიც და მშვენიერებაც.

გავყურებ გუმისთას მეორე ნაპირს. საგუშაგოს... რომელიც შხამიანი სოკოსავით ამოსულა. ჩქამი არ ისმის იქითა მხრიდან. იქ ადამიანის ჭაჭანება არაა.

— იქ, ახლა არის ვინმე? — ჩურჩულით ვეკითხები „სტრახოვკას“.

— რა თქმა უნდა.

— გვხედავენ?

— როგორც ჩვენ ვხედავთ, ისე.

გუშაგი შევცვალეთ და სირბილით გადმოვიარეთ მინდორი სახლამდე. მაშინაც და ახლაც ერთი აზრი მტანჯავს: „რატომ არ გვესროლეს, ხომ შეიძლებოდა სროლა, რატომ არ გვესროლეს?“... მოგვიანებით, როცა გადავხედავთ ამ დღეებს, ერთი ამბავი გამახსენდება.

სოფელ შრომასთან საშინელი ბრძოლება. ქართველების ბატალიონი ალყაშია. მხოლოდ დილით აღმოაჩინეს, რომ ტყის ორივე მხრიდან დესანტია გადმოსხმული. გზა მოჭრილია, უკან დასახევი არ არის. დაეცა ერთი, მეორე, მესამე, „მტერი“ მძლავრობს. მაშველი ძალა არ არის. ტყვია - წამალი თავდება. ბოლოს ერთი რჩება, სხვა ყველა დაჭრილია ან მკვდარი. თავგანწირვით იბრძვის ის ერთი. წარმოუდგენელი ვაჟკაცობის თუ სინდისის გამოღვი-

ძებით, იქნება ისევ სისხლის ყივილით, იქეთა მხარე გაოგნებულია.

— გადი! — უყვირიან ბიჭს.

— გადი, დერეფანს გაგიკეთებთ.

ბიჭს არაფერი ესმის, მის გარშემო აღარავინაა. მინაზე დაჭრილები და დახოცილებია. სიცოცხლე აზრს კარგავს, ვიცი, სიკვდილი ომში არაფერია. ომში ცეცხლისა და ტყვიის პირისპირ სიკვდილზე არ ფიქრობ. აქ მიზანი და შურისძიების ძლიერი მუხტი გმართავს. მჯერა, ის ბიჭიც, რომელიც მე არ მინახავს, სწორედ ამ ძალით იდგა. აფხაზებს უთქვამთ — იმდენად დიდი იყო ის, ისეთი ვაჟკაცი, რომ სიკვდილისთვის დაგვენანა. ისე შეგვაკვდა, თვალი არ დაუხამხამებიაო. რა იყო ეს? მჯერა, გარდა პატივისცემისა კარგი ყმისადმი, ალბათ, რალაც უფრო ძლიერი, უფრო ღრმა ფესვებიდან მომდინარე, რომელსაც სიძულვილი და მტრობა ვერ მოერია. ალბათ, ეს ფესვები იქნება სწორედ ჩვენი დამაშვრალი ხალხის შემობრუნების ერთადერთი ძალა. არც მაშინ, ომში, არც ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ მჯეროდა, რომ ეს იყო აფხაზთა და ქართველთა ხელით მოწყობილი სასაკლაო. ახლაც, ქართველის მიტოვებულ, გადამწვარ ეზო-კარს, ისევ აფხაზები პატრონობენ. ხალხი ბრძენია და კარგი მსაჯულიც. ხალხი მონახავს ერთმანეთთან მისასვლელ ბილიკებს, რადგან გზა ერთმანეთისაკენ არასოდეს ყოფილა ასფალტით დაფარული, გატკეცილი მაგისტრალი. გზა იქ არის ადამიანებს რომ გაჰყავთ, ვინრო ბილიკებად, მერე რომ ხდება მაგისტრალი. ასეთია ახლა ორ ხალხს შორის ჩანგრეული ტამიშის ხიდი. ასეთია გუმისთას ნაპირები, სადაც ოდესღაც ჩელტის ბენვის ხიდზე მიმოდიოდნენ. მერე იქცა ბენვის ხიდი რკინაბეტონის მძლავრ ხიდებად. ახლა ისევ ბენვის ხიდებია ასაგები, რომელიც წლების შემდეგ ინდუსტრიის შედეგად გაიდება... და ადამიანები ამ გზის აუცილებლობას თავად დააკანონებენ. ხალხი ბრძენია და კარგი მსაჯულიც. მდინარეები ისევ იჩქეფებენ გიჟური დინებით, ქვა-ლორდ ჩამომდინარე. ნაპირებს შორის ისევ გაიდება „ხიდი“ და ღვარცოფი ველარ ჩარეცხავს ათასწლეულით გამაგრებულ „ჯებირებს“.

მახსენდება. მერკულაში ვართ. შუალამის მზე აცხუნებს. ბიჭები წელს ზევით შიშვლდებიან და ვედროებით წუნავენ ერთმანეთს. ნაძვის ქვეშ ერთი ჯგუფი მოკალათებულია. ყოველ წუთს ვიღებთ ინფორმაციებს, რაცია ხროტინებს და დროდადრო ერთმანეთში ირევა რუსულ-ქართული, აფხაზური, კავკასიური ინტონაციები. ლაბრაში ბრძოლება, კაკო მაღალდაძე ბრუნდება ბიჭებთან ერთად. იხსნის საყელოს და გულმკერდს მიუშვერს

ნავს. ნუნაობას თავს ანებებენ ბიჭები. ყველანი, აქეთ-იქით მიმოფანტულები, გარშემო შემოვეჯარებით. კაკო სულს ითქვამს.

— ეი, კორადო! — კაკო საოცრად გავს კორადო კატანის. — რა ამბავია აღარ იტყვი. — სული დაელევათ ბიჭებს. კაკო მინაზეა მორთხმული, მერე ბალახზე გადაწვება, მზეს მოუჭუტავს თვალებს. ახლა გარშემო ჩაცუცქედებიან ბიჭები. კაკო დუმს. ზევით ტრასაზე რახრახით ჩაივლის ბიჭებით დახუნძლული ტანკი. ხელის აწევით შემოგვძახებენ და ტამისისკენ მიმავალ გზას გაუყვებიან.

— სადილობის დროა. — ყვირის ჩვენი მზარეული. — ადექით, აგერ ჩაიარა „მაღვიძარამ“. — საათის დახედვა არც გვჭირდება, ყოველდღე ასე, ჩაიგროხუნებს ხოლმე ტანკი ბიჭებით. მეზობელ სოფელში ხინკალს ამზადებენ თურმე... სადილობას იქით მიიჩქარიან.

— ვაა. — იყვირებს გუჯარ ყურაშვილი — სად გაგონილა ტანკის ეგრე წვალევა, გამაგიჟეს, ეს რა ჯარში ვარ, ეგ ხომ ტანკად აღარ ივარგებს. — ცოტა მოგვიანებით სწორედ ამ ტანკს გაეჭედება ლულა როცა სამხეცეს განმენდენ... და ორი ჯარისკაცის სიცოცხლეს შეინირავს.

— ვააჰ. — ყვირის პოლკოვნიკი ყურაშვილი, ვინ უსმენს.

— სადილობის დროა-მეთქი, ადექით! — ნამოყრის ბიჭებს მზარეული. იქვე მინდორში, მინაზე იშლება „ქართული ბაღდადი“, „ჭრელ ბაღდადზე გავშლი სუფრას“. ნამოდგება კაკო მალლაფერიძე.

— სუფრას გაჩვენებ, მე შენ.

— არ აჭამოთ, სანამ არ მოყვება.

კაკო ერთბაშად ჩემს თვალწინ იცვლის იერ-სახეს. მერე გადამალულ „ბუზის არაყს“ ჭიქაში ასხამენ. თან ბოთლს გახედავენ სინათლეზე — რამდენი დარჩაო.

— ბიჭების ხსოვნა იყოს, იმათიც, რამდენი კარგი ვაჟკაცი იღუპება. რადიოში მოვისმინე, ჩვენები ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ერთი ეძახის მეორეს — ერთი „კამეჩი“ გამოუშვიო. — მეორე, ეტყობა, ახალი შეცვლილი იყო, პაროლი არ იცოდა, ან მთლად ბავშვი იყო.

— რა „კამეჩი“? — გასძახის.

— ერთი „კამეჩი“, შე კრეტინო! — იხრჩობა რაცია — ველარ ვუძლებთ, მაგრად გვანვებიან.

— სადა მყავს „კამეჩი“, გიჟი ხომ არა ხარ?

— გადაეცი, ერთი „კამეჩი“ გამოუშვან. იქ იციან.

აფხაზი ჩაერთო, ველარ მოითმინა.

— ერთი ტანკი, ბიჭო, ერთი ტანკი გამოუშვითო.

— აფხაზმა უთხრა, არა-ო, — სევდიანად

თქვა ლადომ. — მეც გამიგია, იქაც ბევრი მაგარი ბიჭია... ხსოვნა იყოს.

— აგერ, ნატა დეიდა მოდის. — ნამოენთება ლევანი. — რაღაც მოაქვს.

ფერდობზე სახლებია, ზოგი ქართველის, ზოგი აფხაზის, სხვები უკვე არ მაინტერესებს. ნატა ქობალია ნახევრად აფხაზური, ნახევრად-ქართული ოჯახის დედაა. დღეში რამდენჯერმე გვაკითხავს, ხან ბიჭს გამოავაზავს. მოაქვს ხან რძე, ხან ამოზელილი სულგუნი, ხანაც ხილს მოგვიკითხავს. საათობით სხედან ჩვენთან და წუხან: თქვენ რომ ნახვალთ, მოგვენატრებით. ისე შეგეჩვიეთ, მერე რა ვქნათო?. თან შიშით იკითხავს: რა ვქნათ, ნავიდეთ თუ დავრჩეთ, ველარ გავიგეთო. ყველა საჭირო, აუცილებელი ნივთი კარგა ხსნის შეკრული აქვთ. ჩვენ არც გვიმხელებ შიშს, ისე კი შიგადაშიგ შეშინებული თვალებით შემოგვეყურებენ: როგორ ფიქრობთ, მოგვერევიანო?... აღარც იმ ოჯახებისა ვიცი არაფერი. სად ნავიდნენ, ან მოასწრეს კი გამოსვლა? ოჯახში ერთი წლის გოგონა და ფეხმძიმე რძალი ჰყავდათ. ოო, როგორ მინდა იქით დაბრუნება, იმ ნამსვე ფეხით მოვივლი, მოვიკითხავ, მოვძებნი ადამიანებს, რომელთა სახეების გახსენება მოსვენებას მაკარგვინებს. სადა ხართ ახლა? — ვკითხულობ და არსაიდან არ ისმის ნაცნობი ხმები.

რა არის ასაკი? ალბათ, ხსოვნა, და კვლავ შეხვედრაზე ფიქრი და შიში, ვაითუ, სადღაც გაითხარა სახელდახელოდ მინა და შთანთქა მათი სხეულები. ვინ მეტყვის. მე ხომ მათზე ფიქრი დამყვება და ამ ფიქრთან ერთად ეს კითხვა: საიდან მოდის მტრობა, ან სიკეთე და სიყვარული? ხომ იყოფა ორად გულები, ერთმანეთის პირისპირ ხომ დგებიან, სადარის გონების ბიძგი, რომელიც მტრობასა და სიყვარულს შორის წყალგამტარია. როცა გონება თვლემს და, უჩხულები იღვიძებდნენ კი... მაგრამ აქ არ იყო გონების მასიური დაბინდვა. პირიქით, მათ, ვინც „ახალ“ ქართველებად, ახალ „აფხაზებად“, „ახალ რუსებად“ ნამოყვლელებად ეძახებოდნენ ცოტა ხანში, კარგად იცოდნენ, რასაც იქმოდნენ. ომი ყველაფერს ჩამოწერს — ჩამოწერა კიდევ: ზოგისთვის იარაღი, ზოგისთვის ნაძარცვი, ზოგისთვის მიტაცებული მინები, ზოგისთვის მშობლიური კერა. და ყველა უკეთესი საქართველოსთვის, უკეთესი აფხაზეთისთვის იბრძოდა. ოლონდ, უკეთესი საქართველო ზოგისთვის სიცოცხლესთან ერთად ჩამოიწერა. მორჩა, დამთავრდა... იქ არ იქნებოდა გაღმა-გამოღმა ნაპირები, იქ არ იქნებოდა შუა გახლეჩილი ქვეყანა, იქ არ იქნებოდა სიძულვილი, სიხარბე და ანგარება. იქ ერთად იქნებოდნენ, ისინიც, ვისთვისაც ერთი „სგუშრონის“ ქილის გაყო-

ფაც შეიძლება და ისინიც, ვისთვისაც არ კმაროდა ათასობით ლიტრი სანჯავი, ფულზე გადაცვლილი ტყვია-ნამალი, ამერიკული ჰუმანიტარული ტვირთი, იარაღი, დატაცებული ქონება, მანქანები, ოქრო და ბრილიანტი...

ახლა მთავარი იყო იმის ცოდნა, ვინ აწერდა „მიღება — ჩაბარების“ აქტს ხელს, რათა, მომავალში, საკმევლს თავისი გზა ჰქონოდა, წყველა-შეჩვენებას თავისი; კეისარს კეისრისა, უფალს უფლისა. არ მსურს ის ჭაბუკები მოტყუებულნი იწვნენ მშობლიურ მიწაში. ისინი თვალახვეული კი არა, მკერდმოშიშვლებულნი მიდიოდნენ სამშობლოსათვის.

ცოდვილი მიწა კი ყველას იტევდა, ყველას მიიღებდა ბოლოს და ბოლოს. ომი იყო განსაზღვრული, საიდანაც ერთადერთი გასასვლელი, ვინრო და სათუთი, მხოლოდ ფრთაშესხმული სულის გამტარი იყო, რომელსაც არ ამძიმებდა „ჩამონერილი“ ნარჩენების სიმძიმე... ასეთები, თურმე, ერთეულები იყვნენ. მაგრამ მაშინ მათი ამოცნობა შეუძლებელი იყო. მაშინ როგორ ნარმოიდგენდი იმას, რომ ათასწლეულებით გამოტანჯულ თავისუფლებას, ისევ მონობაზე გაცვლიდა ვინმე, რადგან მონა ის არის, ვინაც, ხელფეხდაბორკილი, მუდმივ შიშსა და ძრწოლაშია... არავინ ხელყოს მისი სიმდიდრე და ფუფუნება.

დღეები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს ერთი ტკივილით, მოლოდინის გაურკვევლობითა და მომავლის იმედით. ოღონდ, ამ იმედში იდო სევდა და მწუხარება, რადგან ადამიანები, სახეები ნელ-ნელა ქრებოდნენ, ლიც-ლიცებდნენ ცნობიერებაში. დრო მიდიოდა და მათი ფოკუსაცდენილი ძველი პორტრეტები ახალ ინტერიერებში ველარ ჩაინერებოდნენ. ისინი იქ დარჩნენ, იმ ველებზე, იმ ტყეებში, იმ ნაპირებზე. ისინი მხოლოდ ჩვენთვის იქნებოდნენ გულზე სათუთად დაკიდებული, ნაცრემლარი ავგაროზები. მათთვის მერე აღარავინ მოიცლიდა, მოვიდოდნენ „ახლები“, რომლებიც ყველაფერს გააახლებდნენ. იქ, სადაც ფუფუნება იბრწყინებდა, არ განათავსებდნენ შაფარჩოიანთ. ძველებური ყაიდის „ხსოვნა“ მათთვის არის მარადიული რელიქვია, ვისი სიცოცხლის და ცხოვრების ნაწილიც მათშივე დუმს. სხვათათვის ასეთი ხსოვნა „კაკაფონია“, ყურს რომ ჭრის და გულს აწვრილებს.

კედლებიდან სურათებში შერჩენილი წამი შემომხედავს. გაფურბივარ ამ მზერას და არც უიმისობა მინდა. მინდა გადავრჩე, გავაღწიო ამ ტკივილის ღვარცოფს, მაგრამ არ მინდა განვთავისუფლდე მისგან. მრცხვენია მათი, ცოცხალი რომ დავრჩი. ვფიქრობ, ხომ არ იყო მათში მოტყუებით დასაკლავად გადენილი ხარების სიშმაგე? რა შემძლო მათი სიკვდილის ასაცილებლად? რა ვერ გა-

ვაკეთე? სად ვირწმუნე და სად შევცდი? ან შემძლო კი სხვაგვარად მოქცევა? ერთი და იგივეს ჩავძახი ჩემს ძმას, დაუსრულებლად, კედელს თვალმიშტერებული. ვეძახი. ვუხმობ. ვთხოვ განერიდოს ყველაფერს, მე მაინც შემობრალოს, რადგან ჩემთვის მისი სიკვდილის შემდეგ, დამთავრდება სულის სიმშვიდე; დაუსრულებლად მესმის მისი მტკიცე, ერთი და იმავე ტონით, მოჭრილი სიტყვა:

— შენ შენი ცხოვრება გაქვს, მე ჩემი. გინდა შენი ძმა ლაჩარი იყოს? იცოდა კი, რა ელოდა? ნუთუ მზად იყოს ამისთვის? ისლა მრჩებე მოვიკუნტო და დაველოდო, როდის გაივლის ყველაფერი... ის კი მიდის ბიჭებთან ერთად... მომლიმარი, მათ მხრებზე ხელგადახვეული. ფეხებს არ აკარებენ მიწას, მიდიან... რძისფერ სივრცეს შეერევიან, მივდეგ — დამიცადე, დამიცადე! ერთხელ შემობრუნდება — სახლში ადიო, — ხელს ამიქნევს და წავა, ბიჭებს შეერევა. მერე აბოლდება ყველაფერი, ნისლი გაიფანტება. გაიცრება და მხოლოდ მათი ხმები წამოვა შხაპუნით, წვიმასთან ერთად დაასველებს მიწას. ახლად ამობრიალებულ მწვანე ლორთქოს ნამად დაედინება. კვიპაროსებზე მძივებად აიკინძება. მელვიძება. ისევ ჩვეულებრივი დღეები, ისევ დარდი: როდემდე? ერთადერთი ნუგეში მხოლოდ მინის სიკეთეა და თავისუფლება, მხოლოდ მასთან დაბრუნება, ოოო, როგორ გავერთხმები იმ ლორთქოს. როგორ შემოვხეხვევი იმ კვიპაროსებს და ტურებით ავკრეფ მათ ხმებს, — ნამს, ცრემლებად რომ ბრწყინავს ახალ გათენებულზე. ვისაც ეს ტკივილი არ განუცდია, ვის ოჯახზეც და გულზედ არ გადაუვლია ამ უბედურებას, ის ვერ გაიგებს, რას ყვება კვიპაროსი... რატომ ციმციმებს ნამი და რატომ იკინძება ცრემლებად კვიპაროსებზე წვიმის წვეთები.

მზერა მეორე სურათს დააკვდება. მარცხენა კუთხეში გორგასლის მედალი, სიკვდილის შემდეგ, — წინა ხაზზე გარბის ვიდეოკამერით. მომძახის, — არ წამოხვიდეთო — არ შემოძლია მივატოვო, მივდეგ და ვფიქრობ თუ სიკვდილია, ერთად მოვიდეს. ის კი მიდის, ტყვიის წვიმაში მიდის. შვილებს ვახსენებ, მინდა შევაჩერო. ვიცი, მისი გული ამას ვერ გაუძლებს, მიდის... ვახსენებ, როგორ უფრთხილდებიან სხვები სიცოცხლეს. ვთხოვ ცოტა დაიცადოს, შეწყდეს სროლა და მერე... „რა? ეს არ შემოძლია, ჩემგან აქაურობას განრიდება ლალატი იქნება! — რატომ? იმიტომ, რომ ის ერმაკოვია, რუსული წარმოშობის გვარის კაცი. იმიტომ, რომ ქართველს არავინ მოკითხავს ისე. მას ერთიასად მოეკითხება. ეს იცის. არადა, მეც გვერდითა ვარ, მასთან ერთად, რადგან ომს თავისი კანონები

აქვს, სიყვარულს თავისი, სიკვდილს თავისი, სიცოცხლეს თავისი – სამშობლო კი ერთია დალუპულისთვისაც და ცოცხლად დარჩენილისთვისაც. სამშობლოსათვის ყველაფერი ალალია, ოღონდ ესაა, რომ შვილების სევდიან, უსიტყვო, გულნატკენ გამოხედვას ველარ გაუძლებ, როცა გარშემო უმადურთა ზეიმი იქნება. არადა, იქნება.

დღეები კი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ოოო, აფხაზეთო, როგორ გითხრა, ხარ ჩემთვის. შენი სიყვარული სისხლით მომიპოვებია. შენი მწუხარების ჭირისუფალი ვარ და სევდით დამიცვარავს ყველა შენი მიუვალი ბილიკები. ის კი არა, ნამიც დამითვლია შენს ლორთქოზე. შენში ჩაინთქა და ჩაინურა სისხლის წვეთებად ჩემი სისხლი და ხორცი. ჩემი სული ახლაც დაჰქრის გუმისთას ნაპირებთან. შენა ხარ ჩემი სისხლისა და ხორცის ნაწილი. ჩემი რწმენის კედელი, ჩემი იმედის ნავსაყუდარი. რადგან შენს უკვდავებაში ჩემი უკვდავებაცაა. „მკერდმოჭრილი ხარ უსაქართველოდ, ამორძალი“. და ჟონავს მოჭრილი ძუძუდან შენთან შეხვედრის სურვილის ხსენი და ცალ ძუძუში ქვავდება მოძალებული რძე... და სადღაც ტირის მკერდს მონყევეტილი ჩვილი, გასხვისებული და გაუცხოებული. მე ვინ მასწავლის შენს სიყვარულს? ან შენ ვინ დაგიოკებს ტკივილს? შენს გულზე ყოველ გაზაფხულს ალისფერი ყვავილებით იფარება შენთვის შენირული ბიჭების ნასისხლარი. ჩვენ სისხლით ნათესავეები ვართ. შენ არ შეგიძლია ჩემი დავინყება და მე კი შენი. ამიტომ მჯერა, მე მოვალ შენთან, შენს გულზე გავერთხმები უიარალოდ და უდაფდაფოდ. მოვალ და მოვისმენ, როგორ ეცემა წვიმის წვეთები შენს მწვანე ლორთქოს... როგორ ასველებს კვიპაროსებიდან მოთქრიალე წვიმის წვეთები იმ რაინდის თმებს, ვინც გვიყვარდა...

სამონტაჟო სტუდიაში შემოვიდა საშა იოსელიანი. გამხდარი მეჩვენა. მისი სევდიანი დიდი თვალები ახლა უფრო დიდია. საშა ყოველთვის ლამაზი მახსოვს, შეუდარებელი. იმ დღეს განსაკუთრებით ლამაზი იყო. ერმაკოვი უკვე დალუპულია, შავები მაცვია. საშა შემოვიდა, დაიხარა, მაკოცა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

— მრცხვენია შენი. — მხარზე ხელი მომხვია.

— რატომ? — გამიკვირდა. — რატომ, საშა?

— ლადო დაილუპა. ასე მგონია, ვალში ვართ შენს წინაშე.

ლადოს დაკრძალვის შემდეგ არ მინახავს, იმ დღეს ჭკუიდან გადასულს არც კი მახსოვს, ვინ იდგნენ ჩემს გვერდით. საშა დამამახსოვრდა. ჩემს ახლოს იდგა, თავჩაღუნული. სახეზე კუნ-

თები უთამაშებდა. დროდადრო მუშტად შეკრული ხელი მიჰქონდა გულთან. მერე ერთბაშად თითქოს შეირყა, თითქოს გაჩერდა დრო. მახსოვს, ჰაერში გასროლის ხმა. საშა ემშვიდობებოდა მეგობარს. მივხვდი, ჩემი შვილების მამა მინაში ჩაასვენეს. მუხლები მომეკვითა. თავი ავნიე. საშა იდგა ჩემს წინ, ტიროდა საშა და – გული არ დაგწყდეს, ალბათ, მეც მალე წავალო. ღირსეული ვინც იყო, ყველა იქ არის, ომში ვაჟკაცები კვდებიან, უწმინდური სისხლი მინას არ ჭირდებაო, — ასე მითხრა საშამ.

ახლა, სამონტაჟო ოთახში ჩემს გვერდით იდგა საშა.

— ხვალ მივდივარ აფხაზეთში.

— რომელ საათზე? — ნამოვხტი.

— ალბათ, დილის რეისით.

— თავს გაუფრთხილდი, — ვევედრები. — შენს შვილებს სჭირდება, იმათთვის მერე ალარავინ მოიცლის. ანაც ცოდოა. მარტო დარჩენა ძნელია ქალისათვის, გაუჭირდება.

— შენ რა, არ გიჭირს?

— ჰოდა რომ მიჭირს, იმიტომ გეუბნები.

— რას იზამ, კაცის ვალი ეგ არის, ამათ ხომ არ დავემსგავსებით. ჩემი გარდაცვლილი მეგობარი მირჩევია ამათ სიცოცხლეს.

მეორე დღეს აეროპორტში შევხვდით, სულ მთლად გადაირია, აქ რა გინდაო. მერე, აფხაზეთში სხვადასხვა პოზიციებზე ვიყავით, რალაც წინათგრძნობა ჰქონდა, ახლა ვხვდები, მაშინ ვის ეცალა ფიქრისთვის. სევდიანი იყო... წავიდა, ერთხელ მოიხედა, ხელი დამიქნია. გამიღიმა — თბილისში შევხვდებით, იქნებ ერთად გავაკეთოთ ფილმი. მეტი აღარ მინახავს, წავიდა საშაც... წავიდა. კიდევ ერთი ჭრილობა, კიდევ ერთი ჩარჩო... როდემდის?

მახსოვს ანა და საშა ერთად კონსერვატორიასთან. საშა ანას ელოდება, ანა გამოდის. გამხდარი, სიფრიფანა. დაუყვებიან ქუჩას — ფერი-ფერსო — გაიღიმებენ. მერე ზაფხული... ანას აგურისფერი კაბა აცვია, საშას ცისფერი პერანგი — დაუყვებიან ქუჩას ფერი-ფერსო — ისევ გაუღიმებენ...

მერე წვიმა... ნიაღვარი მოდის გრიბოედოვის ქუჩაზე. ხალხი სადარბაზოებს აფარებს თავს. საშა ანას მიარბენინებს. გზაჯვარედინზე დიდი გუბე დგას. საშა გუბეში შეტოპავს და ანა ზურგზე ჰყავს მოკიდებული. ისევ ჩერდებიან გამვლელები — ისევ აღტაცებული ვარ, ღმერთო, ულხინე — არ ვეხმიანები, ისე შევხარო. არ მინდა ეს დიდებული წამი გავხლიჩო, ეს ჰარმონია დავარდვიო.

ოოო, აფხაზეთო, ამ დახლეჩილ მოგონებებს მხოლოდ შენთან დაბრუნება გაამთელებს, რადგან ომს თავისი სასტიკი კანონები კი აქვს, მაგრამ სიყვარულსაც ხომ აქვს თავისი კანონები.

ამიტომაც მენატრები, ვიტანჯები. მომნუს-

ხავ, როგორც ნიჟარაში ჩამწყვდეული ტალღების შრიალი, — და თუ შენამდე მოვალნი, თუ ერთმანეთი ისევ მოვძებნეთ, თუ მიტყევა შევეძელით, მაშინ მსხვერპლი უაზრო არა ყოფილა.

სად არის მწვერვალი ჩვენი რწმენისა?

— ქალბატონო ნანა. — მომიჩოჩდა ლოცულა.

— ჰოო, ლოცულა.

— ააა. — ლულულულებს ლოცულა და ვერაფერს მეუბნება.

— ჰოო, ლოცულა, მითხარი.

ლოცულა აქეთ-იქით მოიძიებს — ვიცი, ბურდანიჩს ეძებს, არ უნდა თავზე წამოადგეს — სადმე, ახლო-მახლო ხომ არ ჩასაფრებულა ბიჭი. მერე ყვავილის ღეროს ჩაიჭყლეტს კბილებში.

— ჰოო, - ვამხნევებ, — მითხარი, მკითხე.

— ქალბატონო ნანა, ეს სიზიფა ვილაა?

— ვინ? — ყურებს არ ვუჯერებ.

— რა ვიცი, ეს ბრძოლა, სიზიფეს შრომააო.

— რა არისო? — ვეკითხები. — კარგად მითხარი, ლოცულა, ვინ თქვა? როგორ თქვა?

— ჰოო. — გონებას ძაბავს ლოცულა. — აფხაზეთის დაბრუნებაო და მაგისტრის ბრძოლა სიზიფეს შრომააო.

— ვინ თქვა, ლოცულა.

— სთქვეს. — რალაც ცუდი იყნოსა ბიჭმა — კბილებში გამოსცრა და თვალი ამარიდა.

— აი, თურმე რა... სიზიფე, ჩემო ლოცულა...

არ მახსოვს რამდენი ვილაპარაკე, რა ვუთხარი ან როგორ ვუთხარი.

— ქალბატონო ნანა — მხარზე ლოცულას ხელი მედო და თვალებში მიყურებდა, მზუნაკიდებული, აჭარხლებული, ჭორფლით დანინკლული ცხვირი, ჯერ ისევ ბავშვიდ დიდი ცისფერი თვალებით არა, სათავიდან მიმდინარე ალაზნისფერი თვალებით — „კახელი და ასეთი ცისფერი თვალები?“ — ჩემთვის ჩამელიმილა — უფრო ლაზისტანი იმზირება ამ პატარა ბიჭის სულის სარკეებიდან.

ეტყობა სახეზე გადამეფინა ფიქრები, რადგან ლოცულას თვალებში შიში უკუიქცა და ბიჭმა გამიღიმა, ამოისუნთქა და ნერწყვი გადაყლაპა... და რაც მითხრა, ახლაც მხარავს, რადგან დღემდე ვეძებ ადამიანს ვინც, მე კი არა, ლოცულას უპასუხებს.

— ჩვენ ხომ აფხაზებს არ ვეომებით, ჩვენ ხომ აფხაზების და ქართველების აფხაზეთს ვიცავთ. ეს რა, სიყვარული არ არის.

— რა თქმა უნდა.

— მაშ რატომ არის ეს ბრძოლა სიზიფეს შრომა? რა, ვერასოდეს დავიბრუნებთ აფხაზებს?

— აფხაზებს თუ აფხაზეთს? — ვეკითხები

და თვალებში ვუყურებ. ლოცულა შეყოვნდება, თვალებს გამისწორებს, — „რამე ხომ არ შემეშალაო“, ნამდვილად ასე იფიქრებს. მერე დამაჯერებელი ტონით — აფხაზებსო — მეტყვის.

— მაღლობა ღმერთს, კარგი ბიჭი ხარ, აფხაზეთი ისევე წარმოუდგენელია უაფხაზოდ, როგორც უქართველოდ.

— მაშ რატომ არის სიზიფეს შრომა? — არ მეშვება ლოცულა.

— რას ჩააცივდი, ვერან, შენი შიშით, ვეღარ დაიძინა ადამიანმა, იმ წუთში თავზე წამოადგები აწყვეტილი ნაგაზივითაა. — ბურდანიჩი ისე წამოგვდგომია თავზე, ვერც შევნიშნეთ.

— ნაგაზი არა ხარ? — იცინის ლოცულა, თან ჩემი დასტურიც უნდა, ვატყობ. — ეგრე არ არის, ქალბატონო ნანა?

— ორივე კარგი ნაგაზური ხართ, ტოლს არ უდებთ ერთმანეთს. — ვიცინი.

— მამინდომა მითოლოგია. — სერიოზული კაცის სიმშვიდით ამბობს ბურდანიჩი.

— ეეე. — პირი დაალო ლოცულამ.

მივიხედ-მოვიხედე, მთვარის შუქზე მოვიძიე — ვის არ სძინავს. — ვინ დაგმოდვრათ? — ვეკითხები ბურდანიჩს. დიდი ნაძვის ძირში ლევანმა იცვალა მხარი, მთვარით განათებული სახე მოგვარიდა.

— ვიცი, არ გძინავს. — გავძახე ლევანს. — რას იმალები, შემოგვიერთდი.

ლევანი დგება, ფარაჯას მხრებზე იხურავს და გვერდით გვიჯდება.

— ლოცულამ თქვენ რომ გკითხათ, — იცინის ლევანი. — ბურდანიჩი მე მომიჩოჩდა. მაგ ვერანამ არ მაჯობოსო.

— მერე? — ვეკითხები ლევანს. — რა ვქნათ, რა ვუპასუხოთ, შენ აქ უნივერსიტეტში ხომ არ გგონია თავი, ლექციებზე.

— ჩვენ რატომ უნდა ვუპასუხოთ, — ბურდანიჩს გადახედა ლევანმა. — თვითონ იციან პასუხიც და ბევრი რამ კიდევ სხვა.

— სხვა რა, კიდევ? — გავხედე ბურდანიჩს.

— თვითონ გეტყვის — სულ ამირ-დამირია უნივერსიტეტის „კონსპექტები“. — იცინის ლევანი.

— რა თქვა, ვერან, ასეთი. — ლამისაა გაიგუდოს ლოცულა ხარხარით.

— აი, — ბურდანიჩი მოლზე მოირთხმევა.

— არ გაცივდე, ნამიანია. — ვეუბნებით. — აი, დაიფინე ეს ფარაჯა.

— რა გამაცივებს. — ხელებს შლის ბურდანიჩი.

— დაიგე - მეთქი. — ვტენი გაშლილ ხელებში ფარაჯას.

— არ მინდა, რაა. — მელრიჯება ბურდანიჩი.

— იცოდე არ მოგისმენ. — ვემუქრები და ცვდილობ ბურგი შევაქციო, ვაითუ საუბარი

შენყდესო და გაგიჟებული ლოცულა ბურ-
დანიჩს დაეცაქება, ამოაბრუნებს მოლზე და
ცდილობს ფარაჯა შეუცუროს.

— ჯოო, რით ვერ გაიგე, არ გაცივდეო, ოო-
იჰ.

— ჰოო, ჰოო. — იცინის ბურდანიჩი და ჩემ-
სა და ლევანს შორის გაშლილ ფარაჯაზე ჯდე-
ბა.

— მიდი, ახლა ჩამააფქვევინე. — ნებას
რთავს ლოცულა — არ შაგეჭამა, ოოიჰ.

— აი, — იწყებს ბურდანიჩი. — აი, ეს
მწვერვალია. — იქვე წამოზრდილ მინის პატა-
რა ბელტს შემოსაზღვრავს.

— მერე, ეგ მწვერვალია? — არ აცდის ლო-
ცულა, ამკარად ეტყობა, გაბრაზებულია. —
მითომ რამე გაგეგება?

— შენ ხომ გაგეგება, მამეხმარე. — ბურდა-
ნიჩი ქვას აწვდის.

— მიდიი...

— მიდი, ლოცულა მიეხმარე. — ვამხნევებ
ბიჭს.

ლოცულა ქვას ჩამოართმევს.

— მერე, სად წავილოო?

— შაიტენე. — წამოისვრის ბურდანიჩი, მე-
რე შეშფოთებული თვალებით შემომხედავს
— მაპატიეთო.

— რო ჰკითხო, კახელი მე ვარ. — ნიშნის-
მოგებით იტყვის ლოცულა და ჩანყნარდება
რადგან ბარი-ბარში არიან. — მა, რა გეგონა,
ჩუმ-ჩუმად რო დაძვრები?

— ლოცულა, — ვტუქსავ. — აღარ უნდა
დანყნარდე, შენ რა, ჩუმ-ჩუმად არ მომიჩოჩ-
დი, რა, უთხარი მაგას? — ლოცულა პირს იბ-
რუნებს ფხუკუნით და ბიჭები ჩანყნარდებიან.
ლევანი თვალს მიკრავს და...

— აბა, მიდიო. — ბურდანიჩს ამხნევეებს.

— აი, — ამბობს ბურდანიჩი — ეს ხომ
მწვერვალია.

— მწვერვალია. — ერთად ვპასუხობთ მე
და ლევანი.

— მაიტა, ეგ ქვა, აი, აქ დადე.

— დავდე. — „მწვერვალის“ ძირში დებს
ბურდანიჩი ქვას. სიგრძეზე ჩაუმწკრივებს კენ-
ჭებს. ესენი სიზიფეებია. — გადაჭრით იტყვის
და „მწვერვალიდან“ უკან დაიჩოჩებს.

— რა სიზიფეები. — იყვირებს ლოცულა.
— ერთი არ იყო.

— არა...

— რა, არა. — შემომხედავს ლოცულა. — ნა-
ხეთ, სულ გაუბერა.

— აცადე, ლოცულა. — ვაჩერებთ ბიჭს და
ბურდანიჩს მივუბრუნდები. — სიზიფეები?

— ჰოო. — შეხედავს ლევანს, — „ჯერ სად
არიანო“ — ჩაუღიმილებს.

— მერე. — შეუღრენს ლოცულა.

— მერე ისა, რომ — ბურდანიჩი სათითაოდ
იღებს კენჭებს. — ეს ერთი სიზიფე შენა ხარ.

— მეე? — ხმაში კმაყოფილება შეეპარება
ლოცულას.

— ჰოო. — ეს მე, ეს ქალბატონი ნანა, ეს
ბ-ნი ლევანი.

— გუჯარა? — პირში ეცემა ლოცულა. —
გუჯარა არ არის.

— აი, გუჯარა, შენ გვერდით, — დააჭყლი-
ტავს კენჭს მინას ბურდანიჩი. — დანყნარდი,
ვერან... ჩვენ ყველა ამ „მწვერვალისკენ“ მივ-
დივართ და იცი, რა მიგვაქვს.

— რა მიგვაქვს. — თვალებს აცეცებს ლო-
ცულა.

— ჯერ, ისა სთქვი — ახსენებს ლევანი. —
„მწვერვალი“ რა არის?

— ჰოო, მწვერვალი აფხაზეთია.

— რაა, აფხაზეთი? — აღარ ვიცი გავიცინო
თუ გავიოცო.

— დიახ, აფხაზეთი. — ბურდანიჩი ბედნიე-
რია, რადგან ჩემი გაოცებაც შესძლო.

— საინტერესოა... მიდი, მიდი, ვნახოთ რა
ბიჭები ხართ.

— ლევანს მხარზე შემოვკრავ ხელს.

— ჰოდა, აი, — ჩამომარცვლის ბურდანიჩი
— ესეც ჩვენი გზა, აღმართი, ავდივართ ერთმა-
ნეთის მიყოლებით და მიგვაქვს ლოდი.

— ლოდი? სადა ხედავ, ვერან. — თვალებს
ჭუტავს ლოცულა, მიყურებს და ცდილობს მი-
მიხედვს სათქმელს.

— მიდი, ლოცულა, დაფიქრდი. — ვამხნე-
ვებ ლოცულას.

— ააა, — ჩაიღიმილებს ლოცულა. — ორი-
ორზე?

— ჰოო, ლოდი. — ახლა ბურდანიჩი წამო-
იჭრება.

— ლოდი, ლოდი, — ლოცულას შუბლზე
ძარღვი ამოებერა. — სად არის ლოდი?

— ლოცულა, იფიქრე. — არ ვეშვები.

ჩვენი საუბარი აზარტში შედის, ეს უკვე პა-
ექრობაა. ისე ხმამაღლა ვლაპარაკობთ, ბიჭებს
ელვიძებათ და ნელ-ნელა ჩვენს გარშემო იკრი-
ბებიან.

— რა ხდება? — თვალებს აცეცებს დათო
ლეჟავა

— გაგიჟდით, დაიძინეთ.

— აფხაზეთი თუ მწვერვალია... ჩვენ თუ
ვართ სიზიფეები... ლოდი რაღა უნდა იყოს? —
ლოცულასთან ერთად უკვე სხვებიც იჭყლე-
ტენ ცხვირ-პირს.

სიჩუმე ჩამოწვება, სუნთქვაც კი გვესმის
ბიჭების. „ჩორტიკა“, დილით, ქობალიების მო-
კითხულ ვაშლებს ახლაპუნებს და ბიჭებსაც
სთავაზობს.

— ვიცი, — იყვირებს ლოცულა. — სიყვა-
რულია.

ბურდანიჩს ეტყობა სხვა პასუხი აქვს და
ლევანს შეხედავს, — „ასეაო“?

— შეიძლება, — დასტურს აძლევს ლევანი,

ეტყობა პასუხით კმაყოფილია. — მერე, ბურ-დანინი?

— რა, მერე? — ბიჭი ხელებს შლის. — მიგვაქ რა, ეგ ლოდი. იქედან გვესვრიან, ვკვდებით...

ლოცულა, ნელ-ნელა ყრის კენჭებს. მერე ისევ, თავიდან აწყობს და ისევ ყრის, მერე ისევ აწყობს. „მწვერვალს“ ხან ერთი მხრიდან შემოჯარავს „სიზიფეებს“, ხან მეორედან. ეძებს გამოსავალს. ვილაც უნდა ავიდეს, თუნდაც ერთმა უნდა აიტანოს ოცნების „მწვერვალზე“ „ლოდი“.

— მაინც ავალო. — ბურდუნებს ლოცულა და ბიჭები სულ გადაირიენ, ყველა თვალდაჭყეტილი დასცქერის „ბრძოლის ველს“. არჩევენ „პოზიციებს“.

— ეს გელა, — ერთმანეთს არ აცდიან. — ეს გუჯარა, ეს დათო, ეს „ჩორტიკა“, ეს კაკო, ეს პავლე, ეს როსტომი, ისევ პავლე, ისევ გუჯარა...

ხუთი თვის შემდეგ გუჯარ ყურაშვილი, დაგლეჯილი მარჯვენით, სამიზნე ბორცვიდან ზურგით ჩამოიტანს ლოცულას დაცხრილულ სხეულს. ცამეტი წლის შემდეგ დათო ლეჟავა მეტყვის ბურდანიჩის დაღუპვის ამბავს. აღარ იქნებიან ბ-ნი პავლე ნორაკიძე და როსტომ ნიორაძე. გაჭაღარავებული კაკო მაღალდაძე გამახსენებს სევდიან „ქრონიკებს“. ათასჯერ დაგორდება ქვა, თითქმის მწვერვალზე ატანილი. ბევრი რამ გადაფასდება, ბევრი რამ ნაიშლება; გაიცრიცება ხსოვნის ფურცლები. მაგრამ, ის ღამე... „მწვერვალისკენ“ მიმავალი „სიზიფეების“ ლაშქართა ღამე დარჩება. იმას ვერაფერი მოერევა. ვერავინ ნაშლის.

ვინ იყვნენ ისინი, „სიზიფეები“, რომლებმაც იტვირთეს ლოდი სიყვარულისა, მწვერვალზე ასატანი. მათ თავისი მითი შეჰქმნეს. ისინი ისევ ამ აღმართზე ჩანან. არც ლოდი ემძიმებათ და არც აღმართია მძიმე ასასვლელი. თავად მწვერვალი ეზიდება, იმიტომ, რომ იქ, იმ მწვერვალზე ეგულებათ მათსავით მოტყუებული და განწირული ძმა. ეს იყო ჯვარი, მათი ღირსების ტოლფასი. ისინი ფიქრობდნენ ამ „ჯვარის“ მისტერიაზე.

— ეეე. — ახლაც მესმის ბიჭების ხმა.

— შეიძლება სიყვარული ლოდად იქცეს?

— რა ლოდი, რის ლოდი, რა აღმართი, მაინც ავალ... — და ამ აღმართზე ისინი პირისპირ იდგნენ სიკვდილთან. ლოდი კი ისევ გორდებოდა უფსკრულისაკენ, „სიზიფეები“ ისევ დგებოდნენ ერთმანეთის მიყოლებით. რა დამავინყებს „ტრასირებით“ გადანათებული, ნოტიო მიწაზე, ჩხირებით მოჩიჩქნილ ფორმულას. მწვერვალი — აფხაზეთი; ლოდი — სიყვარული; სიზიფე — თაობები, აფხაზეთიც და ქართველებიც. აღმართი — ცოდვათა მონანიება...

აღარ დავფიქრდებით, რატომ გორდება „ლოდი“ უფსკრულისაკენ; რისთვის გადის ერთსა და იმავე გზას „სიზიფე“?

აი, კიდევ ერთი ფორმულა, ნოტიო მიწაზე ჩხირებით მოჩიჩქნილი.

აღმართი — გზა სიყვარულისაკენ.

აღმართზე სვლა — აღქმა — შემეცნება, მისია.

ლოდი — ცოდვები!

— „ყოჩაღ, ვერან. — ბურდანიჩი გულში იკრავს ლოცულას, მერე ჩემსკენ გამოიხედავს. — შენ, კახელი ეძახე, ვერ მოხაზა?“

მერე ვილაცა დაიძახებს, გუჯარა მოდისო. ოჩამჩირედან — მერკულასაკენ გზაზე, „ციცინათელა“ აკიაფდება. ცოტაც და მინდორზე გუჯარ ყურაშვილს შემოიყვანს მანქანა. „ბიჭები არ გავადვიდოო“, ძრავა გამორთული შემოგორდება „დაფეხვილი“ ჟიგული: ბიჭები, ვეღარ მოასწრებენ მილაგ-მოლაგებას ნამჯით დაფარულ ნოტიო მიწაზე და გუჯარიც „მიესიყვარლება“ ჯარისკაცებს.

— არა გძინავთ, არაა, არაა...

ისმის ჩუმი ფხუკუნის.

გუჯარი თვალს მოგვაგვლებს, ჩემზე შეაჩერებს მზერას.

— რასა ყვებოდით, რასა?

— მაინც ავალთო. — სევდიანი ვპასუხობ.

— სადაო? — თვალებს დააჭყეტს გუჯარი და ასწლოვან ნაძვებს ახედავს. — სადაო?

— მწვერვალზეო. — იცინიან ბიჭები.

გუჯარი დაბნეული გვიყურებს.

— რას ამბობენ? — მერე მე მეკითხება.

ჩხირს ვიღებ და მიწაზე, იქ, ბიჭების ფორმულის გვერდით ვწერ: აღმართი — გზა სიყვარულისკენ.

ლოდი — ცოდვები

გზა (პროცესი) — მონანიება

სიზიფე — აფხაზეთა და ქართველთა თაობები.

გვიან დავლაგდებით. ბიჭები ჩაიძინებენ — არ გვძინავს მე და გუჯარ ყურაშვილს.

— ქალბატონო ნანა. — მეუბნება გუჯარი — დაიძინეთ, მძიმე დღე გაგვითენდება.

— გადანყდა? — კანკალი ამიტანს.

— გადანყდა. — იტყვის გუჯარი და ცრემლიან თვალებს მოატარებს ნამჯაზე მიყრილ ბიჭებს. სათითაოდ „დაითვლის“ როგორც ნაქორალ წინილებს, მერე, თვალს მოიჭყლეტს და მეტყვის...

— გადაიღეთ, ყველა, ხვალ ამ დროს რომელიღაც აღარ გვეყოლება.

გაგრძელება იქნება



ვასილ
მოსცაშვილი

26675

სანამ სიკვდილმა
ფრთა არ დაიქნია,
მოდის და
მითხარი, როგორ მოგენატრე...
დროის უტყვე უფსკრულში
ფიქრი აირია,
შენი ღვთაებრივი
სუნთქვით უნდა დავთვრე...

სანამ სიკვდილმა
ფრთა არ დაიქნია,
მოდის,
ჩვენი სახლი ზეცით აივსება...
მსხვერპლად მოძღვნილი
გული დაჭრილია
და ვერ დაამუნჯეს
იგი დაისებმა...

ახლაც ქარია
და ღამისფერ თვალებში ვხედავ,

რომ მონატრებად
იცრემლება შენი სიზმრები...
მდინარესავით
თმათა ტალღებს ჩამოჰყვა სევდა
და გამიტაცა
უსასრულო ზღვაში ფიქრებით...

ახლაც ქარია, —
ვგრძნობ მიყვარხარ იმაზე მეტად,
მონატრებად
რომ იცრემლება ტკბილი სიზმრები,
მოახლოებას მთვარესავით,
ველარა ვხედავ,
სილამაზესთან
უძღურია მხოლოდ სიტყვები...

ჯვარს ვეცვი
შენთვის,
შენ კი დამტოვე...
ალავსე მარტომ
კანდელი ზეთით
და უსუსური,
ჭვარტლით დამთოვე...

მუხლს ვიყრი
მეთქი,
მინამე ერთი...
ერთი და
სამი სახება მთხოვე...
ცრემლით დამიღბე
პიტალო მკერდი
და შენი ჭურჭლის
შესმა მადროვე...

ოლენდრები,
ოლენდრები,
ლურჯ საღამოში
მოჩანან ლურჯად...
მომენატრები,
მომენატრები,
მივეფარები როდესაც ქუჩას...

მთვარისფერ ბილიკს
გაჰყვება ჩრდილი,
გაჰყვება ფრთხილად,
ოცნებით,
ჩუმად,
მოუსვენარი —
გაკრთება ძილი,
გზად ლამპიონი თვალებსა ხუჭავს...

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

გამახსენდება ოლეანდრები,
სიმორცხვისფერი
ყვავილი უჩანს...
ერთად განვლილი,
ტკბილი წამები
და მთვარე,
კოცნას რომ გადაურჩა... ?

* * *

მინაც და ზეცაც
ღერნამივით ჩამეფშხვნა ხელში,
სიცოცხლის ხეს
უძღურება აღარ მიჭირავს...
დახუჭეთ თვალნი,
თქვენ ვარსკვლავნო,
რომ მიჭვრეტთ ბნელში,
ჩრდილთა ნაკადში
მარტოსულმა ფიქრმა იტირა...

გამბანე თვალნი,
მწუხარე ვარ ამ სამოსელში,
ბრწყინვალე ნათლით
მზისფერ სულმა გამოიბრწყინა...
მინაც და ზეცაც
ღერნამივით ჩამეფშხვნა ხელში,
ანკარა წყარომ
დამრეც კლდეზე
მდუმრად იდინა...

და... აღსარება
ჩაიბარა მოძღვარმა ტაძრად...
და სასწაული
სილურჯეში
ყველამ იხილა...
ნათელი სვეტი,
დაიღვარა
ფრესკასთან ფარად
და ამ ნათლიდან
მოალერსე ქრისტემ მიშვილა...

* * *

მონატრებისფერია ღამე
ვსვამ და
მსიამოვნებს...
და უბედნიერეს წამებს
ვგრძნობ
შენს სიახლოვეს...

ამ სილურჯეს სხვები სვამენ,
ვებრძვი სიმარტოვეს...
ვხედავ
ჩემთვის გაშლილ მკლავებს,
ჩახვევნას რომ მთხოვენ...

და არცთუ
შორეულ ლანდებს,
ვარსკვლავები ქსოვენ...
მელნისფერს
და უძღვევლ მთებს,
ნათელს მიათოვენ...

სხვას არაფერს,
სხვას არაფერს,
სხვას არაფერს მთხოვენ...

* * *

წარსული
მტკივნეულად
ვრცელდება ანმყოზე
და ნულარ დაუმეგბ
იგივე შეცდომას...
ამ უღიმღამობით
ლამის არ გავლოთდი,
სიფითრე ღამეთა
სულ აღარ მეცნობა...

მაგ მზიან ღიმილად
სარკეში ვსახლობდი,
სიყვარულს
მდუმარემ შევთხოვე შენდობა...
უფსკრულში ჩაძირულს,
რომ აღარ მწყალობდი,
სანერვიულოდ
მე ისიც მეყოფა...

კოცნას
ალუბლისფერ ღრუბელთან
ვსწავლობდით,
შევრიგდით და ვინყეთ
ლაყვარდთა შეცნობა...

* * *

როდესაც
მტრედს ვაჭმევ,
შენ გიმასპინძლდები
და დილის ცვარივით
ველი მზის მოფენას...
სინათლევ,
მდუმარეს დღეს ისე მჭირდები,
რომ მიჭირს
მინაზე უშენოდ მოთმენა...

ზეციურ სიმშვიდით
ცხოვრებას გპირდები,
ცად მთვარის შუქივით
ჩამოლღვა მოწყენა...
სულს ველარ კვებავენ

მარტოდენ სიტყვები,
წყვილიანი განქარდა
ნაჭუჭისოდენა.

სცხე ჩემს გულს,
შენი წყალობის ზეთი,
გადმოიღვარე ნაკადულივით...
მონყურებული
კრავივით გღვედი,
მზევ,
ილიმოდო გაზაფხულივით...

მაქციე ოქროდ,
მაბრწყინე მრუმზე,
სანმისივით
და საგანძურივით...
დაკიდულია
სული უფსკრულზე,
კლდე დამრეცია
მშობლის ზურგივით...

ნულარ გამატან,
მედეავ უცხოს,
მე ვერ ვიცოცხლებ,
სხვაგან მდგმურივით...
ქარიშხალივით
ზღვას ვამღვრევ უზღვოს
და ტალღა ბლავის
დაკარგულივით...

სულის სიღმეში
ვჩურჩულებ,
ცხოვრება ვნებათა თამაშია...
სამყარო რას უზამს ურჩხულებს,
განა სილამაზე ლამაზშია?..

ვხედავ
ცოდვათა ჯურღმულებს,
ყველა უძღურება ამაშია...
სულის სიღრმეში
ვჩურჩულებ:
ღმერთო,
კიდევ უფრო დამამშიე...
რომ არ დავემსგავსო
უძღურ მზეს,
და...
ხილვა ცხადისგან გავარჩიო...

დღე გაიტრუნა
ვით ხვრელში გველი,
სახლები რა ღრმად
ქაჩავენ ნაფაზს...
მკერდსავსე მთვარე
ვირთხობას წყევლის
და ვირთხის წელი
სულს ძლივსლა ლაფავს...

დაჭრილი გული
მშვიდობას ელის
და თრთოლვით ისმენს
უახლეს ამბავს...


თეთრ კავკასიონს
ჩავეხვიე ობოლ ნისლივით,
უსიყვარულო
სიყვარულის გრძნობამ დამძლია...
ცხოველმა სითბომ
გამაბრუა უძღებ შვილივით
და სიმუნჯეში
სიღიადემ ყლუპად დამლია...

შენ
ჩემს სიზმრებში იქნები მუდამ,
მე კი,
ყოველთვის დაგესიზმრები...
ბროლისფერ სახეს შევეხო უნდა
და მთვარევ,
ნულარ გამერიდები...

ცხოველმყოფელი
შევიგრძნო სუნთქვა,
ჩაგიკრა მკერდში მძლავრი თითებით...
ქარი რომ მქვია—
არა ვარ გულქვა,
ვიცი რომ ამას გვიან მიხვდები...

გზა გამიკვალა
მაგ წმინდა შუქმა
და ამირია ლამემ ფიქრები,
შენ
ჩემს სიზმრებში იქნები მუდამ,
მე კი,
ყოველთვის დაგესიზმრები...





ასე დაუშვით

ოჯახური ილიცია

1

სალამოს ბინდბუნდია. მე და ჩემი ძმა უბნელებთან ერთად ქუჩაში ფეხბურთს ვთამაშობთ. უცებ პატარა ბიჭმა მოირბინა, ხელი საპარიკმახეროსკენ გაიშვირა და სიცილით მითხრა:

— კოტემ შენი და სარდაფში ჩაიყვანა.

უმალ გავიქეცი ქუჩის ბოლოში, გაუქმებული სარდაფის სინესტისაგან დამპალი ხის კიბე ჩავირბინე და მიხურულ კარს მივანყდი. კარი შიგნიდან ჩაქეცათ. ბრახუნი ავტეხე, ვერაფერს გავხდი. კიბე ავირბინე: იმედი მქონდა, ჩემზე ერთი წლით უფროსი ძმის დახმარებით კარს შევანგრევდით და კოტეს მაგრად მივბეგავდით. მომცრო საპარიკმახეროსთან ატუხული უსაქმური, გაურკვეველი პროფესიისა და ასაკის კაცები დამცინავი ღიმილით მიყურებდნენ.

— სალოლ, კოტე! ამ კვირაში უკვე მეორე გოგო მოაყურა! — კმაყოფილებით აღნიშნა ვილაცამ, რასაც ხარხარი მოჰყვა.

შეურაცხყოფილს ცრემლი ყელში მომე-

ჯინა. ბადრის ხმამალა ვეძახდი, მაგრამ იგი არ მპასუხობდა. ისევ სარდაფში ჩავედი. ღია კარიდან შმორის სუნი მეცა. ამოვედი. კაცები სიცილით იხოცებოდნენ. შინისაკენ გავიქეცი და ალაყაფის კართან მშვიდად მდგარი ძმის დანახვისას წონასწორობა დავკარგე.

— სად იყავი, რატომ ხმას არ მცემდი? კოტესი შეგეშინდა?! — ვუყვირე.

— ბურთს გამოვედევნე, არაფერი გამიგია, — თავი დახარა.

ჩემდაუნებურად სილა გავანანი.

— მშიშარა, მშიშარა, მშიშარა!.. — სიტყვებს ვიმეორებდი და ხელებს გამეტებით ვიქნევდი.

— გეყო! — ბადრიმ უკან დაიხია.

დავიხარე, თავი მუცელში ვატაკე და ნაქცევა დავუპირე. ფეხები გაჩაჩხა და ზურგზე მუშტები დამიშინა. ლოყით ბლანტი, თბილი სითხე შევიგრძენი. უცებ დედის კვილი ჩამესმა. იგი ფანჯრის რაფაზე გამონოლილიყო და ხელებს საფეთქლებთან იჭერდა. ვილაცამ ძმას დამაშორა და წინ ღონივრად მიბიძგა. ნაგებარბაცდი, წონასწორობა დავკარგე და ძირს დაცემულმა უკან მიხედვა მოვახერხე. მეზობლის კაცმა ხელი შარვალზე შეინმინდა და შეიგინა. ბადრი ონკანთან მიიყვანეს, სახეზე წყალი შეასხეს. სახელოსნოს ფანჯარაში მამა დავინახე. მან თავი დახარა და სიგარეტს მოუკიდა. ბოლმა მახრჩობს, — რატომ არ ხტება მამაჩემი ფანჯრიდან და მეზობლის კაცს სამაგიეროს რატომ არ უხდის-მეთქი. მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი.

— შვილო! — გაფითრებულმა დედამ ფეხზე წამომაყენა და ონკანთან დაკუზულ ბადრისკენ გაიქცა.

ცას ავხედე. ღამურები უშნოდ დაფრინავდნენ.

ალაყაფის კარში შევედით და სახლამდე ვინრო, ბეტონის ფილებით მოკირწყლული ბილიკი გავიარეთ. მე და ბადრი თავჩაქინდრულები წინ მივდივართ, დედა უკან მოგვეყვება. ბილიკი ორივე მხრიდან ყვავილებითაა დამშვენებული.

სახელოსნოს კარი შეღებულია. მამა ზურგით ზის და ხატავს: დიდ ტილოზე გამოსახულ დედამინაზე ბავშვები, მათ უკან კი უფროსები, ალბათ, პატარების მშობლები დგანან. ბავშვებს წაგრძელებული ფორმის მრავალფერი საჰაერო ბუმტები უჭირავთ. როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს საჰაერო ბუმტებივით წაგრძელებული თავები აქვთ. ყველაფერი ზღაპრული და ძალიან ლამაზია. არ მესმის, მომხდარის შემდეგ როგორ შეუძლია მამას ასე მშვიდად მუშაობა! —

რამდენიმე დღეში მისი ნახატების პერსონალური გამოფენა იხსნება.

— ანა! — მამამ ჩაახველა, — ტელევიზორი ჩართე. ფეხბურთი არ გამოგრჩეს, აუცილებლად დამიძახე.

გიჟურმა სურვილმა შემიპყრო, რომ სახელოსნოში შევვარდე და დახატული თუ დაუხატავი ტილოები ნაფლეთებად ვაქციო, რათა ამ საყდრულ მდუმარებაში ცხოვრებამ მთელი ძალით იკივლოს.

სასტუმრო ოთახში შევედით. ხმას არავინ ვიღებთ. დედამ ტელევიზორი ჩართო და ჭურჭლის კარადიდან ხილით და ტკბილეულით სავსე ლარნაკი გადმოდგა. ბადრი მაგიდასთან მივიდა, კამფეტები ჩაბლუჯა, დივანზე დაჯდა და ჭამას თვალდახუჭული შეუდგა. მე ფანჯარასთან დავჯექი და ქუჩაში გადავიხედე. ალყაფის კარში ქეთიმ შემოიბრინა. ის ჩემზე სამი წლით უფროსია, სკოლას წელს ამთავრებს.

სანამ კოტეს სამაგიეროს არ გადავუხდი, ვერ დავმშვიდდები. კოტე ჩვენი უბნელია, ქეთის პარალელურ კლასში სწავლობს. იგი მუდამ იბლინძება, ცდილობს, ყველა აბურჩად აიგდოს, დაჩაგროს.

ქეთიმ ვაშლი აიღო, სავარძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მისი უდარდებლობა მაგიჟებს. მერე ადგა და სამზარეულოსკენ გაემართა. დავედევნე, დერეფანში შევაჩერე და მუქარით ვუთხარი:

— კოტეს ვცემ!

— თუ შეძლებ, სცემე, — აგდებით მიპასუხა.

— მე პატარა აღარ ვარ.

— მართლა? — გულწრფელად გაიოცა.

— კოტეს მოვკლავ!

— ვერ მოკლავ, — გაიცინა და გამშორდა.

სასტუმრო ოთახში დავბრუნდი და ბადრის ხმამალლა ვუთხარი:

— ბურთს დაედევნე, არა?

— ჰო, ბურთს დავედევნე და შენი ხმა არ გამიგია.

— ტყუი! ყველა დამცინოდა, ბიჭებმაც გაიგეს... კარგად იცოდი, რაც ხდებოდა.

— არ ვიცოდი.

მამა შემოვიდა და ზეთის საღებავების სუნი შემოიყოლა.

— რა გაჩხუბებთ, სადაცაა ფეხბურთი დაინყება. — ვაშლი აიღო და სავარძელში მოხერხებულად მოთავსდა.

დედამ ვახშამზე მიგვიპატიჟა. ბადრი იმავე წამს წამოდგა და სამზარეულოსკენ გაემართა. მამა არ განძრეულა. მე საძილე ოთახში გავედი.

ძილგამკრთალმა ღამით ძმა გავალვიძე

და პირობა დავადებინე, რომ დილით კოტეს დავხვდებოდი და ვცემდი.

2

სკოლისკენ მიმავალ ქუჩაზე ძველი, გაუქმებული საქვაბეა და ჟანგისფერი შენობის შესასვლელთან დავდექით. პირქუში იერსახისა და გაუცნობიერებელი შიშის გამო საქვაბის წინ ჩავლას ბევრი ერიდება და მოპირდაპირე ტროტუარზე მიმავალი კლასელები გაკვირვებით გვიყურებენ. როდესაც გამვლელთა რაოდენობა შემცირდა, საქვაბის მხარეს მშვიდად მომავალი კოტე გამოჩნდა. მას ორად მოკეცილი ჩანთა ილღიაში ამოეჩარა. ისე ჩაგვიარა, ზედაც არ შემოუხედავს.

— კოტე! — დავუძახე.

გაჩერდა, შემობრუნდა და მუქარით მკითხა:

— რა გინდა?!

— შიგნით შევიდეთ, იქ ვილაპარაკოთ!

— მიდი, ბიჭო, ტოლი ნახე, — აგდებით მითხრა.

— თუ არ გეშინია, გამომყევი, — საქვაბისკენ წავედი.

ძველი, დაჟანგული მიწები და ონკანები აფეთქებულ ტანკსა თუ თვითმფრინავს მაგონებს. კოტე წინ დამიდგა.

— გუშინ სარდაფიდან გამეპარე, ახლა ვერსად წამიხვალ! — დავემუქრე.

— წადი, შე ნაბიჭვარო! — მან მკერდზე მიბიძგა.

ხელი მთელი ძალით მოვიქნიე და მუშტი ყბაში ვგლიჯე. არ ელოდა. გაოგნებულს ერთი კიდევ მოვდე და ძლიერმა საპასუხო დარტყმამ ძირს დამცა. გაჭირვებით წამოვდექი და იქაურობა მოვათვალიერე. ბადრი არსად ჩანდა. კოტემ ჩანთა აიღო, ორად გაკეცა, ილღიაში ამოიჩარა და დინჯად გავიდა საქვაბიდან.

შინ ნაშუადღევს დავბრუნდი.

ბადრი სავარძელში მოკალათებულიყო და ტელევიზორს უყურებდა. ქეთი დივანზე ფეხმორთხმით იჯდა და მოდების ჟურნალს ათვალიერებდა.

— გაგალამაზა? — სიცილით მკითხა ქეთიმ.

პასუხი არ გამიცია. ბადრი გატრუნული იჯდა. კედელზე დაკიდებულ სარკესთან მივედი: ცალი თვალი ჩალურჯებული მაქვს. ქეთი სამზარეულოში გავიდა. სარკეში ჩემკენ მზირალი ძმა დავინახე, შეგტრიალდი და ხმამალლა ვუთხარი:

— რად გაიპარე?

— არ გაგპარულვარ, პირველ გაკვეთილზე საკონტროლო წერა გვქონდა და დავგი-

ანებულს მასწავლებელი აღარ შემიშვებდა.

— დილით რატომ არ მითხარი?

— არ მახსოვდა, საქვაბესთან გამახსენდა.

ვეცი, ხელები პერანგის საყელოში ჩავავლე. ოთახში შემოსული დედა მოგვევარდა და ჩალურჯებული თვალის დანახვისას ელდა ეცა!

— მე არ მიქნია, სკოლიდან ეგრე მოვიდა, — ბადრიმ დედა ვითარებაში სწრაფად გაარკვია.

ხმაურზე შემოსულმა მამამ მხარზე ხელი მომიცაცუნა, თმა ამიჩეჩა, დაუსტვინა და ოთახიდან გავიდა. დედამ დივანზე დამსვა, ბინტი რალაც ხსნარში დაასველა, დასიებულ თვალზე დამადო და თავზე მომიილერსა, რაც ძალიან მესიამოვნა და რატომღაც ცრემლი მომადგა.

3

დილით სახლიდან ადრე გამოვედი. საქვაბის ღუმლიდან ნამწვი გამოვიღე, შუაზე გადაჭრილ რეზინის ბურთში ჩავყარე და კართან, კედელზე მიდგმულ, მორყეულ მაგიდაზე ფრთხილად დავდე. კოტეს მოუთმენლად ველოდი. ვიცოდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი და არ ვღელავდი. სკოლაში მიმავალმა მოსწავლეებმა ისე ჩაიარეს, საქვაბიდან არ გამოვსულვარ. მინებჩამსხვრეული სარკმლიდან მარტოდ მომავალი კოტე გამოჩნდა. ქურაში გავედი. დამინახა და შედგა.

— ცოტა ხნით შემოდი, რალაც უნდა გითხრა!

— გუშინდელი არ გეყო? — აგდებით მიპასუხა და ჩემკენ წამოვიდა.

საქვაბეში შევედი. მაგიდიდან გადაჭრილი ბურთი ავიღე და ზურგს უკან მდგომ კოტეს ნამწვი სახეში შევაყარე. მან თვალზე ხელები აიფარა და შეიგინა. ფეხსაცმლის წვერი წვივში მოვარტყი. კოტემ დაიგმინა და წამით გაითიშა. მუშტი სახეში ვაჯახე. უკან დაიხია, ხელები გაშალა და როგორღაც წონასწორობა შეინარჩუნა. ის ბრმასავით იდგა. კოტეს შეურაცხყოფის ამბავი სხვებსაც რომ გაეგოთ, მისთვის თვალი უნდა დამეღილაგებინა. მეორე დარტყმა უფრო ძლიერი გამომივიდა: იგი უკან გადაქანდა, ღუმელს ზურგით მიასკდა და მუხლებში ჩაიკეცა. არავითარი სიბრალული არ მიგრძენია. შემეძლო, მეგობრები დამეხმარებინა, მაგრამ კოტე ასე უფრო დავამცირე. მერე მივუახლოვდი და თავი ავუხიე. იგი უაზრო სიტყვებს ბუტბუტებდა. მუშტი თვალში დავუმიზნე და კიდევ ერთხელ ვგლიჯე. კოტე ჩემს ფერხ-

თით ეგდო, შეურაცხყოფილი და თავლაფდასხმული. ცრემლში აზელილი ნამწვითა და სისხლით დასვრილი თითები პერანგზე დავუსვი და საქვაბიდან გამოვედი.

რალა თქმა უნდა, კოტე იმ დღეს სკოლაში არ მოსულა. კარგად მესმოდა, იგი ამ შეურაცხყოფას არ შემარჩენდა და ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი.

მამა სახელოსნოში გატაცებით მუშაობს, ბადრი გაკვეთილებს ამზადებს, ქეთი ტელეფონით ვილაცხას ელაპარაკება, დედა სამზარეულოში საქმიანობს. სასტუმრო ოთახში სავარძელში ჩავჯექი და მამაჩემის ნახატს შევხედე. სურათზე ოჯახის წევრები მაგიდას შემოვსხდომივართ, მამა ჩიბუხს აბოლებს და ოცნებაში წასულს თავი ოდნავ მაღლა აუწევია. დედა ქსოვს და რალაცაზე ფიქრობს. მე და ქეთი ვხატავთ. ბადრი წიგნს კითხულობს. ხელში ყველას საჭაერო ბუშტები გვიჭირავს. ნახატის ჩარჩოზე მიკრულ ლითონის ფირფიტაზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წერია: „ოჯახური იდილია“.

4

მამა კარგ გუნებაზეა. ხვალ ნახატები საგამოფენო დარბაზში უნდა გადაზიდოს. ქალაქში გაკრული აფიშები პერსონალური გამოფენის გახსნის თარიღს იუნწყებიან.

მე და ბადრი სკოლაში ერთად მივდივართ. საპარიკმახეროსთან თავშეყრილი უსაქმურები ღიმილით მიყურებენ.

— ყოჩაღ, ლევან, კოტესთვის მაგარი სინიაკი დაგისვია, — მაქებს ერთი მათგანი.

არაფერი მიპასუხია. ჩემი შელახული ღირსება აღდგენილია. — მთელი სკოლა კოტეს გალახვაზე ლაპარაკობს. ბევრს ეს ამბავი არ სჯერა და დალილავებულ თვალზე მაცქერდებიან. კოტეს კლასელი ბიჭები მტრულად მიყურებენ, მაგრამ მის გარეშე ვერაფერი გადაუწყვეტიათ.

სკოლიდან მარტო ვბრუნდები. საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან ოთხი ბიჭი გამოდის და გზას მიღობავენ. კოტეს მეგობრები ვიცანი.

— წამოდი, პატარა საქმე გვაქვს! — ჯინსის კურტაკიანი ბიჭი სიტყვებს განელვით წარმოთქვამს.

— მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, — ვამბობ აულელვებლად, რადგან ასეთ შეხვედრას ველოდი.

— იქ კოტე გელოდება! — მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა დაბალმა, აკურატულად ჩაცმულმა ბიჭმა.

— თუ რამის თქმა უნდა, გამოვიდეს!

— მორჩი ბაზარს! — მუქარით თქვა მალალმა, ჯიბიდან დანა ამოიღო და გადახსნა.

კედლისკენ დავიხიე. ძველი სახლის სარდაფის ფანჯრის დამცველი რკინის ცხაური ტროტუარიდან ამოგლეჯილი იყო. უმალ შიგ ჩავხტი და მინებჩამსხვრეული ფანჯრიდან სარდაფში შევვარდი. ბნელ კუთხეში კატამ თვალეზი დააკვესა. კარისკენ გავიქეცი. კოტეს მეგობრები სარდაფში წამინამზე შემოცვივდებიან... ბოქლომით დაკეტილი კარის ღრიჭოდან ეზოს ნაწილი მოჩანს. უკან დავიხიე, ადგილს მოვწყედი და კარს მხრით დავეფახე. ბოქლომი გატყდა. თავი ველარ შევიმარე და ეზოში გავვარდი. კარის გვერდზე მჯდომი ბერიკაცი ფეხზე წამოხტა და შემინებული თვალეზით მომაჩერდა. მას ხელში კრიალოსანი ეჭირა. უაზროდ გავუცინე და ალაყაფის კარისკენ სირბილით წავედი.

კოტეს მეგობრები ადრე თუ გვიან ხელში ჩამიგდებენ და კარგი დღე არ დამადგება. ვირთხასავით მალულ ცხოვრებას კი ვერ შევურიგდები. მათს დასაშინებლად საჭიროა ძალა, — და ჩემს ცნობიერებაში წარმოისახა მამაჩემის რევოლვერი. იარაღის ხმარება ვიცოდი, მამაჩემმა ტყეში რამდენიმეჯერ მიზანში მასროლინა. უცებ სარდაფიდან გამოვარდნილი კოტეს მეგობრები და მათი დანახვით გაოცებული კრიალოსნიანი ბერიკაცის სახე წარმოვიდგინე და ჩემდაუნებურად გამეცინა. ქეთი ოთახში ისე შემოვიდა, ვერ გავიგე. მისმა აღელვებულმა ხმამ შემაკრთო და ფიქრებიდან გამომიყვანა.

— მხეცი ყოფილხარ, მხეცი! — სანამ ქეთი საჭირო სიტყვებს მოძებნიდა, გაცეცხლებული თვალეზი მომპაყრო, — შენ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ!.. — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სლუკუნი აუვარდა და ოთახიდან გავიდა.

სახელოსნოში მამაჩემის მეგობარი მხატვრები გამოფენისთვის შერჩეულ ნახატებს ათვალეერებდნენ.

— ვა, ლევან? როგორ ხარ, ბიჭო? — შემეკითხა ერთი.

მხრები ავიჩიე.

— ლევან, თვალი ვინ ჩაგიღურჯა? — გაიცინა სქელმა, ყელზე ხილაბანდშებმულმა კაცმა.

— მე თუ მკითხავთ, ეს ნახატი ექსპოზიციის ცენტრში უნდა მოთავსდეს, რადგან მასში კარგად ჩანს შემოქმედის მთავარი თემა, იდეა. სწორედ ეს ნახატი უნდა იქცეს გამოფენის ერთგვარ გასაღებად, — მჭერმეტყველებდა კუბოკრულკოსტიუმისანი კაცი.

სახელოსნოდან გამოვედი. სასტუმრო

ოთახში შემოსულმა ბადრიმ მზერა მომარიდა. იგი ჩემთან ლაპარაკს გაურბის. მეცოდება, რადგან მან ვერ შეძლო საკუთარ თავში შიშის დაძლევა და ჯერ სამარცხვინოდ მიიმალა, ხოლო საქვაბეში კოტეს შემატოვა. საკვირველია, მაგრამ ახლა მასზე ნაწყენი არა ვარ. პირიქით, მინდა მივიდე, გადავხვიო და ვანუგეშო, რადგან ვხედავ, რარიგ წუხს საკუთარი უმწეობის გამო. ასეც მოვიქეცი. მივედი, მხარზე ხელი მოვხვიე, მაგრამ სათქმელი დამეკარგა.

— რაც უნდა მოხდეს, არ მიგატოვებ! — გულწრფელად მითხრა ბადრიმ. ვხვდები, რა მტანჯველი ფიქრი უძლოდა ასეთ გადწყვეტილებამდე მისვლას.

5

კოტე სკოლაში არ ჩანდა. გაკვეთილიდან გამოსულს მისი კლასელი მომიახლოვდა და მითხრა, რომ საქმის გასარჩევად ტუალეტში შევყოლოდი. ერთ-ერთ საკლასო ოთახთან ბადრის მოვკარი თვალი, იგი ჩემკენ წამოვიდა. თანაკლასელი ბიჭებიც მიახლოვდებოდნენ. ტუალეტის მოსაცდელში შევედი. ბრახუნის ხმა გაისმა და მიხურულ კართან სამი ბიჭი აისვეტა. კოტეს დალილაგებული ადგილის დასაფარავად, მზის სათვალე ეკეთა. ზურგს უკან ორი მეგობარი ედგა. მან რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კარს მოაწყდნენ და შემოსვლა დააპირეს.

— დროზე! — კოტეს შეძახილზე მომვარდნენ. მათ თითებზე კასტიტები უკეთიათ და ცდილობენ, სახეში არ გამარტყან. ბრახუნთან ერთად ბადრის ყვირილი ჩამესმა. ძლიერ ტკივილს ველარ გავუძელი და მოცელილივით დავეცი.

— ეყო! — ამბობს კოტე.

კარი გაიღო. ბადრი შეშინებული მომვარდა. ჩემი კლასელები კოტეს მეგობრებს გადაუდგნენ, მაგრამ ასაკით პატარები და ფიზიკურად სუსტები ადვილად ჩამოიცილეს და ტუალეტიდან გავიდნენ. ღია კარიდან იყურებიან და დამცირებულსა და გალახულს სიბრალულით დამცქერიან. წამოვინიე, წამოვდექი. სხეული მტყხს. ფეხქვეშ გათელილი სიამაყე სასწრაფო შურისძიებისკენ მიბიძგებს და რევოლვერი მახსენდება.

— ნუ გეშინია, კარგად ვარ! — ვამშვიდებ ბადრის, — გაკვეთილზე შედი! მაგათ თავიანთი საქმე უკვე გააკეთეს, ახლა აღარაფერს მერჩიან. სახლში წავალ.

— მეც წამოგყვები!

წინააღმდეგობა არ გამინევია. მკერდთან გამოგლეჯილ პერანგზე სასკოლო ჩანთა ავიფარე და ეზოში გავედი. სამასწავლებლოს

ფანჯრიდან დირექტორის ხმა მოგვესმა:

— სად იპარებით? ახლავე უკან დაბრუნდით!

მისი განიზმატებული ძახილისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია და ეზოდან გამიშვედით.

შინ არავინაა. მამამ საგამოფენო დარბაზში ნახატები უნდა გადაზიდოს და სატვირთო მანქანის მოსაყვანადაა წასული. დედა, ეტყობა, ბაზარშია. ქეთი სკოლიდან არ დაბრუნებულა. რევოლვერი სასპორტო ჩანთაში ჩავდე. ბადრისთვის ჩემი განზრახვა არ გამიმხელია და სახლიდან გავეპარე. არ მინდა, რაიმე უსიამოვნებას გადავიკიდო.

კოტეს და მის მეგობრებს საპარიკმახეროსთან გადავანყდი. ისინი ტროტუარს ხმამაღალი ლაპარაკით მოუყვებოდნენ. ჩემს დანახვაზე შედგნენ და გაკვირვებით მომაჩერდნენ.

— ვა, ცოცხალი ხარ? — სიცილით თქვა კოტემ.

— კარატეზე დადიხარ? — დამცინავად თქვა სქელმა, ტყავის ქურთუკიანმა ბიჭმა და სასპორტო ჩანთას დააცქერდა.

საპარიკმახეროსთან თავშეყრილი უსაქმურები ჩვენკენ იყურებინ.

— ქეთის ხათრით, თორემ უნდა მომეკალი. ჭკუითიყავი, სხვადროს არაფერი შეგეშალოს, გაიგე? — გამაფრთხილა კოტემ.

რევოლვერი ამოვიღე, ჩანთა ძირს დავაგდე და იარაღი ორივე ხელში დავიჭირე. ღიმილი სახეზე შეეყინათ. — იქვე მდგარ საგზაო ნიშანს ვესროლე: მინა ჩაიმსხვრა, საპარიკმახეროსთან კაცები დაფაცურდნენ, ერთი მათგანი აკაციის ხეს ამოეფარა. შიშისაგან წამხდარი ბიჭები ერთმანეთს

ეკვირან.

— დაიჩოქეთ! — ვიყვირე და იარაღი შევმართე.


ასფალტზე მუხლებით დაეცნენ და მავედრებელი მზერა მომაპყრეს. იქნებ ტყვია მივუშვა და ყველაფერი ამით გავათავო?..

— კარგი, გვაპატიე! — დაძაბულობას ველარ გაუძლო სქელმა, ტყავის ქურთუკიანმა ბიჭმა.

— არ ისროლო, რა! — მეხვეწება მეორე.

სახეგაფითრებული კოტე ხმას არ იღებს. რევოლვერი ჰაერში ვისროლე. ისინი გვერდზე გადაქანდნენ და თავები ჩაჰკიდეს. უცებ მოშორებით მდგარი ქეთი დავინახე. იგი რამდენიმე ნაბიჯით მომიახლოვდა. ვგრძნობ, მის თვალეში ჩაბუდებული სიძულვილი მე მეკუთვნის. — „შენ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ“, — გამახსენდა ქეთის ნათქვამი. ცხადია, ჩემს დას კოტე უყვარს. მე რომ ახლა კოტე კიდევ უფრო დავამცვირო, მის შეურაცხყოფას ქეთი არასოდეს მაპატიებს. მოსალოდნელი სიამოვნება, ბიჭების დამცირებას რომ უნდა მოჰყოლოდა, უკვალოდ გაქრა. ერთი სურვილილა მამოძრავებს — ქეთის სათუთი გრძნობების გადარჩენა. ასეც შეიძლება, იარაღი ჯიბეში ჩავიდო და იქაურობას გავეცალო, მაგრამ მინდა ქეთის თვალში კოტე გაბედულ, უშიშარ ბიჭად გამოჩნდეს. დაჩოქილებს მივუახლოვდი და რევოლვერი კოტეს ხელთან მივუტანე, მაგრამ იგი იარაღის წართმევას ვერ ბედავს. რევოლვერი ლამის ხელზე შევახე და საპარიკმახეროსაკენ შევტრიალდი. კოტემ როგორც იქნა, გაბედა და რევოლვერიან ხელში მეცა. წინააღმდეგობა არ გამინწევია, იარაღს თითები გავუშვი...





ნუცარი
ბერიძე

უნდა ნავიღა

აჰა, შენგანაც მივდივარ!
მადლის წრიაპზე ვკიდივარ,
გინდივარ თუ არ გინდივარ —
უკვე ვერაფერს ვერ ცვლის.
ჩემს მთებში-მთაზე დიდი ვარ,
შენს ბარში — ყველას „ვკიდივარ“,
ჩამწყდარი ბენვის ხიდი ვარ და
დაბნეული ვერცხლი...

იცითვალს რომ გარიდებ?- ✓
რომ დამივიწყო ხვალიდან.
მე გაღმა უნდა გავიდე,
უნდა გავიდე ანი!
ნამყვება ბევრი ვალი და
კურცხალი შენი თვალიდან...
ჩემს ორლობეში რა გინდა,
შენი ბილიკით გასანი.

ბოგას გასული გეტყოდი:
მთელი ცხოვრება გეტრფოდი,

მთელი არსებით გეტრფოდი,
ხშირი სუნთქვით და ფეთქვით.
ჩემგან სხვა რამეს ელოდი?
შენი ხასხასა მდელითი,
შენი თვალების ჩეროთი
დავიბენი და... ვერ ვთქვი.

დაფარული

ვერავის უმხელ გულის ხვაშიადს,
უკვე ფურცელსაც ველარ ვენდობი,
არადა, ჩემი ძალა თქმაშია,
ასავლელი მაქვს სიტყვის ფერდობი.

სულ წვეთ-წვეთობით უნდა დავცვალო
ქართული სიტყვით სავსე ქვევრები.
ჩემო მოხუცო, ბევრზე გამწყრალი,
ენავ ქართულო, თავს ვერ გეველები...

როგორ მეღვრები, ყველა მარცვალო,ლექს-
ში — გაბზარულ სულის ყელიდან.
ვშიშობ, რომ სხვაში ვინმემ გაგცვალოს,
რომ დაგკარგოდი, ვინ გვიშველიდა?!

ვიღა დანერდა „ვეფხისტყაოსანს“,
„გამზრდელს“, ან „მერის“ ასე ლამაზად?
ვინ ამღერებდა დედას შაოსანს!
ასე ტკბილ-მწარედ „იავნანას“!

და ვიდრე ამ ძვლებს მგელი დახრავდეს,
(მგელი თუ არა, მგლისფერი ძაღლი)
სისხლს შევაგროვებ ჩემსას ახლავე,
ბოლო წვეთამდე შენს ფესვთან დავღვრი,

ვინძლო, ამ გვალვამ შენც არ გაგახმოს,
(რად დამებედა ასეთი შიში?!)
ენის მოძულე ღმერთმა დალახვროს,
მე უნიჭობის ატანა მიჭირს!

გამართულ ქართულს ვინ ჩივის, ძმებო,
„გამარჯობაც“ რომ არ ისმის ტკბილი...
კი, მაგ უცხო ხილს კარგი აქვს გემო,
შვილიშვილს თუ არ მოჰყვებთა კბილი...

თუ დაიბადა პოეტი ხვალ-ზეგ
ფრანგულად დანერს „...მოყმის ბალადას“?
თუ ინგლისურად დაგვიწერს „გამზრდელს“,
ან „ნიკორწმინდას“ უნახავადა?!

არ შემირცხვინო, ღმერთო, მამული,
შენ მოგვიტევებ ცოდვებს მიწიერთ.
დღეს რომ მანუხებს ეს სინანული
დიდ სიხარულად გადამიქციე.

ცეცხლისპირული

დამცხრალი ფერებით გვეწვია ზამთარი
თეთრი და მოშავო...
შენ ფრთხილად მითხარი: არა ხარ
მართალი.
სხვამ-რავებს როშავო!
ხვალ ალბათ ჩემს გრძნობებს აპეურს
გამოვხსნი,
გამოვალ ჩეროდან...
შენ მუდამ გჯეროდა იმ ჯვრიდან
გარდამოხსნის,
შენ მუდამ გჯეროდა.
ვიცი, რომ მესვრიან სახალხოდ
ტალახებს,
სახალხოდ მესვრიან.
შენ გახსოვს? ლაჩრებმაც ბავშვივით
გამლახეს—
არა ვარ მესია.
რა წვალე-წვალეებით მივედი გორამდე—
არც ისე ფრიადო...
შენ გინდა ჩამქრალი კუნძივით
ვბოლავდე—
ცეცხლს თვალეებს თხრიანო!
არ ვიცი, გავუძლებ მობერვას ქარების?
ვინვი და ვბანცალე.
—შეჩერდი! არ მინდა დაგთხარონ
თვალეები!
—დამტოვე...მაცალე!
დამცხრალი ფერებით გვეწვია ზამთარი.
სადლაა ფერები?!
დამჩრება ხსოვნაში თვალეები
დამფრთხალი
და შენი ხელეები...

მაინც სოფელზე

ახლა სოფელზე მსურს დავწერო...
მეტყვიან მერე-
დროს ჩამორჩიო, მოძველდაო ეგ თემა
უკვე.
—ვაი, თქვენს პატრონს!—ვეტყვი—თქვენ
თქვენს მოდაზე წერეთ,
მე კვლავ ჩემს სარჩულგამოხეულ,
კლდე-სოფელს ვუკმევ.
ჰოდა, ქარია. (ვტელეპატობ!) ქარია,
თქორი
ცა ჩამოსულა თურმე ფეხად შუკებში

წუხელ.
ჩემს კრუხ-წინილას დაეცაო ეზოში
ქორი!—
სწუხს დედაჩემი და მეზობლებს
სატკივარს უმხელს.
მოსძალებია ღობისძირებს ეკალი უხვად,
დგას უხელჯობო მოხუცივით ოცი წლის
ვაზი,
ამ ჭურებს სტუმრის მოჭიშკრება
სხვაგვარად უყვართ...
მეძუძურ ხბოებს წამწამები პეპლებად
აზით.
კიტრა ვაშლების აყვავება მიყვარდა
როგორ!
ვარდისფერებში გამოეყო ალუბალს
კიჭი.
გალმა სოფელში გათხოვდაო მეზობლის
გოგო...
საგურამოსთან დამარცხდაო მეზობლის
ბიჭი...
ჟანგიან სახნისს დაჰკარგვია ფოლადის
გამა,
ყრუ მყუდროება აკაკუნებს
გულგამშრალ კარზე.
არ მომასწრებო, ანი, ცოლ-შვილს?—
წყაროსთან, მამამ
და ბრვე ჩაფივით მწუხარება შეიდეგა
მხარზე...
ცრის. ციცრის კვერცხებს აგროვებენ
ბავშვები. გალმა
მიტანტალევენ...
(აღდგომაა ორიოდ დღეში.)
—ეჰ, წუხელ ბოვში მესიზმრა და
დარეკოს ახლა!—
ზის დედა კართან და წინილებს აპურებს
პეშვში...
მაინც სოფელზე მსურს დავწერო!...

მე შენ გილალატე

მე შენ გილალატე ცოლთან,
მოვა ის უგულო ღამეც
და ეს ოცნებებიც ორთა,
წერვებგადაყვლეფილ წამებს
უფრო გააზანტებს, რათა,
ვიგრძნო საუკუნო ზიზლი

თავის და სხვათა და სხვათა!
მინყივ საკუთარის, მინყივ...

მე შენ გიღალატებ ცოლთან,
გული უძღებია კაცის,
შენთან ყველაფერი მქონდა,
მქონდა დიდებაც და მარცხიც
გამოერეოდა ზოგჯერ...
მარცხს ვინ დაეძებდა — მნამდი!
ქისტის მარჯვენით მომჭერ
კუზად ამოზრდილი დარდი.

მე შენ გიღალატებ ცოლთან,
ვიღაც თაფლობისთვედ ვედრებს
მას, რაც შხამისფერად მორთავს
ჩვენი საძინებლის კედლებს.
და გულს უშენობა ნელა,
მშვიდად გამოუტანს წირვას:
ბნელა, შუადღითაც ბნელა!
მცივა, ზაფხულშიაც მცივა!

შენ მე მიღალატებ ვეღარ,
რადგან ერთგული ხარ ფიცის...
რადგან ღვთისმშობლის ხატთან დგახარ—
ისიც დედაა და იცის
შენი ერთგულების ფასი.
მე ვერ შეგიფერებ რადგან
ბრბოსაც ურჩევნია ფარსი!
ყალბი სიყვარულის დადგმა!!!

მე შენ გიღალატებ ცოლთან,
მაგრამ სიკვდილის წინ თუკი
ბოლო ნატვრის ნება მქონდა
და თუ ავაგლიჯე ლუქი
(შენც ხომ უჩემობა არ გსურს?)
ნატვრის ჩაჟანგებულ კარებს,
კვლავ შენს საპატრონო ამ სულს
შენივ გულის კოვზზე დავლევ!!!

ახლა ოქტომბრის ღამესთან ვწევარ
და უშენობა ატანს ძვალ-რბილში.

ხვალ მოვალ ფერად ფოთლების წყებად,
(ფოთლად მოსვლასაც ხომ ვერ დამიშლი!)

და შენი სახლის გარშემო დავცემ—
დამპყრობელივით — უთვალავ კარავს
და ალყად მომდგარს თვალები გამცემს
და მოგთხოვ ჩემი გრძნობების ღალას.

შენ კი ამაყად გადმივლი გულზე,
ეზოს კუთხესთან მიგიყვანს მზერა
და ძველი ცოცხით ამკინძავ უცებ,
სულ ფურცელ-ფურცელ, სულ
ჭრულა-ჭრელა.

მე — ცაში კვამლის ქულებად აჭრილს
და შენ, რომ ერთი ზეცა გხურავდეს,
გავხდები (ტირი?!) ცოცხალი ჯაჭვი,
მაგ ძველი ჭიდან მამის სულამდე...


სალამოს ქარი გამფანტავს ნაცრად,
ვერც ყელს შევეხე, ვერც ბაგეს მოვწვდი
და ნათლიასთან მაგ ყელის ნაცვლად
შენი ბავშვობის ნატერფალს ვკოცნი...

გამაპარტახე და დამაქციე,
დღეიდან სიკვდილს მეტი შანსი აქვს,
რადგან სიცოცხლეს ზურგი ვაქციე...
ან რა სიცოცხლე? — დღე-ღამ ნავსია.

ბოლოს კვდებაო, ვიღამ მოჭორა?
იმედი — ჩემი ხელით დავმარხე...
და მძოვს სიკვდილი — შავი ბოჩოლა,
ნელა, უგულოდ, ვით ხმელ ბალახებს.

ავახევ მთვარეს უგემურ ყუას,
შევატან შენი ცრემლების მარილს.
იყმუვლებს მგელი. სოფელი ყრუა...
და თვალებს დამთხრის ჯალათი — ქარი.





ლექსი
თბილისში

შანი თვალში ისა მიზანიცა, ხობოხს მზის სხივი ბანთიანისას...

ზაფხულის გრილი ღამე იყო. ვეებერთელა მთვარე ამოზიდულა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე და დედასავით დაჰნათოდა თბილისს, ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდნილა და სახლებშიც სინათლე აქა-იქ შემორჩენილა... ყველას ეძინა, გარდა ბიჭისა, რომელსაც ფანჯარაში თავი გამოეყო და ფიქრებში გართული მთვარეს გასცქეროდა. ოდნავ სუსტს, შავი ხუჭუჭა თმა შვენოდა. თაფლისფერ თვალებს მთვარის კამკამა შუქი უნათებდა. გადიოდა წუთები, საათები, ის კი ფიქრებს მოეცვა. განთიადიც მოახლოვდა. გაღვივებული ნაკვერჩხალივით ნითელი მზე ამოინვერა და თავისი თბილი სხივები ქალაქს სხეულზე შემოაჭდო. ახალგაზრდის მზერა დარდებს შეეპყრო. ბაგეებს სათქმელი ვერ

დაეტიათ და ქარს განდობოდნენ... ალბათ, ქარს ატანდა დაუნერეულ ბარათებს. უსახო წერილები ჰაერში ისე ახმაურდნენ, რომ ჩემმა ყურთასმენამ უნებლიეთ მოიპარა მათი იდუმალება. ველარც მე დავიტიე ეს გახელებული სიმძაფრე და ფურცლებს მივანდე (ალბათ, შეპყრობას თუ შევეუშინდი).

— გულის კუნჭულებიდან ნიავი ჰქროდა და შენზე ფიქრები მოჰქონდა. ძლიერ მომენატრე, შენს გახსენებაზე გული ამიჩქარდა და ისე ფეთქავს, გეგონება, ცეცხლი ეკიდებო. ეგ რა არის!.. შენი თვალები მომაგონდება და უეცარი ჟრუანტელი დამივლის; შენთან შეხვედრის წამები კი მერანივით დაჰქრის ჩემს გონებაში. იცი, როცა დაგემშვიდობე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს გულში რაღაც ჩამწყდა...

რიჟრაჟმა მთელი სიმძაფრით იგრძნო ძალაუფლება. მზემ პირდაპირ მეოცნებე ჭაბუკის ფანჯარას მიაყრდნო თავისი თბილი სხივები. მეც მზის ხელებით ჭაბუკთან აღმოვჩნდი. იქნებ, მისი მზერის მოსაპარადაც (უნებლიედ ვიქურდე, თუმცა კი ძნელი სათქმელია დამნაშავე ვინ იყო ჩვენს შორის). მხოლოდ გრძნობა იყო უდანაშაულო და უცოდველი. თვალებს კი ნატერფალებად ამოეტვიფრა უკიდევანობაში

— „შენი თვალები ისე მიმზერდა, როგორც მზის სხივი განთიადისას...“

ფურცელმა ისევ ჩვეულად მიიღო მსხვერპლი...

მშვენიეხების ელოფანს

რ..ს

ბარათაშვილის ხიდან გამოვიარე. ცივა, მაგრამ შენზე ფიქრები მათბობს. სევდიან მუხიკას ვუსმენ და მტკვრის მოელვარე ტალღებს გავცქერი.

ცოტა ხანი შევჩერდი და ჩავფიქრდი, ასე მგონია, დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. ყოველ დილას ადრე გავიღვიძებ, შევეგებები მზის ფერადოვან ამოფეთქვას ზეცაში, რადგან სიცხისგან შენს ვარდისფრად ალაჟღაჟებულ ლოყებს გამახსენებს.

არასოდეს დამავინწყდება შენი ღიმილიანი გმობედვა, ჩანჩქერივით სწორი თმა, მშვენიერებით აღსავსე სახე, გიშრის წარბები და წამწამები, თაფლისფერი თვალბის შუქი, ჩემო სილამაზის და მშვენიერების დედოფალო, მუდამ მეყვარები.

დავდივარ და შენზე ფიქრები აჩრდილივით დამყვება.

ბაილიან სისხლის ნჯითები...

რ...ს

„ორი სულის ერთი ფიქრი, ორი გულის ერთი ფეთქვა.“

არც გაზაფხულის შემოსვლა მახარებს და არც ზაფხულის დადგომა, რადგან ჩემს გულში ცივი ზამთარია. აღარც ისეთი განთიადია, შენს ალაჟღაჟებულ ლოყებს რომ მახსენებს და არც ისეთი ცა, რომელიც შენს მოკაშკაშე თვალებს მაგონებს. თუმცა შენი ტრფობის ალით ისე ვინვები, არ მცივა და მოგონებებით ვთბები მხოლოდ...

ნისლივით დასწოლიხარ ჩემს გულს... ნეტავ რა შეიცვალა ჩვენს შორის, თითქოს უშველებელი კედელი აღიმართაო და შენსკენ ერთი ნაბიჯის გადმოდგმაც მიჭირს, ხმის გაცემაც. თუმცა, ეს ყველაფერი საჭირო ყოფილა, რათა ჩემი შენდამი თავგანწირული სიყვარული გამეზარდა და განმემტკიცებინა...

რა სწრაფად მიდის დრო... რამდენი ხანი გავიდა, რაც შენთვის ხმა არ გამიცია, მხოლოდ მოლოდინით ვსულდგმულობ, ახლაც, როცა შენ მახსენდები თითქოს გულზე მოუშუშებელი ჭრილობა მეხსენება და სისხლი მდის... მახსენდები და ჩემი გული ისე იწყებს ფეთქვას, ლამის საგულედან ამოვარდეს.

ვიგონებ იმ ლამაზ დღეებს, როცა შენს გვერდში ვიყავი. რა ბედნიერი მეგონა მაშინ თავი... ისევ იმ ქვაფენილიან გზას მივუყვები, იმ დღეებს რომ მახსენებს და მოგონებების უღამაზეს ფურცლებს თვალწინ მიშლის... მოგონებებით ვაცოცხლებ გულს...

შენი დანახვისთანავე კვლავ ძველებურად მივლის ჟრუანტელი... თითქოს ჭიანჭველების ქარავანმა გადამთარა ან გულზე მდულარე წყალი გადამასხესო, ისეთი შეგრძნება მრჩება... ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ განმიცდია, რასაც შენს მიმართ ვგრძნობ და განვიცდი, თუმცა კვლავ დარდით მევსება გული, რადგან ახლა შენთან დარეკვაც არ შემძლია და გულის ფანცქალით დავყურებ შენს მიერ მოწერილ წერილებს, რომელთა წაკითხვისას დარდებით დაწურული გული დუმდება და ამ სიტყვებს მწარედ შეიგრძნობს...

გამუდმებით ჩამესმის შენი ხმა და მშვენიერებით აღსავსე შენი ღიმილიანი სახე წარმომიდგება... ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ შენს გარეშე სიცოცხლე არ შემი-

ძლია, რადგან ერთადერთი ხარ, ვისგანაც სულიერი სიყვარულით ვივსები... ვისთანაც შემძლია გული გადავშალო და ყველაფერზე ვილაპარაკო დაუსრულებლად... ანთებული სანთელი ხარ და შენი სხივით ჩემს სულსა და გულს ანთებ, ათბობ... მინდა ისიც გითხრა, შენგან ბევრი რამ ვისწავლე.

ჩემს გულში ხარ და მსურს შენს მიმართ უფრო გავაძლიერო სიყვარული, რისთვისაც ღმერთს ვევედრები, რათა სრულყოფილი ქრისტესმიერი სიყვარული მომმადლოს...

რაც შენ გაგიცანი, ასე მგონია, სიყვარულის მწვერვალზე ასვლა დავიწყე და მივხვდი, რა ძნელი ყოფილა ნამდვილი სიყვარულის მოპოვება, რომლისთვისაც დიდი გამბედაობაა საჭირო. როგორც სტენდალი ამბობს „სიყვარული მომაჯადოებელი ყვავილია, მაგრამ დიდი გამბედაობაა საჭირო, რომ მიხვიდე და მოწყვიტო, რადგან უფსკრულის კიდებზეა გადმოკიდებული“.

თოვლის ფიქები

რ...ს

დილის ცხრა საათია. გამეღვიძა და ჩემი ფიქრები უმალ შენსკენ გამოფრინდნენ. გარეთ გავიხედე და ფიფქების ცვენა დავინახე.

ალბათ, ახლა გძინავს და სიზმარეთში დაფრინავ ფიფქებთან ერთად...

ფიფქის იდუმალეზა მინდა შევიგრძნო და ხელი შევახე თოვლის ფანტელს. ისიც შენი ხელებივით ნაზი და სათუთი აღმოჩნდა. შენი გულივით წმინდა და მომლიმარი...

მინდოდა მოვფერებოდი, მაგრამ ერთი გამიღიმა და ხელებში ჩამაძნა...

სადღაც შორს მზე ამოინვერა ღრუბლებს უკან. ო, რა ლამაზი იყო ცის ტალღებზე მისი ფერადოვნება. ისიც ვარდისფრად იყო ალაჟღაჟებული შენი ლოყებივით. ალბათ, იმასაც დასცხა.

მერე ეს შუქიც ნელა გაქრა და ცის სიღრმეში უფრო ძლიერი სინათლე აკაშკაშდა. ჰორიზონტი შენი თვალების შუქმა გაანათა და მივხვდი, გაგეღვიძა.

ფიფქების ცვენა სულ უფრო მატულობდა, ასე მეგონა, ჩემი ფიქრები თოვლის ფიფქებზეა ქცეულიყო და მოჰფენოდა არემარეს.





სოსნა ჯოსანიძე

კოტაში კლდეში გამოკვეთილი ა.შ.შ.-ის ოთხი პრეზიდენტის სახე: ვაშინგტონი, ჯეფერსონი, რუზველტი, ლინკოლნი.

უზარმაზარი პალმა გადმოხრილა ოკეანეზე, რომელიც სხვადასხვა ფერებით გვეთამაშება. ფიჯის კუნძულზე კოქტილს სვამენ მანგოთი. ბუნგალოები უბრალოებითა და სითბოთია სავსე. ტალღებში გერმანული ნაგაზი თამაშობს. აქ თითქოს სამოთხეა.

აფხაზეთი. მდინარე ბზიფი. რინის ტბისკენ მიუყვები გზას. სიმწვანე ისეთი ხასხასაა, თვალებს გჭრის, რის გამოც ცას ვეღარ ხედავ. მდინარეში წყალი კი არა თითქოს თხევადი ჰაერი მოედინება — ისე კარგად ჩანს პრიალა, ჭრელი კენჭები. უკვე ტბასთან ახლოს ხარ. აქ კი არ სუნთქავ — სივრცეში იღვრები. წყლის ფერს ვერც კონსტანტინე და ვერც რობაქიძე აღწერდნენ — ისეთი უცხო ფერადოვნებაა. ტბის გარშემო ნაძვნარი, ფიჭვნარი, ფოთლოვანი ტყეა, ხეები დაძინებისას — ღამლამობით წყალში ბანაობენ და ღამაზდებიან. ნავით სეირნობისას წყალს შიშის გრძნობით ეხები — მის რეალობაში დასარწმუნებლად. ზედაპირი თითქოს იესოს ნატერფალითაა დაფარული.

მენატრება ბზიფის ხეობა.
იქ ნამდვილი სამოთხეა.

სიზმარში სხვა ქვეყანაში ცხოვრობ, იქ, სულ სხვა ადამიანი ხარ. უცნაური ფიგურები და თითქოს ნაცნობი ადამიანები ირევიან შენს გარშემო. ხედავ ქალის უცნაურ ქანდაკებას რატომღაც თვალების გარეშე. ღამაზი საყურით, რომელსაც ხიდის ფორმა აქვს, როგორც ლონდონის მილენიუმს. ზედ კი ავტომობილები პრიალებენ და ციმციმებენ ციციანათელებივით. შენ კი, ამ დროს ქვემოთ მდინარეზე დასრიალებ იახტით და გგონია, ცაზე დასეირნობ — დაუკითხავად.

კლდეს, რომელსაც ოკეანე რეცხავს, უყვარს ხოლმე ღრუბელივით სხვადასხვა ფორმების მიღება. თითქოს გვეთამაშება. თუ დიდხანს უყურე, უთუოდ რამეს ან ვინმეს მიამგვანებ. საინტერესოა: — ღრუბლებს ქარი უცვლის ფორმებს, კლდეს კიდევ დრო, ან წყალი, ადამიანი ვერაფერს გაანყოფს ღრუბლის ფორმასთან — მიუხედავად იმისა, რომ ის საოცრად ამორფულია. აი, კლდე კი, შეიძლება დაიმორჩილო — ის ხომ მაინც მინიერია. ამის საუკეთესო მაგალითია — სამხრეთ და-

იაპონელებს ძალიან უყვართ ალუბლის ბაღები. ისინი უზარმაზარ ტერიტორიებზე აქვთ გაშენებული. გაზაფხულის მოსვლას იმედიანი თეთრ-ვარდისფერი ყვავილებით ეგებებიან, ოკეანიდან მონაბერი ნიავი ნაზ ფურცლებს ხეებიდან იტაცებს და ჰაერში თოვლის ფანტელებივით ჰფანტავს. ოკეანის უკიდევანო ზედაპირს კი უამრავი თეთრი თოლია შესევია, ხოლო მოგზაური ჩიტები და ნისლისფერი მტრედები ქარაშოტივით დაჰქრიან ცის კაბადონზე. წარმოიდგინეთ გაზაფხული ალუბლის ბაღში.

ჩადის მზე და მისი ანარეკლი ნათლად ისახება სარკეში. გვეჩვენება, რომ სარკეში ჩადის, სანამ არ ჩაქრება და არ ჩანავლდება, როგორც ცეცხლი. დგას ეს პროზაული სარკე ერთ ადგილას და ყლაპავს ყოველივეს, რაც მის არემარეში გამოჩნდება... საოცარია ადამიანი, სარკე რომ გამოიგონა. მასში, ჩამავალი მზეც კი ეტევა...

უკუნი ღამეა. მიდხარ მარტო. გეშინია სიბნელის. გეშინია იმიტომ, რომ ადამიანი ხარ, უბრალო მოკვდავი, სუსტი თუ ძლიერი სულერთია — მთავარია, რომ მარტო ხარ. გზასაც ვერ ხედავ, არ იცი, რა მოგელის. თუ ბედი გწყალობს, იქნებ გადაურჩე მხეცს, ან გამხეცებულ ადამიანს, ჭაობს ან ღრმა ორმოს — სხვისთვის, იქნებ, შენთვისაც გამზადებულს. მაგრამ ყველაფერი სულერთია, მთავარია შიში, რომელიც ლანდივით აგდევნებია.

იქნებ, მალე გათენდეს კიდეც, რა იცი... მაშინ, უთუოდ, გეშველება, ის მაინც გეცოდინება, ვის თუ რის მსხვერპლად გამზადებს ბედისწერა. ახლა ისევ ღამეა, უკუნი ღამე... შენთვის მოულოდნელად შავი ღრუბლებიდან მთვარემ გამოაღწია, მისი ვერცხლისფერი სხივები შენს სულს მიესაღბუნა, გაათბო; გამოჩნდა ნინ სავალი გზა... წუთით, შიშიც სადღაც გაქრა. იმატა მთვარის ნათელმა, არცთუ ისე შორს, ორი არსება დალანდე... აბა, დაკვირვებით შეხედე! ხეები ყოფილა, მუხის ხეები, წყნარად, ამყად, ბედს შეგუებულნი დგანან ჭალაში. მათაც მთვარისაკენ მიუპყრიათ შიშნარევი მზერა. ერთი, ბერმუხა, უზარმაზარი ტოტებით შემოხვევია მეორეს, ოდნავ უმცროსს. ნეტავ რა აშინებთ, ორნი არიან... „ორნი?!“ შენც უნდა მოძებნო მეორე და შიშსაც ეშველება, ორ არსებაზე გადანანილდება, განელდება... რა გიჭირთ მაშინ, ივლით ასე ხელიხელჩაკიდებულნი მთვარიან გზაზე, ამასობაში, რა იცი, იქნებ გათენდეს კიდეც...

ფანჯრის ჭუჭყიანი მინიდან მარტის მზემ თამამად შემოანათა, გამათბო და თავისი ყვითელი შუქი შემომაფრქვია მიკროავტობუსში. ქიაჩელის ქუჩის კუთხეში გავიარეთ, სადაც დიდი ხნის წინ ჩემი ბავშვობის მეგობარი ცხოვრობდა. ის ახლა ემიგრაციაშია. გამგზავრებისას ისე ჩაეჭიდა თავისი სახლის კარებს, რომ ძლივს მოაშორეს, ძალით ჩასვეს მანქანაში. მას მერე არც ჩამოსულა. წარსულიდან ამოგლეჯილი ეს ამბავი გულს მიკლავს.

აქვე, ამ ქუჩასთან, ადრე პატარა სკვერი იყო — სამაიას ბაღს ეძახდნენ. თბილისის ყველა უბნიდან მოდიოდნენ ფოტოების გადასაღებად. მეც მაქვს აქ გადაღებული ერთი ფოტო.

თეთრხალათიანი, ღამაზი, უთუოდ მარტოხელა ქალი მონდომებით წმენდს მინებს; ფარდებს რატომღაც არ აფარებს... მარტობის თუ ეშინია?! მერე გადის სხვა ოთახში, ანთებს ატმისფერ აბაჟურს და იხდის... წვება სრულიად შიშველი — სარკმელივით.

და ღამეში ქრება ნითელლოყება ბრასთან ერთად.

ღამეა, საიდუმლოებით მოცული ღამე. არეულ-დარეული აზრები, არეულ-დარეული სიზმრები. ბავშვებს სძინავთ.

ღამის თბილისი, განათებული ფანჯრები მშვიერი მგლის თვალბევივით ბრწყინავენ სიბნელეში და სავსე მთვარეს შეჰყმუიან, სასოებით რაღაცას სთხოვენ...

ყოველი ფანჯრის მიღმა მთელი სამყაროა, ცალკე სამყარო, ცალკე ცხოვრება. მთვარე კი, დაკვირვებით დასცქერის თავის სამწყსოს და ვინ იცის, რას ფიქრობს. შეიძლება არც კი ფიქრობს. შესაძლოა იგი ანათებს დედამიწას ციკლოპივით ცალი თვალით და შეგუებულია თავის ხვედრს — მხოლოდ სიბნელეში დაეხსოს ადამიანებს.

მოჯადოებულია და იმიტომ.

ნითელი ხელსახოცები შავ კრიალა ჭერში ამოუცნობ ფერს ტოვებენ. მარტინიანი ყანჩისფეხება ჭიქა კი, სულაც არ მოჩანს. ადამიანები ერთმანეთს ცვლიან. სარკესავით ზედაპირი უგულოდ ირეკლავს ყოველივეს, ისევე როგორც ზეცა. სიგარეტის ბოლი; შაკირას ფორმებიანი გოგონები ერთმანეთში ირევიან და პიცას, ყავას და ნამცხვარს შეპარვიან. ინტერიერი მიმზიდველია: სკამები, მაგიდები, ბრჭყვიალა ბიჟუტერიით სავსე კარადები... მახსენდება სამტრედია, ბებიას ძველი სახლი და ღამაზი ვენეციური სკამები. მათი გამოსახულება დევას ნახატებზე ძალზედ ნაღვლიანია. ბებოს კარადაც ღამაზი ჰქონდა: ნითელი ხის, უცნაური ფორმის ვიტრაჟებით. ამ კარადის უკან მე და ჩემი ბიძაშვილი დედას ნათლიას, გულნარა ფალავას ვემალებოდით სადილობის დროს.



ნიკოლოზ
 ისაკოვი

ჩაქვასიაში მოგონებანი
 (ფხაბმენსები)

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნეში კავკასიაში მოღვაწე ბევრმა რუსმა სამხედრო თუ სამოქალაქო პირმა დატოვა ჩანაწერები, რომელსაც ხშირად ისტორიული წყაროს მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ბარონ ტორნაუს, გრაფ ბენკენდორფის, დუნდუკოვ-კორსაკოვის, ზისერმანის, პოტოს, ბოროზდინის და სხვათა მიერ შექმნილი მემუარული ხასიათის ლიტერატურა.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე რუსი გენერლისა და სამხედრო პედაგოგის, სახელმწიფო საბჭოს წევრის ნიკოლოზ ვასილის ძე ისაკოვის (1821-1891) „კავკასიური მოგონებანი“, რომელიც 1917 წელს ჟურ-

ნალ «Русская Старина»-ში გამოქვეყნდა. ყოველთვიური საისტორიო გამოცემა «Русская Старина» სანკტ-პეტერბურგში 1870-1918 წლებში გამოდიოდა. ჟურნალის მიზანი იყო პეტრე I-ის შემდგომი პერიოდის რუსეთის ისტორიის გაშუქება და მისი ფურცლები უმთავრესად ჩანაწერებს, მოგონებებს, დღიურებს და ავტობიოგრაფიებს ეთმობოდა.

ნიკოლოზ ისაკოვს გარკვეული წვლილი მიუძღვის რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დამორჩილებაში. მისი სამხედრო სამსახური კავკასიაში მოიცავს 1846-1848 წლებს. ის მსახურობდა ჩეჩნეთსა და დაღესტანში თავად მოსე არლუთინსკის ხელმძღვანელობით, მიღებული აქვს წმინდა ანას მე-4 ხარისხის ორდენი მამაცობისა და თადარიგიანობისთვის, წმინდა ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი ბაფთით აულ სალთის იერიშში თავის გამოჩენისათვის, წმინდა ანას მე-3 ხარისხის ორდენი ბაფთით სალთის სიმაღლეთა დაცვისათვის და ოქროს დაშნა წარწერით „მამაცობისთვის“ გერგებილთან გამოჩენილი თავდადებისათვის.

ნიკოლოზ ისაკოვის მოგონებანი მოიცავს აღმოსავლეთ კავკასიაში წარმოებულ ომებს გრაფ ვორონცოვის წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ დარღოსა და იჩქერიაში. ავტორი აგვიწერს ორ ექსპედიციას გერგებილის წინააღმდეგ, ექსპედიციას სალთის წინააღმდეგ და არლუთინსკის მიერ ციხესიმაგრე ახტის გასათავისუფლებლად მოწყობილ ექსპედიციას. სწორედ ახტის გათავისუფლებით მთავრდება ისაკოვის მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში კავკასიაში. 1848 წელს კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვის მიერ შტაბს-კაპიტანი ისაკოვი კურიერის რანგში გაგზავნილ იქნა რუსეთის იმპერატორთან ჩრდილოეთ დაღესტნის დამორჩილების ამბის შესატყობინებლად. იმპერატორის მიერ მას ეწყალობა ფლიგელ-ადიუტანტობა. ამის შემდეგ იგი კავკასიაში აღარ დაბრუნებულა.

ცნობილია, რომ თბილისი მაშინდელი ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო კავკასიის არმიის მთავარსარდლის სადგომი, 1845 წლიდან კი - კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის რეზიდენცია. კავკასიის რუსი მეომრებისათვის თბილისში ჩამოსვლა ითვლებოდა, ისაკოვისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორ საბრძოლო ლაშქრობას შორის სულის მოთქმის საშუალებად.“ იგი

რამდენჯერმე ჩამოსულა თბილისში, მეორედ ჩამოსვლის დროს შედარებით დიდხანს დარჩენილა და პატარ-პატარა ექსკურსიებიც მოუწყვია ქვეყნის გასაცნობად.

„კავკასიურ მოგონებანში“ ისაკოვი იხსენებს საქართველოში გატარებულ დღეებს. იგი ხატოვნად აგვიღწერს მის მიერ დანახულ ქართულ სინამდვილეს, ქართლში, იმერეთში და კახეთში ხანმოკლე მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ალავერდობის დღესასწაულს. მოგონებებში დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე გრაფი ვორონცოვის და მისი ოჯახის წევრთა დახასიათებას, ვორონცოვის მიერ ქართული საზოგადოებისათვის დათმობილ ყურადღებას და გულითადობას. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური მიხეილ ვორონცოვი წინამორბედი მთავარმართებლებისაგან განსხვავებით დამპყრობლურ და რუსიფიკატორულ პოლიტიკას კავკასიაში მეტად მოქნილად და დიპლომატიურად ატარებდა. მის სახელს უკავშირდება მრავალი კულტურული ღონისძიების წამოწყება – ჟურნალ „ცისკრის“, ქართული თეატრის დაარსება და სხვ. ასეთი ტაქტიკის წყალობით დიდი პიროვნული ხიბლის მქონე, კულტურულმა და განათლებულმა გრაფმა ბევრი გულუბრყვილო ქართველის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გავიხსენოთ აკაკი წერეთლის დამოკიდებულება მისდამი. პოეტი მას „არდასავიწყებელს“, „ქართველების დიდ მოყვარულსა და მწყალობელს“ უწოდებდა და მისი პიროვნებით აღფრთოვანებულმა პოემაც კი უძღვნა. გრაფის პოპულარობის დადასტურებაა ისიც, რომ მისი სიკვდილის შემდეგ რუსების მთარულმა ანდაზამ «До бога высоко, до царя далеко» სახე იცვალა და ასე გადაკეთდა «До бога высоко, до царя далеко, а Воронцов умер». აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრაფის თანამედროვე ზოგიერთი ქართველისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი შენიღბული ზრახვები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის აზრი ვორონცოვის მმართველობაზე: „რამდენი რამ მოიგონა ვარანცოვმა ჩვენი მოსატყუებელი. ქართველებს ასე ეგონათ, საქართველოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა: იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრომა-შექცევანი, იმისთანა თიატრ-ლიტერატურობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ – ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო.“ „ეს ცფიერი დიდი დიპლომატიკი და გამოჩენილი კაცი,

ცფიერულად უაღერსებდა სუბუქ ჭკოვანს ზოგიერთს ქართველებსა და იმათაც დიდი ყოფა ჰქონდათ ვარანცოვისათვისა, ერთგულებას აჩუენებდნენ“; „იმისი ყოველი მიმართულება, იმის ცხრა წლის მართულობა კავკასია საქართუელოში სულ რუსეთის ამალღება იყო და ცბიერულად ჩუენი წახდენა“ (ალექსანდრე ორბელიანი. „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ.“ (http://www.lib.ge/body_text.php?5347))

ბატონ თამაზ ჯოლოგუას აზრით „საქართველოში ვორონცოვის მოღვაწეობის შეფასება ვერ იქნება ვერც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური და ვერც ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი შემდგომ საფუძვლიან, სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს“ („საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი“ II „ზეკარი“, თბილისი, 2007. გვ.260) ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პატივცემული მკვლევარის ამ თვალსაზრისს.

ისაკოვის ჩანაწერებით ვეცნობით თბილისურ ყოფას, იმდროინდელ რუს სამხედრო თუ სამოქალაქო პირთა გაღერეას, წარჩინებულ ქართველებს, რომლებიც ტონის მიმცემნი იყვნენ მაშინდელი თბილისური საზოგადოებისათვის (ალ. ჭავჭავაძის ოჯახი, ილიკო ორბელიანი, ივანე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე დადიანი...). ავტორი იხსენებს ქართული არისტოკრატის სწრაფვას ევროპული ცხოვრების წესისადმი, რომელიც, ის-ის იყო, მკვიდრდებოდა, ქართველ ბანოვანთა გამგზავრებას ყირიმში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბუნებითა და კოლორიტით მიმოხილვა ხელს არ უშლის ისაკოვს აღნიშნოს ქართველი მანდილოსნების გემით მოგზაურობის შეურაცხმყოფელი დეტალი, რაც იმპერიის მსახურისაგან სულაც არ არის გასაკვირი.

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ფრაგმენტებს ნ. ისაკოვის „კავკასიური მოგონებებიდან“, რომელიც მის თბილისურ შთაბეჭდილებებს ასახავს.

მთარგმნელი

პირველად თბილისში არცთუ ისე დიდი ხანი დავეყავი. სიონის ტაძარში შევხვდი ალდგომის დღესასწაულს, რომელსაც ხელისუფლების უკლებლივ ყველა წარმომადგენელი დაესწრო. მარხვის შემდეგ გენერალური შტაბის კოლონიაში თავს ვინებივრებდი ისე, როგორც მოლაშქრეს შეეფერებოდა. გავი-

ცანი თავად ჭავჭავაძის ოჯახი, მისი სათნო და ჭკვიანი ქალიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული გრიბოდოვა. ბოტანიკურ ბაღში მიმინვიეს ახალგაზრდების მიერ მანდილოსნებთან ერთად გამართულ ლხინზე, რომელიც გადაუღებელ წვიმაში ჩატარდა. ქეიფის შემდეგ, საკმაოდ შეზარხოშებული თანამეინახეები დილაზე დავესერნობდით თბილისის ატალახებულ ქუჩებში მუსიკით, გზადაგზა შევედიოდით უკვე ჩაძინებულ ამხანაგებთან და ვერთობოდით ხმაურით, კიჟინით და მათი მოულოდნელი გაღვიძებით. მეორე დღეს ყველანი სასწრაფად სამსახურში გამოცვხადდით: დუნდუკოვი¹, რომელიც არ დააკლდებოდა არც ერთ ქეიფს, ჩვენს გამოღვიძებამდე გამგზავრებულიყო სადღაც სპარსეთის საზღვრისკენ. ასეთი იყო ჩვენი ზნე-ჩვეულებანი და გასართობი.

დაბრუნება თბილისში. ა.ნ. მურავიოვი. თბილისის საზოგადოება. მივლინება სურამში.

„ახალგაზრდა მეგობრები“, როგორც ალბრანდტი² მამობრივად გვეძახდა, დილაადრიან სვეჩინთან³ ერთად რაზმიდან გავემგზავრეთ. ამხანაგებმა რომელიღაც ყორღანამდე მიგვაცილეს, იქ შამპანური შევსვით და შემდეგ ჩორთით სტანიცა სუნჟისკენ⁴ გავემურეთ: ვლადიკავკაზამდე გასეირნების ნებართვა ეთხოვა და ჩვენთან ერთად მგზავრობდა გლებოვი⁵. სტანიცა სუნჟაში ვიპოვეთ ვარშაველი მეგობარი გესკეტი⁶, რომელიც კა-

1. დუნდუკოვი - ალექსანდრე მიხეილის ძე (1820-1893) კუსართა პოლკის როტმისტრი (1820-1890), 1850 წლიდან - პოლკოვნიკი. 1882 წელს დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლად.
2. ალბრანდტი - ლევ ღვოვის ძე, რუსი გენერალი, კავკასიის ომის გამომჩენილი მოღვაწე, იმჟამად პოლკოვნიკი, შტაბის უფროსი.
3. სვეჩინი - ისაკოვის ძველი ვარშაველი მეგობარი.
4. სუნჟა - სოფელი და მდინარე - თერგის მარჯვენა შენაკადი - ჩრდილოეთ კავკასიაში.
5. გლებოვი - მიხეილ პავლეს ძე, ლეიბ-გვარდიის როტმისტრი, ვორონცოვის ერთ-ერთი ადიუტანტი, დაღესტნის პოლკის მეორე ბატალიონის უფროსი, დაიღუპა ხალთის ალების დროს.
6. გესკეტი - დავით გესკეტი, წარმოშობით ინგლისელი, ერთ დროს პრინც ოლდენბურგის შვილების აღმზრდელი, მსახურობდა კავკასიაში.

ზაკების რომელიღაც სახიფათო შეტაკებაში დაჭრილიყო და მკურნალობდა. ვისადილეთ სლეპცოვთან⁷, მან სუნჟის უგემრიელესი თევზი მოგვართვა. ჩვენს ტანმორჩილ შავგვრემან მასპინძელს, გამხდარ, ცოცხალ და კეთილ, მაგრამ ფხუკიან კაცს უკვე მონინავე უფროსის რეპუტაცია დაემკვიდრებინა. მას მოესწრო ახალი ხაზის, ახალი სტანიცის აღება და სახელის გათქმა მანამ, სანამ მთიელთა მიმართ გულში სერიოზული შიში ჩაენერგებოდა. სლეპცოვი ისეთ მონინავე უფროსთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, მუდამ, დღე-ღამის ყოველ დროს რომ მზადაა, ცხენს მოახტეს და მტრისკენ გაქუსლოს. კაზაკებს ისღა დარჩენოდათ, განგაშის ხმაზე დასწეოდნენ ხოლმე. ეს მამაცი მეომარი ნაადრევად დაიღუპა თავისი გამუდმებული ექსპედიციებიდან ერთ-ერთში.

იმავე დღეს მწუხრისას ვლადიკავკაზის ქუჩებში შევაბიჯეთ, ოპოჩინინებს⁸ შევხვდით და ის საღამო მათთან გავატარეთ.

ტფილისში ჩამოვედი თავის საშინელი ტყი-

7. სლეპცოვი - ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1815-1851) - იმჟამად სუნჟის პოლკის მეთაური, გენერალ-მაიორი, კავკასიური ომების მონაწილე, იშვიათი სიმამაცის კაცი, მოიხვეჭა გმირის სახელი, დაიღუპა მთიელებთან ბრძოლაში.

8. ოპოჩინინები - ალექსანდრე პეტრეს ძე ოპოჩინინი, გენერალ-მაიორი, ცოლად ჰყავდა ქართველი თავადის, იაკობ ორბელიანის ღამაზი ასული ბარბარე, გრ. ორბელიანის ბიძაშვილი, რომელიც მას „ვლადიკავკაზის კრასავიცას“ ეძახდა. იგი სწერს ბაბაღე საგინაშვილს „შენ გენაცუაღნენ ყოველნი ბარბარები... მაგრამ ჩვენი ბაბაღე, „ვლადიკავკაზის კრასავიცა“ კი არ უნდა გენაცუალოს: ეგ სხვა ჯავაირია“ (გრ. ორბელიანი. წერილები. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1937წ. ტ. 2. გვ.128). თავად ისაკოვი თავის „ჩანაწერებში“ ასე ახასიათებს ამ ვლადიკავკაზურ ოჯახს: „საზოგადოების სული და გული იყო ბატარეის მეთაურის ოპოჩინინის ოჯახი. მის ქართველ მეუღლეს, ორბელიანის ასულს, შინაურობაში ბაბაღეს (ბარბარეს) ეძახდნენ. ბაბაღეს ჰყავდა და, მისგან განსხვავებით უღამაზო, სიტყვაძვირი სოფიკო, რომელიც შემდგომში ცოლად გაჰყვა თავად სვიატოპოლკ-მირსკის. ეს სტუმართმოყვარე ოჯახი ყოველ საღამოს შინ ატარებდა და ყველა მათთან იკრიბებოდა. ზოგი ბანქოს თამაშობდა, ახალგაზრდები საუბრობდნენ, შემდეგ კი იმართებოდა უბრალო ვახშამი. ეს იყო და ეს. ოპოჩინინს ჩვევად ჰქონდა, არაყს რომ დაისხამდა, ცოლს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა „დღესასწაულს გილოცავ, ბაბაღე.“



მიხეილ ვორონცოვი

ვილით, რომელიც კარგა ხანს არ მომეშვა და მკვეთრ მოძრაობას მიშლიდა. ერთ დიდ ქუჩაზე დავბინავდი და რამდენიმე დღის შემდეგ კავკასიაში ჩამოსული ანდრეი ნიკოლოზის ძე მურავიოვიც¹ შევიკედლე.

ერთხელ მურავიოვთან ერთად აივანზე ვიჯექი. მტკვრის გაღმა ავლაბარში უცნაური მოძრაობა და ჯარის ნაწილები შევნიშნეთ. ჭოგრი მოვიმარჯვეთ და მივხვდით, რომ სასიკვდილო განაჩენი მოჰყავდათ სისრულეში. გამახსენდა ცოტა ხნის წინ მომხდარი ამბავი: ოფიცერმა პრავიკოვმა თავისი პოლკის მეთაურისაგან პირადი შეურაცხყოფა ვერ აიტანა და სიცოცხლეს გამოასალმა. ჭოგრით ვადევნებდით თვალს დახვრეტის სამზადისის ყოველ საშინელ წუთს. მალე სიკვდილმისჯილს თეთრი ჩაჩი ჩამოაცვეს. მურავიოვმა ჭოგრი გადმომცა და სულთბრძოლის ლოცვა დაიწყო. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა უნდა ესროლათ, დავინახე, რომ თეთრი ფიგურა ბოძს მოაშორეს: სიკვდილით დასჯა სხვა სასჯელით შეუცვალეს. მახსოვს, რა მძიმე ლოდი მომეხსნა გულიდან.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე და მურავიოვი

1. მურავიოვი - ცნობილი საეკლესიო მწერალი (6.0)

ანდრეი ნიკოლოზის ძე მურავიოვი (1806-1874) - რუსი სახულიერო მწერალი, პოეტი, დრამატურგი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის, 1854-1856 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი-კარსკის შვილი.

პრიბილის² სახლში გადავედით მოედანზე, მთავარმართებლის სახლის პირდაპირ. იქვე ცხოვრობდა ვოლფიც³. მურავიოვმა ხელი მიჰყო საქართველოს საეკლესიო აღწერას, რომლის მიხედვითაც მოგვიანებით შესანიშნავი წიგნი გამოსცა⁴. იგი შეხვდა აქ თავის ადრინდელ ნაცნობს, წარმოშობით ბერძენ ლელლის, იმუამად დიპლომატიური კანცელარიის უფროსს და მასთან ბერძნული ენის შესწავლას შეუდგა. თან გამუდმებით უჩიოდა მის უგემურ სადილს, ამბობდა, წამლები ფასიან გაკვეთილებზე ძვირი მიჯდებო. ამის მიუხედავად, მაინც არ ეშვებოდა ლელლისთან სადილობას და სადილის შემდეგ მეცადინეობას.

ქალაქის შემოგარენის გასაცნობად გასულ მურავიოვს მეც დიდი ცნობისწადილით დავყვებოდი და საშუალება მეძლეოდა ქართული საეკლესიო სიძველენი დამეთვალიერებინა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო იოანეს ... მონასტერი⁵. მის სანახავად მტკვარზე ფონს გავედი. ჯერ მთის ბილიკზე ვიარეთ დიდხანს, შემდეგ მთის ნაკადულის კალაპოტს გავყევით. ამ დროს ჩვენი ფეხქვეშ ქეჩა-ქუხილი ატყდა და თვალწინ დიდებული პანორამა გადაგვეშალა. ბოლოს, როგორც იქნა, დიდი გაჭირვებით ავალწიეთ თხემზე რალაც ნანგრევებამდე. ჩვენი მეგზური დაწინაურდა, რომ ენახა, დათვეები ხომ არ მოკალათებულიყვნენ ნანგრევებში, რადგანაც ეს ადგილი მათ ჩვეულ ბუნაგად ექციათ.

სანთლებით ხელში პანანინა ეკლესიაში შევედით. მას ჯერ კიდევ შემორჩენოდა ქვის ძველი კანკელი, კანკელზე სვიმონ მესვეტის⁶

2. პრიბილი - ივანე ანტონის ძე (1782-1866), რუსეთში გადასახლებული ჩეხი ექიმი, 1808 წელს ჩამოვიდა საქართველოში. მხახურობდა საქართველოს საექიმო სამმართველოს ინსპექტორად, შემდეგ თბილისის სამხედრო პოსპიტლის მთავარ ექიმად, მიღებული ჰქონდა მედიცინისა და ქირურგიის დოქტორის წოდება.

3. ვოლფი - გენერალ-კვარტირმეისტერი, 1846-1847 წლებში იყო კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი.

4. იგულისხმება ა.ნ. მურავიოვის წიგნი „Армения и Грузия“ С-Пб. 1848.

5. იოანეს მონასტერი - სირიელი მამა იოანეს მიერ VI საუკუნეში დაარსებული მამათა მონასტერი ზედაზნის მთაზე.

6. სვიმონ მესვეტე - იგულისხმება სვიმონ მესვეტე უმცროსი (521-569), საკირველმოქმედი, ანტიოქიის შავი მთის სახელგანთქმული განდევნილი VI საუკუნეში. მსგავსად სვიმონ მესვეტე უფროსისა (356-459), რომელმაც განდევნილობის ერთ-ერთი



Портрет работы Дж. Хейтера.

ელისაბედ ბრანიცკაია-ვორონცოვა

უხეში რელიეფური გამოსახულება ირჩეოდა.

ამავე ექსკურსიის დროს ვინახულე სხვა მონასტრებიც, კარ-სარკმელთა გასწვრივ ქვის ჩუქურთმებით და ხის შესანიშნავი კვეთილობით დამშვენებული.

მალე საარტილერიო ბრიგადისთვის შტაბბინის ადგილის შესარჩევად სურამში გამგზავნეს. სურამის დიდებულმა უღელტეხილმა და მდინარეს გაყოლებულმა მთელმა გზამ სურამამდე ფანტასტიკური მოხაზულობის მენამული ფრიალო კლდეებით, მთვარიან ღამეს რაინდთა ციხე-კოშკებს რომ ჰგვანან, ჩემი მგზავრობა ერთობ გაახალისა. სურამის გავლით იმერეთში გადავედი. ქუთაისსაც გავცდი, გელათის შემდეგ რამდენიმე ძველი ნახევრადდანგრეული მონასტერი და ეკლესია დავათვალიერე. კარ-სარკმელთა ირგვლივ შესრულებული მათი ქვის ჩუქურთმები ამ ქვეყნის მაღალი ხელოვნების ნიშანია, რომლის ნიშანწყალიც კი აღარ ჩანს დღეს. თვითონ ქვეყანა, მისი თვალტანადი ხალხი, სოფლები, ბაღები, ტყეები, ჩაცმულობა საგანგებოდ ფერწერულია. ხილის და ღვინის სიუხვე, სტუმართმოყვარეობა, ფაფარშეკრეჭილი ცხენები და მათი არაჩვეულებრივი თოხარიკი, ადრეული შემოდგომის მშვენიერი ჟამი – ეს ყველაფერი ახალი და

სახეობა „მესვეტეობა“ დააარსა, დაუდებული იყო სვეტზე. ქართული წყაროების ჩვენებით სვიმეონ მესვეტეს მეგობრობა აკავშირებდა სირიიდან ქართლში ჩამოსულ სირიელ მამებთან იოანე ზედაზნელის მეთაურობით.

მიმზიდველი იყო ჩემთვის ამ მოგზაურობაში.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ კახეთისკენ გავეშურე, სიღნაღსა და თელავში. კახეთი ბალ-ვენახების ქვეყანაა. ჩემი მოგზაურობართველს და ალავერდის მონასტრის დღესასწაულს დაემთხვა. საღამოს, მონასტერს რომ ვუახლოვდებოდით, იქიდან ვებერთელა ანაშუქი იხსნებოდა და სროლის ხმა ისმოდა. ფართო ველზე ოჯახობით მისული აურაცხელი ქართველობა დაბანაკებულიყო; ტაძრის ირგვლივ უკიდევანო სივრცე ხარებშებმული ურმებით და სახედრებით გადაჭდილიყო. ყველგან კოცონი ენთო. აცხობდნენ, ხარშავდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ ისეთი ოდენობით, მხოლოდ მოლხინე ქართველებს რომ შეუძლიათ. ბოლო არ უჩანდა მწვადს და კახური ღვინის სმას რუმბებით, ზღვა სადღეგრძელოები სროლით თავდებოდა. ყვირილი, ხარხარი, სმა და სროლა ზურნის გაუთავებელ ხმასა და ლეკურში ირეოდა. ხმაური და ჟივილ-ხივილი თავზე ღრუბელივით ადგაველს. ასეთი არაჩვეულებრივად ორიგინალური სურათი იხატებოდა დღესასწაულის წინაღამეს.

მეორე დღეს დილიდან ეკლესია ქალებითა და სირმა-აბრეშუმში გამონყობილი მამაკაცებით გაივსო, დაიწყო წირვა. ქალთა შესანიშნავი უჩვეულო მეჩვენა: ისინი გარს უვლიდნენ ტაძარს და ძაფს აბლაბუდასავით შემოახვევდნენ, ვისაც რამდენი შეეძლო.

ქართულ ენაზე შესრულებული ღვთისმსახურება და გალობა მიუჩვეველი ყურისთვის მძიმეა. ჭყლეტა და სიცხე გაუსაძლისია. წირვის შემდეგ ბანაკი იშლება, ურმები იტვირთება და იწყება მათი გაუთავებელი ჭრიალი. კაცები წინაღღეს დანყებულ ქეიფს აგრძელებენ და ოჯახობას მოგვიანებით ცხენით ეწევიან. ტფილისში მეც ცხენით გამოვეშურე პირდაპირი მოკლე გზით. მგზავრობის დროს შემეძლო, შემესვენა, სადაც მომინდებოდა, ცხელ-ცხელი ქართული ლავაში მიმერთმია, დარაჯისთვის გაღებულ მცირე გასამრჯელოს ფასად ნებისმიერ ვენახში შევსულიყავი და ვაზის ძირში წამონოლილი მსხვილ-მსხვილ მნიფე მტევნებს ხელის მიუშველებლად გაძლომამდე შევქცეოდი. საღამოს, უკვე საკმაოდ დაქანცულმა, ტფილისში ჩამოვადნე.

ზამთარმა ტფილისში ადგილობრივი ელფერით გამოხატულ ქალაქურ მყუდროებაში ჩაიარა. გრაფმა ვორონცოვმა¹, ანუ „სამეფო I. ვორონცოვი – მიხეილ სიმონის ძე (1782–1856), გრაფი, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ადიუტანტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, მეფისნაცვალთა კავკასიაში 1844–1854 წლებში.

კარმა”, როგორც მას ახალი ნესრიგის არამოსურნენი უნოდებდნენ, თბილისის საზოგადოებას უკვე ნირი უცვალა და სხვა იერსახე მიაღებინა.

თავადი საქმეებს დილაადრიანად შეუდგებოდა ხოლმე, თან ყავას სვამდა, მდივნები კი: შჩერბინინი¹, ნიკოლაი² და ადიუტანტი დუნდუკოვი სხვადასხვა მაგიდეებს უსხდნენ და კორესპონდენციებს უწერდნენ. თერთმეტი

1. შჩერბინინი – მიხეილ პავლეს ძე მსახურობდა ვორონცოვთან ნოვოროსიის მხარეში, საქართველოში ვორონცოვის ჩამოსვლის შემდეგ კი ჯერ მთავარმართებლის საიდუმლო კანცელარიის მმართველად (1846–1848), ხოლო 1851 წლიდან ვორონცოვის კავკასიიდან წასვლამდე – მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორად. დაწერა ვორონცოვის ბიოგრაფია: М.С.Щербинин. Биография Генерал-фельдмаршала Князя Михаила Семеновича Воронцова. Санкт-Петербург. 1858.

2. ნიკოლაი – ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი (1821–1899), რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1848 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი, 1852 წლიდან კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, შემდგომში სახელმწიფო საბჭოს წევრი და განათლების მინისტრი. ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო.



ნინო ჭავჭავაძე

საათიდან იწყებოდა ხალხის მიღება: ღებულობდნენ ყველას – დიდკაცობიდან დაწყებული უკანასკნელ დაკონკილ მთიელამდე. მიღებას მოსდევდა მოხსენებები, ცხენით გასეირნება და დასვენება სადილამდე. თანმხლები პირები, მათ შორის კნეინა³ და ვაჟიშვილი⁴, თავადს ხმამაღლა უკითხავდნენ ინგლისურ თუ სხვა ჟურნალებს. ამის შემდეგ მონვეულ სტუმრებთან ერთად იმართებოდა სადილი, სალამო ლომბერის⁵ პარტიას ეთმობოდა. ვორონცოვებს გამოყოფილი ჰქონდათ კვირის ერთი დღე, როცა კნეინა დილას ტფილისის წარჩინებულ საზოგადოებას ედარბაისლებოდა, ხოლო სალამოს მათ ცეკვებს უმართავდა.

ტფილისში იყო რამდენიმე სახლი, რომლებშიც პეტერბურგის ყაიდაზე ცხოვრობდნენ. ნუნს ვერ დასდებდით ცეკვა-სადილებს, კოცებუსა და მის მაღალ-მაღალ, სიმპა-

3. კნეინა – ვორონცოვის მეუღლე ელისაბედ ვორონცოვა, გრაფ ქსავერი ბრანიცკის და უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენლის ალექსანდრა ენგელგარდტის ასული, ახალგაზრდობაში ა. პუშკინის სატრფო და მისი მრავალი ღექსის ადრესატი. ელისაბედ ქსავერის ასულს ახასიათებენ, როგორც სათნო, კდემამოსილ, მშვენიერი სულის ქალს. თბილისში მოწყობილი ჰქონდა არისტოკრატული სალონი, რომელსაც უშუალოდ მართავდა და უძღვებოდა (ი. ბალახაშვილი. „ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში.“ „საბლიტგამი“. 1940წ გვ.191–198). ხელმძღვანელობდა თბილისში წმინდა ნინოს სახელობის საქველმოქმედო საზოგადოებას. მას, უკვე საკმაოდ მოხუცებულს და ქვრივს ყირიმში შეხვდა რუსეთში სასწავლებლად მიმავალი აკ. წერეთელი. კნეინამ იგი გულთბილად მიიღო და ოქროს ზოდებით უხვად დაასანუქრა, რის შესახებაც პოეტი გვიყვება „წემს თავგადასავალში.“

4. ვაჟიშვილი – სიმონ მიხეილის ძე ვორონცოვი (1823–1882), მიხეილ ვორონცოვის ვაჟი. სწავლობდა ლიცეუმში, შემდეგ დაიწყო სამხედრო სამსახური. 1848 წელს მონაწილეობდა გერგებლის აღებაში. დაინიშნა ფლიგელ-ადიუტანტად. იბრძოდა ასევე ჩეჩნეთში, 1849 წელს კაპიტნის, ხოლო 1850 წელს პოდკოვნიკის ჩინი მიიღო.

5. ლომბერი – ბანქოს ძველებური არაზარტული თამაში სამი მოთამაშისათვის. შეიქმნა ესპანეთში, რუსეთში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეკატერინე II-ის დროს თავდაპირველად გომბერის სახელწოდებით.

6. კოცებუ – პავლე ვესტაფის ძე გერმანელი დრამატურგისა და რომანისტის ავგუსტ ფრიდრიხ ფერდინანდ ფონ კოცებუს (1861-

თიურ ცოლთან, ქალიშვილობაში გრაფინია მანტიეფელთან რომ იმართებოდა. პეტერ-ბურგულ ტრადიციას ტფილისშიც აგრძელებდა ვორონცოვის ერთ-ერთი ადიუტანტი, თავადი კონსტანტინე სუვოროვი. ამ დიდად ახირებულ კაცს და დიდ მუსიკოსს ნიკოლოზ პავლეს ძემ¹ სამხედრო მუნდირი ჩააცვა, რადგან შეუძლებლად მიაჩნდა, დიდი ფელდმარშლის² შვილიშვილი სამოქალაქო პირი ყოფილიყო. მისი მეუღლეც, სახელმწიფო კონტროლიორ ხიტროვოს ქალიშვილი, აღზრდილი იყო ხმირ დარბაზობებს ჩვეულ ოჯახში. მთავარმართებლის კანცელარიის უფროსი საფონოვი, რომელსაც ცოლად ჰყავდა მდიდარი ქალბატონი მარაზლი³, აგრეთვე წარმოადგენდა სახლს, ნადიმებს რომ მართავდა. მეტყველი თვალებით გამორჩეული, ჭკვიანი შავგვრემანი დიასახლისი ამას საკმაოდ ოსტატურად ახერხებდა. თბილისის გუბერნატორი იყო ძველი გენერალი სერგეი ნიკოლოზის ძე ერმოლოვი, ალექსი პეტრეს ძის⁴ ერთი მრავალრიცხოვან ძმისწულთან-



სოფია ჭავჭავაძე

განი, დაქორწინებული საკმაოდ ჭკვიანსა და ენერგიულ ქალზე, ქალიშვილობაში გერზინსკაიაზე. ისინიც აწყობდნენ წვეულებებს ერთობ ცერემონიულად და მოსაწყენად. ქართველი ქალები ვორონცოვების გულისხმიერების წყალობით თანდათან ერთგვობდნენ ევროპულ საზოგადოებაში. რამდენიმე ქართული ოჯახი თითქმის ზიარებოდა კიდეც ახალ კულტურას მიუხედავად იმ ქართული სამოსელისა, რომლითაც მათი წევრები ჯერ კიდევ ჩნდებოდნენ ბალებზე.

თარგმნა, შესავალი და კომენტარები
დაურთო **მაია ცმრცვაძე**.

გაგრძელება იქნება

1819) ვაჟი, გენერალ-ლეიტენანტი, შტაბის უფროსი. ცოლად ჰყავდა ესტლანდიელი გრაფინია მანტიეფელი.

1. ნიკოლაზ პავლეს ძე - იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლაზ I.

2. დიდი ფელდმარშალი - თავადი ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვი (1729-1800), დიდი რუსი მხადართმთავარი, რუსული სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალების გენერალსიმუსი, ავსტრიისა და სარდინიის ჯარების გენერალ-ფელდმარშალი, გრაფი.

3 მარაზლი - ოდესელი მარაზლი, რომელიც ცნობილია ოდესის პუშკინისეული აღწერით „გადამდგარი კორსარი მარაზლი“. საფონოვს ცოლად ჰყავდა ამ მდიდარი მარაზლის და (ნ.ი). იგულისხმება გრიგოლ გრიგოლის ძე მარაზლი (1831-1907), წარმოშობით ბერძენი, ოდესელი მილიონერი, ოდესის ქალაქის თავი 1878-1907 წლებში, სახელი გაითქვა ქველმოქმედებითა და მეცენატობით. საფონოვს ცოლად ჰყავდა მისი და ევრიდიკა, იგივე ევლოკია (1820-1867).

4. ალექსი პეტრეს ძე - ერმოლოვი (1772-1861), რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის მრავალი ამის მონაწილე, სახელი გაითქვა კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ მოწყობილ სადამსჯელო ექსპედიციებში, მათ განადგურებასა და

მძევლად აყვანაში. 1816-1827 წლებში იყო საქართველოს მთავარმართებელი. გადაყენებული იქნა ნიკოლოზ I-ის მიერ.



პურიან ხასჯა

(1938-1998)

ქება და დიდება ქართულისა ენისა

„ესე ენა შემკული და კურთხეული სახელთა უფლისათა“ — იოანე ზოსიმემ იცის, რომ ასევე იბადებიან წმინდანები. ისინი დედის მუცელშივე აღივსებიან სულიწმიდით და კურთხეულად იწოდებიან ამისა გამო. ასევე იცის, მან, რომ უფალს ენა ქართული თავისიანად უგულვია და სულიწმიდით აღუვსია იგი იმთავითვე, რის გამოც მიიჩნევს მას შემკულად და კურთხეულად. „ენა შემკულია“ ნიშნავს, მისი აზრის გამომხატველობის მაღალ უნარს, მის მხატვრულ შესაძლებლობებს. ხოლო რაც შეეხება „კურთხეულს“, იოანე-ზოსიმემ იცის, რომ იგი კურთხეულია ერის ხასიათისა გამო: მისი კაცთმოყვარეობისა და მშვიდობისმოყვარეობის გამო, ასევე, გიორგისეული სიმამაცისა და იმ საკაცობრიო

ფუნქციის ტვირთებისა გამო.

„და ესე ენა მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა, უფლისასა“... მოელის აღდგომას, ნათელ დღესაო, როგორც ანგელოზმა აუწყა ღვთისმშობელს, „განათებასაო“. ზოგიერთმა მკვლევარმა ვერ დაადგინა მაინც, რატომ მიიჩნევს იოანე-ზოსიმე ენას „მდაბლად და დაკნინებულად“, განა ამ ენაზე არ შეიქმნაო შედეგები? განა მაშინაც ამ შედეგების მესაკუთრენი არ იყვნენ იბერნი, როცა ვიეთნი გიაურებს გვიწოდებდნენ, ხოლო ჩვენს ენას ძალის ენად რაცხდნენ?! ზოგი მკვლევარი ვერ ამჩნევს იოანე-ზოსიმეს თხზულების აპოკალიფსურ ხასიათს და მხოლოდღა საერო მწერლობის დიდებით ცდილობს ენისათვის ავტორიტეტის მინიჭებას, მაშინ როდესაც იოანე-ზოსიმე ენის მესიანისტურ ფუნქციას მის სულიერ არსში ხედავს.

„და ესე ენა მძინარჯ არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან“. ენა გაიგივებულია ლაზარესთან. ლაზარე კი ოთხი დღის მკვდარია. „ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინააწარმეტყუელმან რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“ — (ფსალმუნი დავითისა 89-ე) და თუ ერთი დღე ღვთისა დედამიწაზე ვითარცა წელი ათასი, მაშინ გამოდის, რომ ქართული ენა 4 000 წლის მიძინებული უნდა იყოს. როგორც იოანე-ზოსიმე იტყობინება, ოდესღაც გვქონია ენა კურთხეული და შემკული ღვთით, შემდეგ იგი დაცემულა. პავლე მოციქულთან შეიძლება პარალელის გავლენა. პავლე დედის მუცლიდანვე იყო კურთხეული და ამორჩეული, შემდეგ დაეცა, როგორც ქვეშაირების მადევარი და წარმართი, მაგრამ აღადგინა იგი ქრისტემ კვლავ თავისივე პირველადი დანიშნულებით. ასევე შეუნიშნავს იოანე-ზოსიმე აღდგომას ქართულ ენას. მან იცის, რომ ყოვლად შეუძლებელია, ბუნებით ბარბაროსი და არაცვილიზებული ერი დიდი შინაგანი კულტურის მესაკუთრე იყოს. დავაკვირდეთ ქართველი კაცის ფსიქიკას: იგი არასოდეს ყოფილა ერთა მოძულე. ერის სახე ყველაზე მკვეთრად მუსიკაში, პლასტიკაში და აზროვნებაში ვლინდება. იშვიათია დედამიწაზე ერი, რომელსაც წარმართული ხანის ხალხური სიმღერები გააჩნდეს. ქართული „ოდოიას“ და „ლილეს“ ათასეული წლების ისტორია გააჩნია.

მაშ, როდის ჰქონდა ენას უმაღლესი ცივილიზაციის და კულტურის ნიშნები და როდის დაჰკარგა იგი? ამ მომენტის დასადგენად მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება: ესპანეთში, სოფელ ბოტორიტაში აღმოჩნდა ფირფიტები, რომელიც განეკუთვნება

დასასრული. დასაწყისი იხ. N 2

ჩვენს ერამდე მეოთხე-მეხუთე საუკუნის ნამარხს, სადაც აღბეჭდილია იბერიის ისტორიული წარსულის ერთი მომენტი. იბერიული ფირფიტა ქართველმა მკვლევარმა შოთა ხვედელიძემ ამოიკითხა. ამის შესახებ მრავლად დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში. თუ ამ მონაცემებს დავეყრდნობით, ფირფიტა გვატყობინებს ქვეყნის დასაბამიდან 4 100 წლით დათარიღებულ იბერთა ტრაგიკულ ისტორიას. ენის დაცემის საბუთად თუ ამ თარიღს მივიჩნევთ, მაშინ იმ დღიდან დღემდე გავიდა $7588 - 4100 = 3488$ წელი. ლაზარეს გარდაცვალების მიხედვით კი ენა 4000 წლის მიძინებულია, რადგან თვით ლაზარე ოთხი დღის მკვდარია. ქრისტეს რომ ლაზარეს ამბავი აცნობეს, მან ორი დღე დააყოვნა და მერე ჩამოვიდა ბეთანიაში, ლაზარესთან. ეს ორი დღე (თუკი დავითის მიერ ნაუნყები დროის საზომი ერთეულით ვივარაუდებთ), უდრის 2000 წელს. ენის „მიძინების“ თარიღის ათვლა რომ 4100 წლიდან დავიწყოთ, მივიღებთ დღემდე 3488 ანუ 3500 სავარაუდო წელს. სწორედ ეს თარიღია მინიშნებული ენის აღორძინების სავარაუდო ჟამად. იოანე-ზოსიმეს უწყების მიხედვით კი ენა ჩანს ოთხი ათასი წლის „მიძინებული“. ახლა კი დავადგინოთ ლაზარეს გარდაცვალებისა და აღდგომის დრო და ქართულ ენასთან პარალელიც გავავლოთ.

(იოანე 11, 3...) „მიუვლინეს იესოს დათა მისთა და ჰრქუეს: უფალო, აჰა, რომელი გიყუარს სნეულ არს“. (აქ ლაპარაკია ლაზარეზე, იგივე ქართულ ენაზე, რომელიც ასე უყვარს მაცხოვარს);

„...ხოლო ვითარცა ესმა იესოს, თქუა: ესე სნეულება არა არს სასიკუდინე არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რაჟთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ მისგან...“ (ქრისტე განმარტავს, რომ ეს ქართული ენის ჭირი არ არის, მისი საბოლოო დასამარება არ არის, არამედ, იგი დაეცა ვითარცა წარმართი, მაგრამ მოუნევს აღდგომა სადიდებლად უფლისაო. ეს არის სწორედ ის სასწაულებრივი ნიში 94-სა, რომელსაც იოანე-ზოსიმე გვაუნყებს სწორედ მაშინ იწყებო ქართული ენის ის ძირითადი დანიშნულებითი აღორძინება.

(მარიამი და მართა აუნყებენ რა, ავედრებენ მაცხოვარს თავიანთ ძმას).

(იოანე 11, 21) „ჰრქუა მართა იესოს: უფალო, უკეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი, ჩემი“. მართა შედარებულია სხვათა მკვლევართ ლოგიკური აზრით კონსტანტინეს დედასთან, ბიზანტიის დიდ დედოფალთან. ხოლო მარიამი მირიანის მეუღლესთან, ნანა დედოფალთან იგი ახალი ნინოა, რომელიც ევედრება მაცხოვარს

საქართველოს ნათლისცემაზე. ახალი ნინო, ძველი ნინოს პროტოტიპია. იოანე-ზოსიმემ იცის, ძველი ნინო მეფის კარზე შუამდგომლად არ გამოდგება. ან რანაირად შეეძლო ამ კაპადოკიელ გოგონას პრინციულად ჩარეულიყო სახელმწიფოს საშინაო საქმეებში და მეორე ქვეყნის ხელმწიფისათვის გამოეთხოვა იბერიის ძველი, ტრადიციული რელიგიის გასაუქმებლად ახალი რელიგიის დამფუძნებელთა მთელი ლაშქარი: ეპისკოპოსთა და მღვდელმთავართა, დიაკვანთა და მგალობელთა, მნიგნობართა თუ ხუროთმოძღვართა სახით? ამის გამო დაეკისრა „ახალ ნინოს“, იგივე ნანა დედოფალს, ჰელენესთან რანგით გატოლებულს, სამოციქულო ფუნქცია. ამ შემთხვევაში „ახალი ნინო“, „ძველი ნინო“ მოციქულია, ლაზარეს (იბერიის) აღსადგომად მოწოდებული. „ძველი ნინოს“ სიტყვით, ნანას და ჰელენეს მეგობრობითა ეზიარა საქართველო ნათლისღების საიდუმლოს.

(იოანე 11, 6) „ვითარცა ესმა, რამეთუ სნეულ არს, მაშინ და-ლა-ადგრა ადგილსა მას, სადაც იყო, ორი დღე“... და შემდეგ იესო ჩადის ბეთანიაში ლაზარესთან. ეს კი ნიშნავს: ლაზარე წინა დღის მკვდარია და ქრისტეს მიერ ორი დღის დაყოვნების შემდეგ მეოთხე დღე დაიწყო. ლაზარე რომ წინა დღის მკვდარია მიგვანიშნებს გაქრისტიანებამდე იბერიის დაცემას. ხოლო, ქრისტე რომ ორი დღის დაყოვნების შემდეგ მოვიდა ბეთანიაში, შეგვიძლია, გავუტოლოთ ქრისტიანული წელთაღრიცხვის 2000 წელს, (რამეთუ დღე ერთი ვითარცა წელი ათასი).

(იოანე 11, 14-11) „მაშინ ჰრქუა მათ იესო განცხადებულად: ლაზარე მოკუდა და მე მიხარის თქვენთვის, რაჟთა გრწმენეს ჩემი, ...ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვაღვიძო იგი“. დავაკვირდეთ თუ რას ნიშნავს ქრისტეს ნაბრძანები: „ლაზარე მეგობარი ჩემიო“. მეგობარი არ არის შორებელი, იგი ზოგჯერ ღვიძლსაც უსწრებს ერთგულებაში, ლაზარე-იბერია რომ მკვდრად მიაჩნიათ მაცხოვარს და მის მოციქულებს ეს იქედანაც ჩანს, რომ აუნყა თუ არა მათ ლაზარეს სიკვდილი, თომამ თქვა: (იოანე 11, 16) „...მოგუალეთ მივიდეთ, რაითა მოვწყდეთ ჩუენცა მისთანა“. ე.ი. რადგან ლაზარე მოკვდა, მოციქულები ბრძანებენ: უმჯობესია ჩვენც მასთან ერთად მოვკვდეთო. ზოსიმესეული მინიშნებით დიდი იმედის მომცემია და ზღვა სიყვარულის მაუნყებელი ქართული ენისადმი ეს სიტყვები.

(იოანე 11, 17) „და ვითარცა მოვიდა იესო ბეთანიად, პოვა იგი, რამეთუ ოთხი დღე აქუნდა საფლავსა შინა“. აქ ჩანს, რომ ლა-



ზარე ოთხი დღის მკვდარია. (იოანე 11, 33) „ხოლო იესო ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტიროდა, და მისთანა მისრულნი იგი ჰურიანიცა ტიროდეს“. „ლაზარეს“ გარდაცვალებას ყველანი, ჰურიანიცა გლოვობენ იმის გამო, რომ იციან, ლაზარე მისიანია და მიტომაც განიცდიან მეგობრის ტრაგიკულ ბედს.

ამის შემდეგ ქრისტე მიადგა საფლავს: (იოანე 11, 39) „ჰრქუა მათ იესო: აღიღეთ ლოდი ეგე. ჰრქუა მას მართა დამან მის მკუდრისამან: უფალო, როდისღა, რამეთუ მეოთხე დღე არს“, (ე.ი. რაც ლაზარე მკვდარი იყო.)

ახლა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას, ნაუნწყები ამბავი ლაზარეს გაცოცხლებისა დღე მიმდინარეობს თუ ღამე? დამერწმუნებით დღეა, რადგან ხედავენ საფლავის ქვას, უკვე აღმდგარ ლაზარეს, შეხვეულ პირისახეს, ასევე ფეხზე შემოკრულ ზონარებს; არსადაა ნახსენები სანთლები და ჩირაღდნები. ავტორს არ გაუჭირდებოდა ერთი სიტყვის თქმა, თუკი ნამდვილად ღამე იყო და არა დღე. მაშასადამე, როდესაც ქრისტემ ლაზარე გააცოცხლა ქეშმარიტად დღე იყო.

(იოანე 11, 9) „ჰრქუა მათ იესო: არა ათორმეტნი უამნი არიან დღისანი?“ ე.ი. თუკი დღის მონაკვეთი 12 უამისაგან შესდგება, მაშინ ღამის მონაკვეთიც 12 უამს მიითვლის და მით გასრულდება დღე ერთი. დადგინდა რა, რომ ლაზარეს სიკვდილი მეოთხე დღედაა ნაუნწყები, დღის გრძლივობა ჯერ კიდევ არ გასრულებულა, და მის გასრულებამდე წინ ღამის 12 უამი დევს, ე.ი. ლაზარეს გაცოცხლება დაემთხვა სამდღენახევარს, მეოთხე დღედ წოდებულს, მაგრამ არა გასრულებულს. აქედან შეგვიძლია ვთქვათ: ნაცნობი ფორმულის მიხედვით ლაზარეს მიცვალების სამდღენახევარი უდრის ენის მიძინების ზე-მოაღნიშნულ 3500 წელს.

იხილეთ: „თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი“. (ელგუჯა გოგაძე, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1972 წელი. გვერდი 15).

„არქეოლოგიური კულტურის თვალსაზრისით დასაშვებია აგრეთვე, რომ მოხდა ხალხთა მასების მიგრაცია, რამაც გარკვეული სიახლე შეიტანა „თრიალეთის ეტაპზე“ (უფრო ფართო მასშტაბით ამიერკავკასიაში). მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები ენი-ნაალმდეგება იმ ვარაუდს, რომ თრიალეთში მატერიალური კულტურა მთლიანად შეცვალა მიგრაციამ და ეს მიგრაცია უმთავრესად მოდიოდა სამხრეთიდან და არა სხვა მხრიდან. ეგებ შესაძლებელია თრიალეთში ძირითადი ეთნიკური ცვლილებები იმ საფეხურზე

ვედიოთ, რომელზედაც მატერიალური კულტურის განვითარებაში წყვეტილი (მკვეთრი ცვლილება) ყველაზე თვალსაჩინოა, ვთქვათ, შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს (ან დასასრულისაკენ), რომლის თარიღი ახლა უკვე ისტორიის სიღრმეში იწევს ძველ წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებში“.

ე.ი. ლაზარეს გარდაცვალების სამდღენახევარი უდრის 3500 წელს; სწორედ იმ ძველ წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებს, როგორც აღნიშნავს ელგუჯა გოგაძე. ესპანეთში ნაპოვნი ფირფიტის მონაცემების მიხედვით ათვლა უნდა დავიწყოთ 4. 100 წლიდან. გამოდის, რომ ქართული, იმ ძველ-თუძველესი კულტურის დაცემის დღიდან დაახლოებით 3500 წელია გასული. ე.ი. 2000 სავარაუდო წელი ქრისტიანული წელთაღრიცხვისა და ძველ წელთაღრიცხვის 1500 წელი, ანუ ძველ წელთაღრიცხვის იგივე მეორე ათასწლეულის შუა ხანები.

ქართული კალენდრის გათვალისწინებით გარდაცვალების თარიღს მიმატებული მიცვალებულად ყოფნის უამი ე.ი. 4100+3500=7600 წელს. მაშინ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის აპოკალიფსური არსის მთლიანი გახსნის სავარაუდო უამად, ე.ი. ნიშის უამად.

ხოლო 94-ისა და 104-ის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: 532 წლიანი მოქცევა ქართველებს სხვებზე 104 ან 94 წლით ადრე დაუნყიათ. ცნობილია, რომ ქართული „დასაბამითგანი“ (უამი ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5604 წ.) კესარიულს 406 წლით აღემატება, აღექსანდრიულს 104 წლით, ბიზანტიურ ერას კი 96 წლით. ზოგი მკვლევარის აზრით „ქებაჲ“-ს ტექსტში გამჟღავნებულია იდეა ქართული კალენდრისა და წელთაღრიცხვის სიძველისა... 94-ის შეცვლა 96-ით, 100-ით ან 104-ით საკითხის არსს თითქოსდა არ ართულებს, პრინციპი იგივე რჩებაო. რაიმე კონცეფციის აგება ამ რიცხვებზე უაზრობად მიაჩნიათ. პავლე ინგოროყვას მეოთხე ტომში ვკითხულობთ:

„და სასწაულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“.

მეცნიერების აზრით, ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის გამოსავალი თარიღი ძვ.წ. აღრიცხვის 284 წელია. ლეონტი მროველის თანახმად იმ დროს ფარნავაზს ქართული დამწერლობა შემოუღია. ედ. ჭელიძის ფიქრით: „ოთხმეოცდაათოთხმეტი წელი, უმეტეს სხუათა ენათა, ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“ თურმე ასე უნდა გავშიფროთ: ქრისტეს დაბადებიდან 248 წელს ე.ი.

მე-11 მოქცევის დასასრულს ქართველებმა ქრისტიანობა იწამეს, ხოლო „ქება“ 94 წლის შემდეგ დაინერა: $248+94=342$ წ. გამორიცხული არ არის, ამ საეჭვო თარიღზე დაყრდნობით ვინმემ ქართული ასომთავრული ანბანის შექმნისა და მისი შემოღების თაობაზე ახალი ჰიპოთეზა ააგოს.

ჩემის აზრით, ქართული კალენდარი მართლაცადა რომ ყველა რჯულის კალენდარს მხოლოდ 94 წლით უსწრებდეს, ესეც კი არ გამოდგება რაიმე საბუთად, რადგან გარკვევით წერია, 94-მა სასწაულით უნდა გვაუნყოსო. სად არის სასწაულებრივი ნიში 94-ისა? იოანე-ზოსიმეს მიერ ნაუწყები 94 წელი ქრისტიანული წელთაღრიცხვის რომელიღაც წლის ბოლო ორი ციფრია. რადგან ენა მოელის უფლის მეორედ მოსვლას, ეს სასწაულიც მაშინ უნდა მოხდეს და არა სხვა დროს. ამიტომ 94-ის სასწაულებრივი ნიშის უკან დახევა ყოვლად შეუძლებელია, იგი უნდა მოექცეს ქრისტიანული წელთაღრიცხვის არეში, ისიც მეორედ მოსვლის უამს უნდა იყოს უეჭველად მიახლოებული.

„ქება“ მეათე საუკუნის ძეგლია.

რაც შეეხება იოანე ღვთისმეტყველთან ლაზარეს გაიგივებას, სურათი ამგვარია: ლაზარე რომ იოანე ყოფილიყო, მაშინ მისი გარდაცვალება აღინიშნებოდა თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთის დაკარგვად და იმ წამსვე დადგებოდა საკითხი მოციქულთა რიგის შევსებისა, როგორც ეს მოხდა იუდას სიკვდილის შემდეგ. აქ კი ჩვენ ვხედავთ სხვა სურათს: მაცხოვარს და მოციქულებს მიუტანეს ლაზარეს გარდაცვალების ამბავი.

(იოანეს სახარება 11, 1...), „იყო ვინმე უძღური ლაზარე ბეთანიათ, დებისაგან მარიამისა და მართაისა, დისა მისისა“. ავტორი გვაცნობს ჩვენთვის უცხო პირს და ამიტომაც აღწერს იგი დეტალურად, თუ საიდან არის ლაზარე; ასევე გვაცნობს მისი ოჯახის წევრებს თავთავიანთი სახელებით. რანაირად შეიძლება უკვე განცხადებულ 12 მოციქულთაგან მახარობელმა იგი მოიხსენიოს „ვინმე ლაზარედ“ თუკი იგი ჭეშმარიტად მოციქულს წარმოადგენდა? მითუმეტეს საკითხი სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. როცა ლაზარეს ვინაობა, სახარებაში შემოდის, მოციქულთა ვინაობა უკვე დადგენილიცაა და რიგიც კარგა ხნის შევსებული მათი სახელებით.

ლაზარეს ორი და ჰყავს და არსად ჩანს ძმა მისი. თუკი იოანეს სახელის დაფარვას ინდომებდნენ ლაზარეს გამოჩენით, (რომელიც არ ექვემდებარება სახარებისეულ არცერთნაირ ლოგიკას) იაკობი ხომ მაინც უნდა მოეხსენ-

ებინათ, როგორც ძმა ლაზარესი? არსად არაფერია ამგვარი ნაუწყები.

ლაზარე ცხოვრობდა ბეთანიაში, იოანე კი გალილეაში. ერთი მხარე ზღვის პირას მდებარეობს, მეორე კი დიდად დაშორებულია ზღვას. ბეთანიასა და გალილევას შორის დევს იუდას მესამედი ტერიტორია, მთელი სამარია და თითქმის ნახევარი გალილეა.

მოციქულთა შორის იმაზე იყო დავა, იოანე საერთოდ იწვევებდა თუ არა სიკვდილს, მაშინ როდესაც ლაზარე მკვდარი მათ წინ ასვენია.

პასექის წინა დღეს, ე.ი. ბზობაზე, ქრისტე ღმერთი ბეთანიიდან, ლაზარეს სოფლიდან გადის იერუსალიმში. მაშასადამე, იოანე რომ ლაზარე ყოფილიყო მაშინ ქრისტეს გალილეადან მოუწევდა გასვლა და არა ბეთანიიდან, რადგან იოანე გალილეაში ცხოვრობდა.

(ლუკა 22, 7...) „მოინინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქა იგი დაკვლად. და წარავლინა პეტრე და იოანე და ჰრქუა მათ: წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასქა, რაფთა ვჭამოთ, ხოლო მათ ჰრქუეს: სადა გნებავს და მოგიმზადოთ? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: აჰა ეგერა შესლვასა ოდენ თქუენსა ქალაქად შეგემთხვოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგნი წყლითა ზე ედგას; შეუდგით მას სახიდ, ვიდრეცა შევიდეს, და არქუთ სახლისა უფალსა მას: გეტყვს შენ მოძღუარი: სად არს სავანე, რომელსა პარსქა ესე მონაფეთა ჩემთა თანა ვჭამო?“. ნათლად ჩანს, რომ პასექი მზადდება რომელიღაც ოჯახში, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ვერ, ვისი ოჯახია ეს. იოანე და პეტრე ასრულებენ ქრისტეს ბრძანებას სალამოს მოწყობის თაობაზე. (იოანეს სახარება 12, 1...) გვაუწყებს შემდეგს: „ხოლო იესო უწინარეს ექუსისა დღისა ვნებისა მის მოვიდა ბეთანიად, — სადა — იგი იყო ლაზარე მომკუდარი, რომელი — იგი ზღადგინა მკვდრეთით, და მოუმზადეს მას მუნ სური“. სად მოუმზადეს სერობა? რა თქმა უნდა ბეთანიაში, ლაზარეს სამყოფელში, კერძოდ, იაკობის ოჯახში.

(«Страсти Христовы», гл. 8, лист 41, Москва 7419 г.).

იმ სალამოს მართა და ლაზარე მათთან ერთად სუფრას უსხდნენ. აქვეა ლაზარეს მეორე და მარიამიც, რომელმაც იქვე მირონით დაბანა ფეხები ქრისტეს და თავისივე თმებით შეუშმრალა. ეს არის პირველი შემთხვევა, სადაც ლაზარე და იოანე ერთმანეთს შეხვდნენ სახარების მიხედვით.

ცნობილია, რომ იოანემ ბოლო პერიოდში იმოღვაწა ეფესოში, იცხოვრა 110 წელი და მიიცვალა. საფლავიც იქვე მდებარეობს და

არავითარი საეკლესიო ჩინი მას არ ჰქონია. ლაზარე კი იყო მოციქულ ბარნაბას მიერ ხელდასხმული, შეიმოსა ეპისკოპოსობა და მოღვაწეობდა ამ ჩინით კვიპროსში. იგი ღვთისმშობელმა და იოანე ღვთისმეტყველმა ინახულა კვიპროსში. ღვთისმშობელმა გადასცა თავისივე ხელით ნაქარგი ანაფორა საჩუქრად. აქაც კარგად დავინახეთ იოანესა და ლაზარეს შეხვედრა მეორედ.

რაც შეეხება ლაზარეს და იოანეს გაიგივებას, დასაშვებია ამ პარალელის გავლება არა ფიზიკური, არამედ სულიერი გაგებით; რადგან ლაზარე ქართულ ენასთანა გაიგივებული, იოანეს კი ქართული წიგნით უწევს ქადაგება; ამიტომ შეიძლება ითქვას — ლაზარე ქართული ენაა, ხოლო იოანე ქართული წიგნი ამ ენით მოსულდგმულე; ორთავენი ერთნი არიან.

დავუბრუნდეთ ტექსტს:

„...ესე არიან ორნი დანი მარიამ და მართა. და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

რა თქმა უნდა, ყოველი საიდუმლო მათ მეგობრობაში დევს. რადგან ბერძნებთან მეგობრობამ აზიარა იბერია ნათლისღება. და სწორედ მათ მეგობრობას გაემხილება ის საიდუმლო, რომელსაც ღმერთი მეორედ მოსვლის უამს აუწყებს ყველა ენათა მპყრობელთაო, ამბობს ზოსიმე. ეს ის საიდუმლო სიტყვაა, რომელიც დანიელს სურდა გაეგო (დანიელი 12, 5...).

საიდუმლო მრავალი არსებობს: (ვ-ეზდრა 10, 38) „უზენაესი გაგიმხელს შენ მრავალ საიდუმლოს“.

ზოსიმემ იცის საიდუმლოთა წვდომა და ცდილობს კეთილი და ბოროტი განასხვავოს. ეს საიდუმლოება ღვთის ჭეშმარიტებაა, რომელიც დაფარულია. აბსოლუტური ჭეშმარიტება ერთია, ერთი ტაძარი. ყველა ჭეშმარიტი აზრი ამ ტაძარშია დაცული. ჭეშმარიტების ზიარება ჭეშმარიტების გზით ზიარებულია ნილხდომას წარმოადგენს; ასეთსავე ზიარებულად მიიჩნევს იგი იბერიას, ხოლო ჭეშმარიტების წვდომა არა ჭეშმარიტი გზით მხოლოდ ბოროტებს ხელენიფებათ. ამის გამო ბრძანა მაცხოვარმა: მე ვარ კარი სამოთხისა, ვინც ინდომებს შემოსვლას სამოთხეში მხოლოდ ჩემგან შემოვა, ხოლო ვინც ფანჯრიდან ეცდება ის მპარავიო.

შვიდ საიდუმლოებაზე ააგო უფალმა მისი ტაძარი: 1. ნათლისღება; 2. მირონცხება; 3. აღსარება; 4. ზიარება; 5. მღვდლობა; 6. ქორწინება; 7. ზეთის კურთხევა; ვიცით, თუ როგორ სრულდება ისინი. მაგრამ უხილა-

ვია და უცნობი მისი საიდუმლო ძალის მოქმედება. ამ საიდუმლოთა ყოველი თვისება, მისი არსი იციან მხოლოდ რჩეულებმა, რადგან რჩეულნი არიან ისინი ყველათა შორის თავიანთი უმაღლესი წადილისა და ღვანლის მიხედვით. რაც ყველას არ ეტვირთება. მრავალია ადამიანი, მაგრამ მათ შორის მცირეა გმირი. გმირობის წადილი ყველას აქვს, ხოლო საგმირო ზრუნვა — მცირეს. ამიტომაც გამოირჩევიან ისინი ყველასგან. გმირობა აკრძალული როდია, იგი ნებადართულია, მაგრამ მონადინეთა და მზრუნველთა ღვანლის მოსურნეა მცირე. ამიტომაც არის იგი ყველასათვის მიუწვდომელი სიმაღლე. ზოსიმე კი თავის ხალხში ხედავს ამ გმირულ სულს.

ზოგი მკვლევარი როცა საიდუმლო ზიარებაზე ლაპარაკობს, მიანიშნებს იმ პირველ საიდუმლოს, რომლის ზიარება ნიშნავს ყველასათვის დაფარულის წვდომას, ე.ი. ღვთის ძალის ზიარებას სულიერი ნორმების ზედმინევით დაცვით, რამეთუ ქრისტე განმარტავს: სასწაულმორწმუნისათვის მომიცია ძალა საწამლავი რაილა სვას არღარა ევნოს მას, ხელითა მცოცავს შეიპყრობდეს, პირითა ახლითა უბნობდეს, ავადმყოფსა ხელსა დასდებდეს და განკურვიდეს, სულთაგან ეშმაკსა განასხმიდეს და უფრო მეტი სასწაული ქნას ქვეყანაზე ვიდრე მე მიქნიაო.

წმიდა მამების თვალსაზრისით სწორედ ამ ძალის მპყრობელი ხდება ღვთის საიდუმლოს ზიარებული, რადგან ამგვარი პიროვნებისათვის არაფერია დაფარული.

ზოგს კი ჰგონია ღვთის სიბრძნე საიდუმლოდაა შენახული და ამიტომ სახარებას საიდუმლო განცხადებად ჰგულვობენ, მაშინ, როდესაც თვით სიტყვა „სახარება“ მიგვანიშნებს მის არა საიდუმლოებრივ არსზე, (რადგან სახარება გვაუწყებს და არა მალავს.) სახარებით გვახარებენ მესიას მობრძანებას და გვაჯერებენ მის მესიობას. ღმერთი ამ სიბრძნეს არ მალავს. სახარებაში გამხელილია თვით უფლის ჭეშმარიტი ძეობა, რაც მანამდე ამის ცოდნა ზიარებულთა ნილხდომას წარმოადგენდა, ხოლო სხვათათვის საიდუმლოებით მოცულ ნიშს, ამჟამად კი საქვეყნოდ ცნობილ სიბრძნეს.

(მათე 10, 27), „რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა, და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერთოთა ზედა“.

ასე, რომ ქრისტეს სახარება, ამჟამად არ შეიძლება ჩაითვალოს საიდუმლო ჭეშმარიტებად, არამედ იგი განცხადებული ჭეშმარიტებაა.

ხოლო ზოსიმეს მიერ ნაუნყები საიდუმლო, რომელიც ენაში არის ჩამარხული, წარმოადგენს ღვთის სიტყვას ე.ი. ღვთის ნებას, მის წადილს, რათა განუმარტოს სხვათადასხვათა ენათა მპყრობელთ რაღაც.

მრავალ უსჯულოთა შემოსევის გამო იბერიას უჭირდა სუნთქვა, მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოება არ დაუკარგავს. მართალია, ჟამთა სიმუხთლემ დაღვინა, მაგრამ არ განელეზბია მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სიყვარული, სწორედ ამიტომ არ წაერთმევა მას ეს უკეთესი ნაწილი. „ეს უკეთესი ნაწილი“ ნიშნავს იბერთათვის იმ მესიანისტურ წილხდომას. ამ სიტყვებით ზოსიმე მოუწოდებს იბერიელებს, ამხნევენს მათ, რათა არა დაეცნენ უსჯულოთა მოძალებისაგან... რადგან მარიამმა ლაზარეს დამ, ქრისტეს ყველა სიტყვა ისმინა და სხვა ზრუნვით თავი არ დაიტვირთა, მით უკეთესი ნაწილი აირჩია. ქართველსაც არასოდეს უძებნია ქარვასლა და ოქროვერცხლი, ყოველი საუკეთესო, რაც ებადა, ღმერთი იყო მისი და სამშობლო! სტუმრისთვის უგულვია მუდამ კარგი და კაცთმოყვარებით უცხოვრია, ამიტომაც ებოძებო იბერიელებს ბედნიერი დღე, შენიშნავს ზოსიმე.

„სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათსაგანსა წერილი ზის (რომელ ასოა არს და იტყვს ყოვლად ოთხათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისათვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაათა“. ქართული წიგნის მათეს სახარებაში დასაწყისში არის ნაწერი, რომელიც წარმოადგენს ასოს. ეს ასო მათეს სახარებაში „წ“ — არის, რადგან სახარება ასე იწყება. „წიგნი ესე“ — ე.ი. მიგვანიშნებს ასო „წ“-ზე, ასო „წ“-ს რიცხვითი მნიშვნელობა უდრის 4000-ს. ეს არის ოთხი დღე ლაზარესი და როგორც სხვათა მიერ ითქვა: „ვინც დაფლულია სიკვდილითა ნათლისღებითა ქრისტესათა იგი აღდგება იმავე ნათლითა მეორედ მოსვლისა ჟამს“.

„ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოცდაათოთხმეტი წელი, უმეტესს სხუათა ენათა, ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე. (შემკული და კურთხეულია უფლის სახელით, რადგან ასე უნებებია: დაბალი და დაწუნებულია ჟამთა სვლისა გამო. მაგრამ კვლავ აღდგება იგი ძველი დიდებით ნათლისათვის, როგორც მიანიშნებს იოანე-ზოსიმე. და ეს 94 წელი იქნებაო საქვეყნო დასტური ქართული ენის აღმატებულობისა, როგორც უმეტეს ყველა ენათა. „და ესე

ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგიტხარ“. — და ეს ყოველივე რაც აქ სწერია, დასტურით გაუნყეო.)

იოანე-ზოსიმე როდესაც ლაზარეში აიგივეებს ქართულ ენას, შთამომავლობას მიუნიშნებს იბერიისათვის მოსალოდნელ ბედნიერ დღეებს...

(იოანე 12,1) „ხოლო იესო უწინარეს ექუსისა დღისა ვნებისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე მომკუდარი...“

დააკვირდით, ვიდრე მაცხოვარი იერუსალიმში დიდებით შევიდოდა, ექვსი დღით ადრე ჩამოდის ბეთანიაში, ლაზარესთან. ზოსიმესეული პარალელის მიხედვით მეორედ მოსვლამდე მაცხოვარს თავის მოციქულებთან ერთად, ე.ი. ახალ მოღვაწეებთან ერთად იგი იბერიაში ხედავს, მოუწოდებს რა, იბერიის დახსნას ავალებს მაცხოვარს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მეუფეს, სხვა დამხსნელ ძალას იგი დედამინაზე ვერ ხედავს.

„ხოლო მარიამ მოილო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოასათ მრავალსაყიდლისა და სცხო ფერხცთა იესოასათა და თმითა თვისითა წარმჰყოცნა ფერცნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სუნნელებითა მის ნელსაცხებლისაათა“. მარიამი ხომ „ახალი ნინოთი, ანუ ნანა დედოფლის მეშვეობით იბერიასთან ჰყავს გაიგივებული. ზოსიმემ იცის, რომ მის მიერ შემონახული მირონი ეს ის პატივსაგები ღვანლია იბერთა ბოლო ჟამისად, რომლითაც იდიდება უფალი. იოანე-ზოსიმე იწვევს რა მაცხოვარს თავის მინა-წყალზე, ლაზარე უშუალო მონაწილეა ტრაპეზისა, რადგან ამ სუფრას იგი როგორც მენახე ამშვენებს. ძველი და ახალი ნინო, ორთავენი იბერიის გაქრისტიანების ჟამის თანამედროვენი არიან, მაგრამ ახლა როდესაც მაცხოვარი მეორედ მოსვლის უწინარესთვისთა მოღვაწეთა თანხლებით იბერიის სტუმარი ხდება, ზოსიმეს წარმოდგენაში ცოცხლდებიან ხსენებული გმირების პროტოტიპები, ანუ სიმბოლური სახეები: მარიამის ნაცვლად იბერია, მართას ნაცვლად — საბერძნეთი, ლაზარეს ნაცვლად — ქართული ენა.

თუკი ქრისტე ლაზარეს სტუმარია, იგი ქართული ენის სტუმარია. მოქმედება მიმდინარეობს ანმყოში. ამ შემთხვევაში ლაზარე და მისი დები ერთიანდებიან, იბერიის ერთიან სახედ წარმოჩინდებიან, ენის სტუმარი ერის სტუმარია. თუ ისინი ლაზარეში გაერთიანდნენ, როგორც მაცხოვრის მასპინძლები, მაშინ ის მეორე მარიამი ვინ არის, რომელიც ამ ტრაპეზს მსახურებს? სიმბოლურად იგი თავ-

ად ღვთისმშობელია, რადგან სუფრის გაშლა ძის პატივსაცემად მის წილხდომილ ქვეყანაში მხოლოდ მას ეკუთვნის, იგი მისი შვილის მასპინძელია.

იბერიის უპირველესი წილხდომილი მოციქული, სუფრას უშლის შვილს და მაცხოვარს ქვეყნისას, რადგან ხედავს ჰა, მოინაჟამი იგი ბოლო, ვითარცა ნაუნყები იყო: „შენი წილხვედრი ქვეყანა ბოლო დროს განათდეს!“

იოანე-ზოსიმე ამ დღეს ელოდება, ეს მისი წუხილია, მისი ერის წადილია. ეს იმ დროისათვის სულიერად დაცემული ერის გამხსნევაა.

(იოანე 12, 9) „აგრძნა უკვე ყოველმან ერმან ჰურითათამან, რამეთუ იესო მუნ არს, მოვიდეს...“

ესმათ რა იუდეველებს, რომ მესია ლაზარესთანაა, მის სამყოფელოში, (ე.ი. იბერიაში), წამოვიდნენ, წამოვიდნენ არა მარტო ქრისტეს სანახავად, არამედ „ლაზარეს“ ნახვაც სურთ, მკვდრეთით აღდგომილისა. ამ პარალელთა იოანე-ზოსიმე მოუწოდებს უსჯულოთა გარემოცვაში მყოფ თავის ქვეყანასა: ნუ დაეცით იბერო სულით, დადგება ჟამი თქვენი ბედნიერი დღის საცქერლად მოისწრაფვოდნენ იქნება მრავალნი და გამხსნევიდით!

ასე ელოდება იოანე-ზოსიმე მისი მშობლიური ერის აღორძინებას. როგორც იქ მაცხოვარს ტოტები დაუფინეს, ასევე შეუნიშნავსო ქვეყნიერება მკვდრეთით აღდგომილ „ლაზარეს“ (იბერიას) თავის სადიდებელ ღვანლს ბოლო ჟამისად.

როგორც აღინიშნა, ნაწარმოები აპოკალიფსური ხასიათისაა. მისი განმარტება მრავალნაირად შეიძლება, მაგრამ ავტორი ჩვენ გვბოჭავს და ნაკლებად გვაძლევს უფლებას საკუთარი საზომებით მივუდგეთ ნაწარმოების ახსნას, როგორც ითქვა, ავტორი ტექსტის გასაშიფრავად თავის კოდს გვთავაზობს: ლაზარე ქართული ენაა, მართა და მარიამი საბერძნეთი და იბერია, დღე ერთი ათასი წელია და სხვ. ვინაიდან ავტორმა საკუთარი გასაღების ხმარების უფლება ყველას აუკრძალა, მეც თავისივე მოცემული კოდით ვცადე მისი განმარტება.

მეათე საუკუნის მოღვაწის ტკივილი ჩვენთვის გასაგებია. ერის ტრაგიკული ბედით დამწუხრებული ავტორი ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვებაში ხედავდა უსჯულო დამპყრობთა გარემოცვიდან სამშობლოს ხსნას, (სხვანაირად როგორ შეეძლო იგი აღექვა ბერს, თუ არა ქრისტიანული მსოფლმხედველობით?).

ავტორის მიერ მოცემული კოდით განხი-

ლული ნაწარმოების საბოლოო სახე ამგვარია: „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, სანამებელად“, ე.ი. დაფარულია, ანუ შემონახულია, ქართული ენა იმ მეორედ მოსვლის დღემდე, სანამებელად ე.ი. სარწმუნოებლად. რა თქმა უნდა, მეორედ მოსვლის ჟამისეულ წამებაზეა ლაპარაკი, და უთუოდ იგი მესიის წამებას გულისხმობს; მაგრამ ხაზგასმულია იმ მეორედ მოსვლისდროინდელი წამება, ე.ი. მისადმი დაჯერება.

„რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. (ე.ი. ყოველსა ენასა ანუ ყოველ რჯულს სხვადასხვა ენის მესაკუთრეთ ღმერთმა აუნყოს ანუ განუმარტოს ამით ენითაო, ე.ი. ქართულის ენითაო.

„და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე“. ავტორი როდესაც ამბობს დღესამომდეო, მიგვანიშნებს ტექსტში განცხადებულის ასრულების მომენტს ე.ი. იმ დადგენილ ჟამს, რომელმაც უნდა გვაუნყოს ენის აღზევება).

„და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან“. (ავტორი ენას ლაზარესთან აიგივებს, და მისივე ბედს უწილადებს).

„ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან“ — (ახალ ნინოში, როგორც ზემოთ განვმარტეთ, და როგორც ადრე იქნა განმარტებული, ავტორი გულისხმობს მირიან მეფის მეუღლეს, ნანა დედოფალს, ხოლო ჰელენეში კი ბიზანტიის იმპერატორის დედას, დიდ დედოფალს. რომელთა მეგობრობამ აზიარა საქართველო ქრისტეს ნათელს. „ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი“. ავტორი იბერიელებს და ელინელებს დებად აცხადებს. დები კი ნიშნავს ერთი დედამამისშვილობას. „და მეგობრობა ამისათვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. მათმა მეგობრობამ შვიდ საიდუმლოს აზიარა იბერია. „ყოველი საიდუმლო“ ნიშნავს: ძირითადი იმ მეორედ მოსვლის სანამებელი უწყების გარდა სხვა საიდუმლოსაც. ამ „სხვა საიდუმლოში“ იგულისხმება ენის და ერის ყოველი დაფარული ღირსებები, რომლის გამხელის შემდეგ უნდა წარმოჩინდეს იგი ყველა ენათა შორის, როგორც იოანე-ზოსიმე გვანიშნებს; „და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“. (დავითს 89-ე ფსალმუნში განმარტებული აქვს, ღმერთის ერთი დღე დედამინაზე ათას წელს უდრისო. აქედან გამომდინარე, რადგან ენა ლაზარესთანაა გაიგივებული იგი ოთხი დღის ე.ი. ოთხი ათასი წლის მიძინებული უნდა იყოს, რომელიც მოელის ლაზარესავით აღდგო-

მას, მეორედ მოსვლის ჟამს ენის აღორძინებას. ჩვენ ზემოთ განვმარტეთ, ლაზარე ითვლება ოთხი დღის მიცვალებულად, თუმცა კარგად დავინახეთ, ჯერ ოთხი დღე არ არის გასრულებული, მის გასრულებამდე ღამის თორმეტი ჟამი დევს. ე.ი. ლაზარე ყოფილა სამი დღე ნახევრის მკვდარი. მაგრამ იწოდება იგი მეოთხე დღედ. ე.ი. ენა 3500 წლის მიძინებულია.)

„სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათესსა წერილი ზის, რომელი ასოა არს და იტყვს ყოვლად ოთხათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღესა მკუდარი“, მათეს ქართულ სახარებაში წიგნი იწყება ნაწერითაო. ე.ი. პირველი სიტყვა, რომლითაც მათეს სახარება იწყება არისო ასო, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა შეადგენსო 4000-ს. მათეს სახარება კი ასო „წ“-თი იწყება. ასო „წ“-ს რიცხვითი მნიშვნელობა ჭეშმარიტად 4000 შეადგენს. და სწორედ ამდენისავე დღის მკვდრად იგულებებს იგი ენას; სინამდვილეში კი ლაზარე მეოთხე დღის მკვდარია.

„ამისათვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისადათა“. (ვინც ქრისტესთან ერთად დაიფლო იგი აღსდგებაო ქრისტესთან ერთად), ვითარცა ითქვა.

„და ესე ენაა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისადათა მდაბალი და დაუნებელი, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოცდაათოთხმეტი წელი, უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“. ენა შემკულია და კურთხეული, ნიშნავს ენის ორთავე ღირსებას, როგორც მისი აზრის გამოხატველობის მაღალ უნარს, ასევე მის საზოგადო ფუნქციასაც. დაბალი და დაუნებელია ჟამთა მუხთლობისა გამო, მაგრამ მოელის მეორედ მოსვლის დღე, რათქმა უნდა, აღსადგომად, რომელსაც სასწაულებრივი ნიშით გვაუწყებს 94 წელიო. და ეს ნიში დაადასტურებსო ენის უპირატესობას ყველა ენათა შორის.

„და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგიტხარ“. (ე.ი. რაც ზემოთ გაუწყეთ ჭეშმარიტებას წარმოადგენსო და მე ვარ ამის მოწმეო).

„ასიესე წელი ანბანისაა“. (როგორც ზემოთ მოგახსენეთ ასი წელი ეკუთნის ანბანსაო, ე.ი. მიგვანიშნებს, რომ აღორძინება, იგივე ანბანის აღდგომა-გაცოცხლება მოხდება არა საუკუნეთა მსვლელობაში, არამედ ქრისტიანულ წელთაღრიცხვის ერთ რომელიმე საუკუნეში,

ერთ რომელიმე ას წელიწადშიო, ისიც უცილობლად უნდა იყოს მეორედ მოსვლის მიჯნას მიხლოებულიო, ამბობს იოანე-ზოსიმე, და არა რომელიმე საუკუნის სხვა მონაკვეთშიო).

მერვე საუკუნიდან მოყოლებული, არაბების დაუსრულებელი ბატონობა საქართველოსათვის მძიმე უღელი იყო. გმინავდა ერი. მართალია, წინა საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები ერს ახსენებდა თავის თავს: („აბოს წამება“, „შუშანიკის წამება“ და სხვათა მარტვილობა), მაგრამ ერს სჭირდებოდა რაღაც უფრო დიდი სტიმული, რომელიც იმედს ჩაუსახავდა. მშრალი მონოდება სულიერად და ფიზიკურად დაცემულ ერს უკვე ვერ უშველიდა. და აი, გაჩნდა აპოკალიფსური ხასიათის ნაწარმოები: „ქება და დიდება ქართულისა ენისაა“, აქ ლაპარაკია იმ დაბეჩავებული ენის ქება-დიდებაზე, რომელსაც ურჯულოთა მოძალებით გადაშენება ემუქრებოდა. იცის რა ავტორმა თავისი ერის ჭირთა თმენისა და შემართებისა, იგი ხმამაღლა აცხადებს:

„ლაზარე ქართული ენაა!“ ამ ერთმა წინადადებად მთვლემარე ერი შეანჯღრია. „თუკი ლაზარე ქართული ენაა, მას ხომ ლაზარეს ბედი უნდა ეწილადოს?“. და აი, ერის სულში ჩასხლტა იმედის ის ნაპერწკალი, რომელიც იწყებს გმირის ძერწვას.

„ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა!“... გაისმის ომახიანად. ითქვა და ჭეშმარიტია! კაცს, რომელსაც გამარჯვებულ ფინალს მიუნიშნებენ, მთელი მისი შემდგომი ცხოვრება დამუხტულია იმ საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ამგვარი ნაწარმოები დიდს თუ პატარა ერს, ყველას ერთნაირად აფხიზლებს, ერთნაირად შეახსენებს ხოლმე სამშობლოს.

უდავოა, ძეგლი დიდ ყურადღებას იმსახურებს. იგი თავის დროზე, როგორც ნახეთ, არც მეტი, არც ნაკლები, ჭეშმარიტი მონოდება იყო იმედგატეხილი მცირე ერის გამხნეებისა, არაგადაშენებისა და კვლავ აღზევებისა; ხოლო დღევანდელ თანამემამულეთათვის კი კიდევ ერთი გაფრთხილება, კიდევ ერთი ჩაკვირება და თავდადებული ღვაწლი ერის მომავალი ბედნიერებისათვის; თანაც გვაჯერებს, ნათელი დღისათვის მებრძოლს სიკვდილი არ უწერიან და ამიტომაც უწინასწარმეტყველებს იგი ამ ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულთ ლაზარესავით აღდგომას!





75 წელიწადი

...ჩონ თვალს ბავაღვანობით
დახვანეთსა და აღმოსავანეთს

(უახლესი თარგმანების გამო)

საქართველოში ინტენსიურად გრძელდება აღმოსავლეთისა და დასავლური რეალიებისადმი თვალყურის დევნა, მათი განზოგადება და აღქმა. კავკასიონის რეგიონში ძირითადად პოლიტიკური ვნებები ჩქეფს და ამიტომაც უფრო საინტერესო და სასურველი შორეული ინტელექტუალური პრობლემების გაცნობაა, ამით უფრო გასაგები ხდება ჩვენი ყოფის იდენტურობა სხვებთან, ჩვენი გრძნობებისა და ხასიათების მსგავსება-განსხვავება.

ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრება საკმაოდ საინტერესო და მრავალმხრივია. საზოგადოებას, რომელსაც აინტერესებს სულიერი დახვეწა და თვითგანვითარება, მრავალმხრივი საშუალება ეძლევა სათავისოდ. სულ ახლო ხანებში მოგვენოდა თანამედროვე სპარსული პროზის ნიმუშები, რომელთა გადმოქართულებაზე მზია ბურჯანაძემ და თეა შურღაია იზრუნეს. მათ საზოგადოებას წარუდგინეს მორიგი წიგნი, სახელწოდებით „თოთხმეტი სევედიანი ამბავი“, სადაც ათი ირანელი მწერლის თოთხმეტი

ტექსტია შესული. დასავლური პროზის უმნიშვნელოვანესი ტექსტები დავით კახაბერმა გამოსცა „ეროვნულ მწერლობაში“ და ორი საუცხოო ავტორის, დენი დიდროსა და ეუენ იონესკოს ნაწარმოებები წარმოგვიდგინა. მიუხედავად შორეული დროითი და სივრცობრივი განსხვავებისა, ჩვენ შეგვიძლია მათში თანამედროვე საქართველოს ფიზიკური და სულიერი ტკივილები დავინახოთ და მოვინიშნოთ. მთარგმნელობით ხელოვნებას ხომ სწორედ ზოგადადამიანური მიზნებიც ამოძრავებს კონკრეტულ ამოცანებთან ერთად და ამითაც არის მნიშვნელოვანი.

მზია ბურჯანაძე და თეა შურღაია პოპულარიზაციას უწევენ სპარსულ მწერლობას, ისინი ამას საგანგებოდ და მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებენ. „თოთხმეტი სევედიანი ამბავი“ წინასიტყვაობაში სათანადოდ არის მიმოხილული ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობები, რასაც საუკუნეთა მიღმა ეძებნება ძირები. დღევანდელი სულ სხვა სურათს გვაძლევს, ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ მათ და თითქმის აღარ გვახსოვს, თუ რა მჭიდრო კავშირები გვქონდა ოდესღაც. თეა შურღაია და მზია ბურჯანაძე კიდევ ერთხელ გვახსენებენ თეიმურაზ I-ის და სხვა პოეტების ლტოლვას სპარსული ლექსისადმი. ხოლო დღეს ირანშიც პროზის დომინანტია. ირანელი მწერლების თხზულებებს ინტენსიურად თარგმნიან ევროპასა და ამერიკაში, მათ იცნობენ და აფასებენ. სწორედ ამიტომ და სხვა მრავალი მიზეზის გამო, ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია სპარსული პროზის გაცნობა. ჩვენი მეგზურები კი ამ შემთხვევაში ისეთი გამოცდილი და დახვეწილი გემოვნების მთარგმნელები არიან, როგორიც თეა შურღაია და მზია ბურჯანაძეა.

„თოთხმეტი სევედიანი ამბავი“ ავტორთაგან სამი ქალია: ზოჰრე ჰათამი, ზოია ფირზადი და გოლო თარაყი.

ზოჰრე ჰათამის თემა მარტოხელა ქალის ცხოვრება, მისი მარტივი ყოფა და რთული განცდებია. მოთხრობა „სახლი მსოფლიოს ყველაზე მოღუშულ ბულვარზე“ მძიმე და ნაღვლიანია. ქალბატონი ეთერზადი ქირაობს გოგონებს, რომ მათ მისი (საკუთარი) დაკარგული შვილის როლი გაითამაშონ და წუთით მაინც დაავინყონ მარტოობა. იდეა გამჭვირვალეა, თამაში ვერ ცვლის ტრაგიკული სიტუაციის სიმძიმეს, თვალის განგებ დაბრმავება მხოლოდ დროებითი ეფექტის მომტანია.

ზოია ფირზადის სამი მოთხრობიდან სამივე ქალთა პრობლემებს ეხება. მისი სხვადასხვა მოთხრობის გმირები როუმანაქი, ლეილა და თარანე სოციალური და ქონებრივი ცენზით განსხვავდებიან, მაგრამ პრობლემებითიქმის საერთო აქვთ. როუმანაქი („ყვავილები გადასაფარებლის შუაგულში“) ბებოსგან სწავლობს ქსოვას. „გადასაფარებლის ყვავილების“ სიმბოლიკა შეიძლება ტრადიციულ ქართულ

გარემოს მივუსადაგოთ, რომელიც თანამედროვე ცხოვრებაში არცთუ გამოსადეგია და როუშანაქმაც იგრძნო ეს. ამიტომ ქალიშვილებს არ ასწავლა ქსოვა და იოლად გადაიტანა ქმართან დაშორება, რომელმაც „ამ სიბერეში ბიჭი მოინდომა“. ლეილას ისტორიაც მსგავსია („ლაქები“) როუშანაქის ისტორიისა, იგი ისე დახელოვნდა ლაქების ამოყვანაში, რომ როცა ქმართან განშორება აუცილებელი რეალობა შეიქნა, სწორედ ლაქების ამოყვანით შეძლო თავის რჩენა. თარანესა („პერლაშეზი“) და მისი ქმრის ცხოვრება არ არის მთლად ჩვეულებრივი. მისი ქმარი მწერალია და თავისი გარემოცვა ცუდად ჰყავს. თარანეც თავგამოდებით ცდილობს შეერწყას ამ გარემოს და იბრძვის...

გოლი თარაყი ჩვენთვის ნაცნობი მწერალი ქალია, მისი შემოქმედება თეა შურღაიამ და მზია ბურჯანაძემ ადრე გაგვაცნეს და საგანგებო წიგნი გამოსცეს, რომელსაც „სახლი ზეცაში“ ეწოდება. ამჯერად გოლი თარაყისადმი მოთხრობით არის წარმოდგენილი, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა „ბატონი ალექსის უცნაური ქცევები უცხოეთში“. ამ მოთხრობის თემა ძალიან ახლობელია ქართველი მკითხველისთვის, აქ არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის პრობლემა წამოჭრილი, წარმოდგენილი ისტორიის განზოგადება ლამის აუცილებელია. ბატონი ალექსი იძულებული გამხდარა სამშობლო დაეტოვებინა, პოლიტიკურ დევნას გაქცეოდა და პარიზის ერთ-ერთ პანსიონში დაედო ბინა. ეს კაცი ლტოლვილი და ხიზანია, მძიმედ განიცდის სამშობლოს მიტოვებას და ცდილობს გაითავისოს ერთადერთი ჭეშმარიტება, რომ უნდა: „ზურგი აქციოს ჩვევებზე მიჯაჭულობას და ნაცნობი საგნებისაკენ ლტოლვას. ახალ სივრცესა და დროში შეაბიჯოს, ახალ ისტორიაში შედგას ფეხი. ახალი ფიქრებითა და ხელუხლები გამოცდილებით“ (გვ.123). თუ როგორ ცდილობს, განიცდის და ეწვლება მოთხრობის გმირი, ამის გაცნობა მართლაც საინტერესოა. ჩვენ უმალ მივხვდებით, რაოდენ მსგავსია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის შვილების ნოსტალგია და როგორი კარგი მწერალია გოლი თარაყი.


ჯაფარ მოდარეს სადევის „პატარა უფლისწულიც“ ჩვენთვის საჭირობოროტო თემატიკას ეხება. მასში ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნებისა და ახალი ტენდენციების ურთიერთობაა კონფლიქტის მიზეზი. ადამიანები ვერ ეგუებიან ცვლილებებს, ზოგიერთები განუხრელად სწორედ ცვლილებებისა და ახალი გარემოსკენ მიილტვიან. კონფლიქტი საინტერესო შედეგებს გვაძლევს. ეს პრობლემაც დამახასიათებელია ქართული სინამდვილისათვის. ჯაფარ მოდარეს სადევი ინგლისურენოვან ლიტერატურასაც აცნობს თავის თანამემამულეებს, იგი კლასიკური სპარსულის მკვლევარიც ყოფილა და ჟურნალისტობს კიდევ. როგორც

ჩანს, მრავალმხრივმა ადამიანმა კარგად იცის უახლესისა და ტრადიციულის ძალიან მძიმე თანაარსებობის შესახებ და ამიტომ ეხება ამ მნიშვნელოვან რეალობას.

მთარგმნელებმა შემოგვთავაზეს ებრაჰიმ გოლესთანის, ჯალალად აჰმადის, ბაჰრამ სადევის, ჰუშანგ გოლსირის, ბიჟან ნაჯდის, მოჰსენ მახმალბაფის ტექსტები, რომლებიც ძალიან საინტერესოა უძველესი მწერლური კულტურის მქონე ირანის თანამედროვე სახის გასაგებად და შესაცნობად. თანაც „ცხოვრება და პრობლემები რომელიმე ერის კუთვნილება არ არის“...

დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც ერთნაირად აწუხებს ძალაუფლებისათვის ბრძოლის პრობლემა, ადამიანური ზნეობისა და ეთიკის საკითხები. დავით კახაბერმა ერთ წიგნად მიანოდა მკითხველს დენი დიდროს „რამოს ძმისწული“ და ეჟენ იონესკოს „მაკბეტი“. დროში დიდად დაშორებულ ტექსტებში მარადიული პრობლემები გადაუჭრელ დილემად წარმოგვიდგებიან. დავით კახაბერმა, ალბათ, საგანგებოდ შემოგვთავაზა დიდი განმანათლებლისა და დიდი აბსურდისტის ტექსტები. მან გაითვალისწინა „რამოს ძმისწულის“ ინტელექტუალური და იონესკოსეული ინტერპრეტაციის ხაზგასმული სარკაზმი.

დღევანდელ მკითხველს დენი დიდროს „რამოს ძმისწულის“ მარადიული აქტუალობა კიდევ ერთხელ დააფიქრებს ღირსებისა და უღირსობის, ნიჭისა და ფუქსავატობის თემებზე. დენი დიდროს თვალთახედვა შემთხვევით როდი შეჩერებულა ნიჭიერ, უღირსებო და ფუქსავატ ტიპზე, რომელსაც საბოლოოდ შეუძლებელია რივიანი მოქცევა და კეთილშობი-



ლი აზრები. რამოს ძმისწული ცინიკოსია, კარგად იცნობს ადამიანებს, შეუძლია გარკვეული დროით თავბრუ დაახვიოს მისთვის საჭირო კაცს. მას ძალიან კარგად ესმის, რომ ბოლოს მაინც გაიშიფრება, მაგრამ ამ დროისთვის იგი საჭირო და აუცილებელი გახდება მდიდარი და გავლენიანი სუბიექტისთვის. წინ იწევს თავის გატანის, საზოგადოების ზედაპირზე დარჩენის, გამორჩენის ინსტიტუტები. დენი დიდრო გვიხატავს ინტელექტუალს, რომელიც ურცხვად ყიდის თავის თავს, მოურიდებლად მიიწვევს ცხოვრების წაობში და იყენებს ყველას და ყველაფერს. რამოს ძმისწული ვაჭრობს საკუთარი სახელგანთქმული ბიძის ავტორიტეტით, ცოლის გარეგნობით, თავსდატყვილი უბედურებითაც კი და ამგვარ უსაქციელობათა ჯაჭვში შეუძლებელია გულწრფელობის წამიერად მონიშვნა. რამოს ძმისწულს, ალბათ, გააჩნია წრფელი გრძნობებიც, მაგრამ მას არ სჭირდება მათი გამჟღავნება.

რამოს ძმისწულმა ყველაფერი იცის, ყველაფერზე აქვს მზა ფორმულა და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იგი განგებ გვიჩვენებს საკუთარ ბინძურ სახეს ან მართლაც ვერ წარმოუდგენია სხვაგვარი ცხოვრება. მან იცის, რომ: „მოვალეობა მთავარი როდია, იგი შეიძლება არც არსებობდეს, მთავარია სიმდიდრე; მდგომარეობა კი იმისთვის არის საჭირო, რომ გაამდიდრნენ. მოვალეობის აღსრულება რას შეგძენს? შურს, მღელვარებას, დევნას. განა ასე ნახვალ წინ? ეშმაკმა წაიღოს!. მლიქვნელობაა საჭირო, თავის მდაბლად დაკვრა, გავლენიან პირებთან მისვლა, მათი გემოვნებების შესწავლა. მათი ახირებებისა და ჟინის ნაქეზება, მათ ბინიერ მისწრაფებათა ხელის შეწყობა, მათი უსამართლობის გამართლება. აი, რაშია მთელი საიდუმლოება“ (გვ.44). „რამოს ძმისწულის“ დღეს და ახლა შემოთავაზება ძალიან დროული და ნიშანდობლივი გვეჩვენება. ჩვენს საზოგადოებაში მრავლად არიან ისეთი ტიპაჟები, რომლებიც ჰგვანან რამოს ძმისწულს, არიან ისეთებიც, რომლებიც აშკარად აჭარბებენ მას. სამწუხაროდ, უახლესი ქართული მწერლობა ნაკლებად ინტერესდება რეალობასთან მიახლოებული პერსონაჟებითა და თემებით და ამიტომ ჩვენი მხატვრული ცნობისნადილი შეგვიძლია სწორედ საუკუნეთა წინანდელი ევროპული ტექსტით დავიოკოთ.


დავით კახაბერმა წიგნის მეორე ნახევარი ეჟენ იონესკოს „მაკბეტს“ დაუთმო, მასშიც აქტუალური და დროული თემატიკაა ყურადსაღები. ეჟენ იონესკოს შექსპირივით ძალაუფლების ტექნოლოგია აინტერესებს და „მაკბეტის“ თავისებურ ნაირსახეობას გვთავაზობს. ფრანგულიდან თარგმნილი ეს პიესა 1972 წელსაა დაწერილი. მასში თითქმის უცვლელად წარმოგვიდგებიან შექსპირის ტრაგედიის მთავარი მოქმედი გმირები: მშიშარა

დუნკანი, სულმოკლე მაკბეტი, ბანკო...

ეჟენ იონესკოს „მაკბეტი“ არის მისივე მხატვრული აზროვნების შესანიშნავი ნიმუში, სადაც თანამედროვე სამყარო ზუსტი ასლია ოდინდელისა და ამავე სახეს შეინარჩუნებს მომავალშიც. იონესკოს ფილოსოფიურ ხედვაში სამყაროს ამოძრავებდა, ამოძრავებს და მომავალშიც წარმართავს ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. ადამიანები მხოლოდ კომედიანტები არიან რაღაც აბსურდული და გაუგებარი ინსტიტუტების ხელში, ისინი თამაშობენ მსხვერპლსა და ბატონს, მბრძანებელსა და სტატისტს და ასე იქნება მარადიულად. იცვლებიან სახეები, უცვლელია მხოლოდ სასტიკი სწრაფვა ძალაუფლებისაკენ და ტირანისაგან მეორე ტირანის შეცვლის პროცესი...

ეჟენ იონესკომ დუნკანს ასეთი სამადლობელი ათქმევინა: „მადლობა თქვენ, ჩემო სახელოვანო მხედართმთავრებო, უპირველესად კი მადლობა თქვენ, ჩემო მამაცო ჯარისკაცებო, კეთილო, უბრალო ხალხო. თქვენ გადაარჩინეთ სამშობლო და ჩემი ტახტი. ბევრმა ამისთვის თავი გასწირა. კიდევ ერთხელ მადლობა ყველას, მკვდრებსაც და ცოცხლებსაც, ტახტის გადარჩენისათვის. იგი ხომ თქვენი ტახტიცაა“... მსგავსი შინაარსის სიტყვები მარადიულია, რომელიც ყველა ტირანს წარმოუთქვამს ან წარმოუთქვამს, როცა იშვიათი კეთილი განწყობის დროს ცდილობს სამშობლო და ტახტი ერთ არსად წარმოუდგინოს გატანჯულ ქვეშევრდომთ. იცვლებიან პერსონაჟები, სიტყვები და ქცევის მანერა ერთი და იგივეა. ეჟენ იონესკო სწორედ ამას ცხადყოფს თავის ირაციონალისტურ მხატვრულ სამყაროში და მიგვანიშნებს ძალაუფლების ტექნოლოგიის გულისამრევ ერთფეროვნებას. ყოველი დიდი ცოდვებით გაჟღენთილი და სასტიკი. დუნკანისა და მაკბეტის შემდგომ ტახტის ხელში ჩამგდები მაკოლი უკვე მერამდენედ იმედგაცრუებულ ქვეშევრდომებს ჰპირდება, რომ ბოლოს მოუღებს მშვიდ ცხოვრებას და ერთობის ნიშანწყალსაც სრულად გააქრობს. იონესკომ აბსურდი კანონზომიერებად მიიჩნია, ასეთია მისი მსოფლმხედველობა, მისი მხატვრული სამყარო, რომელიც განჭვრეტისა და ანალიზის შედეგია.

დავით კახაბერმა მისთვის ჩვეული ოსტატობით გადმოგვიქართულა დასავლეთის დიდი მოაზროვნეების ტექსტები და საშუალება მოგვცა თვითონ შეგვეფასებინა მხატვრული რეალობის სიახლე ყოფითთან. როს თვალს გავადევნებთ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩვენც მყის ვიგრძნობთ, რომ ორივე სამყაროს შვილები ვართ, სადაც კაცობრიობა საოცრად ერთიანია თავის მარადიულ ცდომილებებში.



ინბახიძე

თამარ

შარაბიძე

ჯანიასა ხუხაძე —
„მოგონებები“

„...არის საათი, არის წუთები,
რომ ცოცხლობ მხოლოდ მოგონებებით
და მასში ხედავ მომავლის იმედს“.

არჩილ სულაკაური

არჩილ სულაკაურის ამ სიტყვებს პირადად ჩემთვის არა ერთხელ მოუცია ცხოვრების ხალისი; ამიტომაც ყოველთვის, როცა მოგონებებს ვკითხულობ, ვცდილობ დავინახო მასში სიცოცხლის სიყვარული, რამაც მის ავტორს ეს მოგონება დაანერინა, და კიდევ ის მარცვალი, რომელსაც მომავალი თაობისათვის ექნება გარკვეული მნიშვნელობა. ეს მარცვალი შეიძლება მშრალი ფაქტები იყოს, ან ადამიანური ურთიერთობები, ან კიდევ გრძნობები, რომლებიც, მიუხედავად უცვალელობისა, ყველა დროს თავისებურად, მისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური ღირებულებებით წარ-

მოაჩენს. მოგონებები მწერლობის ის ჟანრია, რომელიც ყოველთვის, ყველა ეპოქაში, უნდა შეიქმნას, თუნდაც მას დიდი მხატვრული ღირებულება არ ჰქონდეს. ადამიანები მივდივართ, მოგონებები კი რჩება, როგორც ჩვენი დროის, ჩვენი ცხოვრების უტყუარი ამსახველი. ამ განწყობიდან გამომდინარე, სიამოვნებით გავეცანი ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის წიგნს — „მოგონებები“ და მასში სწორედ ის მიზანი დავინახე, რომელსაც თავად მოვითხოვ ამ ჟანრისგან — ფაქტები, ურთიერთობები, გრძნობები და კიდევ ერთი, ამ ყოველივეს უაღრესად დახვეწილი გამოვნების მეტყველებით გადმოცემა (დიახ, ვფიქრობ, რომ არსებობს გამოვნება მეტყველებაშიც). ეს დახვეწილობა შეიგრძნობა თითქმის ყველგან და ყველაფერში: პიროვნების შესახებ მონივნებით თხრობაში, პატივისცემის გამოხატვაში არა მხოლოდ მასწავლებლისა და კოლეგის, არამედ ყველას მიმართ, ვისაც კი მოგონება ეძღვნება. ქალბატონი ჯულიეტა თითქმის არსად არ ხმარობს საკუთარ სახელს, თუ მას „ქალბატონი“ ან „ბატონი“ არ დაურთო. ხანდახან პიროვნების ამგვარი ოფიციალური მოხსენიება ზედმეტადაც მოგეჩვენებათ, მაგრამ მალე ხვდებით, რომ ავტორს სხვაგვარად არ შეუძლია, უხერხულობას განიცდიდა, ასე რომ არ ეთქვა, ასე რომ არ დაენერა სახელგანთქმულ მეცნიერებსა და პედაგოგებზე, კოლეგებზე, თანამშრომლებზე, მეგობრებსა თუ მეზობლებზე, ყველაზე, ვისგანაც კარგი ახსოვს. „კარგი“ ეს სიტყვა ტყუილად არ მიხსენებია. ავტორის უდიდესი ღირსება სწორედ ის არის, რომ ადამიანებში მხოლოდ კარგს ხედავს. ეს იშვიათი და უმშვენიერესი თვისებაა! გავიხსენებ „მოგონებებიდან“ ერთ შემთხვევას, როდესაც ეთნოგრაფებმა ჯულიეტა რუხაძე მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის კანდიდატურაზე დაასახელეს. მან ეს დიდ პატივად მიიჩნია და სთხოვა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის იმუამინდელ დირექტორს, ბატონ გიორგი მელიქიშვილს, მოეხსნა მისი კანდიდატურა. გაკვირვებისდა მიუხედავად, მან მართლაც გაითვალისწინა ეს თხოვნა, რაზედაც ქალბატონი ჯულიეტა უაღრესად მადლობელი დარჩა და ცდილობდა პატივისცემა პატივისცემით გადაეხადა. მისი მოგონების საკმაოდ ვრცელი ნაწილი სწორედ ამ მადლიერებას ეძღვნება. დანინაურებისადმი, თუნდაც სამეცნიერო თვალთახედვით, ადამიანთა ამბიციური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ასეთი ქმედება ერთობ გასაკვირია, მაგრამ მკითხველი თავიდან ბოლომდე რომ გაეცნობა წიგნს, პირველ რიგში მის ავტორს დაინახავს, რომლისთვისაც ამბიციებისგან შორს დგომა, სხივისი სიკეთის დანახვა, პატივისცემის გამოხატვა შინაგანი მოთხოვნილებაა და სხვა არაფერი. ფაქტებსა და მოგონებებს მიღმა ავტორი კიდევ ბევრგან ჩანს,

ჩანს მისი პროფესიონალიზმი, თავისი დარგის სიყვარული, და კიდევ, რაც ძალიან ამშვენებს თხრობას, ჩანს მისი პოეტური ბუნებაც. მოგონებათა უმრავლესობა სრულდება ლექსით (მე-19 საუკუნისა თუ თანამედროვე ქართული პოეზიიდან), რომელიც ზუსტად შეესაბამება ავტორის მიერ დანახულ პიროვნებას თუ აღწერილ სიტუაციას. მაგალითად, წერილი „წარსულის ფურცლები“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის და მისი თანამშრომლების გახსენებაა, ბოლოვდება გრიგოლ ორბელიანის სიტყვებით პოემა „სადღეგრძელოს“ ბოლოთქმიდან — „ან სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინ იყვნენ?“ ლექსის სიტყვები ავტორის იმ პესიმისტური განწყობის შესატყვისია, რომელიც „ძველ ნაცნობებთან“, დიდებულ ადამიანებთან განშორებითაა გამოწვეული; და ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ „წარსულის სიზმრად მნახველად“ წარმოუდგება ავტორს თავი და ამასვე განაცდევინებს მკითხველსაც.

ბავშვობის მეგობრის, ოთარ შვანგირაძის გახსენებას, რომელიც უდიდესი შინაგანი მღელვარებითაა აღსავსე მისი ტრაგიკული გარდაცვალების გამო, ავტორი ზაურ ბოლქვაძის „გულში ჩამწვდომი სრტიქონებით“ ამთავრებს:

**„გადაუარა ბალახმა
საფლავს — სიცოცხლის წერტილს;
შენ ჩემთვის როგორ არა ხარ,
მე აღარა ვარ შენთვის“.**

კითხულობ ამ სტრიქონებს და ფიქრობ, რაც არ უნდა დიდი დრო გავიდეს, რაც არ უნდა დაგაშოროს წლებმა მეგობარს, ან გაგყაროს მასთან წუთისოფელმა, სიყვარული არ კვდება, მით უმეტეს, ამ ქვეყნად დარჩენილთათვის, ანუ ჩვენთვის, ტკივილით და დარდით ის კიდევ უფრო ღრმავდება და მტკიცდება.

ანდრია აფაქიძე ჩემი თაობის მეხსიერებაში მსცოვანი მეცნიერია, საქვეყნოდ აღიარებული და დაფასებული, ქალბატონი ჯულიეტა კი მის მოღვაწეობას ახალგაზრდობის წლებიდან აღწერს და მოგონების ბოლოს ხაზგასმით აღნიშნავს: „აღმაფრენის ნიჭით აღბეჭდილმა წლებმა თან წაიღეს ნიშანი ახალგაზრდობისა, მიუხედავად ამისა, დიდთა საქმეთა ძეგლები უბერებელია“. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ წერილი გიორგი ლეონიძის შესაბამისი შინაარსის ლექსით იწყება:

**„გადავილიან ღრუბლები,
დაჰყრიან ოქროს ქვიშასა;
წავა ლექსი და წაიღებს
ახალგაზრდობის ნიშანსა“.**

ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი მოგონება გამოირჩევა არა მხოლოდ მეცნიერის ღვაწლის წარმოჩენით, არამედ პიროვნების ავტორისეული შეფასებით, რომელიც კარგად

შემჩნეულ ნიუანსში და შედარებაში მჟღავნდება. აი, მაგალითად: „მთელი თავისი შემოქმედებით და ხასიათით ის ჰგავდა რომანტიკოს პოეტებს, მათსავით ბოლომდე დაინვა, მათსავით ადრე დაიღუპა“. ირაკლი სურგულაძეს ავტორი ისეთ პიროვნებად მიიჩნევს, რომელიც თავისი განსწავლულობით, გულწრფელობით, „მჭევრი საუბრით“, პოეტურობით, არტისტიკული ბუნებით, ამავე დროს უშუალოდ და ბუნებრივობით დააკლდა თბილისს. ამიტომაც გიჟდება განცდა, რომ მხოლოდ ასეთ კაცს, არა აუცილებლად მეცნიერს, უბრალოდ ამგვარი ბუნების, სხვათაგან გამორჩეულ ადამიანს შეეფარება მიხეილ ქვლივიძის სიტყვები: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“.

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილისადმი, ამ სახელოვანი მეცნიერისადმი მიძღვნილი წერილი პოეტ თემურ ჩალაბაშვილის მშვენიერი სიტყვებით სრულდება:

**„საქართველოში წმინდანივით იცხოვრე,
რადგან [შენ თავზე უფლის ნაბოძები გვირგვინი გადგას...“**

ეს მაგალითები იმისთვის მოვიყვანე, რომ მკითხველისათვის მეჩვენებინა, როგორ გრძნობს პოეზიას, ლექსის უმნიშვნელო ნიუანსსაც, მოგონებათა ავტორი და როგორ შესაფერის კანდიდატებს ურჩევს პოეტთა მიერ გამოხატულ გრძნობებს.

უკვე აღვნიშნე, რომ თითოეულ მოგონებაში თავად ავტორი მოჩანს თავისი უაღრესად დადებითი თვისებებით. თუნდაც ის ფაქტი, რომ თავის გარშემო მყოფ პიროვნებებში ის მხოლოდ კარგს ხედავს, მის ბუნებაზე მეტყველებს. კარგის დანახვას ხშირად ადამიანები, ვთქვათ, საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამომსვლელები, მიზანმიმართულად მიმართავენ. ჯულიეტა რუხაძის მოგონებებში გამოირიცხება ეს გამიზნულობა, რადგან ყოველი წერილი უშუალოდ და ბუნებრივობით გამოირჩევა. აი, თუნდაც ფრაზები გავიხსენოთ სხვადასხვა მოგონებიდან და ყოველივე ნათელი გახდება: „მოგონებების წერისას ყველაზე ძნელი პირველი ფრაზის დაწერა... ყოველთვის ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვერ დავწერ ყველაფერ იმას, რაც მინდა“ (ელენე ვირსალაძე, გვ. 68), ან ვთქვათ, „რა დიდი ღირსებაა ადამიანისათვის ჭეშმარიტი ინტელიგენტურობა“ (იქვე, გვ. 71); კიდევ ერთიც — „არიან ადამიანები, რომელთაც წერა ეხერხებათ... მათთვის, ალბათ, ძალზე ადვილია ახლობელი ადამიანის მოგონება. მე კი ვგრძნობ, რომ წერა მიჭირს (განსაკუთრებით ახლა ... ალბათ, ხანდაზმულობის გამო), ახლობლის თუ შორეულის შრომის შეფასებას დიდი ოსტატობა სჭირდება...“ (ჯუმბერ ოდიშელი, გვ. 101).

რაც შეეხება ფაქტებს, ითვლება, რომ ფაქტი მოგონების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მართლაც, მრავალი მოგონება მხოლოდ

ფაქტებს ემყარება. ჯულიეტა რუხაძის მოგონებებში ფაქტები ამგვარად კლასიფიცირდება. ავტორი იხსენებს პიროვნების ღვანლს — ჩამოთვლის მის დამსახურებებს და ნაშრომებს, შემდეგ გადადის ხასიათზე, საზოგადოებასთან მის დამოკიდებულებაზე და ასრულებს მოგონებას პირადი ურთიერთობიდან კონკრეტული შემთხვევის აღწერით. ძირითადად ამგვარი თანმიმდევრობით არის მოთხრობილი მოგონებები როინ მეტრეველზე, ჯუმბერ ოდიშელზე, სიმონ ყაუხჩიშვილზე, დავით გვრიტიშვილზე, გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძეზე, ალექსი რობაქიძეზე, დავით ხახუტაიშვილზე, მარიამ ლორთქიფანიძეზე, ანდრია აფაქიძეზე, თამაზ გამყრელიძეზე, ოთარ ჯინორიასა და სხვებზე.

სიხალისით, სიყვარულით, მეგობრისა და ახლობლის დაფასების სურვილით გამოირჩევა მოგონებები ტარიელ ბენდუქიძეზე, დევი კაჭარავაზე, ეკა პრივალოვაზე, ნიკოლოზ რუხაძეზე, ანა წერეთელ-ტაბლიაშვილზე, ეთერ ჭრელაშვილზე, ნანა ხაზარაძეზე, არკადი კიპსინზე, ფიქრია მაკალათიაზე, ანა გვენცაძეზე, ირაკლი და გოგი ოჩიაურებზე.


უახლესი ისტორიის გაანალიზების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ნიკოლოზ სტურუასადმი მიძღვნილი მოგონება, განსაკუთრებით კი ინსტიტუტის საერთო კრებაზე გამოთქმული ბატონი ნიკოლოზის სიტყვა, რომელიც ქალბატონმა ჯულიეტამ მაშინ, 1991-1992 წლებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაძაბულობის პერიოდში ჩაინერა: სიტყვა იწყებოდა ასე: „ვართ თუ არა მზად თავისუფლებისათვის? აი, ეს არის პირველი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, მზად ვართ. ყოველ შემთხვევაში, დღეს ის მაინც ვიცით, რა დავკარგეთ. დაგვიკარგავს თურმე დრო, დრო კი ყველაფერზე ძვირფასია. დღეს უკვე ვიცით, რომ 70 წელი „სხვა სოციალიზმი“ გვიშენებია და ახლა ვუბრუნდებით საბაზრო ეკონომიკას. მეორე კითხვაა: შევძლებთ თუ არა თავისუფლებისათვის ბრძოლას? შევძლებთ თუ არა ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელებას, რისკენაც მოგვიწოდებენ სხვადასხვა პარტიები?“ საინტერესოა ნ. სტურუას მსჯელობა საქართველოსათვის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორცაა თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლება და აფხაზეთის საკითხი და ამ პრობლემათა გადანყვეტის მეცნიერისეული ხედვა, ხედვა, რომლის განხორციელებაც რეალობაში იყო შესაძლებელი.

პირადად ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი მოგონება, რომელიც იმდენად პოეტი ქალის გახსენება კი არა, არამედ — გაცილებით მეტია, აღფრთოვანებაა მისით. ჯულიეტა რუხაძე აღწერს თავის ეთნოგრაფიულ მივლინებას დასავ-

ლეთ საქართველოში, სადაც სრულიად შემთხვევით შეხვდა ასევე სამეცნიერო მივლინებით ჩასულ ივანე გიგინეიშვილს. ანას ლექსებით აღტაცებული ივანე გიგინეიშვილი შესანიშნავად კითხულობდა პოეტი ქალის ლექსებს და ბედნიერად გრძნობდა თავს, როდესაც ქალბატონი ჯულიეტაც ანას ლექსით პასუხობდა. თვალწინ მიდგება ეს სურათი, თითქოს მათი ხმაც ჩამესმის — რა სასიამოვნო იქნებოდა პაექრობა ანას ლექსებით!

კიდევ ბევრი კარგის დანახვა შესაძლებელი ამ ნაშრომში, მაგრამ საინტერესოა ისიც, რა შეიძლება მივიჩნიოთ მის ნაკლად? ნებისმიერი სახის ნაწარმოებში არსებობს პერსონაჟის და ავტორის დრო-სივრცე, რომლებიც სწორად ერთმანეთს ემიჯნება. ეს გამიჯვნა ხანდახან კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს ნაწარმოების მხატვრულობას, მაგრამ, ვფიქრობ, მოგონებათა ჟანრში ის ნაკლად აღიქმება. მოცემულ ნაშრომში შესულია ზოგიერთი მოგონება, რომელშიც ავტორისეული დრო შორდება პერსონაჟს, პერსონაჟის მოქმედების დროს. მიუხედავად ავტორის მცდელობისა, დროის დიდი მანძილის გამო მოგონება „გაფერმკრთალებულია“ და „მშრალად“ აღიქმება. ჟამნა ნაშალა ფაქტები, რასაც თავად ავტორიც ხვდება და აღნიშნავს; დარჩა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებისადმი გრძნობა, რომელიც ფაქტების გარეშე მოგონებისადმი მკითხველის ინტერესს ანელებს.

და ბოლოს, ჩვენს სტატიას დავამთავრებთ მე-19 საუკუნის მოღვაწის, ყველასათვის ცნობილი „მოგონებანის“ ავტორის, იაკობ მანსვეტაშვილის სიტყვებით იმ ჟანრის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ, რომელსაც მოგონება ჰქვია: „... გაივლის დრო, მოიხედები, უყურებ ამ ძვირფას საუნჯეს (აღამიანის ღვანლით შექმნილს), რომელზედაც ამდენი ლაპარაკი და დავიდარბა იყო. გინდა გაიხსენო ამ საუნჯის შემქმნელი, მოიგონო იმისი სახელი, ცხოვრება, — მაგრამ სადღა! დაუვინყნიათ, აღარა იციან-რა იმ კაცისა, რომლის სახელი უკვდავი უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნად“... ისტორია თავის დავთრებში „ხშირად ივინყებს იმის ჩაწერას, რაც დაუვინყარი უნდა იყოს და უკვდავის სახელით ჰმოსავს იმას, ვინც მხოლოდ სხვისი სახელით სახლობდა ქვეყნად. მაგრამ მისი გამტკვერიანებული დავთრების გარდა არის სხვა, უფრო უტყუარი და პირუთენელი მონმე წარსულისა და ეს მონმე მტკიცედ იცავს და უმადურად დავინყებას არ აძლევს იმის სახელს, ვინც ოდესმე ქვეყნად ყოფილა და ქვეყნისათვის ღვანლი და სამსახური არ დაუზოგავს“. ეს მონმე ერია, ხალხია, კონკრეტული ადამიანები, პიროვნებები და მათი მოგონებებია.



კუბან მეჯორი

„ანდებთან დასისი“

დადგენისთვის, თავის დროზე ლევან გოთუას დამ, ქალბატონმა ქეთევანმა საინტერესო ცნობები მოგვანოდა.

ლევან გოთუა, ჯერ კიდევ 1921 წელს მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში, მაგრამ იგი გაცივდა და ძმამ სახლში წამოიყვანა. მას შემდეგ, შინსახკომს იგი რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში არ შეუმჩნევია, თუმცა ახალგაზრდა კაცის განწყობა ცნობილი იყო. ამიტომაც, 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყების დამესვე, აბასთუმანში დასასვენებლად მყოფი ლევანი დააპატიმრეს. მასთან ერთად, დააპატიმრეს 200 კაცზე მეტი. ნაწილი, წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით თბილისში უნდა გადაეზავნათ, დანარჩენები კი ადმინისტრაციული წესით დაეხვრიტათ.

ამ ამბავს სულზე მოუსწრო ახალციხის მაზრის მილიციის უფროსმა ღვამიჩავამ. მან დასახვრეტა საქმეები მოითხოვა და უმრავლესობა გაათავისუფლა, დანარჩენი პატიმრები ახალციხეში 3 დღე გააჩერეს, შემდეგ, ეტაპით ბორჯომში გადააგზავნეს. იქედან, თბილისისკენ მიმავალ მატარებლის მემანქანეს მშობლები შეუთანხმდნენ — ვითომ ორთქმავლის შეშის უკმარისობის გამო, მის დასამზადებლად ტყეში წასვლა იყო საჭირო. ამ მიზეზით ეტაპმა კიდევ ორი დღე დაიგვიანა. ამასობაში, მასობრივი დახვრეტები შეწყდა და ლევანს მეტეხის ციხეში ჯდომა მოუწია, საიდანაც აჯანყებაში მონაწილეობის დაუმტკიცებლობის გამო, ექვსი თვის შემდეგ, გაათავისუფლეს. ჩანს, შინსახკომს, სტუდენტი ლევან გოთუა მაინც არასაიმედოდ მიუჩნევია და 1925 წლის ზაფხულში სამეულმა, ანტისაბჭოთა განწყობისთვის, სამი წლით გადასახლება მიუსაჯა, თუმცა რამე ორგანიზაციაში ყოფნა ვერ დაუმტკიცეს. მოსკოვში ჯერ პოლიტსამმართველოს სატუსალოში მოათავსეს, საიდანაც ბუტირკის ციხეში გადაიყვანეს, ორი თვის შემდეგ კი, ქართულ ჯგუფთან ერთად სოლოვკების კუნძულზე გაგზავნეს.

ქალბატონმა ქეთომ იმ პერიოდის გაყვითლებული წერილები მაჩვენა, როგორც პატიმართა ტრაგიკული ყოფის დოკუმენტური მტკიცებულება. აი, ფრაგმენტი ძმის 1926 წლის 2 თებერვლის წერილიდან: „ყინულმჭრელმა სოლოვეცკის კუნძულებზე, ყოფილ კაცთა მონასტერში, სადაც ეხლა სასტიკი სიცხეა, ძლივს ჩამოგვიყვანა და ყინვაში დაგვტოვა. ისტორიულად ძველ-დიდებულმა ციხე-სიმაგრემ, ამჯერად ჩაფოხილმა, გაპარტახებულმა და ჩაშვებულმა ბანაკმა, მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მე-12 ასეულის

საბჭოთა რეპრესიების შესახებ მრავალი საინტერესო პუბლიკაციის მიუხედავად, უცნობი მასალები ჯერ კიდევ საკმაოდ გვხვდება. ყოველი ახალი გამოკვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც იმ პერიოდში არსებული უკანონობის ფაქტობრივი გამოვლინება, არამედ როგორც ცალკეულ პიროვნებათა ტრაგიკული ბედისა და სულიერი სისპეტაკის ზნეობრივი მაგალითი.

უახლესი ისტორიის არქივში მივაკვლიეთ იმ გამოუქვეყნებელ დოკუმენტებს, რომლებიც ცნობილ მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებას ეხება.

პირველი დოკუმენტი ასახავს კონტრრევოლუციური მოქმედებისთვის მსჯავრდებულ ლევან გოთუას დედის თხოვნას შეწყალების შესახებ. ამ ფაქტის სრულყოფილად



სარდაფებმა, სადაც მე მოვხვდი, ჩემი ბედის დაცინვა მაგრძნობინა. გაძლებაზე და არსებობაზე სასტიკად ჩამაფიქრა და დამბოღმა. ვერც კი წარმოიდგენთ აქ რა ხდება. ეს ყოველივე ამქვეყნიური არ არის, მე თვითონ ვერ გავერკვიე ამ ჯოჯოხეთში... ჩემი ცხოვრება სოლოვკებში მძიმედ აენყო ჩრდილოეთის

პატარა, უბის საქართველოში ჩვენი დევიზი გვაქვს: ურთიერთგამაგრება, დახმარება, ერთ მუჭად შეკვრა. მძიმე სიდუხჭირის გადატანა და რაც მთავარია, სიცოცხლის შენარჩუნება, აქ ბევრი მოულოდნელი წერილმანი მხვდება, რომელიც დიდ მოვლენებში გადადის და ძნელად ასატანი ხდება, მაგრამ მე ვიტან ყველაფერს”

ქალბატონ ქეთევანის თქმით, ლევანი იგონებდა, რომ სოლოვკებში ჩაყვანისთანავე ქართველი პატიმრები ბნელ, ნესტიან, მუხლებამდე ჩამყაყებული წყლით სავსე ანტისანიტარულ სარდაფში შეყარეს. რომ გამოერკვნენ, შეამჩნიეს, რომ თითქმის შიმველი ადამიანებისთვის კანზე სამხედრო ლილვები მიეკერებინათ, ზოგს კი ბარძაყებზე კანი ჯიბეებივით აკეცილი და ამოკერილი ჰქონდა. ამ პატიმრებთან დაპირისპირება, ქართველი ბიჭების არაერთ ჩხუბსა და, ბოლოს, შიმშილობაში გადაიზარდა. ისინი, ოცი დღის შემდეგ, ცოცხალმკვდრები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მართალია, ბოლოს მიზანს მიაღწიეს, მაგრამ ცოცხალი მცირე ჯგუფი გადარჩა. ლევანის გამოკეთებას ნახევარი წელი დასჭირდა.

სწორედ ამ პერიოდში ლევან გოთუას დედამ ხელისუფლებას შვილის შეწყალება სთხოვა, რომლის სრულ ტექსტსაც ვაქვეყნებთ:

„საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, თბილისის მცხოვრების, სოფო გრიგოლის ასულ გოთუას თხოვნა.

გასული წლის აგვისტოს თვეში, აბასთუმანში ყოფნის დროს, დაიჭირეს ჩემი შვილი, ლევან გოთუა, 20 წლისა, მესამე კურსის სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტის, მოაცდინეს სწავლას და გადაავაზვნეს სამი წლით კუნძულ „სოლოვკაზე“, თეთრ ზღვაზედ.

გაჩხრეკის დროს სრულიად ვერაფერი ვერ უპოვნეს და არც დანაშაულობა უნდა მიუძღვოდეს არაფერი. წერილებიდან ჩანს, რომ პირობები იქ მეტად საძნელოა და აუტანელი შეიქმნა მისთვის. ვშიშობ, ბავშვობისას რომ სჭირდა რთული ავადმყოფობა ტუბერკულოზი-პერიტონიტი, არ იჩინოს თავი. მის ამხანაგს, იოსებ ფავლენიშვილს, უკვე აშლია წერვების სისტემა. მეორე ჩემი შვილი მწოლარე მყავს ოჯახშიდ.

ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემს თხოვნას მიაცევთ სათანადო ყურადღებას და ახლო მომავალშიდ დააბრუნებთ ჩემს შვილს ლევან გოთუას. დავრჩები დაიმედებული, რომ ჩემი თხოვნა იქნება გადასინჯული და შეწყნარებული.

22 თებერვალი, 1926 წ.“

ეს თხოვნა, რა თქმა უნდა, ფილიპე მახარაძემ არ შეისმინა. ამიტომ მამამ, პართენ გოთუამ მოსკოვში მოღვაწე აბელ ენუქიძეს მისწერა, რომელმაც სასჯელი თავისუფალი გადასახლებით შეაცვლევინა. 1927 წლიდან ლევანი ვლადიკავკაზსა და ყიზლარის

ქართულ სკოლებში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

ცხოვრების პირობები კი, კვლავ მძიმე რჩებოდა. იგი ჩეკაში აღრიცხვაზე გამოცხადების გარდა, ყოველმხრივ შევიწროვებას განიცდიდა. ჯერ დასამთავრებელ ვადას სამი წელი დაუმატეს. ეს ვადა კიდევ სამი წლით გაუგრძელეს. ვადების უსასრულოდ გაგრძელებას რაიმე საფუძველი არ გააჩნდა. პოლიტიკური მოსაზრებებით თბილისიდან მომდინარეობდა.

ამიტომ, ლევანმა და მისმა მეგობრებმა: იესე ფალავანდიშვილმა, პეტრე კურცხალიამ, ბესა ვაშაკიძემ 1931 წელს თურქეთში გაქცევა განიზრახეს. სამწუხაროდ, ისინი აქაც მეგზურის ღალატმა განირა – როდესაც მდინარის უკანასკნელ მუხლში შეტოპეს და თავი სამშვიდობოზე გასული ეგონათ, მესაზღვრეებმა ტყვიის წვიმა დაუშინეს, ძაღლებმა კი წყალში მდგარი ბიჭები კინალამ დაგლიჯეს. შემდგომ გაირკვა, რომ ყოველივე წინასწარ დაგეგმილი ყოფილა და ლევანი „სამეულმა“ ციმბირის, ნარიმის ოლქში ხუთი წლით გადაასახლა.

1936 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ლევან გოთუას თბილისში ცხოვრება აუკრძალეს და იგი ნალკასა და ბოლნისში მასწავლებლად მუშობდა. 1938 წლიდან კი, თბილისში მუდმივ მაცხოვრებლად ჩანერეს. ამ პერიოდიდან იწყება მისი მწერლური ბიოგრაფია. მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა მისი პატრიოტული პიესები — „უძლეველი“ და „დავით აღმაშენებელი“, მაგრამ, ყველას გასაკვირად, 1946 წელს, იგი 10 წლით ვარკუტაში გადაასახლეს, თუმცა რეაბილიტაციით ადრე გაათავისუფლეს.

თითქმის იგივე ბედი გაიზიარა კონსტანტინე გამსახურდიამაც. იგი საბჭოთა წყობისთვის არასაიმედო პირი იყო, რადგან გერმანიაში სწავლობდა და იქ დამოუკიდებელი საქართველოს ატამედაც წარგზავნეს, თურქეთის წინააღმდეგ ბათუმის მისადგომებთანაც იბრძოდა და ეროვნულ სულისკვეთებას დაუფარავად ავლენდა.

კონსტანტინე გამსახურდია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ღამესვე დაპატიმრეს, სიკვდილს მასობრივი დახვრეტების შეწყვეტამ გადაარჩინა. იგი ექვსი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. 1926 წელს მწერალთა პირველ ყრილობაზე გამოსვლის გამო კვლავ არასაიმედოდ მიიჩნიეს და ჯერ ჩეკას ციხეში ჩასვეს, რამდენიმე თვის შემდეგ კი, გერმანიის გენერალურ შტაბთან კავშირის ბრალდებით, სამი წლით „სოლოვკებზე“ გაუშვეს.

ამ ფაქტის გამო, მწერლის დედა, მამია

ორახელაშვილს წერდა:

„დიდად პატივცემულო მამია
 ნატალია სვიმონის ასულ გამსახურდიას
 თხოვნა

მომიტევეთ, რომ სახელმწიფო საქმეებით უზომოდ დატვირთულ ადამიანს ამ ჩემი თხოვნით განუხებთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს და იმედია მოუსმენთ შვილის უბედურებით დატანჯულ დედას. პირადად მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ იმდენად დაუძღურებული ვარ, რომ ამის შესაძლებლობაც არა მაქვს.

შეიძლება მოგეხსენებათ, რომ ჩემი შვილი კონსტანტინე გამსახურდია უკვე ერთ წელზე მეტია დაპატიმრებულია. ამჟამად ის იმყოფება სოლოვკაში – ავადმყოფი, დასუსტებული. ის ავად იყო აქ ყოფნის დროსაც, ხოლო სოლოვკის მხარის ჰაერი ხომ მისთვის პირდაპირი დაღუპვაა, სიკვდილით დასჯას უდრის. და აი, მოგმართავთ თქვენ, როგორც ისეთ ადამიანს, რომელსაც შეუძლია მისი მდგომარეობის შემსუბუქება. სიკვდილის ხელიდან გამოტაცება, უბედური დედისათვის დაბრუნება. გარწმუნებთ, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სრული გაუგებრობაა, თუ მას მართლაც დაუშავებია რამე, თავისი ახალგაზრდობით, მან თავისი დანაშაული უკვე გამოისყიდა თავისი ტანჯვითა და სასჯელით. ის, მოგეხსენებათ მწერალია, კულტურული ძალაა, რომელიც ყოველთვის შესძლებს თავისი მუშაობით სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას და თუ ცოდვა რამ მიუძღვის ხალხისა და მთავრობის წინაშე, ამას მუშაობით გამოისყიდის.

მამ, დაუბრუნეთ დედას მისი საყვარელი ძე, ქვეყანას – კულტურული მოღვაწე. შეუნდეთ, თუ რამე დააშავა, მიეცით საშუალება ემსახუროს ხალხს. თუ შეუძლებლად ჩათვლით მის საქართველოში დაბრუნებას, მიანიჭეთ უფლება სამხრეთ რუსეთში ან უკრაინაში ცხოვრებისა, რაც ყოველ შემთხვევაში, მისი სიცოცხლისათვის არ წარმოადგენს საფრთხეს. ნუ გამიცრუებთ უკანასკნელს იმედს, პატივცემულო მამია, შეიბრალეთ საბრალო მოხუცი დედა.

გვედრებით, ნუ დააყოვნებთ ჩემის თხოვნის შესრულებას, თითოეულ დღეს შეუძლიან აღმაც დაატრიალოს, წაღმაც მიმართოს მისი შესუსტებული ჯანმრთელობის საქმე.

1927 წ. 31 მარტი, ქ. ტფილისი.“

მამია ორახელაშვილმა ეს თხოვნა რეზოლუციით ფილიპე მახარაძეს გადაუგზავნა, მაგრამ ამაოდ. კონსტანტინე გამსახურდია



1.ადეიშვილი ამბერკი 2.თოდუა გიორგი 3.კეჭაჭმაძე ვასო 4.თელია სოლომონი 5.გოთუა ლევანი 6.ქვირია კალისტრატე 7.დავითაშვილი ვასო 8.ჟვანია იოსები 9.ხუბულაძე კანდო 10.აბესაძე შოთა 11.დგებუაძე მეტია 12.კეკელიძე სერაფიონი 13.ბარათაშვილი ვახტანგი 14.შონია მიშა 15.კარანკოზაშვილი ბიქტორი 16.ხელაძე ვანო 17.ვაშაკიძე ბესო 18.მეჭვინია სიმონი 19.დავითაშვილი ვანო 20.ართშიძე სევერიანე 21.ჯაყელი დომენტი 22.დამბაშიძე პარმენი 23.კახაბერი სანდრო 24.ყენია სილვა 25.წულაძე ავტონი 26.კურცხალია პეტრე.

„სოლოვკაზე“ ლევან გოთუას არ შეხვედრია, რადგან იგი უკვე წამოსული იყო.

30-აინი წლების მეორე ნახევრიდან ინტელიგენციაზე, მათ შორის მწერლებზეც, იდეურ-მორალური ზენოლა უფრო გაძლიერდა, რომლის განხორციელების მთავარი ძალა ახლადმექმნილი მწერალთა კავშირი იყო.

ამჯერად, ყურადღებას პაოლო იაშვილზე შევანერებთ. ჯერ კიდევ 20-იან წლებში, საბჭოთა ტერორის მიუღებლობასთან დაკავშირებით, იგი 1925 წელს გამართულ ერთ-ერთ დისკუსიაზე პროლეტარულ მწერლობას დიდი ლიტერატურის თანამგზავრად აღიქვამდა, მაგრამ ამავე დროს ორივეს იდეურ მიმართულებას მკვეთრად ანსხვავებდა: „რაც შეეხება ტერმინს, რომელიც მწერლის პოლიტიკურ-მოქალაქეობრივ მხარეს გულისხმობს - აქ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ „ცისფერი ყანების“ წარმომადგენლები, არ ვეკუთვნით იმ კატეგორიის მოქალაქეებს, რომლებიც ტერორისტულ აქტებს აწყობენ“ ეს სიტყვები შეუმჩნეველი არ დარჩენილა, მით უმეტეს, რომ პოლიტსამმართველოს მისი პიროვნება აინტერესებდა,

რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამიტომაც, როგორც არასაიმედო პიროვნებაზე, პოლიტსამმართველოში საქმე-ფორმულიარი გახსნეს. მართალია, მისი ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში მოღვაწეობა არ დასტურდებოდა, მაგრამ აგენტთა თუ სხვა პირთა მიწოდებული ინფორმაციები, პოეტის გარშემო არასასურველ გარემოს ქმნიდა. აგენტ „კრიტიკოსის“ ცნობით, საქართველოს ცკ-ის მდივან ბაქრაძეს მოახსენეს, რომ პაოლო იაშვილის „სტალინი და სამშობლო“ ბელადის წინააღმდეგ აღეგორიულ ლექსს წარმოადგენდა. ამიტომაც, პოლიტსამმართველოს მე-4 განყოფილების ოპერწმუნებულმა აგრამ, პოეტზე საქმე გახსნა.

პაოლო იაშვილზე შეტევები მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ლ. ბერიამ 1937 წლის 15 მაისს კომპარტიის X ყრილობაზე მწერლები და ხელოვნების მუშაკები გააკრიტიკა. ამას მოჰყვა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომები, სადაც პაოლო იაშვილს თავის მართლება დასჭირდა: „ყოველ წუთში მზად

ვარ სტალინს და მის საქმეს შევსწირო თავი. ამხ. ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს სურვილი, შესაძლებლობა ამ გარდაქმნისა, მაქვს სურვილი თავდადებული მუშაობისა.”

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სულიერ დეპრესიაში იყო ჩავარდნილი იგი, როცა მის გარშემო ზნეობრივი გარემო სულ უფრო ინამლებოდა და ყოველ ნათქვამ სიტყვას პოლიტსამმართველოში სხვაგვარი ინტერპრეტაცია ეძლეოდა. ამ ნიადაგზე განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ბერია-სთან. არსებობს ზეპირი ცნობაც, რომ პაოლო იაშვილი, ბერია და ვლ. ჯიქია საიდუმლოდ შეკრებილან, სადაც პარტიულ ლიდერს მათი ბედი გადაუწყვეტია. სწორედ ამ კულმინაციური ზღვარის შემდეგ, მწერალთა კავშირის პრეზიდენტი სხდომის დროს, 22 ივლისის საღამოს 9 საათზე, პაოლო იაშვილმა სანადირო თოფით თავი მოიკლა.

უახლესი ისტორიის არქივში დაცული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის მოადგილის, იუსტიციის გენერალ-მაიორ ვ. ახაბიანის 1957 წლის 25 თებერვლის ცნობით, პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი მითითებულია რაფაგა-რუხაძის საბრალდებო დასკვნაში. გამომწვევ მიზეზებად კი, დასახელებულია, ბერიას დავალებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების მიერ ინტრიგებისა და პროვოკაციების მოწყობა. კერძოდ, ბ. ქობულავი, კრიმიანი, სავიციკი, ხაზანი და ფაჩულია ფიზიკური ზეწოლით და გამოძიების უკანონო მეთოდებით, პატიმრებს აიძულებდნენ ელიარებიანთ, თითქოს პაოლო იაშვილი ყოფილიყო ინტელიგენციაში არსებული კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ისინი ტროცკისტებთან და მემარჯვენე ძალებთან ერთად, ბერიას წინააღმდეგ ამზადებდნენ ტერორისტულ აქტს.

ამ ფალსიფიცირებული ჩვენებების საფუძველზე, პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შემდეგ, იგი ხალხის მტრად გამოაცხადეს და მისი ნაწარმოებების გამოცემაც აკრძალეს. ვინაიდან პაოლო იაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის პასუხისმგებლობა არ მიცემულა, მისი რეაბილიტაციის საკითხი პროკურატურას არ აღუძრავს. პოეტის ფაქტობრივი რეაბილიტაცია 1954 წელს გამართულ მწერალთა კავშირის ყრილობაზე მოხდა. მომდევნო წლებში კი, პოეტის ნაწარმოებების კრებული დაისტამბა.

ასევე ტრაგიკული აღმოჩნდა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორის და სამხატვრო ხელმძღვანელის, ევგენი მიქელაძის ბედიც. მას შინსახკომის „სამეულის“ 1937 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით დახვრეტა მიესაჯა. მისი დაპატიმრების საფუძველი გახდა ქობულავის ცნობა, თითქოს იგი ყოფილიყო კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ორგანიზაციის აქტიური წევრი. ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, მან 1937 წლის 2 დეკემბრის დაკითხვაზე თავი დამნაშავედ ცნო. თითქოს 1937 წლის მაისში, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაითრია განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ხელოვნების სამმართველოს უფროსმა გორდელაძემ და მისი დავალებით მავნებლურ მუშაობას ეწეოდა, თან ორგანიზაციაში ახალ წევრებს ითრევდა. ე. მიქელაძემ ასევე „აღიარა“, რომ არალეგალური ორგანიზაციის დავალებით, ვინაიდან მოსკოვში ხშირად უწევდა ჩასვლა, მჭიდრო კავშირი ჰქონდა სიმამრ მამია ორახელაშვილთან.

ეს „აღიარებები“ გამოძიებით არ დადასტურდა და სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1954 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, მამია ორახელაშვილის ბრალდების საქმე, თითქოს მას სიძესთან დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა, შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო. თავად ევგენი მიქელაძის რეაბილიტაცია 1955 წლის 18 აპრილს მოხდა. მისი ოჯახი კი 1951 წლიდან რეაბილიტაციამდე ყაზახეთში იყო გადასახლებული.

ტრაგიკომიკურად გამოიყურება ლიტერატურის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკის, მიხეილ თუმანოვის მიმართ შინსახკომის „განსაკუთრებული სათათბიროს“ მიერ 1942 წლის 6 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებაც. იგი სოციალურად საშიშ ელემენტად ცნეს და 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ჯაშუშურ-დაზვერვითი საქმიანობისთვის. ამის საბაზად კი გამოიყენეს ის ფაქტი, რომ თუმანოვი 1921-25 წლებში თბილისში იტალიის საკონსულოში ატაშედ მუშაობდა. მართალია, თუმანოვი ანტისაბჭოთა მოღვაწეობას კატეგორიულად უარყოფდა და საქმეშიც მისი ჯაშუშობის დამამტკიცებელი არც ერთი მოწმის ჩვენება არ ფიგურირებდა, მაგრამ 1928 წელს იტალიის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის, 10 წელი მიუსაჯეს, შემდგომში ეს ვადა გაუნახევრეს. მოგვიანებით დანაშაულის არარსებობის გამო ეს საქმე შეწყდა.

მსგავსი „საქმეები“ მრავლად შეითითხნა, რეპრესიები 40-50-იან წლებშიც გრძელდე-

ბოდა. 1948 წლის 12 ნოემბერს ბულატ ოკუ-
ჯავას წინააღმდეგ, საქართველოს პროკუ-
რატურის სპეცგანყოფილებამ საქმე № 68
აღძრა.

უშიშროების ლეიტენანტი შარაშიძე, და-
პატიმრების დადგენილებაში აღნიშნავდა,
რომ თსუ-ს ფილოლოგიური ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტი ბულატ ოკუჯავა, ახ-
ალგაზრდული ანტისაბჭოთა არალეგალური
ორგანიზაციის წევრი იყო და 1945 წლამდე
არაოფიციალურ ლიტერატურულ წრეში ირ-
იცხებოდა. შემდგომში კი, ანტისაბჭოურად
განწყობილმა, სოციალიზმის მოწინააღმ-
დეგე ახალგაზრდამ ახალი არალეგალური
ანტისაბჭოთა წრე „ჩალის ქუდი“ ჩამოაყ-
ალიბა. სახლში გამართულ თანამოაზრეთა
შეკრებებზე ლიტერატურის ფორმალისტურ
მიმართულებას ქადაგებდა და მკვეთრად
აკრიტიკებდა პარტიისა თუ მთავრობის
ღონისძიებებს.

გამოძიება მას მოწმეების: ვ. ბეჟანოვას,
ლ. სააკიანის, რ. მარტიროსოვას, რ. სიმსნაუ-
ლიანის, ა. სილინას ჩვენებებით ამხელდა.

ამ ლიტერატურული ჯგუფის წევრები
იყვნენ აგრეთვე: მოსკოვის საბიბლიოთეკო
ინსტიტუტის პირველკურსელი რომან ჩერნი-
ავსკი, თსუ-ს ფილოლოგიური ფაკულტეტის
მე-4 კურსელი როლანდ ჩოჩიევი, სამხატვრო
აკადემიის მე-4 კურსელი ვიქტორ კალაშნიკ-
ოვი და ლენინგრადის თეატრმცოდნეობის
ინსტიტუტის სტუდენტი რაშიდ კეტუხოვი.

უშიშროების მაიორ ოკუჯავას 1949 წლის
29 იანვრის დადგენილებით დასახელებულ
ხუთივე პირზე სანქცირებული დაპატიმრე-
ბის დადგენილებები გაუქმდა, საქმეში საკმა-
რისი მტკიცებულებების არარსებობის გამო.

წარმოდგენილი მასალა, არა მარტო ჩვენი
ტრაგიკული წარსულია, არამედ ზნეობრივი
გაკვეთილიცაა, ვინაიდან, ბოროტება, ადრე
თუ გვიან, აუცილებლად გამოაშკარავდება.
ცრუმონმეებსა და დამსმენებს საკუთარი

თავის მხილებაზე არც უფიქრიათ, მაგრამ
ისინი ისტორიამ შემოგვინახა. ამიტომაც,
ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ კატეგო-
რიული შეფასებებისას, ვინაიდან, არავინ
იცის როგორ შემოუტრიალდება იგი თავად
მთქმელს. ეს თემა ბოლო პერიოდში, ჩვენი
საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად აქ-
ტუალური გახდა — აგენტების ძიებით დაწ-
ყებული და ქართველ მწერალთა ნიგნების სა-
ჯარო დანვითა, თუ მწერალთა კავშირის შე-
ნობის გასხვისების მცდელობით დამთავრე-
ბული. ჩვენ მოწმენი გავხდით ადამიანთა
არა მარტო იდეური დევნის, არამედ საქართ-
ველოს მოსახლეობის ეროვნული ნიველირე-
ბის დაწყებისა. საზოგადოება ეჭვის თვალთ
უყურებს განუხორციელებელ ტერაქტების
მონაწილეთა გამოაშკარავებას. სწორედ მს-
გავსი საბაბით, 30-იან წლებში, პარტიულ
ხელმძღვანელებზე თავდასხმების „სურ-
ვილისთვის“ უამრავი უდანაშაულო ადამიანი
დაიღუპა და საზოგადოებასაც ინტუიტიური
პარალელები უჩნდება. მით უმეტეს, როდე-
საც ხელისუფლების დაპირებების მიუხედა-
ვად, პოლიტიკური შეფასებები არ ეძლევა
მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს.

მომავალში, აუცილებლად დადგინდება
გათამაშებული ტერაქტების „მოუხელთე-
ბელი“ ორგანიზატორები, კორუფციის სო-
ციალური არსი და მისი გამომწვევი მიზეზე-
ბი. ინტელიგენციაზე მორალური ზენოლის
განხორციელებისა და მათთვის „ჩარეცხილე-
ბად“ წოდების საფუძველი. მოგვიანებით კი,
ამავე ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის
საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების
მიერ ფარად გამოყენება და პოლიტიკური
კრახის დაფარვა. ყოველივე კი, საზოგადოე-
ბის ფსიქოლოგიურ-ემოციურ მხარეზე მნიშ-
ვნელოვნად მოქმედებს და ამიტომაც არ არის
სასურველი, სიმართლე ნახევარი საუკუნის
შემდეგ გაცხადდეს.





გულბაი
ჯორაძე

ჩვენი შეახებადი ლიანა ისაკაძე

დიდი მადლობა ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციას, რომელმაც შემომთავაზა წერილი დამეწერა ჩვენი საამაყო ლიანა ისაკაძის შესახებ. მით უმეტეს, რომ ამასწინანდელი კონცერტით კიდევ ერთხელ დაგვატკბო და აღტაცებაში მოგვიყვანა თავისი შეუდარებელი, ბრწყინვალე ხელოვნებით.

ლიანა ისაკაძე. მუსიკის მოყვარულთათვის ეს სახელი ჭეშმარიტად მაგიური ძალის შემცველია და უმალ ბადებს წარმოდგენას მაღალი და შთაგონებული ხელოვნების შესახებ. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ამ მუსიკოსისათვის, სამუდამოდ დარჩენილა მისი ღვთითმომადლებული ნიჭის თავყანისმცემლად.

შეიძლება ითქვას, რომ შთაგონებული მუსიკოსისა და ბრწყინვალე ვირტუოზის

შარავანდები ლიანას მისი პირველი გამოსვლებიდანვე მოსავდა. ჩვენ, მისი ნიჭის გაფურჩქვნისა და აყვავების მოწმეებს, ცოცხლად გვახსოვს მუსიკოსის შემოქმედებითი განვითარების ყველა საფეხური.


აი, 10 წლის შავთვალემა გოგონა დიდი თეთრი ბანტით, თავისი ასაკისათვის უჩვეულო საოცარი სერიოზულობითა და ჭეშმარიტი შთაგონებულობით უკრავს მენდელსონის კონცერტს და ნაწილებს შორის პაუზების დროს საკრავის ასანყობად დახმარებისათვის მიმართავს თავის მასწავლებელსა და აღმზრდელს, შესანიშნავ მუსიკოსს, პროფესორ ლეო შიუკაშვილს. ერთი წლის შემდეგ ლიანა ქართული ხელოვნების დეკადის (მოსკოვი, 1958 წ.) ყველაზე ნორჩი მონაწილეა და იპყრობს მომთხოვნ მოსკოველ მსმენელს, ხოლო მის შემდეგ, სულ მალე — თავისი პირველი საზღვარგარეთული გასტროლის დროს, პოლონელი მუსიკის მოყვარულთა გულებს. 1960 წელს ბაქოში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსზე ლიანას კონკურსგარეშე მოუხდა მონაწილეობა, რადგანაც მეტისმეტად ნორჩი აღმოჩნდა ოფიციალური შეჯიბრებისათვის. მაგრამ იგი ერთხმად აღიარეს კონკურსის მთავარ გამირად. მომდევნო წელს, გაზაფხულზე ამას მოჰყვა ბრწყინვალე წარმატება მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსზე. 14 წლის გოგონამ II პრემია დაიმსახურა.

ეს გახლდათ ლ. ისაკაძის საბრძოლო

წრთობა დიდ სარბიელზე და უკვე იმ დროისათვის სავსებით ნათელი იყო, რომ მისი სახით იზრდებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის ვარსკვლავი.

კარგად მახსოვს ერთ-ერთი საანგარიშო კონცერტი 1961 წლის დეკემბერში, რომელზეც 15 წლის მუსიკოსი არაჩვეულებრივად რთული და მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა მსმენელთა წინაშე. სტილის შესანიშნავი გრძნობით, ბახის მარადიულ მუსიკაში ღრმა წვდომით დაუკრა მე-6 სონატა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლაზუნოვის სავიოლინო კონცერტის შესრულებამ. ახლაც მახსოვს მსუყე, „ალტისებრი“ ბგერით დაკრული პირველი ნაწილის კადენცია, მეორე ნაწილის საზეიმო ბრწყინვალეობა და დინამიკა. ჭეშმარიტი ვირტუოზულობით შეასრულა მან პაგანინის ორი განთქმული კაპრისი — 9 („ნადირობა“), 24 (ლა მინორი) და სრულიად შეუდარებლად — სენ-სანსის „ეტიუდი ვალსის ფორმით“, დე ფალიას „ესპანური ცეკვა“. აქ მისი შესრულება გამოირჩეოდა არა მარტო ელემენტურობითა და გრაციით, არამედ სტილის საკვირველი შეგრძნებით, მჩქეფარე ტემპერამენტით.

ეს კონცერტი ლიანას ერთ-ერთი ბოლო გამოსვლა იყო თბილისელი მსმენელების წინაშე მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად გამგზავრების წინ. 1963 წელს იგი შედის მოსკოვის კონსერვატორიაში და სწავლობს საბჭოთა სავიოლინო სკოლის ლიდერის, სახელოვანი მუსიკოსის, პროფესორ დ.



ოისტრახის კლასში. ამასთანავე გადის ასპირანტურის კურსს. ეს იყო ლ. ისაკაძის მხატვრული ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო აღიარების წლები. ამას სათავე დაუდო 1965 წლის ბრწყინვალე გამარჯვებამ (I პრემია) მ. ლონგისა და ჟ. თიბოს სახელობის კონკურსზე პარიზში; შემდეგ — გასტროლები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, მექსიკაში, იაპონიაში; 1970 წელს ლიანა მტკივანი ხელით „მხოლოდ“ მე-3 პრემიას დასჯერდა ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე მოსკოვში, მაგრამ იმავე წელს კვლავ პირველი იყო სიბელიუსის სახელობის კონკურსზე ჰელსინკიში.

ლიანას ყოველი გამოსვლა თბილისში საკონცერტო სეზონის მშვენიერად იქცეოდა ხოლმე. რომელი ერთი მოვიგონოთ. მსოფლიოს კლასიკური მუსიკის შედეგებთან ერთად მის რეპერტუარში შევიდა ა. მაჭავარიანის ცნობილი კონცერტი, რომელსაც იგი არაჩვეულებრივი არტისტიზმით უკრავდა და ახლაც უკრავს, ხოლო შემდეგ იგი კიდევ ერთი მშვენიერი ნაწარმოების, ო. თაქთაქიშვილის სავიოლინო კონცერტის პირველ შემსრულებლად მოგვევლინა. მაღალნიჭიერმა მუსიკოსმა კვლავ გაგვაოცა თავისი საშემსრულებლო ოსტატობის მრავალმხრივობითა და მასშტაბურობით — შონბერგის სავიოლინო კონცერტის შესრულებით (სსრ კავშირში პირველად შესრულდა). ეს, მართლაც რომ, ჯოჯოხეთური სიძნელის (როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით) ნაწარმოები ლ. ისაკაძემ განსაკუთრებული ოსტატობით შეასრულა.

რამდენიმე წლის შემდეგ (1981) კი მოწმენი გავხდით ფრიად იშვიათი მოვლენისა: მევიოლინე ლ. ისაკაძე წარმოგვიდგა, როგორც დირიჟორი, რომელიც სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო კამერულ ორკესტრს. თბილისში, სსრ კავშირის ქალაქებში, საზღვარგარეთ გაიმართა მრავალი კონცერტი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ წლებში ჩვენი მუსიკალური ცხოვრების არც ერთ მოვლენას არ გამოუწვევია ისეთი გაძლიერებული ინტერესი და მხურვალე გამოხმაურება, როგორც კამერული ორკესტრის კონცერტებს ლ. ისაკაძის ხელმძღვანელობით.

უმადლესი ესთეტიკური „სინჯით“ იყო აღბეჭდილი პირველივე კონცერტი, რომელმაც პირდაპირ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

გასაოცარი იყო ლიანას მიერ შემოქმედებითი ამპლუას შეცვლის ბუნებრიობა და უშუალობა. კვლავ მოვიხიბლეთ იმ უკიდევანო მუსიკალობით, რომელიც მუდამ გამოარ-

State Merited CHAMBER ORCHESTRA OF GEORGIA



Художественный руководитель
и дирижер ЛИАНА ИСАКАДЗЕ
Art Director and Conductor LIANA ISAKADZE

ჩვედა და ახლაც გამოარჩევს მის სავიოლინო ხელოვნებას.

შეუძლებელი იყო არ შეგვემჩნია, როგორი თვისებრივი ცვლილება მოხდა თვით ორკესტრის დაკვრაში, რომელიც უთუოდ კარგი, კულტურული ანსამბლიდან უეცრად, თითქოს და ჯადოსნური კვერთხის აქნევით საერთაშორისო დონის პირველხარისხოვან მხატვრულ კოლექტივად იქცა (ეს დაადასტურა ორკესტრის საზღვარგარეთულმა გასტროლებმაც).

უცხოეთის პრესა ლიანას უწოდებდა — „პაგანინი კაბაში“, აღტაცებული იყო მისი სადირიჟორო ხელოვნებითაც. როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი წერდა: „ლ. ისაკაძემ ნათლად დაგვანახა, თუ როგორი შესანიშნავი დირიჟორი შეიძლება იყოს ქალი, რა დიდი შემოქმედებითი რეზერვი აქვს მას ამ ასპარეზზე“.

კამერული ორკესტრის ესოდენ უჩვეულო წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იმაშიც მდგომარეობდა, რომ კონცერტების პროგრამაში მუდამ შეხვდებოდით მსმენელებისათვის ნაკლებად ცნობილ ან სავსებით უცნობ შესანიშნავ ნაწარმოებებს, რაც აძლიერებდა კონცერტების მხატვრულ-შემეცნებით მნიშვნელობას. მაგალითისათვის გავიხსენებ თუნდაც შუმანის გენიალურ „აღმოსავლურ სურათებს“, რომლებიც ნამდვილ აღმოჩენად იქცა ბევრი ჩვენთაგანისათვის.

ამ და წინა კონცერტებზე მუდამ სუფევდა ჭეშმარიტად სადღესასწაულო გან-

წყობილება, მსმენელები განიცდიდნენ მალალ ხელოვნებასთან ზიარების შეუდარებელ გრძნობას, ლიანა გვევლინებოდა ხან დირიჟორისა და ხან მევიოლინის როლში და კვლავ გვხიბლავდა თავისი ელვარე ნიჭის გამოსხივებით.

ლ. ისაკაძე — დირიჟორის ხელოვნება იმავე თვისებებით იყო მომადლებული, რითაც ლ. ისაკაძე — მევიოლინისა: იგივე ზემუსიკალობა, უმაღლესი რანგის არტიზტიზმი, განსაკუთრებული, ისაკაძისეული კეთილშობილი ემოციურობა.

80-იან წლებში ლიანა ატარებდა საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალებს. 1988 წელს კი ვენაში გაიმართა ლ. ისაკაძის სახელობის მუსიკალური ფესტივალები, რომლებშიც თვითონ და მისი ორკესტრიც მონაწილეობდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანიაში, ქ. ინგოლშტადტში ლიანამ 1991 წელს დააარსა მუსიკალური აკადემია და ქართული კულტურის ცენტრი, რომელმაც მრავალი საქველმოქმედო პროექტი განახორციელა. ორკესტრმა მისი ხელმძღვანელობით საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ისაკაძემ მოგვიანებით დატოვა იგი.

ეს ორკესტრი დღემდე მუშაობს გერმანიაში, მაგრამ ახლახან ერთ-ერთი ტელესიუჟეტის ნახვისას შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ზოგიერთ მის წევრს დაავიწყდა, თუ ვის უნდა უმაღლოდეს თავის ამჟამინდელ კეთილდღეობას.



ეს სხვათა შორის, რადგან ორკესტრიდან წასვლის შემდეგაც ლიანა განაგრძობდა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. 2002-2005 წლებში საერთაშორისო ფესტივალებს მართავდა ბორჯომში (ამჟამად „ექსპროპრი-რებულ“ კომპოზიტორთა სახლში!). უკვე 1999 წელს მან ჩამოაყალიბა საქართველოს სიმებიანი ორკესტრის ახალი კოლექტივი და მალე (2000) თავის ორკესტრთან ერთად მოაწყო ძალზე ორიგინალური საკონცერტო მომლოცველობა – „პილიგრიმოზა ევროპი-დან იერუსალიმში“, რომელშიც აღბეჭდილია წმინდა აღდგომის დღესასწაულის სურათები სხვადასხვა ქვეყანაში (გადაღებულია ტელევიზიით, რეჟისორი – სანდრო ვახტანგოვი).

ამ ღირსშესანიშნავ ფილმში შერწყმულია მუსიკალური, რელიგიურ-საგან-მანათლებლო და სანახაობრივი მომენტები. მუსიკის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ დატკბნენ ბახის, ჰენდელის, ჰაიდნის, ვივალდის ღვთიური ჰანგებით ლიანა ისაკაძისა და მის მიერ მოწვეული ცნობილი უცხოელი მუსიკოსების შესრულებით, რომელთაც თანხლებას უწევს სახელმწიფო კამერული ორკესტრი (დირიჟორი – გიორგი ჟორდანიანი).

ცხადია, რომ ფილმის მისიონერულ ფუნქციასთან ერთად გასათვალისწინებელია მისი მორალურ-ეთიკური „უკუგების“ მომენტიც. კერძოდ, ამაღელვებელია კადრები, სადაც აღბეჭდილია შეხვედრები საქართველოდან თავის ოდინდელ სამშობლოში დაბრუნებულ ბერძნებთან და ქართველ ემიგრანტებთან, რომლებიც თვალცრემლიანები უსმენენ რევაზ ლალიძის „თბილისოს“. იგივე ითქმის ლ. ისაკაძისა და ო. დიმიტრიადის შეხვედრის ამსახველი კადრების შესახებ.

და ბოლოს, ყველაფერთან ერთად, ფილმი ხომ თაობებს შემოუნახავს ლიანა ისაკაძის უბადლო ხელოვნების რჩეულ ფურცლებს...

უკვე კარგა ხანია ლიანა ისაკაძე უცხოეთში ცხოვრობს (მიუნხენში, ამჟამად კი პარიზში), სადაც ეწევა საშემსრულებლო მოღვაწეობას, მართავს ე.წ. „მასტერ-კლასებს“, ყოველწლიურად ჩამოდის სამშობლოში სხვადასხვა მუსიკალური პროექტის განსახორციელებლად. ასე მაგალითად, 2006 წელს მან თბილისში ჩაატარა მასშტაბური კონცერტი, ხოლო შარშან ლიანას თაოსნობით გაიმართა მისი მასწავლებლის პროფ. ლეო შიუკაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ამჟამად, ბათუმის მერიის წინადადებით, ისაკაძეს განზრახული აქვს ბათუმში დააარსოს კამერული მუსიკის ფესტივალები „ღამის სერენადები“ (იმის მსგავსი, რომელსაც ოდესღაც ბიჭვინთაში ატარებდა).

აღბათ, სწორი არ იქნება, რომ არ გავიხსენოთ ლ. ისაკაძის საპატიო „რეგალიები“. იგი გახლავთ საქართველოსა და სსრკ სახალხო არტისტი, შ. რუსთაველისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიებისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. მასზე გადაღებულია იაპონური დოკუმენტური ფილმი „ლიანა ისაკაძე“. იგი მონაწილეობს ფინურ ფილმში „სიბელიუსი“...

ახლა კი რამდენიმე სიტყვით მის ამასწინანდელ კონცერტზე, რომელიც საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დარბაზში გაიმართა. ლიანამ ორკესტრის თანხლებით (დირიჟორი ნიკა მემანიშვილი) შეასრულა ჩაიკოვსკის განთქმული სავიოლინო კონცერტი. უკრავდა გატაცებით, შთაგონებით, ბრწყინვალედ (არ მყოფნის ეპითეტები) — როგორც მუდამ. მსმენელთა აღტაცებას არ ჰქონდა საზღვარი (გაამეორებინეს კონცერტის მე-2 ნაწილი).

ასე იყო და, დარწმუნებული ვარ, იქნება მომავალშიც! ვაშა ქართულ ნიჭიერებას, ვაშა ჩვენ ძვირფას, შეუდარებელ ლიანა ისაკაძეს!



გოგო
ფილიძე

„მივიწყებაც
წინაპართა არჩილთა“

ნიკოლოზ კასიძე

(7. X. 1894 — 24. V. 1942)

„მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა მხოლოდ, მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერი“.

კონსტანტინე გამსახურდია

მკითხველი უსათუოდ შეამჩნევდა, რომ რაღაც განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი უნდა იყოს სათაურშივე ასე, თითქოს პედანტურად, მითითებული დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები და სწორიც იქნება — წლების განმავლობაში, რომ იტყვიან, მართლაც ნამცეც-ნამცეც ვაგროვებდი ყოველგ-

ვარ ფაქტობრივ მასალას, რომელიც ქართული თეატრისა და კინოს ერთ მოკრძალებულ მუშაკს, შესანიშნავ მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეს — ნიკოლოზ კასიძეს ეხებოდა და მხოლოდ ახლა მივეცი თავს უფლება ყოველივე ამის გამოქვეყნებისა. ძიება კი, ცხადია, გრძელდება და ვინ იცის, ვის მემუარებში, რომელ არქივსა თუ ძველი პერიოდიკის ფურცლებზე შეიძლება ახალ-ახალი ინფორმაციის მოპოვება...

* * *

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კინოსტუდიამ „ქართული ფილმი“, რომელსაც მაშინ ბატონი რეზო ჩხეიძე ხელმძღვანელობდა, ისე ენერგიულად მოჰკიდა ხელი ძველი ქართული ფილმების აღდგენის უკეთილშობილეს საქმეს, რომ ახლა ნამდვილად მიკვირს, როგორ შეიძლებოდა წელიწადში სამი-ოთხი მუნჯი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ახალი, ხმოვანი ვარიანტის წარდგენა მაყურებლისათვის, მაგრამ იმდენად დავეხარბეთ რუსეთის არქივებში შემონახულ საუნჯეს ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფიას, რომ რა დამლლიდა... რაღაც ხუთ-ექვს წელიწადში აღვადგინე თვრამეტი ფილმი: ალექსანდრე ნუნუნავას „ხანუმა“ (1926 წ.) და „ორი მონადირე“ (1927), კოტე მარჯანიშვილის „ამოკი“ (1927), „კრაზანა“ (1928) და „კომუნარის ჩიზუხი“ (1929), მიხეილ ჭიაურელის „საბა“ (1929), ლეო ესაკიას „ჰოლტზე“ (1928), მიხეილ გელოვანის „ნამდვილი კავკასიელი“ (1931), ის ორად ორი ფილმიც (რუსული წარმოებისა), რომლებშიც მთავარ როლებს ასრულებს ლეგენდარული ლადო მესხიშვილი („შურისმაძიებელი ღმერთი“ და „ორლოვების ოჯახის სირცხვილი“, 1918) და სხვ.

ნეტავ იმ დროს, როდესაც ათეულობით ფილმი უბრუნდებოდა დღის სინათლეს. მხოლოდ ფიგურალურად არ ვამბობ ამას — მუნჯი ფილმების აღდგენა, ანუ ამ მიზეზით მათი ასლების გადმოწერა „გოსფილმოფონდის“ (მოსკოვიდან 110 კილომეტრზე მდებარეობს მსოფლიოში ეს უმდიდრესი არქივი) საცავებიდან, ეს იყო ერთადერთი ნაღდი და იაფი გზა იქ დაცული ქართული კინოსაგანძურისკენ. არადა, რამდენი ფილმია ჯერ კიდევ ისეთი, რომელთაც არათუ თანამედროვე მაყურებელი, არამედ პროფესიონალი კინემატოგრაფისტებიც არ იცნობენ.

მაშ ასე, 1982 წელს აღვადგინე „ხანუმა“. ამ დროს ერთობ რეიტინგული, თანამედროვე გაგებით, გადაცემა მქონდა მაშინდელ ერთადერთ ქართულ ტელევიზიაში — „ქართული კინოს ისტორიიდან“...

საზოგადოება რაღაც განსაკუთრებული მონონებით შეხვდა პირველი ქართული კინოკომედიის დაბრუნებას ეკრანზე, თანაც ახმოვანებულს — კომპოზიტორად ვაჟა აზარაშ-

ვილი მოვიწვიე, მოხრობლად კი — გოგი გეგეჭკორი...

ისეთი პრემიერა გაიმართა კინოს სახლში, მაშინდელი დიდი დარბაზიდან კი ვერ იტყვება ხალხს. ტელევიზიით ჯერ ამ პრემიერის ამსახველი სიუჟეტი გადაიკა, შემდეგ კი მთელი ფილმი. პრესა, რადიო, პროფესიონალი კინემატოგრაფისტები თუ ჩვეულებრივი მაყურებლები აღტაცებას ვერ მალავდნენ. ესტრადაზეც სწორედ მაშინ დაიწყეს ჩემზე პაროდები, თუ როგორი გურული ემოციურობით, სხაპასხუპითა და ჟესტიკულაციით ვსაუბრობდი (თურმე?) ჩემს სატელევიზიო პროგრამაში ეროვნული აქტიორული სკოლის იმ ნამდვილ „ბუკეტზე“ (პაროდისტები განსაკუთრებით ამ სიტყვას, მისი წარმოთქმის მანერისას მიქილიკებდნენ), რომელიც „ხანუმაში“ წარმოადგინა სცენისა და ეკრანის დიდოსტატმა — ალექსანდრე ნუნუნავამ. არადა, ღვთის გულისათვის, ეგებ ვინმემ გვასწავლოს, როგორ მოვთოკოთ ემოციები, როცა ერთ ფილმში ჩვენს წინაშე წარდგებიან: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნია, ცეცილია ნუნუნავა, ტასო აბაშიძე, მიხეილ ჭიაურელი, თამარ ბოლქვაძე, კოტე მიქაბერიძე, კობტა ყარალაშვილი, თვით ვასო აბაშიძეც კი, რომელიც გადაღებიდან 12 დღის შემდეგ გარდაიცვალა...

და აი, საერთო აღფრთოვანების ფონზე ვღებულობ ბარათს!, რომლის ავტორი, 63 წლის გიორგი კახიძე მატყობინებს, რადიოში მოვისმინე „ხანუმა“ ალგიდგენიათ და მანდ ერთ პატარა ბიჭუნას ვთამაშობ, მამაჩემი — ნიკოლოზ კახიძე კინორეჟისორი იყო, იმან მიმიყვანა გადაღებაზეო...

ვაი, შენს გოგი დოლიძეს! კინორეჟისორი ნიკოლოზ კახიძე ამ დროისათვის საერთოდ არ გამეგონა!

შემრცხვა! კიდეც კარგი, ეს ბარათი შინ მომივიდა ფოსტით. არადა, სულო ცოდვილო, ჩემთვის რომ გეკითხათ, ქართული კინოს ისტორიის უპირველესი მცოდნე ვიყავი — უკვე მერამდენე წელი ყოველ ორშაბათ საღამოს „ახლადგამომზეურებულ“ ძველ ფილმს ვთავაზობდი ტელემაყურებელს. ერთი სიტყვით, საკმაოდ ასაკოვანი და ცნობილი (ე. წ. საკავშირო მთავრობისა და მოსკოველი კინემატოგრაფიული ბოსებისათვის კი — სკანდალურიც) კინოკრიტიკოსი გახლდით. სკანდალური — ქართული კინოს ეროვნულ სანყისებზე გამართული, ძალიან მსუბუქად თუ ვიტყვით, დისკუსიის გამო, რომლის კულმინაციური ფაზა იყო მოსკოვის კინოსახლის ტრიბუნიდან ჩემი ჩამოგდება და იმავე საღამოს საბედისწერო სიუჟეტი რადიო „ამერიკის ხმაში“ (სხვათა შორის,

ეს მოხდა სტალინის დაბადების დღეს — 21. XII. 1971). ხომ წარმოგიდგენიათ, რა შედეგი მოყვებოდა ამას თბილისში...

ნიკოლოზ გიორგის ძე კახიძე დაიბადა 1894 წლის 7 ოქტომბერს თბილისში. მამამისი — გიორგი ნიკოლოზის ძე კახიძე, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული, მთელი თავისი ცხოვრება, როგორც ნიკოლოზ კახიძე ხაზგასმით მიუთითებს ავტობიოგრაფიაში, კავკასიის სასამართლო ორგანოებში მუშაობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი გამოდგა მისი სამსახური ქ. ბაქოში (სადაც 1902 წელს პატარა ნიკოლოზი იწყებს კიდეც სწავლას ვაჟთა მესამე გიმნაზიაში), ბოლო ხანებში კი, უკვე საბჭოთა პერიოდში, გიორგი კახიძე საქართველოს განსახკომის (განათლების სახალხო კომისარიატის) კანცელარიის უფროსი იყო. გიორგი კახიძეს ჰყავდა კიდეც ერთი ვაჟიშვილი — მიხეილი, ნიკოლოზზე რამდენიმე წლით უფროსი (იგი პირველ მსოფლიო ომში დაღუპულა).

ნიკოლოზ კახიძის დედა XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისის ქართული თეატრის საკმაოდ ცნობილი მსახიობი იყო — ქეთო ანდრონიკაშვილი, უფრო ზუსტად — ქეთევან ელევთერის ასული ზურაბიშვილი (27. X. 1862 — 1. II. 1941). თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ნახევარ საუკუნეზე მეტი შეაღია მან ქართულ სცენასა და ეკრანს. იგი უფროსი და გახლდათ ჩვენი ცნობილი მწერლისა და ხელოვნებათმცოდნის ილია ზურაბიშვილისა (1872-1955), რომლის



ნიკოლოზ კახიძის დედა მსახიობი ქეთო ანდრონიკაშვილი

1. ეს ბარათი პირად არქივში მხოლოდ მას შემდეგ აღმოვაჩინე, რაც წინამდებარე სტატია უკვე დაკაბადონებული იყო. ასე რომ, სხვა დროს მოლიანად გამოვაქვეყნებ...

გახმაურებული მოთხრობა „ორი მონადირე“ (ადრინდელი სახელწოდება — „ტურიკო, მგელიკო და თოლია“) 1927 წელს ალექსანდრე ნუწუნავამ ეკრანზე გადაიღო (მთ. როლებში — კოტე მიქაბერიძე და მიხეილ გელოვანი).

ავტობიოგრაფიაში, რომელიც დაწერილია 1940 თუ 1941 წლის 10 დეკემბერს, ნ. კახიძე შენიშნავს, დედაჩემი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი იყო და ქართულ სცენაზე ქეთო ანდრონიკაშვილის ფსევდონიმით გამოდიოდაო.

რამდენიმე განმარტება: 1. ჯერჯერობით არანაირი დოკუმენტით არ მტკიცდება (მიუხედავად იმისა, რომ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში უამრავი მასალაა მასზე დაცული), რომ ქართული თეატრისა და კინოს¹ ამ უსათუოდ ცნობილ მსახიობს მართლაც ჰქონდა მინიჭებული ოფიციალურად ეს საპატიო წოდება, თუმცა ნამდვილად კი იმსახურებდა; 2. „ქართულ სცენაზეო“, ალბათ, იმიტომაა ხაზგასმული, რომ თავისი საუკეთესო წლები (1892-1917) ქეთო ანდრონიკაშვილმა ბაქოს ქართულ თეატრში გაატარა და 3. რაც შეეხება ფსევდონიმს, ეს პირდაპირი გაგებით არ უნდა გავიგოთ — „ანდრონიკაშვილი“ მისი პირველი ქმრის გვარი გახლდათ...

პირველდანწყებითი სწავლა-განათლება ნიკოლოზ კახიძემ ბაქოში მიიღო (1902-1911), გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კი მამის კვალს გაჰყვა და სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. დაამთავრა 1915 წელს, მაგრამ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება ვეღარ მოასწრო — იმავე წლის ივნისის შუა რიცხვებში მეფის არმიაში გაიწვიეს. პრაპორშჩიკების ოთხთვიანი სკოლის გავლის შემდეგ 1917 წლის ჩათვლით ფრონტზე იყო თურქების წინააღმდეგ, შემდეგ სპარსეთის საზღვარზე (ქალ. ასტაფა-ლენკორალი).

1918 წლის დასაწყისში დემობილიზებულ იქნა და თბილისში მუშაობდა კონფერანსიედ ესტრადაზე 1920 წლამდე. ჩამოსვლისთანავე ოჯახს მოეკიდა და 1919 წელს პირველი შვილიც გაუჩნდა — გიორგი კახიძე (12. VI. 1919 — 23. XI. 1997).

1920 წლის ბოლოს ისევ უხმეს ჯარში, ამჟამად მენშევიკურმა მთავრობამ და ერთ-ერთი როტის მეთაურად დაინიშნა მეხუთე პოლკში. მეთერთმეტე არმიის შემოტევისას, როგორც ავტობიოგრაფიაში უწერია, ქუთაისში გაგზავნეს სასწავლო ბატალიონში, გასაბჭოების შემდეგ კი ბატალიონის მეთაურად დაინიშნა და



მარცხნივან: ვასილ ამაშუკელი, ცაცა ამირჯვანი, ნიკოლოზ კახიძე

1923 წლის ბოლომდე წითელ არმიაში ირიცხებოდა.

1924 წელს კვლავ დემობილიზებულ იქნა და ამჯერადაც ესტრადას დაუბრუნდა თბილისში 1925 წლის ივლისის ჩათვლით, ამავდროულად მუშაობდა მუსიკალური სატირის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად.

ეს ის პერიოდი (1925 წ.), როცა „სახკინმრენვი“ („სახელმწიფო კინომრეწველობა“ — ასე ერქვა მაშინ თბილისის კინოსტუდიას), ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, იძულებული გახდა, ანგარიში გაენია საზოგადოებრივი აზრისათვის და სტუდიაში, სადაც გაბატონებული პოზიცია ეჭირათ არაქართველ კინემატოგრაფისტებს (პერესტიანი — ბარსკი — ამო ბეკ-ნაზაროვი), მოეწვია პირველი ქართველი კინორეჟისორი, დრამისა და საოპერო თეატრის აღიარებული ოსტატი ალექსანდრე ნუწუნავა (1881-1955), რომელმაც ჯერ კიდევ 1916 წელს შექმნა ქართული მხატვრული კინოს პირველი „ქრისტიანი“ ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით და ამით განსაზღვრა კიდევ, თუ რა გზით უნდა წარმართულიყო ახლადფეხადგმული ქართული კინო — უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ეროვნული სიტყვაკაზმულ მწერლობას უნდა დაყრდნობოდა იგი. ჯერ კიდევ 1921 წელს გრიგოლ რობაქიძემ პროგრამულად დააყენა ეს საკითხი და გადაიღვა თითქოს პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც — 20-იანი წლების პირველივე ნახევარში ეკრანზე გაჩნდა ალ. ყაზბეგის „მამის მკვლეელი“, იგი დადგა სრულიად ახალბედა რე-

1 თბილისის კინოსტუდიაში იგი 1924-1940 წწ. მოღვაწეობდა და გადაღებულია ფილმები: კორე მარჯანიშვილის „ქარისხლის წინ“ (1924), ბორის მხინის „მთის კანონი“ (1927), სიკო ფალაქანიშვილის „ქუქუნას მხიოცი“ (1934) და სხვ.



„ვინ არის დამნაშავე?“

უსორმა ამო ბეკ-ნაზაროვა (1892-1965), ალ. ყაზბეგის „მოდვარი“ — რეჟისორი ვლადიმერ ბარსკი (1889-1936), დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ (ფილმს ერქვა „სამი სიცოცხლე“) და ეგ. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (სახელწოდებით — „ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმე“) — სამივეს რეჟისორია ივ. პერესტიანი (1870-1959).

ცხადი გახდა, რომ ეროვნული მწერლობის ასეთი, ძალზედ მსუბუქად თუ ვიტყვით, პასიური, მექანიკური ეკრანიზაციით ქართული კინო თვითმყოფად, ეროვნულ სახეს ვერ მიიღებდა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ფილმის ავტორი მხოლოდ და მხოლოდ მისი დამდგმელი რეჟისორია... აი, სწორედ ამ აუცილებლობით იქნა მოწვეული ალ. წუნუნავა, მით უმეტეს, რომ იქვე წამოიშობა კოტე მარჯანიშვილის ვეებერთელა ფიგურა (1926 წელს გადაიღო დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), ამასობაში ახალგაზრდებიც (ნ. შენგელაია, მ. კალატოზიშვილი, მ. ჭიაურელი და ძმანი მათნი) წამოეშველნენ და ქართულმა კინომაც თანდათან მიიღო თავისი, ესოდენ სასურველი, ეროვნული სახე.

ამ მხრივ ვართ განუზომელ ვალში ალ. წუნუნავას პირველსავე საბჭოური პერიოდის ფილმთან („ვინ არის დამნაშავე?“ 1925 წ.), რომლის გადაღებისას ნიკოლოზ კახიძე არა მარტო ერთ-ერთი როლის შემსრულებელი იყო (კოვბოების შეფის — ჯეკის მართლაც საინტერესო სახე შექმნა), არამედ ალ. წუნუნავას სამდვილი თანაშემწე — შემოქმედებითად და თანამებრძოლი — იდეურად.

რა იგულისხმება ამ იდეურ თანამებრძოლობაში?

„ვინ არის დამნაშავე“ უკვე ყველა ბერკეტს (ლიტერატურული პირველწყარო, აქტიორული ანსამბლი, რაც მთავარია, რეჟისურა) შეიცავდა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაემსხვრია მთელი იმდროინდელი საბჭოური კინოინდუსტრიის ე. წ. ორიენტალისტური რუტინა და, ნაცვლად ყბადღებულის აღმოსავლური ეგზოტიკისა, ნაღდი, გაცოცხლებული

და აბოპოქრებული აღმოსავლეთი ეჩვენებინა ჭეშმარიტი ეროვნული ხასიათითა და მამულიშვილური შემართებით. დამახასიათებელია — ისიც ფაქტი გახდა, რომ საამისოდ მარტო ასეთი ფილმის შექმნა როდი იყო მთავარი, არამედ მისი გატანა, ამ სიტყვის პირდაპირი და ფიგურალური გაგებითაც. ფანტასტიკური პრემიერა თბილისში (პირველ 15 დღეში 52311 მაყურებელმა ნახა, ანუ დღეში — 1746 კაცი!) ბევრს არაფერს ნიშნავდა. საჭირო იყო ასეთივე წარმატების მოპოვება მოსკოვშიც, იქიდან კი — უცხოეთში. მაგრამ პრემიერის წინ მოსკოვში ალ. წუნუნავას ისე გადაუმონტაჟეს, შეუკვეცეს და დაუჩეხეს ფილმი (მერედა ვინ? „სახკინმრენვის“ წარმომადგენელმა მოსკოვში, ამხ. გ. არუსტანოვმა, რომელიც ერთ ხანს ჩვენი სტუდიის დირექტორიც იყო!), რომ გულმემოყრილმა რეჟისორმა განაცხადა, მე ვგავარ იმ მამას, რომლის ქალიშვილს ნამუსი ახადეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეორე დღეს არწმუნებდნენ, თქვენი ქალიშვილი ისევ ისეთივე ლამაზია, როგორც იყოო...

აი, სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტში დადგა ალ. წუნუნავას გვერდით ნიკოლოზ კახიძე, რომელიც მოსკოვში თან ახლდა. მან შეძლო გ. არუსტანოვის ამოჭრილი ნაწილების ხელში ჩაგდება, მერე დასხდნენ ორივენი, მთელი დღე, 7 სათის განმავლობაში თავაუღებლივ იმუშავეს, ხელახლა ჩაამონტაჟეს ეს ფრაგმენტები ფილმში და საღამოსათვის თავად მიიტანეს კინოთეატრ „კოლოსში“. მიუხედავად ამისა, გ. არუსტანოვმა მაინც გააცურა ალ. წუნუნავა — სხვა კინოთეატრებში თავისი ნაცოდვილარი გაგზავნა...

ცხადია, ეს სხვა თემაა, ფრიად საინტერესო და დამახასიათებელი ეპოქისა, მაგრამ აქ მხოლოდ ერთ-ერთ შტრიხად გამოვიყენეთ ნიკოლოზ კახიძის პორტრეტის დასახატად...

ალ. წუნუნავასა და ნ. კახიძის მეგობრობა და ახლო შემოქმედებითი თანამშრომლობა, ცხადია, ამით არ დამთავრებულა. პირველი ქართველი კინორეჟისორის შემდგომ ფილმებში ოფიციალურად აღარაა მოხსენიებული ნ. კახიძე, მაგრამ ფაქტობრივად იგი მაინც აგრძელებდა ალ. წუნუნავას ასისტენტობას. მომდევნო ფილმში („ხანუმა“, 1926). ალ. წუნუნავამ, როგორც უკვე ვიცით, ერთ-ერთ როლში მისი პატარა ბიჭუნა ათამაშა, შემდეგი ფილმი („ორი მონადირე“, 1927) სულაც ნ. კახიძის ბიძის — ილია ზურაბიშვილის მოთხრობის მიხედვით გადაიღო.

იმავე (1927) წელს ნ. კახიძე, როგორც ახალბედა კინორეჟისორი, თავად უფრო საჭიროებ-

1 იმავე წლის პირველ ნახევარში ნ. კახიძე ოურე კელიაბუჯკის ცნობით ფილმში („ძინა ძაძუ“) გადაიღეს ვერიკო ანჯაფარიძესთან და აკაკი ვასაქესთან ერთად. ეს ფილმი, სხვათა შორის, ქალბატონ ალექსანდრა (შურა) თოდობის კინოდებიუტია.



„იბრაჰიმ და გოდერძი“

და ალ. ნუნუნავას კონსულტაციებს. ეს დაეტყო კიდეც მის კინორეჟისორულ დებიუტს („ორი ცელქი“, 1927), როცა ამ მოკლემეტრაჟიანი (სულ რაღაც 325 მეტრი) მხატვრული ფილმისათვის საინტერესო გადამღები ჯგუფი შეკრიბა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის იმ დროისათვის ისეთ გამოცდილ მხატვარზე, როგორიცაა ვ. სიღამონ-ერისთავი (1889-1943), რომლის მონაწილეობით უკვე მრავალი ცნობილი ფილმი („სურამის ციხე“, „არსენა ყაჩაღი“, „მამის მკვლელები“, მათ შორის ორი ალ. ნუნუნავასი — „ხანუმა“ და „ორი მონადირე“) იყო შექმნილი. ოპერატორად მიიწვია კინოდოკუმენტალისტი ფერდინანდ გეგელე (იგი 1909 წლიდან მოღვაწეობდა კინოში), რომელმაც სწორედ იმ

ხანებში მხატვრულ კინოშიც გამოიჩინა თავი, როგორც გამოცდილი ოპერატორის ანტონ პოლიკევიჩის (1887-1964) ასისტენტმა ფილმებზე „თავადის ასული მერი“ და „ბელა“ მუშაობისას.

რაც შეეხება სცენარს, იგი თავად დაწერა (ესეც ერთგვარი დებიუტი იყო) და მთავარ როლში ის პატარა, ნიჭიერი ბიჭუნა მიიწვია — გოგი რატიანი, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა აღმოაჩინა, ფილმშიც გადაიღო მანამდე სულ ორიოდ თვით ადრე და ამ ფილმს, არც მეტი, არც ნაკლები, „გოგი რატიანი“ დაარქვა...

სამწუხაროდ, ნ. კახიძის კინორეჟისორული დებიუტი „ორი ცელქი“ მთლიანად დაკარგულად ითვლება, ცხადია, ჯერჯერობით. ერთი მეტრიც ვერ გვიპოვია, მაგრამ, ღვთის წყალო-

ბით, 27 ფოტო-კადრი აღმოჩნდა საქართველოს ეროვნულ არქივში, რომლის თავაზიანი ნებართვითაც ორიოდ მათგანს აქვე გთავაზობთ ერთგვარი ნარმოდგენის შესაქმნელად.

იმავე 1927 წელს, სამწუხაროდ, ბოლო როლი შეასრულა ნ. კახიძემ ქართული კინოს ერთ-ერთი პიონერის ზაქრო ბერიშვილის (1887-1965) ფილმში „იბრაჰიმი და გოდერძი“, რომელიც სამსონ სულაკაურის¹ სცენარით იქნა გადაღებული. ფილმის აქტიორულ ანსამბლში (ნიკო გვარამია, დუდე ძნელაძე, ლადო კავსაძე და სხვ.) აშკარად გამოირჩევა ნიკოლოზ კახიძე. იგი ზაქათალას ოლქის ბატონ-პატრონი, დესპოტისა და ჯალათის ომარ ხანის როლს ასრულებს, მართალია, ხასიათის ტრადიციული გაგებით, მაგრამ ისეთი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითა და დინჯი მანერით, რომ რაღაც ხორავასეული მონუმენტური წარმოსახვა იკითხება მასში და რაოდენ დასანანიცაა, რომ ასეთი მძლავრი შესაძლებლობის მსახიობს ხმოვან კინოში არ მოუწია თუნდაც ძალების მოსინჯვა...

1928 წელს კახიძემ გადაიღო კიდევ ერთი, ამჯერად სრულმეტრაჟიანი ფილმი „ნორჩი მფრინავი“ (რუსულ წყაროებში — „Гого — отважный летчик“), რომელიც იდეოლოგიური აქტუალობის გამო შემდეგი წლის დასაწყისშივე (2.III.1929) გამოვიდა საკავშირო ეკრანზე. თემატიკა აქაც ტრადიციული და ეპოქისათვის ფრიად დამახასიათებელია — ნორჩი თაობის ოცნება და პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მფრინავის პროფესიის ასათვისებლად.

მთავარ როლში ისევ პატარა გოგი რატიანი მიიწვია, ნიჭიერებით რომ ჩაპლინის ნორჩ მსახიობ ჯეკი კუგანს ადარებდნენ — გახსოვთ, ალბათ, ეს მართლაც საოცარი ბიჭუნა ჩაპლინის ფილმში — „ბიჭუნა“ („The Kid“, 1921), რომელიც თავის მამობილ ჩარლისთან ერთად ისეთ აქტიორულ სასწაულებს სჩადის, რომ ნორჩი მსახიობის ნიჭიერების ეტალონად იქცა მთელ იმდროინდელ მსოფლიოში (თუმცა, როცა წამოიზარდა, ვერაფერი ღირსეული ვერ შექმნა. ასევე დაიკარგა გოგი რატიანიც — ნ. კახიძის ფილმი მისთვის ბოლო იყო, შემდეგ როგორღაც სადღაც გაჰქრა. ჩემი უფროსი კოლეგებისგან გამიგია, დიდ სამამულო ომში წავიდა და აღარ დაბრუნებულა...).

საბედნიეროდ, „ნორჩი მფრინავის“ ახალთახალი ეგზემპლარი შემთხვევით, მაგრამ, რაც მთავარია, არსებითად მიიღო საქართველოს კინოცენტრმა — შემთხვევით იმიტომ, რომ, როგორც ბ-ნმა ლაშა ბაქრაძემ მითხრა, კინოცენტრს მოუთხოვია კოტე მარჯანიშვილის გაცნობით ღირებული ფილმი „გოგი რატიანი“, „გოსფილმოფონდს“ კი, ალბათ, სა-

¹ სამსონ სულაკაური — შემდგომში ჩვენი კინოს ერთ-ერთი დეკლარაციული მუშაკი, ცნობილი შპერლის არჩულ სულაკაურის და მულტიპლიკატორ კარლო სულაკაურის მამა.



თაურში რომ „გოგი“ იყო ნახსენები (გახსოვთ, ახლახან გაუწყეთ, რომ „ნორჩი მფრინავი“ რუსულ წარწერებში სხვა სათაურით „Гого — отважный летчик“ იყო ცნობილი), ნ. კახიძის ფილმი გამოუგზავნია. ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ ასე დანვრილებით, რომ ჩვენთვის, ბუნებრივია, ყველა „გადაკარგული“ ფილმის დაბრუნება მნიშვნელოვანია.

ასეთია ზოგად შტრიხებში ნიკოლოზ კახიძის კინემატოგრაფიული მოღვაწეობა, მაგრამ, როგორც გვახსოვს, მან თეატრით დაიწყო, კერძოდ, ესტრადით, სადაც კონფერანსიედ გამოდიოდა ჯერ კიდევ 1918 წლიდან, შემდეგ კი, უკვე საბჭოთა პერიოდში (1924-25 წწ.), ესტრადის პარალელურად მუშაობდა მუსიკალური სატირის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად — ამას თავადვე წერს ავტობიოგრაფიაში, თუმცა რაიმე დოკუმენტი ამ პერიოდის თეატრალურ მოღვაწეობაზე ჯერჯერობით არ ჩანს, ალბათ, იმის გამო, რომ მოგვიანებით რეპრესირებული იყო, თანაც ორჯერ, და შესაბამისად მისი დოკუმენტებიც ჩვეულებისამებრ გაქრა.

საბედნიეროდ, ნ. კახიძის ქალიშვილმა, ქ-ნმა რუსუდან კახიძემ, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს, ოთხი ისეთი, შეიძლება ითქვას, უნიკალური, თანაც ფერადი და უხვად ილუსტრირებული აფიშა გადმომცა, რომ აქედან ბევრი რამის დადგენა შეიძლება (აფიშები სხვადასხვა ზომებისაა: ორის ზომაა — 66X103, დანარჩენი ორისა კი — 66X88).

დავინყოთ იმით, რომ ერთხელ კიდევ მტკიცდება: ამ დროისათვის (1928 წ.) საქართველოში არსებობდა თბილისის სატირის აკა-

დემიური თეატრი, რომელსაც სათავეში ედგა მაშინაც საკმაოდ ცნობილი თეატრალური მუშაკი, შემდეგში კი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გრიგოლ (გუგული) ბუხნიკაშვილი (1897-1979). საკმაოდ ცნობილი იმიტომ, რომ წინა ორი წელი (1926-27) იგი რუსთაველის თეატრის დირექტორი გახლდათ. სატირულ თეატრს კი, როგორც მითითებულია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ (ტ. 2 გვ. 597), 1928-32 წწ. ხელმძღვანელობდა. აფიშებზეც ასეა წარმოდგენილი (თეატრის ხელმძღვანელი და სალიტერატურო ნაწილის გამგე).

რაც შეეხება ნ. კახიძეს, იგი მოხსენიებულია როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი და, შესაბამისად, მისი პორტრეტი ყველაზე შთამბეჭდავია ზომითაც და კომპოზიციურადაც თეატრის სხვა თანამშრომლების ფოტოთა შორის. სულ 17 ფოტოა წარმოდგენილი აფიშაზე: ა. მ. ციციანიშვილი — რეჟისორის თანაშემწე, პ. გ. კარველი — მხატვარი, თ. კ. ჯაფარიძე (ქალი) — აკომპანიატორი, დასის რწმუნებული — მსახიობი ვ. მ. სიხარულიძე, ს. მ. ჯალიაშვილი — მოკარნახე და მსახიობები: ტ. დ. გაგუა, მ. გ. გულაშვილი, ნ. თ. გერმანელი (ქალი), კ. ი. დოლიძე, მ. ი. ვარდომიშვილი, ი. გ. იდოლი (ქალი), ნ. ა. ილურიძე, ვ. ნ. კიკაჩიანიშვილი, თ. გ. მარჯანი (ქალი), რ. ზ. მალაშვილი, ლ. ზ. რთვეული.

როგორი იყო თეატრის რეპერტუარი? ეს საკითხიც გათვალისწინებულია აფიშებში:

- აღმასკომის თავმჯდომარის ჯვრის წერა — 2 სურ.
- შეყრილადე და „რეჟიმ-სამოკრიტიკა“ — 1 მოქ.
- სტატისტიკის მოყვარული — 6 სურ.
- განსვენებული კინტრაძე — 2 მოქ.
- აშენდა კოოპერაცია — 4 სურ.
- ქალი პროტექციით — 1 მოქ.
- სტყუი! სტყუი! — 1 მოქ.
- ოთხი ორდერი — 4 სურ.
- საქმე გრძელი — 7 სურ.
- ჰოპ-ტრესტი — 2 მოქმ.
- გუთნური — 1 სურ.

ინტერესსმოკლებული არაა შემდეგი ნიუანსებიც: 1. აფიშები გვაუწყებენ, რომ დეკორაციები, კოსტიუმები, განათება, ბუტაფორია და რეკვიზიტი საკუთარია (ასეა აფიშაზე — გ.

დ.) და 2. უფასო კონტრამარკები გაუქმებულიაო.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორი იყო თეატრის მარშრუტი. ესეც, რომ იტყვიან, ჩამონიკნიკებულია აფიშის უპირველეს სვეტში: გორი, ხაშური, შორაპანი, ჭიათურა, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, ხონი, აბაშა, ახალ-სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ბათომი, სოხუმი, სურამი, ბორჯომი, ბორჯომბალი, წალვერი, სიღნაღი, ანაგა, ლაგოდეხი, გურჯაანი, ველისციხე, თელავი, ბაქო.

ერთ-ერთ აფიშაზე სპექტაკლებს „ის ცალკეული სცენების ფოტოსურათებიცაა“ („ჰოპ-ტრესტის“ მესამე მოქმედება, „განსვენებული კინტრადის“ პირველი მოქმედება და „ოთხი ორდერის“ მეოთხე სურათი). ბარემ ისიც აღვნიშნოთ, თუ სად დაიბეჭდა ეს აფიშები — Типо-Литография ККА Тифлис, Плехановский пр. 76 Главлит № 982.

1928 წელს ნიკოლოზ კახიძე მეორედ დაქორწინდა, ამჯერად, თამარ (თამუნია) წერეთელზე (1903-1968). მომდევნო წელსვე (1. III. 1929) მათ შეეძინათ ქალიშვილი — რუსუდანი, რომელმაც, როგორც იმთავითვე ითქვა, გადმომცა ეს აფიშები და მასთან რამდენიმე ფოტოსურათი და კადრი ფილმებიდან.

1930 წლის მაისიდან 1931 წლის ჩათვლით, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის წარდგინებით, ნ. კახიძე ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა.

1932 წლის 18 მარტს ნ. კახიძე, როგორც ქალბატონმა რუსუდანმა გადმომცა, დააპატიმრეს, ვითომდა, ეკონომიკური კონტრრევოლუციის ბრალდებით, სინამდვილეში კი როგორც ყოფილი ოფიცერი, და 5 წლით გადაასახლეს ჯერ ე. წ. „სოლოვეკებში“ (Соловецкие острова), შემდეგ კი ბელომორ-არხის მშენებლობაზე, სადაც, ბუნებრივი სიამაყითა და ხაზგასმულობით განმიცხადა ქ-ნმა რუსუდანმა, პატიმრობაში მყოფი მოსკოველი და პეტერბურგელი მსახიობებისგან თეატრიც კი ჩამოაყალიბა და „ანზორი“ და „რღვევა“ დადგაო...

რას შვრები ახლა? იცოცხლე, ინფორმაციას უკეთესს ვერც ინატრებ, მაგრამ როგორ მივიტანო ეს მკითხველამდე — სადღაც, შორეულ კარელიის პოლიტპატიმართა ბანაკში თავადაც პოლიტპატიმარი რომ ნამდვილ თეატრს აყალიბებს და კაი რუსთაველის თეატრივით, არც მეტი, არც ნაკლები, გრანდიოზულ სპექტაკლებს მართავს?! შვილის ნაამბობის გარდა, რაღაც ხელჩასაჭიდი ხომ უნდა გქონდეს, გნებავთ, ისეთი უბრალო და უპრეტენზიო რამ, როგორიცაა, ვთქვათ, მამის მონაწერი ბარათი, თუნდაც მისი ნაკუწი. ცხადია, ეს დოკუმენტად არ გამოდგებოდა, მაგრამ ერთგვარი წყარო მაინც იქნებოდა?! თამარ ნულუკიძემ (ცნობილმა მსახიობმა, ლეგენდარული სანდრო ახმეტელის მეუღლემ) რომ გადასახლებაში თოჯინების თე-



„ორი ცელქი“
შუაში — გოგი რატიანი



„სტრჩი მგრიხავი“

ატრი ჩამოაყალიბა, ეს ვიცი, მაგრამ ქ-ნი თამარი ე. წ. თავისუფალ გადასახლებაში იყო და მეორეც — ნამდვილი მუსიკალურ-დრამატული თეატრის შექმნა პოლიტპატიმართა ბანაკში, თანაც 1933-34 წწ. ნაღდად არ გამიგია, არც ვინმესთან (სოლჟენიცინი, ნეკრასოვი, ბუკოვსკი, დოვლატოვი...) წამიკითხავს, მე და ჩემმა ღმერთმა!

მაგრამ რა მექნა, სიტყვას ხომ არ შევატეხავდი 80 წლის მანდილოსანს. ალბათ, დროის მოსაკლავად მოყვარულთა დონეზე სადღაც პრიმიტიული სცენები გაითამაშეს-მეთქი იმ საცოდავმა ტუსალებმა და ამათაც, ოჯახს და ახლობლებს, სხვა რა უნდოდათ, თავს იხუფებდნენ, ცოცხლები ხომ მაინც არიანო...

ასეთ განამანიაში ვიყავი და უცებ, ღვთის წყალობით, ინტერნეტი გამახსენდა, რატომ არ შეიძლება, იქ რამე იპოვოს-მეთქი კაცმა და, ისემც თქვენ გაიხარეთ, იმ დღეს ბედმა გამიღიმა...!

მედვეჟევორსკი ერთი პატარა ქალაქი-ნავსადგურია (16600 მცხოვრებით) შორეულ კარელიაში, ონეგის ტბის უკიდურეს ჩრდილოეთ სანაპიროზე, 155 კმ. დაშორებული კარელიის რესპუბლიკის დედაქალაქ პეტროზავოდსკიდან. კლიმატური კურორტია, განსაკუთრებით ტუბერკულოზის სამკურნალოდ. ზაფხულში ზომიერად თბილია, არც ზამთარშია ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი გაუსაძლისი ყინვები.

1933 წელს სწორედ მედვეჟევორსკში იყო

განთავსებული შინსახკომის (შინაგან საქმეთა კომისარიატის, ანუ, სამინისტროს) ბელომორსკო-ბალტიის არხის სამმართველო. ქალაქი კია პატარა, მაგრამ ის ტერიტორია არის ვეებერთელა, რომელსაც ცენტრალური კარ-მიდამო ("Усадьба") ერქვა და რომელზედაც გაშენებული იყო: კანტორები, სანყოფები, სახელოსნოები, ბარაკები, სამზარეულოები, აბანოები, ცალკე სახლებიც, ცხადია, უფროსობისათვის და თეატრის შენობაც — იქვე ორსართულიანი სასტუმრო ჩამოსულებისათვის.

ეს ნამდვილი, დიდი, სტაციონარული თეატრია. შესანიშნავად მოწყობილი სცენა, დარბაზი, ფოიე, კულისებშიქითა სამსახურებით — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ზოგადად თეატრს სჭირდება და, რაც მთავარია, დასი — ნამდვილი, მრავალფეროვანი, პროფესიული. ახლა ხელმძღვანელობას არ იკითხავთ? თეატრს ჰყავს დირექტორი (ეგვებ ახლავე მივუთითოთ, რომ ეს უმაღლესი პოსტი ნიკოლოზ კახიძეს უკავია), და მთავარი რეჟისორი (ალექსეი ალექსეევი), ადმინისტრატორები, რეჟისორები, მსახიობები, მომღერლები, ბალეტის მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები და ა. შ. მაგრამ ერთი „ნიუანსი“ — ყველანი ტუსალები არიან. იგივე ითქმის მაცურებელზე, ისინიც ტუსალები არიან, თუმცა პირველი ორი რიგი გადატიხრულია — ნებსით დაქირავებულთათვის და ორი ლოჟაც — უფროსობისათვის.

მაინც ვინ იყვნენ ნ. კახიძის თეატრში იმ დროისათვის თუ შემდგომში ცნობილი მოღვაწეებიდან?

უკვე ვახსენე მთავარი რეჟისორი ალ. ალექსეევი¹ (1887-1985), რუსული ესტრადის იმ დროისათვის ერთობ პოპულარული მსახიობი და რეჟისორი. იგი, ნ. ფ. ბალიევთან ერთად, როგორც ახალი ჟანრის — კონფერანსიეს — ფუძემდებელი რუსეთში, შეტანილია თეატრალურ ენციკლოპედიაში, დაპატიმრებამდე იყო ჯერ მოსკოვის სატირის, შემდეგ კი — ოპერეტის თეატრის მთ. რეჟისორი. გულს გული იცნობს, როგორც იტყვიან, ნიკოლოზ კახიძეც ხომ სწორედ კონფერანსიეთი შემოვიდა ხელოვნებაში 1918 წელს — თუ არ ვცდები, არა მარტომისი ცხოვრების, არამედ მთელი ქართული სცენის ეს მხარე სრულიად შეუსწავლელი უნდა იყოს... სავარაუდოა ისიც, მანამდე ხომ არ იცნობდნენ ისინი (ამ უნიკალური თეატრის დირექტორი და მთ. რეჟისორი) ერთმანეთს?!

რაც მთავარია, თეატრში მუშაობდა რუსული თეატრისა და კინოს სახელოვანი მსახიობი ვაცლავ დვორჟეცკი (1910-1993) — იგი გადაღებულია ფილმებში: „ფარი და მახვილი“ (1968), „შორს დასავლეთში“ (1969, გიორგი მდივნის სცენარით), „წითელი და შავი“ (1976, ტელეფილმი), „ემილიანე პუგაჩოვი“ (1979) და

¹ დიდი შაღლობა ჩემს მკვლევარსა და კოლეგას, პროფ. პენრი კუპრაშვილს, რომელიც არა მარტო ხელფეს-შეკრული ცურვის ჯადოქარია, არამედ ინტერნეტისაც.

¹ ნამდვილი გვარია — ლიფშიცი

სხვ. რაც მთავარია-თქო იმიტომ, რომ სწორედ მისმა მემუარებმა („დიდი ეტაპების გზები“, მოსკოვი, 1994) შემოგვინახა ჩვენთვის ესოდენ საჭირო ინფორმაცია ნ. კახიძის განსაცვიფრებელ თეატრალურ მოღვაწეობაზე გადასახლებაში. შეგახსენებთ იმასაც, ვაცლავ დვორჟეცკის შვილია ყველასათვის კარგად ნაცნობი ვლადისლავ დვორჟეცკი (1939-1978) — გახსოვთ, ალბათ, ამ უკანასკნელის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული გენერალი ხლუდოვი ა. ალოვისა და ვ. ნაუმოვის ფილმ „რობოლაში“ („Ер", 1979) და ისიც, ფილმის საერთო წარმატება რამდენად განაპირობა გამოჩენილი ქართველი კინოოპერატორის ლევან პაატაშვილის შესანიშნავმა ოსტატობამ — ეს ხომ მისი პირველი ნამუშევარი იყო ფერად კინოში...

ცნობილია სხვათა გვარებიც: იგორ ალანდერი, ივან ბომჩინკი, ვასილ ლიხაჩევი, მარია გარჩინსკაია, ზინაიდა მალახოვა, ბალეტის სოლისტები: ლეო ზასი, ვადიმ კოზინი და ა. შ. და ა. შ. მაგრამ ყოველ მათგანს ვერ გამოვყვივებით, მთავარია თვით ამ თეატრის არსებობა, სტრუქტურა, რეჟიმი, რეპერტუარი...

მსახიობები ერთად ცხოვრობენ — ცალკე ბარაკი აქვთ გამოყოფილი. მსახიობი ქალებიც ცალკე არიან — ქალთა ზონაში. წესრიგი სანიმუშოა, რადგან რეჟიმის ნებისმიერი დარღვევისათვის ან კარცერი გემუქრება ან საერთო სამუშაოზე გადაყვანა, რასაც, ბუნებრივია, ყველა გაურბოდა — იკარგებოდა უდიდესი პრივილეგია.

ტერიტორიაზე მოძრაობა აკრძალულია — მხოლოდ ორგანიზებულად შეიძლება წასვლა თეატრში და უკან დაბრუნებაც. კვებაც ბარაკებშია. მსახიობების საკვებად დრო და ადგილიც გამოყოფილი იყო. კომენდანტი ნიშნავდა მორიგეებს, რომელთაც ქვაბებით მოჰქონდათ საჭმელი და იქვე ჩამოარიგებდნენ. ასე იყო დილითაც, დღისითაც და საღამოთიც. საერთო „შემოწმებაზე“ მსახიობებს არ ჩამოამწკრივებდნენ ხოლმე — ბანაკის მორიგე ყოველ დილით შედიოდა ბარაკში და ყველას გადიოვლიდა. სხვა ბარაკების ტუსაღებთან კონტაქტი ნებადართული იყო მხოლოდ სამსახურებრივი აუცილებლობისას, ისიც ბრიგადირის (რე-

ჟისორის) პასუხისმგებლობითა და კომენდანტის ნებართვით. ღობე თუ მავთულხლართიანი ზონა არ იყო. დაცვა და კონტროლი რეჟიმის შესასრულებლად ნაკლებად შეიმჩნეოდა, მაგრამ ორგანიზებული იყო განსაკუთრებით მკაფიოდ. აბანოშიც ორგანიზებულად დადიოდნენ, გრაფიკით.

მომარაგების განყოფილება თეატრს სპექტაკლების მომზადებაში ეხმარებოდა. მთავარი უფროსობა, ბანაკში რომ „კულტურის სამინისტროს“ ეძახდნენ, იყო კულტურულ-აღმზრდელობით განყოფილებაში. მისი წარმომადგენელი, აგრეთვე წარმომადგენელი „მესამე განყოფილებისა“ — შინსახკომის რომელიმე ოპერანმუნებული ყოველთვის ესწრებოდა რეპეტიციებს.

მსახიობების ბარაკში ას კაცამდე ეტეოდა. აქვე ცხოვრობდნენ გაზეთ „პერეკოვკას“ რედაქციის თანამშრომლები, რომელთა შორის მეტად საინტერესო ადამიანები იყვნენ, ხაზს უსვამს ვ. დვორჟეცკი — ლიტერატორები, ფილოსოფოსები, მეცნიერები. განსაკუთრებით გამოჰყოფს მეფის ყოფილ ბიბლიოთეკარს, 90 წლის ვასილ გელმერსენს, მრავალი უცხოური აკადემიის საპატიო წევრს, ენერგიულ, გონებაბაზვილ ადამიანს...

თეატრში სამუშაოდ ვინმეს მიწვევა შეიძლებოდა მხოლოდ რეჟისორისა და კულტურულ-აღმზრდელობითი განყოფილების შუამდგომლობითა და ბანაკის კომენდანტის ნებართვით. სპექტაკლები იმართებოდა უმაღლეს დონეზე, დეკორაციები იგებოდა შესანიშნავი, კოსტიუმები მხატვრის ესკიზებით იკერებოდა ნამდვილი, ხარისხიანი. განათებას, როგორც დედაქალაქის თეატრებში, ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი კლასის სპეციალისტები და საერთოდ ყველა დანარჩენი ატრიბუტი — ზარი, გონგი, ფარდა, უვერტიურა და ა. შ. ყველაფერი ნამდვილი იყო, როგორც ჩვეულებრივ, „თავისუფალ“ თეატრში.

კარგი მაყურებელი ჰყავდა თეატრს — უშუალო, გულწრფელი, მიამიტი, სანახაობას დახარბებული. როგორც ვ. დვორჟეცკი განმარტავს, უნდა გენახათ ეს, მართლაც, „ბაბილონის გოდოლი“, ისეთი რამეები ხდებოდა სპექტაკლებზე, ბევრი მათგანი საერთოდ პირველად იყო თეატრში. ერთი სიტყვით, „სამეფო კარის თეატრის“ სპექტაკლები „მედვეჟკაზე“ (შემოკლებით ასე ეძახდნენ ქალაქ მედვეჟეგორსკს) ნამდვილი დღესასწაული იყო მაყურებლისთვისაც და მსახიობებისთვისაც.

როგორი დირექტორი იყო ნიკოლოზ კახიძე? უპირველეს ყოვლისა, მასახსიათებენ როგორც მკაცრ ადამიანს და, ბუნებრივია, იმ პირობებში სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ცხოვრობდა იგი ცალკე ბარაკში, იკვებებოდა სასადილოში. კავშირი ჰქონდა უფროსობასთან: რეპერტუარი, მომარაგება, „მივლინებები“, დასის შემადგენლობა, ნახალისება, სასჯელი — ყველაფერი



ხელმძღვანელი სამხედრო სწავლებაზე მარჯვნიდან პირველი — ნ. კახიძე

დირექტორის ხელში იყო. მას შეეძლო ნებისმიერი მსახიობი საერთო სამუშაოების ბრიგადაში გაეგზავნა, ანუ, გაეგდო თეატრიდან და ე. წ. საკატორლო სამუშაოსათვის გაენირა. შეეძლო ეშუამდგომლა უფროსობის წინაშე, რომ პატიმრისათვის ახლობლებთან შეხვედრის ნება მიეცათ, ორ თვეში თუ მხოლოდ ერთი წერილის გაგზავნა შეიძლებოდა „გარეთ“, დირექტორს შეეძლო დამატებითი წერილის ნება დაერთო. უფრო მეტიც, აღეძრა საქმე, თეატრში მომსახურე პატიმრისათვის შეემსუბუქებინათ სასჯელი ან ვადაზე ადრე გაეთავისუფლებინათ. ცხადია, ეს ეხებოდა მხოლოდ ყოფითი და სამსახურებრივი მუხლებით მსჯავრდებულ პატიმრებს, რაც შეეხება 58-ე მუხლს, მათზე არანაირი შეღავათი არ ვრცელდებოდა. ასე რომ, როგორც ხედავთ, ნიკოლოზ კახიძეს ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტები ჰქონდა ხელთ იმისათვის, რომ სანიმუშო წესრიგი დაემყარებინა და შედეგებიც შესაბამისი იყო. ვ. დვორჟეცკი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს თეატრი „სამეფო კარის თეატრად“ („Придворный театр“) ითვლებოდა და ხშირად ჩამოდიოდნენ „სტუმრები“ — გულაგის უფროსობიდან, სხვადასხვაგვარი კომისიები, კორესპონდენტები და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოელებიც.

ბუნებრივია, არხის მშენებლობა ჩამოსულებს სთავაზობდა ყველა „ღირსშესანიშნაობას“, მათ შორის კი მთავარი — თეატრი იყო. საამისოდ შესაფერისად აცმევდნენ მსახიობებს და ყველაფერი გამოიყურებოდა Comme il faut (როგორც წესია). გადიოდნენ „რღვევისა“ და „ინტერვენციის“ რეპეტიციებს, თამაშობდნენ ისეთ სპექტაკლებს, როგორიც იყო „ჯავშნოსანი 14-69“ (იგივე „ანზორი“) და „Перековка“, ამასთან იმართებოდა სიმფონიური ორკესტრის კონცერტები, იქვე იყო ვოკალი და დივერტისმენტი.

1934 წლის მარტში დასის შემადგენლობიდან შეიქმნა „კულტბრიგადა“, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს სამხატვრო თეატრის ყოფილი რეჟისორი იგორ ალანდერი — ასე აღმოცენდა ახალი თეატრი „თეატრი ტულომზე“, რომელიც წავიდა ბელმორ-არხის ახალ მშენებლობაზე — ტულომის ჰიდროელექტრო სადგურზე...

1934 წელს ნ. კახიძეს მეუღლე — თ. წერთელი და 5 წლის ქალიშვილი — რუსუდანი ეწვივნენ გადასახლებაში, კაი ორი თვეც დაჰყვეს მასთან და ეს, ალბათ, მკითხველს არც გაუკვირდება ყოველივე იმის შემდეგ, რაც უკვე ნაიკითხა...

1934 წელს ნ. კახიძე ვადაზე ადრე კი გაათავისუფლეს, მაგრამ იქვე დატოვეს სამხატვრო-თეატრალური კომბინატის დირექტორად. აქ მან ორი წელი იმუშავა და ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, დააჯილდოვეს ერთობ ორიგინალური ნიშნით — „საუკეთესოს საუკეთესოთა შორის“ („Лучшему из лучших“). იმავე წელს (ივნისი, 1936) ნ. კახიძე მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნ-


და თბილისში, რაც არხზე მუშაობა დამთავრდა. 1938 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს კულტმომარაგებაში მუშაობდა, საბოლოოდ კი სამხატვრო ფონდში დამკვიდრდა, სადაც იგი დირექტორის თანამდებობაზე ასევე კინემატოგრაფიდან „მოსულმა“ ივანე გვინჩიძემ შეცვალა. 1942 წლის 24 თებერვალს, ზუსტად სამი თვის თავზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 48 წლის ნიკოლოზ კახიძე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ 1941 წელს, დაიწყო თუ არა ომი გერმანიის წინააღმდეგ, უმალ შეიქმნა საყოველთაო სამხედრო სწავლების სამსახური და ნიკოლოზ კახიძე, როგორც გამოცდილი ოფიცერი, იქ მიიწვიეს...

აი, ყოველივე ის, რისი თქმაც დღეისათვის შევძელი, თუმცა, როგორც დასაწყისშივე გაუწყეთ, ძიება გრძელდება და, იმედია, კიდევ გამოჩნდება რაღაც ფაქტები და დოკუმენტები, რომლებიც უფრო გაამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ქართული კულტურის ამ ერთ მოკრძალებულ და მივიწყებულ მოღვაწეზე. მაშინ თხრობაც უფრო ლალი და სრული იქნება, ვიდრე ახლა, როცა ვერ ველევი თითოეულ ნიუანსს, რასაც კი სადმე წავაწყდები... მკითხველი ამას გამიგებს და მაპატიებს — ჩვენ ხომ მთლიანად გვანტერესებს ქართული კინოს ან საუკუნოვანი ისტორია და არა მხოლოდ უკვე ისედაც აღიარებული ოსტატები...

P. S. მკითხველი იმასაც შეამჩნევდა, რომ არსად იხსენიება ფილმოგრაფია, როგორც კინემატოგრაფისტების წამდვილად სამაგიდო წიგნი, მით უმეტეს, რომ იგი ახლახან გამოიცა ისეთ ძვირფას პოლიგრაფიულ დონეზე, რომ არც მეტი, არც ნაკლები, 6 წლარი ღირს, რაც ძალიან მაღალი ფასია ჩვენს პირობებში, თითქმის ნახევარი ე. წ. საარსებო მინიმუმისა. ასე რომ, მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკაში თუ შევძლებდი ჩამეხედა ამ „ძვირფასი“ გამოცემისათვის. მაგრამ ნეტავი არ ჩამეხედა — მარტო ნ. კახიძის მონაცემებთან დაკავშირებით ისეთი არეულობაა, რომ ახლა არ ღირს ამაზე შეჩერება — ეს სხვა საუბრის, მძიმე, მაგრამ აუცილებელი საუბრის თემაა, რაც არსებითად წამოვიწყე კიდევ (იხ. ჩემი რეპლიკა „ვინ დასცინის ჩვენს საზოგადოებას“? გაზეთი „რეზონანსი“, 9. II. 2009), მაგრამ, როგორც უკვე მიეთითა, ეს მხოლოდ რეპლიკაა... გ. დ.

1 ამ დროისათვის ი. გვინჩიძე, როგორც მსახიობი, გადაღებული იყო ფილმებში: „მდინარის გაღმა“, (1935, რეჟ. ზ. ბერიშვილი) და „შავ მთებში“, (1941, რეჟ. ნ. შენგულაია). ბოლოს იგი ნიკოლოზ სანიშვილმა ათამაშა („აბეზარა“ 1956).



სოფო
ქვასონია
ლაბიანჯა
მოთავაძე ლიონიან

სარკოზის პრინციპები, რუსების
კომპლექსები და ქართული სცენა

არაერთ ქალაქზე უთქვამთ, - ვერასოდეს დაივიწყებ, ანდა - სამუდამოდ შეიყვარებ, მასზე კი სულ სხვა რამის თქმა მინდა - ნახვალ ლიონში და სამუდამოდ შეგიყვარდება შენი თავი, შენი „მე“, ზოგადად - ადამიანი, იმიტომ, რომ ამ ქალაქში ომგამოვლილი ქართველიც კი ადამიანობას იბრუნებს და არაფერი თრგუნავს, - არც სიღიადე, არც პომპეზურობა. უზარმაზარ და უძველეს ლიონში მთავარი ადამიანია, რომელიც მის ქვაფენილებზე, მის ულამაზეს და საოცრად მყუდრო ქუჩებსა და ბილიკებზე დადის. ლიონი ზღაპარია რეალურ ცხოვრებაში, სამოთხე ყველასთვის, ვისაც ხელოვნება უყვარს და ვინც ხელოვნებით ცოცხლობს. ის მთელი ევროპის კულტურის დედაქალაქია, მოდის დამფუძნებელი საფრანგეთში, ქალაქი, რომლის ჰაერსაც ჩაისუნთქავ და განსაკუთრებული ხედები. ლიონში ღია ფერებია და მგონი, მუდამ მზიანი


ამინდები. ლიონში ღარიბებიც არ არიან და არც უგემოვნო მასკულტურის ტრფიალნი. ლიონი ისტორიული თეატრების, მუზეუმების, არტჰაუზებისა და, რაც მთავარია, ის დიდი ბანკების სამშობლოა. ბანკებისა, რომლებიც მთელი საფრანგეთის კულტურული პროცესების ძალიან დიდ სეგმენტს აფინანსებს. კონკრეტულად ლიონში კი ამ ბანკების წყალობით ხელოვანები, დასები და მუზეუმები სრულიად უზრუნველნი არიან.

მოკლედ, ამ სამოთხეში ყოველწლიურად ხელოვნების ფესტივალები ტარდება. 2008 წლის სექტემბერი კი მსოფლიოს ცეკვის საერთაშორისო ბიენალეს მიეძღვნა და მეც მიწვეულ სტუმრებს შორის აღმოვჩნდი. საოცარ ქალაქში გატარებული ერთი კვირა ულამაზეს დღეებად მაგონდება, თუმცა სექტემბერში ლიონს სულ სხვა განწყობით ვესტუმრე. საქართველოში დავტოვე ნაომარი სამშობლო და იმ დღეებში არ მესმოდა, სად და რისთვის მივდიოდი. რა აქტუალობა და ინტერესი უნდა შესძენოდა ჩემს თვალში თანამედროვე ევროპულ ბალეტს, რომლის არაერთი შედეგის ხილვის საშუალებასაც საფრანგეთი ამ ფესტივალით დანარჩენ მსოფლიოს აძლევს.

აქვე გეტყვით, რომ ამ და სხვა მსგავს ფორუმებში საქართველო არ მონაწილეობს. იმიტომ არა, რომ ქართულ ბალეტს ფული არ აქვს, არა, პირიქით, ქართულ ბალეტს ახლა იმდენი ფული აქვს, რამდენიც არასდროს ჰქონია. საქმე სხვა პრობლემებშია და მათ შესახებ მკითხველთ ქვემოთ მოგახსენებთ, მას შემდეგ, რაც მას ჩემს ლიონურ დღეებსა და წინააღმდეგობრივ განცდებს გავუზიარებ, მათთან ერთად კი რამდენიმე გამორჩეულ ნარმოდგენაზე გავესაუბრები. ამ ყველაფერს კი ლიონში გაკეთებული ჩანაწერების მოშველიებით ვაპირებ.

ლიონი - პირველი დღე, 7 სექტემბერი...

ზუსტად არ ვიცი რითი უნდა დავიწყო, ანუ არ ვიცი რა არის უპირველესად აღსანიშნავი, ის, რომ ევროპული კულტურის შიგ გულში აღმოვჩნდი, „ევროპული კულტურის დედაქალაქში“, თუ ის, რომ აქაც, ლიონშიც კი რუსები თავს არ მანებებენ. უფრო სწორად მათი აჩრდილები, მაგრამ ნუ გეგონებათ თბილისიდან ამეკიდნენ, არა, აქ დამხვდა, კოლეგების, მოსკოველი არტ-კრიტიკოსების ე.წ. ნაღები. ნარმომადგენლები იმ რუსული საზოგადოებისა, ჩემი უფროსი ქართველი მეგობრები რომ მეორე რუსეთად მოიაზრებდნენ და მგონი, მისტიროდნენ კიდეც, ოღონდაც ცხადია, რომ ომამდე. იმ რუსებისა, რომლებსაც ეშინოდათ და ეშინიათ საკუთარი ხელისუფლების და ახლა უკვე ეშინიათ ქართველებსაც. ამ შემთხვევაში მათი ახალი შიშის ობიექტი მე ვარ - ერთადერთი ქართველი ლიონის ცეკვის საერთაშორისო ბიენალეზე, რომელსაც წელს 25 წელი შეუსრულდა, როგორც სტუმრებს, ისე მონაწილეებს შორის. ამ ერთა-



დერთი ქართველის ნახვა სურს ლამის ყველას, ბიენალეს უცვლელ დირექტორს, გი დარმეტს, ცნობილ ქორეოგრაფებს და უბრალოდ მოქალაქეებს, რომლებიც აქ ათ საათზე იძინებენ, მშვიდად და მგონი, ყველა ღიმილით სახეზე. ოღონდაც იძინებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მორიგ სპექტაკლს, ანდა რაიმე ძალიან არტისტულს დააგემოვნებენ.

ლიონის სიმშვიდე სასიამოვნოც არის და გამაოგნებელიც დღევანდელი, ომგამოვლილი ქართველისთვის. მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ აქედან საქართველო შორია. საქართველოზე ლაპარაკობენ უკვე კარგა ხანია პლაზმურად გაბრტყელებული შავი ყუთები. სასტუმროში, მაღაზიებში, საიდანაც მათ ყიდიან. ყოველ დილას ოთახთან მხვდება „ფიგარო“ და „ლიბერასიონი“, გარეკანზე სარკოზი და მედვედევი. შიგნით კი საქართველოს რუკა და განმარტებები, სად რა ხდება და როდინდელი კონფლიქტებია, ყველაზე სასაცილოდ გამოიყურებიან პანანინა ჯარისკაცები რუსული დროშებითა და ავტომატებით, რომლებიც

მთელ კავკასიას ჭიანჭველებივით შესევიან. წარწერები კი ძალიან ლაკონურია, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე: თარიღი, ადგილი და ბოლოს - „რუსები შეიჭრნენ“, „რუსებმა დაიპყრეს“, „რუსებმა ცეცხლი გაუხსნეს“... მთელი ეს ისტორია ფრანგებისთვის პრინციპის საკითხად იქცა. სარკოზის ათასზგის აქვს ნათქვამი, რომ მოუგვარებელი პრობლემები მისთვის არ არსებობს. თუმცა, ამას ამბობდა მანამ, სანამ მედვედევს გაიცნობდა. დღეს უნდა დაუმტკიცოს ფრანგ ერს საკუთარი სიტყვები, ვინ იცის, კიდევ როდის მიეცემა ამის საშუალება... ამ გაზეთებს ცხადია, რომ მართო მე არ ვკითხულობ, ასე რომ არ არის, ჩემი რუსი კოლეგების სახეებს აწერია.

მათი მცდელობა ფრანგებს დაანახონ რამდენად კეთილგანწყობილი არიან ჩემდამი, მათ გარდა ყველა დანარჩენისთვის სულ ერთია. ჩემთვის კი უკვე ჩამოსვლიდან მეორე დღეს ღიმილისმომგვრელი. ესენიც ისევ იმას ამბობენ, ჩემს მიერ ათასზგის გაგონილს საქართველოში, რომ არსებობს ორი რუსეთი და, რომ ენატრებათ ძველი დრო. თურმე აღიარებენ, რომ ქართველებს ოდესღაც ცუდად ექცეოდნენ და მუდმივად აქვთ მცდელობა მომავალში ამბები ქართულ-რუსული სიყვარულის შესახებ. მაგრამ მე ხომ ეს ამბები არ ვიცი, არ მახსოვს და სიყვარული გადმოცემითა და თუნდაც საუკეთესო მემამაციანეთა ჩანაწერებზე დაყრდნობით წარმოუდგენელია. აღარ გავაგრძელებ ახალ რუსულ სიურეალიზმსა და ვითომ ინფანტილიზმზე საუბარს.


ლიონის ცეკვის საერთაშორისო ბიენალეს



წელს დაბადების დღე აქვს. 25 წლის შესრულდა. 25 წლის წინაც ამ ფესტივალის დირექტორი გი დარმეტი გახლდათ. ადამიანი, რომლის გონებაც ფენომენალურ ცოდნას იტევს, ცოდნას თეატრალური ხელოვნების შესახებ. სხვაგვარად ვერც იქნება. ლიონი უნიკალური ქალაქია. ყოველ მოედანზე თეატრის ისტორიული შენობები დგას. მოედნები კი უამრავია. ვერ დავითვალე. ამას გარდა, ეს ქალაქი არის თანამედროვე ბალეტის მექა, მისი ბიენალე კი ერთდროულად ყველაზე ტრადიციულიც, ყველაზე პრესტიჟულიცა და სიახლეთა თვალსაზრისით საინტერესო.

ლიონში თეატრების გარდა ბევრი ბანკია. შესაბამისად ამ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას საფრთხე არ ემუქრება. ამიტომაც ბიენალესა და თეატრების სტაბილურ არსებობას ლიონში არაფერი ემუქრება. სტაბილურად არსებობს ასევე ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომლის ფარგლებშიც ევროპაში იწოვაციებით სახელგანთქმული ლიონის საბალეტო დასი მუშაობს. ეს დასი წელს ბიენალეზე სამ პროგრამას წარადგენს. მაგრამ სანამ ეს მოხდება: სცენაზე სულ მარტო დადგება ცნობილი ქორეოგრაფ-შემსრულებელი კაროლინ კარლსონი, ვიხილავთ დებიუსის მუსიკასა და ელექტრონული კომპოზიციის ერთ-ერთ ნიმუშზე დადგმულ ბალეტს, რომლის ახალგაზრდა და ლეგენდარული ქორეოგრაფი მაკგრეგორი, ამ განსხვავებულ მუსიკებს შორის არსებული კავშირის გარდა, სხეულის ენას მეცნიერების მოშველიებით ლამობს.

წელს ბიენალე ერთი სათაურით აერთიანებს ყველა იმ წარმოდგენას, რომელიც მთელი ცენტრალური ქალაქის ათამდე თეატრებშია წარმოდგენილი. RETOURE EN AVANE თარგმანში მომავალში დაბრუნებას ნიშნავს. გი დარმეტი მიხსნის, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც მომავალში მოხდება წარსულიდან იწყება: „წარმოდგენელია რაიმე შექმნა დღეს და მომავალში, თუ კარგად არ იცნობ შენს წარსულს, ამიტომაც ბევრი რამ უნდა მოვიგონოთ, გავიმეოროთ და დღეს გავიაზროთ...“ წარსული ლიონისთვის ძალიან შორიდან არა, სულ რაღაც 30 წლისწინანდელი ბალეტით იწყება. საუკეთესო დადგმებს ახალგაზრდა მოცეკვავეები ასრულებენ. ხშირ შემთხვევაში რეჟისორები წარმოდგენებს ესწრებიან. გი დარმეტის მოსაზრებებს სანყისების მნიშვნელობის შესახებ ქალბატონი მაგი მარენი სრულიად ეთანხმება, თუმცა ფიქრობს, რომ ის, რაც კონკრეტულ ეპოქაშია შექმნილი იმ კონკრეტულ ეპოქასთან ერთად მთავრდება, რადგანაც შემდეგი თაობები იმეორებენ იმას, რასაც ხედავენ, მაგრამ სულ სხვას გრძნობენ. მაგი მარენმა თეატრალური მახსოვრობის სისუსტეებზე დღეს დილას ბევრი გვესაუბრა კორდელიეს ისტორიულ შენობაში, იმდენად ვრცლად შეეხო ამ თემას, რომ უეცრად საუბარში თაობებისა და ერების მეხსიერების




STAIR MUIR

საკითხი ამოტივტივდა. როგორ განავრცო მან ეს საკითხი ამას აღარ მოგყვები, რადგან სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ მთელი ეს დღევანდელი ტექსტი სწორედ ამ თემას შეეწირა.

ლიონი – 10 სექტემბერი

„ყველა ამ საინტერესო მოვლენასთან ერთად, მიხარია, რომ წელს ჩვენ ბიენალეს ესწრებიან რუსი და ქართველი ჟურნალისტები. რამდენიმე დღეა აქ არიან, თანამშრომლობენ ისე, როგორც ყველა სხვა. ალბათ ეს მაინც კულტურის დამსახურებაა. ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა ვირწმუნოთ ხელოვნების ძალა და მისი შესაძლებლობები“ — ასე დაასრულა დღევანდელი დიდი პრესკონფერენცია ბიენალეს დირექტორმა გი დარმემ. თუმცა, მთლად ასე არა. ფეხზე ადგა, ჩემს რუს კოლეგას შეხედა და აღნიშნა, იმედი მაქვს, ნიკოლა სარკოზის ამჟამინდელი ვიზიტი რუსეთში შედეგადად იქნებაო. მერე ვიღმა ვერ გაუძლო და ალბათ, ოდესღაც სადღაც ნასწავლი PR-ის საფუძვლები გაახსენდა და ჩვენთან ერთად ფოტოგრაფების წინ პოზირება დაიწყო. სხვათა შორის მშვენივრად გამოუვიდა. მაინც სხვა არის ფრანგული სკოლა არტისტიზმისა. მოკლედ ასე, გი დარმე ხვალ ლიონურ გაზეთებში ქართველ ჟურნალისტთან ერთად იქნება, სავარაუდოდ, ერთ-ერთ თვალსაჩინო გვერდზე.

ჩემი ლიონში ყოფნის მესამე დღე ბიენალესთვის მეორე აღმოჩნდა. ეს დღეს ორი სრულიად განსხვავებული მოვლენით აღინიშნა. ვერ გეტყვით, რომ თავიდანვე ძალიან ვისიამოვნეთ. ცეკვის თეატრში მისულეებს ალე ეგაიანის კომპანია დაგვხვდა და, როგორც გადმოცემით ვიცოდით, 25 წლის წინ შექმნილი შედევი უნდა გვენახა. ის, რაც ვნახეთ, მართლაც გახლდათ 25 წლის წინ შექმნილი, მაგრამ შედევისგან ძალიან შორს. მეტიც, მოცეკვავეები, რომლებიც ბახის 4 სხვადასხვა ფუგაზე „შეკონინებულ“ ნეოკლასიკურ სტილში გადანყვებილ ცეკვას ისეთი სიმძიმითა და შეწუხებული სახეებით ასრულებდნენ, მაყურებელიც დაამძიმეს. იმის გარდა, რომ



მოცეკვავეებს მოუქნელი სხეულები ჰქონდათ, აღმოჩნდა, რომ ლიონშიც ბევრი მოცეკვავეა, რომელიც პროფესიული გაუნათლებლობით გამოირჩევა. ეგაიანის ამჟამინდელი ექვსი შემსრულებელი ამ კულტურული ბალეტომანი საზოგადოებისთვის უკვე ბევრია.

რაც შეეხება დადგმას, ის რომ თბილისში ჩამოიტანონ, მასზე ნამდვილად ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ თანამედროვეა და განსხვავებული იმისგან, რასაც დღეს ჩვენი დასი ასრულებს, თუმცა, ალბათ, მაინც გაგვიჭირდება. რაც შეეხება აქაურ მაცურებელს, მისთვის ეგაიანის დადგმები, რომლებიც წელს ბიენალეს დევიზს „მომავალში დაბრუნება“ სახელწოდებად ატარებს, სრულიად არაფრის მთქმელია. მას შემდეგ, რაც ეგაიანის ადამიანები თეთრსა და შავში წელში გადატყდნენ და სასტიკად დაილაღნენ, არაკომფორტული და არაორგანული ქორეოგრაფიის გადამკიდე, მე სადღაც ლიონის რომელიღაც კლასიციისტური არქიტექტურის მსხვერპლი გავხდი.

არქიტექტურა აქ სივრცეს ქმნის. დიახ, სივრცეს, თანაც არაჩვეულებრივს, ეს სივრცეა თავად ლიონი. არც შენობები, არც მონუმენტები და არც შადრევნები აქ არ ავსებს გარემოს. აქ ყველაფერს აკეთებენ მხოლოდ იმისთვის, რომ ლიონს ჰქონდეს ლამაზი ხედები. ამ ლამაზ ხედებს ემსახურებიან თანამედროვე და საუკუნეების წინ აგებული ნაგებობები, რომლებიც ცხადია, თავისთავადაც უნიკალური არიან. მაგრამ თავისთავად და თავისთვის, ან ვინმესთვის აქ არაფერი დგას. ახლა ვხვდები, რომ ისიც არ მახსოვს სად კვეთს ერთმანეთს ლიონში ახალი და ძველი. სადღაც ალბათ,

მაგრამ თვალისთვის სიუხეზე დამალულია. მოკლედ, მგონი იქ შევჩერდი, სადაც ეგაიანის მოუქნელ წარმოდგენას დავაღნიე თავი და ლიონის სტილიზებულ სივრცეებს მივაშურე. ქალაქის სულ სხვა მიმართულებით ავიღეთ გეზი, რათა ჯოზე მონტალვოსა და დომინიკ ჰერვიოს მორიგი ერთობლივი პროექტი გვენახა. ეს ორი ქორეოგრაფი ერთმანეთს 1981 წელს შეხვდა. მას შემდეგ ერთად მუშაობენ. მიუხედავად იმისა, რომ მონტალვოს ერთფეროვნებაში ხშირად სდებენ ბრალს თავყვანისმცემლებიც კი და უმრავლესობას წელს ლიონში მის მიერ წარმოდგენილი პროექტი არ მოეწონა, მე იმ უმცირესობის ინტერესებს დავიცავ, ვისთვისაც გერმანიის „პორგი და ბესი“ თავისი საბალეტო ვერსიებით საკმაოდ ახლობელია და მონტალვო-ჰერვიოს ვარიაცია ამ თემაზე ძალიან საინტერესოდ ეჩვენება. არა მხოლოდ საინტერესოდ, არამედ შთამბეჭდავდაც კი.

მონტალვო-ჰერვიოს დადგმას უბრალოდ „გერმანი“ ჰქვია. ეს არ გახლავთ ერთი რიგითი პოსტმოდერნისტული „გამობტომა“, როცა კლასიკად ქცეულ ნაწარმოებზე ახლებურ ვარიაციებს აკეთებენ. ცხადია, სპექტაკლი ერთგვარი ადაპტაციაა, მაგრამ უცვლელია დროც, განწყობაც. შეცვლილია ენა. შესაბამისად უნდა ითქვას, რომ მათი სპექტაკლი უბრალოდ „პორგი და ბესის“ ახალი ვერსიაა, მათეული ვერსია. ამ ვერსიის შესაქმნელად ქორეოგრაფები კარგად გაეცნენ 20-იანი წლების ამერიკულ კულტურას, პრობლემებს, ურბანისტულ საკითხებს, სოციალურ განლაგებებს და პირადად გერმანიის ინტერესებს. საბო-

ლოოდ სახეზეა დადგმა, რომელიც რაღაც კაბარეს ნააგავს, სადღაც ქალი მღერის და ცეკვავს ერთდროულად, ისმის ოკეანეს ხმა და შავკანიანი ბავშვის ტირილი, ეკრანებზე შავკანიანთა საპროტესტო აქციების ფოტოები მონაცვლეობენ და ა.შ.

მონტალოვსვე ეკუთვნის სპექტაკლის მხატვრობა. ამ დადგმაში აღარ არის მისთვის დამახასიათებელი ჩრდილები, შავი სილუეტები თეთრ ფონზე. აქ ყველაფერი დულს ფერებში და დატვირთვით ქორეოგრაფიას უტოლდება ვიდეო, რომელიც მთელს სცენაზე ეკრანზე მიდის, ხან უბალოდ განწყობის, ხანაც გარემოს შესაქმნელად.

მიჭირს მოვიგონო სხვა ისეთი ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები, სადაც რომელიმე კონკრეტული პერიოდის ატმოსფერო, განწყობა ასე იგრძნობა, სადაც მუსიკა ასეთი ურბანისტული იქნება და ხალხის, რიგითი ადამიანების ხმა, სუნთქვა ისე ისმის, როგორც გერშვინის აღნიშნულ ნაწარმოებში. ქორეოგრაფებს იმდენად კარგად აქვთ გააზრებული, რომ ლამის სრულ ვიზუალურ ილუსტრაციას ახდენენ. მოცეკვავეები კი, არა დეკორის ფონზე ცეკვავენ, არამედ ამ ვიზუალურ მასალაში ცხოვრობენ.

შემსრულებლები მულტიმედიური შესაძლებლობებით გამოირჩევიან. ცეკვავენ სტეპს, ჰიპ-ჰოპს... მღერიან, თანაც ხშირად ოპერას, სტრიპტიზსაც წარმატებით იყენებენ, აკადემიურ ცეკვაზე დაფუძნებული მოდერნით ინონებენ თავს და, უბრალოდ, მაყურებელს კარგად იყოლიებენ.

მონტალოვ-ჰერვიოს წარმოდგენა არ ყოფილა მხოლოდ ერთი კარგი თანამედროვე საბალეტო დადგმა, ეს გახლდათ თეატრიც, კინოც, მხატვრობაც, მიუზიკლიც, თითქმის ყველაფერი და ეს ყველაფერი ძალიან კარგად გაერთიანებული, შედუღებული. ამ შერწყმას, როგორც წესი, უმაღლესი პროფესიონალიზმის ავტორები და შემსრულებლები ახერხებენ.

თანამედროვე ცეკვა თეატრალურ სანყისებს უბრუნდება. თეატრს არ ვგულისხმობ მისი რეპრეზენტატიულობის, გადაპრანჭულობის თვალსაზრისით. სინთეზურობის ის ახალი ხარისხი, რომელსაც თანამედროვე ქორეოგრაფიული თეატრის მეტრები ქმნიან თანამედროვე ადამიანის ადეკვატურია. სწორედ ამიტომ მაყურებელი დღეს ლიონში ემოციებს გამოხატავს, გარკვეულ ინტელექტუალურ სანყისებს უბრუნდება და არაა უბრალოდ მონმე კარგი, ანდა ცუდი წარმოდგენისა, ანუ არ რჩება თეატრალური წარმოდგენისგან შორს, გაუცხოებული, ისე, როგორც ძალიან ხშირად ჩვენთან.

„გერშვინის“ შემდეგ ლიონში რამდენიმე სრულიად უნიკალური წარმოდგენა გაიმართა.



ლიონი - 12 სექტემბერი

ერთი სპექტაკლი — რამდენიმე თეთრი ღამე

ვიცი, საოცარი სათაური დავწერე. დაუჯერებელი ნებისმიერი ქართველი თეატრალისთვის, ვინც ასეთ თეთრ ღამეებზე ამ ბოლო დროს ოცნებობს. ვინც არც ერთ თეატრალურ წარმოდგენას არ აცდენს, მაგრამ ამოდ... თუმცა, მე ხომ ლიონში ვარ და გთხოვთ, ჩემი ნუ შეგშურდებათ, ნურც თეთრად და ნურც შავად. მოწვევა მაშინ მივიღე, როცა საერთოდ არ ველოდი, ლიონი ბავშვობის ოცნებიდან რეალობად მექცა. ეს ოცნება კი დიდი ხნის წინ დაიწყო, როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ლიონის ცეკვის აკადემია სტრაფინსკის „კურთხეულ გაზაფხულს“ სხეულის ენით მიხსნიდა. მაშინ გავიგე, რომ სადღაც არის ქალაქი ლიონი, ნამდვილი სამოთხე ყველასთვის, ვისთვისაც ხელოვნებით იწყება ყოფაც და ცხოვრებაც, სადაც ბევრი, ძალიან ბევრი ფულია და ეს ფული ხელოვნებას ემსახურება. აი ასე, ორი სიტყვით ამოვხსენი ჩემი შეხედულება ამქვეყნიურ სამოთხეზე.

მზის კიდევ რამდენიმე ქორეოგრაფიული მანევრი ცაზე და მე პატარა ლიონს დიდ პარიზზე გავცვლი. სულ სხვა ემოციებზე, მაგრამ უკვე ვიცი, რომ აქაურ სიმშვიდესა და სილამაზეს თავისი ადგილი ექნება მესხიერებაში. თავისი, შეუცვლელი... და ლამის დამავინწყდა, საფრანგეთის სხვა ქალაქებში მცხოვრები ქართველები ლიონზე ამბობენ, რომ თბილისს ჰგავს. მართლები არიან. ოღონდაც იმ თბილისს, სადაც 50-60-იან წლებში აგებული კლასიცისტური არქიტექტურა გახლდათ დომინანტი. ზუსტად იმას და არა ახლანდელს, გაურკვევლად და გაუგებრად ამოზიდულს ადგილ-ადგილ...

სპექტაკლი, რომელმაც ყველა აქამდე ნანახი დამავინწყა და სხვა მომდევნო თუ მანამდე წარმოდგენილ დადგმებს გაუფერმკრთალა რეზონანსი, კაროლინ კარლსონის „ლურჯი ქალბატონი“ გახლავთ. ერთი სიტყვით, ესეც თარგმანში ხუნდება, რასაც ამ შემთხვევაში ამ სიტყვაში ვგულისხმობ. ძლიერი შთაბეჭდილება, საოცარი ემოცია, გამაოგნებელი ტექნიკა სხეულისა, გასაოცარი არტისტიზმი, უნაკლო დადგმა, უნაკლო რეჟისურით, ძალიან ზუსტი ქორეოგრაფიული ფორმა და დახატული დიდი სახე, პორტრეტი, როგორც პერსონაჟისა, ისე



მთელი სპექტაკლის.

პერსონაჟი და სპექტაკლი ერთი მთლიანობაა. ამ შემთხვევაში ერთადერთი მსახიობია, ერთადერთი პერსონაჟი და ეს პერსონაჟი მთელი სპექტაკლიც. მოკლედ, ერთიმეორეში გადადიან ცნებები, იმიტომ, რომ უნიჭიერესი ქორეოგრაფი ქალბატონის ქორეოგრაფიულ ნაწარმოებს, პროფესიონალი არტისტი ასრულებს.

კაროლინ კარლსონი კალიფორნიაში დაიბადა. თუმცა კარიერის საწყის ეტაპზევე მისი პერსონა დასავლეთ ევროპისთვის გახდა უაღრესად საინტერესო. ცეკვავედა ჯერ „ნიუ იორკ სითიბალეტში“, შემდეგ კი სხვადასხვა ექსპერიმენტულ დასებში. საკუთარი ქორეოგრაფიის შექმნის იდეა ადრევე გაუჩნდა და მისი გამორჩეული არა თუ ხელწერა, არამედ ხედვა მთელმა მსოფლიომ მიიღო, მიიღო ძალიან მშრალი გამოთქმამა. კარლსონის მაყურებელი არ იღლებს, გაოცებული უყურებს მის ძველ და ახალ დადგმებს. ასე გრძელდება უკვე წლებია. ქორეოგრაფი არც მეორდება და არც საკუთარი დიდებით არ იკვებება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა არ არის და რასაც ერთ დროს თავად ცეკვავედა, დღეს სხვები ასრულებენ, ის, როგორც რეჟისორი ცოცხალია და მისი ხელოვნების ცოცხალი იმპულსები იგრძნობა წარმოდგენების დაწყებისთანავე.

„Blue Lady“ 1983 წელს დადგა. ბიენალეზე მხოლოდ იმიტომ წარადგინა, რომ წლებანდელი ლიონური კონცეფცია გასული წლების შედეგების მოგონებას ისახავს მიზნად. წარმოდგენა მაინც არ გახლდათ ზუსტი ასლი 25 წლის წინ შესრულებული დადგმისა. ვიდეო მონტაჟი წარმოდგენის დასაწყისში კარლსონის ცეკვის ძირითად დეტალებს აგონებდა მაყურებელს. ამ დეტალებმა შექმნა განწყობა, რომლითაც დარბაზი ტერო საარინენს, მო-

ცეკვავე მამაკაცს შეეგება.

„ლურჯი ქალბატონი“ კარლსონის ქორეოგრაფიის ერთი ძალიან ნათელი და ცხადი პორტრეტი. ეს არ არის უბრალოდ ცეკვა, ეს არის სპექტაკლი, თავისი ძალიან მძაფრი დრამატურგიით, მხატვრობით, მთელი დიდი ისტორიით. ამ დიდ ისტორიას ადამიანი შეიძლება ვუნოდოთ. მსახიობმა მამაკაცმა, რომელიც სხვათა შორის თავადაც ქორეოგრაფია, არაჩვეულებრივად მოახერხა ქალური ისტორია ექცია ადამიანურ ოდად. სცენაზე იდგა უბრალოდ ადამიანი, არა მამაკაცი ქალის როლში, არამედ უბრალოდ პერსონაჟი და მისი სქესი მეათე ხარისხოვანი გახლდათ.

ალბათ, პირველად მივხვდი რამხელა ძალა აქვს პირობითობას სცენაზე. თუ ამ ენას მსახიობი კარგად ფლობს, საჭირო არაა სცენაზე იდგეს დიდი დასი და წარმოდგენას საფუძვლად ედოს სქელტანიანი, პათეტიკური რომანი. ინტელექტუალი რეჟისორისა და უნიჭიერესი მსახიობის ტანდემმა, ლიონის საზღვრებს გარეთ, ერთ-ერთ დაბაში მიტოვებულ ძველ კინოთეატრში დიდი წარმოდგენა გამართეს და პირობითი თეატრალურ-ქორეოგრაფიული ენით ყველაფერი თქვეს, რაც შეიძლება ადამიანის განსაცდელი აღმოჩნდეს დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ოღონდაც ისე, რომ ეს ყოველივე ლიტერატურად არ ქცეულა არც ერთი წუთით.

დინამიკა, რომელსაც კარლსონი ტრადიციულად რენე ობრის მუსიკაზე (ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და ელექტრონული მუსიკის სინთეზი) აგებს, კინემატოგრაფიულ ხედვას ეხება. კინემატოგრაფიული ხაზი თანამედროვე ბალეტში ეს ის დიდი თემაა, რომელსაც ამ წერილში ვერ ამოვწურავ და ამიტომ არც შევეხები.

კარლინ კარლსონი ერთადერთი ქო-

რეოგრაფია, რომელმაც ვენეციაში ოქროს ლომი დაიმსახურა, მას შემდეგ, რაც ვენეციის ციკვის ბიენალეს უხელმძღვანელა. ზუსტად ვერ გეტყვით, კონკრეტულად რისთვის მისცეს ლომი, კომენტარი მაშინ არ გაკეთებულა. ალბათ, უბრალოდ გამორჩეული ხელოვნებისთვის, რომელიც არის თანამედროვე, მაგრამ ამავდროულად ფლობს ყველა იმ პრინციპს, რომლითაც ხელოვნება ფასობს და ცოცხლობს საუკუნეების განმავლობაში. ასეთი შემთხვევები თანამედროვე ექსპერიმენტებით სავსე კულტურაში იშვიათია.


ბალეტისა და თეატრის ყველაზე კრიტიკული მაცურებელი ლიონში ნეტარებისგან დუმს დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოდგენა რამდენიმე დღის წინ შედგა და მას შემდეგ უკვე სხვებისთვის მრავალჯერ აინია ფარდა ლიონის ისტორიული თეატრების სცენებზე.


ლიონში კიდევ მოვასწარი რამდენიმე მნიშვნელოვანი სპექტაკლის ნახვა და თანამედროვე სასცენო ხელოვნებაში მონიწივე დასების გაცნობა. ლიონის ცნობილი ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმები, ვეინ მაკგრეგორის შთამბეჭდავი „მეცნიერება სცენაზე“ და ა.შ. მაგრამ ამ ერთობ გაგრძელებული მონოლოგის შემდეგ, სულ სხვა საკითხზე მინდა გავაკეთო აქცენტი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართული საბალეტო დასი ამ ბიენალეზე არ მონაწილეობდა, არც სხვა ამ ტიპის მოვლენათა, კონკრეტულად ახალი ხელნერის, ახალი ძიებებისა და „ინტელექტუალური ქორეოგრაფიული თეატრის“ მაძიებელი ფესტივლების სტუმარია. საქმე იმაშია, რომ თბილი-

სის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო რეპერტუარი არასავსებელია. ახალი დადგმების ძალიან დიდი უმრავლესობა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ხშირად ეფექტური, მაგრამ მინც ან პლაგიატურია, ანდა რისიმე ასლი, რომლებსაც ჩვენთვის რუსი საშუალო რანგის ქორეოგრაფები ამზადებენ. საქართველოში ქართული ბალეტის მცირეოდენი ჩანასახიც კი გაქრა. ჩანასახი, რომელიც ჭაბუკიანმა გააღვივა და შემდეგ გიორგი ალექსიძემ განავითარა. უმაღლესი რანგის საბალეტო ფესტივალებზე დღეს ვერ ნახვადასი კლასიკურ-აკადემიური და სამუზეუმო დადგმით, მაგალითად, „გედების ტბით“, ანდა „დონ-კიხოტით“. ახალი რუსული რედაქციები ამ და სხვა დადგმებისა ვერც ღირებულებას მატებს სპექტაკლს და ვერც მნიშვნელოვნებას. დასავლეთი, რომლისადმიც ასე მივიღწევით, ვერ დაიმახსოვრებს საქართველოს ეროვნულ თეატრს რუსული ნეოკლასიკური ვარიაციებით ძველ და ყავლგასულ თემებზე. ასეთი დადგმები შეიძლება „გაყიდო“ აშშ-ში, სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში, გასტროლებზე, ანდა ზოგადად ხელოვნების ფესტივალებზე, სადაც ზოგადი შეხედულებებით აფასებენ და ხელოვნების ყველა სფეროს ერთგვარი „არტბაზრობა“ იმართება.

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ქართველი ბალეტმეისტერი, ბალეტის რეჟისორი გიორგი ალექსიძე გარდაიცვალა, თუმცა საქართველოში მის მოღვაწეობას გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე დაუსვეს წერტილი. ალექსიძე უმუშევარი არ ყოფილა, ის სხვადასხვა თეატრებში მუშაობდა, როგორც პროფესორი ასწავლიდა მოსკოვსა და პეტერბურგში. ის იყო და არის ქართველი ქორეოგრაფი, რომელმაც შექმნა ორიგინალური, ყველასგან გამორჩეული, არასოციალისტური და არასტანდარტული ხელნერა და სტილი ბალეტში. მისი დადგმები ერთადერთია ამ ეტაპზე, რითიც შეიძლება თანამედროვე ქართული კლასიკური ქორეოგრაფია გამოირჩეოდეს, მაგრამ...

თუმცა სინამდვილეში მთავარი ისაა, რომ ალექსიძემ ბევრი დადგა და მისი ბალეტი, როგორც ფენომენი არსებობს, მერე რა, რომ ქართველებს ისევ გამოგვრჩა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რა მოხდა, თუ დღეს მის ბალეტს არ ასრულებს მის მიერვე ათასგზის გადარჩენილი თბილისის საბალეტო დასი. ეს მხოლოდ ერთი ეტაპია, მხოლოდ დროითი მონაკვეთი, რომელიც ჩაივლის და მერე, ყველას კარგად მოაგონდება, რომ თუნდაც 90-იან წლებში, თბილისში გაყინული და უფულო იყო თეატრი, შიშველი სცენა და მშვიერი მაცურებელი, მაშინ თეატრს არაფერი ჰქონდა, მხოლოდ ერთი, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი – საკუთარი ენა, ის, რაც ყველაზე მეტად ფასობდა და ფასობს. მით უფრო თანამედროვე კულტურულ სივრცეში, სადაც რთულია გერქვას შენი, საკუთარი სახელი და გქონდეს შენი სათქმელი.





სელოძე
გოგოლაძე

მასაზე ბანზოშილება

„მცირე წინააღმდეგობანი მხედველობაში მისაღები არაა, როცა მათი დაძლევის ხელოვანი აღწევს უფრო ამაღლებულ მშვენიერებას.“

გოეთე

ადამიანი უფლის მიერ შექმნილი ამოუცნობი არსებაა, მისი სამყარო ყოველთვის იყო შემოქმედის ძიებისა და შთაგონების წყარო. უძველესი დროიდან დღემდე ცდილობს გაერკვეს საკუთარ მყოფადში და პირველყოფილი სინამდისაკენ მიიკვლევს გზას, როგორც ბნელ ლაბირინთში. რაც დრო გადის, მით უფრო საინტერესო და უცხო ხდება ადამიანი ადამიანისათვის. მისი სულის შეცნობა კი ერთგვარი დილემაა, ფსიქოლოგთა და მეცნიერთა კვლევის საგანი.

მხატვრობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის თვალის გამომსახველობას, როგორც სულის უტყუარი სარკისას. სეზანი, მოდილიანი, სალვადორ დალი და სხვები ცდილობდნენ ღრმა და მრავლისმეტყველი ყოფილიყო იგი. შეიძლება ითქვას, მათ ამონურეს ადამიანთა ყოველგვარი განცდანი: მიაშიტური, ეშმაკური, ტანჯული, ირონიული...

ქართული საზოგადოებისათვის არ იყო უცხო ამგვარი რენესანსული ეპოპეა მხატვრობაში, გუდიაშვილისეული თვალები განუმეორებელია, საოცრად ღრმა და საოცრად ქართული, ცეცხლშეპარული სილამაზით. იცვლებიან თაობები და იცვლება აზრი, დამოკიდებულება ამა თუ იმ თემისადმი. დღეს შეიძლება თამამად ვილაპარაკოთ, ჩვენი თანამედროვე მხატვრობის შესახებ, მის თავისთავადობაზე და განუმეორებელ სტილზე, რომელიც გარკვეულ ნაზავს ქმნის ძველსა და ახალ ეპოქებს შორის, როგორც უფრო ხატოვან, ფართო დიაპაზონისა და გაგების ხელოვნებაზე.

ახალგაზრდა მხატვრებში განსაკუთრებით გამოირჩევა გიორგი ქადაგიშვილის შემოქმედება. ამ პიროვნებაში იხსნება გენეტიკური კოდი მამიდან შვილში და მთელი ნიჭიერებით წარმოგიდგება იგი. ამოსავალი წერტილი მასშიც ადამიანია, როგორც დაუსრულებელი ძიების ობიექტი. მისი გამიერები ძველი ეპოქის ლანდებს გვანან. გაოცებული, სხივნათელი თვალებით გვიმზერენ, თითქოს განაჩენს ელიანო დღევანდელობისაგან. თავად მხატ-





ვარი კი აფორიაქებული, უცნაური გამომეტყველებითა და საოცრად სუფთა თვალებით. მანამდე იყო ბავშვობა, ხშირად სტუმრობდა კახეთში ბებიასთან, კეთილშობილ, სიკეთითა და სითბოთი გასხივოსნებულ ქალბატონთან. სახლი სიძველის ნიმუშია, დიდი, ფართო შუშაბანდითა და უცნაური ფორმის ჩუქურთმებით. ბავშვობის დღეებთან ერთი კაკლის კარადა აკავშირებს, სადაც მოხუცი მუდამ ინახავდა კომპოს, ატამსა და ჩურჩხელას. უცნაური, მოტკბო სურნელი ეხლაც კარგად ახსოვს მხატვარს. საღამოობით ბუხარს ანთებდნენ, ცეცხლის ენები, მამლის მოთამაშე ბოლოებივით ირეკლებოდა კედელზე.

პატარა ბიჭს უამრავი გასართობი ჰქონდა. საინტერესო ფორმები იტაცებდა. ხატავდა, აშენებდა, ქმნიდა ყველგან, სადაც შეიძლებოდა ეოცნება. ახლის ძიებაში კი ხატვა დაიწყო, გამოჰყავდა იეროგლიფები, სიმბოლოები და ადამიანები.

ერთ დღეს ბებომ თავისთან იხმო, დაღლილი, სპეტაკი სახე და თოვლისფერი თმა ჰქონდა, თვალებში მინავლული სხივი უკრთოდა, ტუჩები გაფითრებული, მიტკლისფერი. შვილიშვილი საწოლზე ჩამოსვა და დიდხანს ეფერა აქოჩრილ თმაზე, შეღინდლულ საულვაშებზე, შვილიშვილს კი უთხრა: მივემგზავრები, დიდი ხნით მივედივარო. ადამიანები ასე მიდიან ხოლმეო. ბიჭის გასამხნეველად გაიღიმა და სთხოვა: ჩემო საყვარელო, ერთხელ კიდევ მოვუსმენდი ვივალდს. დიდხანს,

დიდხანს უსმინა უკანასკნელ გამოსათხოვარს, მერე თვალები დახუჭა და მიიძინა. ბიჭს არ შეშინებია, არც უტირია, მხოლოდ იჯდა და ფიქრობდა ადამიანთა ყოფიერებაზე, მათი არსებობის მიზანზე და დაკარგულ უკვდავებაზე. ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერების პრინციპს ემორჩილება. მხოლოდ ადამიანები ვალაგებთ საგნებს უადგილოდ, უაზრო კომფორტის შექმნით ვიქმნით დისკომფორტს. უაზრო ნივთებს, ფუფუნების საგნებს, სამოსს, სხეულის ზეობამდე მიყვავართ, სადაც ჩაგრული სული კვნესის, იტანჯება, როგორც უხეირო, შეთითხნილ ჭურჭელში გამომწყვდეული ჩიტი.

აკადემიაში მალე მიიპყრო ყურადღება, ხატავდა ფილოსოფიურ საკითხებზე. ირეალურ სამყაროზე და სიმბოლურ თემებზე.





—იფილოსოფოსოს — ამბობდნენ პედაგოგები და დინჯად უკვირდებოდნენ ახალგაზრდა მხატვრის უცნაურობებს — ფერთა დომინირებას და საგანთა თანხვედრას. ყველგან ადამიანები, ანგელოზის თვალებით და ტანჯული გამომეტყველებით. თეთრი და შავი ქვეები, როგორც სიკეთე და ბოროტება, ადამი და ევა, შუაში ხე მარადისობისა კედელივით აღმართული, ქალი და კაცი ზურგით მიყრდნობილნი, დალილინი, გაორებულინი, საკუთარ თავში ჩაკეტილნი. სურათი „სალამო“ ოდნავ ბაცი, მქრალი ფერებითა და თავდახრილი მანდილოსნით, თითქოს ფრთებჩამოყრილი ფრინველია, მომქანცველი ყოველდღიურობით გაბეზრებული. ვილაცას ფინჯანი ჩაი უნდა, სადღაც თუხთუხებს ჩაიდან და მიდის ცხოვრება.

დილაობით მხატვარი დგება და გულისყურით აფიქსირებს მზის ამოსვლას, საღამოს კი ჩასვლას. ასე გრძელდება დიდხანს-ერთი, ორი, სამი წელი. მიზანი ერთია, ეძიოს სხვაობა, ეძიოს საოცრება.


ასხენდება სტუდენტობის წლები: ერთხელ სისხამზე მთელი ჯგუფი გაემგზავრა დილის პეიზაჟის დასახატად, ფუნჯებითა და პალიტრით შეიარაღებული. ლურჯი ჰაერი გამჭვირვალე აბრეშუმით გადაკვრია პატარა დაბას, მხატვარი თითქოს ხელით გრძნობდა მის გამჭვირვალობას. ფერები

მკვეთრი, ცინცხალი, მწვანე, ხასხასა ბალახი და ლურჯი ქლიავისფერი მთები. უცებ ღრუბლებიდან გამოანათა ცეცხლოვანმა დისკომ, წელა აცურდა და წითლად დაფერა ირგვლივ მიდამო, თითქოს ფრთები გამოესხა მას და ჰაერში აფრინდა. ხედავდა როგორ შეუერთდა ცა და დედამიწა ერთმანეთს და ღვთისმშობლის კალთასავით გადაეკრა სამყაროს. ირგვლივ გამოჩნდა უდაბნოსავით აალელებული მთა-გორები, ლავისფერი ველები და წითელი ღრუბლები.

რწმენასა და რეალობას შორის დიდი სხვაობაა. ცხოვრების დოგმებს აყოლილნი ვიკარგებით უსასრულობაში. შეგრძნება იმისა, რომ ბედნიერი ხარ ქრება და სიცოცხლე მომბეზრებელი ხდება. ველარ გრძნობ გაზაფხულის სილამაზეს, შემოდგომის სევდას და სიყვარულს, გულში სიცარიელე ჩნდება და ადამიანი მუდმივად ცდილობს ამ სიცარიელის შევსებას, ეძებს ბედნიერების გასაღებს, რომელიც ოდესღაც თავის ნებით გადასცა ბოროტებას. სისასტიკე გამეფებულა ირგვლივ, ადამიანთა გულებშიც სისასტიკეა, თვალებში კი რისხვა და სიძულვილი, სადღაც ოდნავ ბუზუტავს სანთელი, როგორც უკანასკნელი სხივი იმედისა და რწმენისა. ბიჭი ხატავს ფანჯარას, როგორც სიბნელეში გაჭრილ კარს და ლამობს დაიჭიროს სხივი მაცოცხლებელი.

მთელი მისი ცხოვრება ძიებაა, ლოდინია, რაღაც ამოუხსნელი სასწაულისა თუ შეგრძნებისა, რომელსაც პირობითად „მესამე განზომილებას“ უწოდებს მხატვარი. ხშირად ხატავს ლიტერატურულ პერსონაჟებს, რომლებმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინეს. აღსანიშნავია, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ და მხატვარმა გააცოცხლა ეშმაკის მეჯლისი, დასამახსოვრებელია ეს სახეები, ნახატი გრაფიკულია და გარკვეულ სინთეზს წარმოადგენს ირეალურ გმირებთან: ეს არის დემონთა როკვა და სიშიშვლის დღესასწაული.





რელიგიური თემები გიორგი ქადაგიშვილისათვის საკრალურია. ფიქრობს, რომ ამისთვის ჯერ მზად არ არის. „ღმერთი ყველგანაა და ყველაფერშია. მე ვგრძნობ უფლის არსებობას სამყაროს სუნთქვაში. გაზაფხულზე ბუნება რომ ცოცხლდება და ჰაერი მზის მხურვალეებით იჟღინთება, საოცარ აღტკინებას განვიცდი. ამ დროს ყველაზე და ყველაფერზე შეყვარებული ვარ და ვგრძნობ, რომ ჩემში სიყვარული სანთელივით ანთია.“ —ამბობს იგი

გიორგი ქადაგიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სურათი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. ოთახში მზის სუსტი სხივები იჭრება, ნიგნები და ხელნაწერები აქეთ-იქით მიმოფანტულა, თითქოს ჰაერში დაბორიალობენ ფანტომები, არეული ლანდების ჩურჩულსაც გაიგონებ, უცებ ფურცლები შრიალს იწყებენ და მობორიალე, გზაბნეული სულები უკანასკნელ ლექსებს კითხულობენ. ყველაფერი ცოცხალია და თვალმისაცემი, როიალთან ვილაცის ცისფერი სილუეტი იკვეთება მოჩვენებასავით. აქ სიცოცხლე არ დამთავრებულა.

მის ცხოვრებაში არაფერი ხდება შემთხვევით. ის ცხოვრობს შემოქმედებით და შემოქმედებაში. ერთხელ მატარებლით მგზავრობისას სამი მეგობარი შენიშნა. მალე შეიქმნა სურათი „მგზავრები“. ნახატი რალაც ექსცენტრიული გამოვიდა, შუასაუკუნეების სტილითა და ჩაცმულობით, ყველა მათგანი

კი განსხვავებული და საინტერესო. სურათი „პიეტა“ თავისთავად დაიბადა, ერთი ხელის მოსმით. ეს არ იყო უფლის დატირების მიღებული ვერსია. მხატვარმა ეს თემა უფრო თანამედროვე პრობლემებს დაუკავშირა: უფლისა და ადამიანის გაუცხოებას, ამ უკანასკნელის თავისთავადობასა და მარტოსულობის ტკივილს, თითქოს იგი გაემიჯნა უფლის განსაცდელს და საკუთარ ეგოში ჩაიკეტა.

დამშვიდობებისას მხატვარმა გაგვანდო: ვენეციაში მოგზაურობაზე ვოცნებობო. მართლაც საოცარია ვენეცია ძველი, გოთური შენობებითა და ბაროკოს განუმეორებელი სტილით. ღმერთმა ქნას აუსრულდეს ეს ოცნება მხატვარს.

გიორგიმ ერთი უცნაური სიზმარიც მიამბო. ეს არ გავდა ჩვეულებრივ, ყოველდღიურობის წარმოსახვას. ეს გამოცხადება იყო: თითქოს ბუნებას ახლადშექმნილი სინმინდის ფერი დასდებოდა. ცინცხალი, ხელუკარები,



უსპეტაკესი. ცა იყო კამკამა, გამჭვირვალე, ბალახი ხასხასა მწვანე, მზე კი თავთუხისფერი. მწვერვალებიდან ნაკადულები გადმოსჩქეფდნენ, მინდორში კი პირველქმნილი გაზაფხული აკოკრილ გულ-მკერდს უშვერდა აბრიალებულ მზეს. ყველაფერი იყო დიადი და ამაღლებული.

უფლის გონს ჯერ კიდევ არ შეიქმნა ადამიანი, სამყაროს ამოუხსნელი სასწაული.





გივი ბერიკაშვილი და გოდერძი ჩოხელი ფილმ „სიყვარულის ცეცხლი“
გადაღებაზე

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 93-
64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შექმნა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:

გიორგი ქადაგიშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



გიორგი ქლადაგიძე





ISSN 1512-3189

 ბაზისბანკი
BASISBANK

სასარგებლო ბანკი



ფანი 3 ძეი